კვირის პალიტრა
გზა
N36 (274) 8/IX.-14/IX.2005.

ტერორი?

გზავნილები — „35 წლის გათხოვდე და 6 წელი ქალწული იყო?!..“

ირაკლი კაკაბაძე: „ეს იგივე ტაქტიკაა, რითაც ჟვანია მოკლეს...“

ნუ დავჩაგრავთ პატარებს!
„ამ სასახლეს ერთხელ უკვე სარფიანად ყიდდნენ...“

„ქუჩის ბიჭების“ ახალი წევრი გაორებულია

თუ მამაკაცი ხარ... ანუ როდის გაეპარება ხოლმე ტუჩები საკოცნელად

ქართველი ემიგრანტების ვარსკვლავური გზები...

თეონა კორთიშინაძე: „ახლა ჰოლივუდში ცხოვრება შემოგვთავაზეს...“

BeauMonde
ბომონდი

ნინო სურგულაძე იტალიელმა მამაკაცებმა ვერ მოხიბლეს

ზურა: „ჩვენი ურთიერთობა სერიოზულია“

როდის დაქორწინდებიან სალომე და ზურა?

რას ფიქრობენ შალვა რამიშვილის დაპატიმრებაზე მისი ყოფილი მეგობრები

აფხაზეთის დაბრუნების ყუბანეიშვილისეული ვერსია

სალომე: „ზურასთან ერთად უცხოეთში მოგზაურობს ცხოვრება“

№409 6.9 12.9
ფასი 1 ლარი

ყოველ სამშაბათს

ყველაფერი ბომონდის შესახებ

№36 (274)
8 - 14 სექტემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„თქვენი იყო, ახლა ჩემია“ ანუ პიონერთა თუ პრიორიტეტთა სასახლე 3
სკანდალი
ირაკლი კაკაბაძე: „ეს იგივე ტაქტიკაა, რითაც ქვანია მოკლეს...“
ერთი კითხვა 6
საზოგადოება
ნუ დავჩაგრავთ პატარებს! – „ამ სასახლეს ერთხელ უკვე სარფიანად ყიდდნენ...“ 7
მასმედია
„ხიდის ჩატეხა პირველ რიგში ხელისუფლებას შეუქმნის პრობლემას“ 10
დიზაინერი
ოფისის რემონტის „თანხლებით“ გავლილ დასვენების სეზონს პეკინში დაგეგმილი შოუ და ლონდონში საქმიანი გასვლა მოჰყვება 12
სამართალი
„სასXელის მოხდა არ არის მთავარი“ – როცა ორი ბოთლი ლუდის ქურდი მკვლელის გვერდით ზის 14
კრიმინალი
მამასთან უთანხმოებას ხუთი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მოჰყვა 17
გზავნილები
შინაბერობას საეჭვო სუნი აქვს ანუ ქალწულობა მავნებელია Xანმრთელობისთვის... 18
ჩემი თაობა
„თუ მამაკაცი ხარ, ქალთან ურთიერთობისას გამოჩნდება“ 22
ნამდვილი ამბავი
გურულებში ჩასიძებული რაჭველი 24
ტესტი
ერთგული მკითხველი 25
კოლეგა
„მოწოდებით“ ექიმი და განათლებით თურქოლოგი ბელა გიორგაძე ტელეეკრანებზე დამკვიდრებას ზაზა დარასელს უმადლის 26
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 28
მონადირე
„იმ მგლის კბილების შავი ნაიარევი დღემდე მაჩნევია...“ 28

ქართველი მმიგრანტების ვარსკვლავური გზები



ორი ქართველი გოგონა – თეონა კოროშინაძე და ნათია გაგუა – ამერიკაში პოპვარსკვლავის კარიერაზე ოცნებობენ. ისინი წლებია, ნიუ-ჯერსიში ცხოვრობს და დაბრუნდებიან თუ არა საქართველოში, არ იციან... თეონა თითქმის ყოველ ზაფხულს სტუმრობს თბილისში თავის ოჯახს. მას სწორედ ამერიკაში გამგზავრების დღეს ვესაუბრეთ.

49

„მოწოდებით“ ექიმი და განათლებით თურქოლოგი ბელა გიორგაძე

„ისრები 8 საათამდე დარჩენილ წამებს ითვლიდა. როგორც კი ისრების წიკწიკი გავიგონე, უნებლიეთ წამოვდექი, მოვიხსენი მიკროფონიც, „ყურიც“ და სტუდიიდან გამოსვლა დავაპირე. არადა, ეთერში გასვლამდე მხოლოდ წამებია დარჩენილი!.. მესმის რეჟისორის ნერვიული ხმა: ბელა, რას შვრებით?! იმ დროს, ზაალ უდუმავილიც ჩვენთან მუშაობდა...“

26

თუ მამაკაცი ხარ, ქალთან ურთიერთობისას გამოჩნდება

„4 წლის ვიყავი, როდესაც ჩემს თანატოლ გოგონას ბურთი წავართვი. მან ტირილი დაიწყო. ამ დროს ბაბუაჩემი შემოვიდა, ბურთი გამომართვა და მითხრა – ბაბუ, დაიმახსოვრე, ეს ქალია და უნდა დაუთმოო...“

22

ბიზნესმენური ოინი – კონკურსი, კრუიზი და ბოლოს... ქორწილი



„...ასე რომ, პაემანი დათოსთანაც არ მქონია... პირველად რომ შეეხვდით ერთმანეთს, თვითმფრინავის ბილეთებზე და იმაზე ელაპარაკობდით, თუ სად ვიცხოვრებდი ამერიკაში... მინდა, მამაკაცებს ვურჩიო, გოგონასთან დასაახლოებლად, ჩემი მეუღლის მიერ გამოყენებულ მეთოდს მიმართონ – მოასერხონ ის, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეს.“

54

ჯანმრთელობა
- ჭინჭრის ციება 31
- ცხოვრება შვებულების შემდეგ 32

საკითხავი ქალებისთვის
რატომ არის სიყვარული ბრმა 33

ტაძარი
რა არის ცნობილი ელია წინასწარმეტყველის ხალენის საქართველოში მოხვედრის შესახებ 34

კვალი
სამ შვეიცარიელ ქალს საქართველო სამშობლოსავით უყვარდა... 35

ასპარეზი
ლეილა მესხი – პირველი ქართველი პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი 38

ქართული დეტექტივი
ლუბა ელიაშვილი. მანიაკის ძღვენი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავები 46

ავტო 48

თემა
ქართველი ემიგრანტების ვარსკლავური გზები 49

შოუბიზნესი
„ქუჩის ბიჭების“ ახალი წევრი გაორებულია: „სადამდეც მეყოფა ძალები, გავაგრძელებ ასეთ ცხოვრებას...“ 52

პირველი პაემანი
ბიზნესმენური ოინი – კონკურსი, პრუიზი და ბოლოს... ქორწილი 54

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 55

ფავორიტები 56

ასტროლოგია
ზოდიაქოს ნიშნები და ფული 58

ჰოროსკოპი
კვირის (8-14 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
რამდენად კარგი მოთმინების უნარით გამოირჩევით? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ქუჩის ბიჭების“ ახალი წევრი გაორებულია: „სადამდეც მეყოფა ძალები, გავაგრძელებ ასეთ ცხოვრებას...“

ახალი და უკვე საკმაოდ პოპულარული წევრი – პაატა ცეცხლაძე, დანარჩენ წევრებთან ერთად, ახლახან დაბრუნდა ბათუმიდან, სადაც მათ მაყურებლის ცხელი დღეები გააგარეს. რა სიახლეებია ჯგუფში და როგორი ურთიერთობა აქვს მას თავის წინამორბედ პიკასოსთან – ყოველივე ამაზე თავად მომღერალი მოგვითხრობს.

52

ანჯელინა ჯოლი – ჯადოქარი

ვარსკვლავი დათანხმდა, მონაწილეობა მიიღოს ანგლოსაქსურ ეპოსში – „ბეოვულფი“, რომელშიც კაცი-ჭამია გოლიათის, გრენდელის დედას განასახიერებს. ეპიკური თქმულება, რომელიც VIII-IX საუკუნეებშია ჩაწერილი, გაუტთა (დანიელთა თანამოძმეთა) ტომის წარმომადგენელი რაინდის შესახებაა მოთხრობილი...

46

სამ შვეიცარიელ ქალს საქართველო სამშობლოსავით უყვარდა...

შვეიცარიაში, ციურიხის მოხუცთა თავშესაფარში ერთი ქალბატონი ცხოვრობს. ისევ შერჩენია ძველებური მომხიბვლელობა. ოღონდ ეგაა, მისთვის ცხოვრება ახლა ერთფეროვანი და მოსაწყენი გამხდარა. უფრო სწორად, წარსულთან ხიდად გადებულ გრძელ ფიქრად ქცეულა. ეს წარსული კი უმეტესწილად საქართველოს, ქართულ ენასა და ქართულ კულტურას უკავშირდება.

35

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიაშვილი

– ექსპერტიზიდან დამირეკეს, იაპონურ ხმალზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდები მამაკაცს ეკუთვნის...

– „შავი მარო“, – აღმომხდა მე. – „შავმა მარომ“ რაგომღაც დამიმალა, თამილას ბიჭი რომ ჰყავდა. იმან იცის სიმართლე. ბაიაც უნდა ვნახოთ საავადმყოფოში: იქნებ, გამოვიდა შოკიდან?.. გვეტყვის, რა უნდოდა იმ ბინაში.

42

„თქვენი იყო, ახლა ჩემია“

ანუ პრიორიტეტთა თუ პრიორიტეტთა სახახლე

ნებისმიერ ადამიანს აქვს სრული უფლება, რაც უნდა, ის უყვარდეს. მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი ქვეყნის პირველი პირია და კანონითაც მისი ასარჩევია, რა უნდა გახდეს პრიორიტეტული დარგი და რა – არა. ჰოდა, რაღა გვაქვს სათქმელი, უყვარს ამ კაცს ბალეტი და რა გინდა, რომ ქნა?! თუ მაგარი ხარ, შენც შეაყვარე შენი პრობლემა და ისიც პრიორიტეტული გახდება. როგორ?.. რა არის ამაზე ადვილი: სავსეა გაზეთები მაგების განცხადებებით, 5 ლარად რომ გთავაზობენ მომსახურებას; მიუტან იმ ადამიანის სურათს, რომელსაც გინდა რომ შეუყვარდე (სურათი არ იშოვება თუ რა?!), დაგიმზადებს ჯადოს და მორჩა – მეორე დღესვე მუხლებში ჩაგივარდება პრეზიდენტი და „პრიორიტეტად“ გამოგაცხადებს...

ახლა კი ასეა: თქვა, გზებია მთავარი პრიორიტეტიო და ე, ბატონო, აკეთებს კიდეც; მერე თქვა, ბალეტის განვითარება უნდა გავაპრიორიტეტოთო და ესეც ლოგიკურია: ამ მშიერი ხალხისაგან მარტო ძვალი და ტყავიღა დარჩა, სუმოს ის ვერ გიჭიდავებს და შტანგას ვერ აგიწევს. რა თქმა უნდა, დარჩა ისევ ბალეტი, რომლისთვისაც სწორედ ასეთი ფიზიკური მონაცემებია საჭირო. თანაც ბალეტს ერთი პოლიტიკურად მომგებიანი სპეციფიკაც გააჩნია: იგი ხომ მუნჯური ხელოვნებაა?! ჰოდა, იცეკვებს ეს გაძვალტყავებული ხალხი და ხმასაც ვერ ამოიღებს.

ჩვენ კი საპროტესტო აქციებს ვაწყობთ და მოვითხოვთ ჩვენი ბალეტის დედოფლისაგან, რომ უარი თქვას საჩუქრად შეთავაზებულ ამოდენა შენობაზე. ჩამოვამწკრივეთ თითისტოლა ბავშვები სასახლის წინ და ვაცხებინებთ – ჩვენია სასახლეო... ვინ მისცა ბავშვებს მოსწავლეთა სასახლე?! ხომ ვართ ღირსი, სპეცრაზმი შემოგვისიოს ამ უმსგავსობის ასალაგმავად! არა, კიდევ ბევრს გვითმენს ეს მთავრობა და ის პრიმა-ბალერინაც. როგორ შეიძლება ამაგი არ დაუფასო ქალბატონს, რომელსაც საქვეყნო აღიარება და ჩინებული კარიერა ჰქონდა უცხოეთში, მაგრამ ყველაფერი მიატოვა და სამშობლოში დაბრუნდა?! ვინ ოხერი უარყოფს ამას, მაგრამ იმათ რა ვუყოთ, ვინც საერთოდ არც წასულა საქართველოდან და ბეღურებივით ჩვენთან ერთად გადაიტანა ამსიგრძე პოლიტიკური ზამთარი?!

სხვათა შორის, ჩემი პროვოკატორული „სვიაზებით“ შევიტყვე, რომ თვითონ ჩვენი მამა-მარჩენალიც ჩაბმულა ამ საქმეში: დიეტაზე დამჯდარა და მალე „გედების ტბაში“ პარტნიორობასაც გაუწევს პრიმა-ბალერინას. ჰო, ჰო, მონადირის როლზე მუშაობს თურმე და როგორც კი გამოფარფატდებიან „გედები“ სცენაზე, ცხელ საფანტს დაუშენს ყველა „ვეფს“ ერთის გარდა (ახალი, რიმეიქული სიუჟეტი ყოფილა ასეთი)...

სხვა ძირეული ცვლილებებიც განხორციელდება თურმე: ბალეტი სასკოლო აუცილებელი საგანი გახდება და რომელიმე საგნის, ვთქვათ, საქართველოს ისტორიის ნაცვლად ჩაჯდება ცხრილში. შესაბამისად, აბიტურიენტები მისალებ გამოცდასაც ჩაბარებენ საბალეტო უნარჩვევებში და ახალი, მრავალპროფილიანი სპეციალობებიც გაჩნდება: საბალეტო იურისპრუდენცია, ბალეტი და საერთაშორისო მენეჯმენტი და ა.შ; 022-ზე რომ დარეკავ, ბალერონის ფორმაში გამოწყობილი პატრული მოვა და ისე მოხიბლავს შენს სახლში შემოვარდნილ ყაჩაღებს, რომ „ბრავობისის“ – ძახილით დატოვებენ ბინას; პარლამენტი შეაჩერებს ბიუჯეტის გაზრდისა და სიღატაკის აღმოსაფხვრელ კანონ-პროექტებს და საბალეტო ცვლილებებს შეიტანს კონსტიტუციაში და ჩვენც, მთელი ერი ვიცეკვებთ და ვიცეკვებთ დაუსრულებლად... ხომ გაგიგონიათ, გშია? – ჰო!.. – იცეკვე!..

***P.S.** ქალაქის პრემიერის სატელეფონო ზარი მერთან:*

– რატომ არ დადიხარ ბალეტის გაკვეთილებზე? გადარეულია მიშა მასწავლებელი.

– მე რა მინდა ბალეტის გაკვეთილებზე?!

– შენ არ იყავი, რომ იმსჯდი, ბალეტია №1 პრიორიტეტი და მოსწავლეთა სასახლე დაცალეთო?! ბავშვები აკლიათ ახლა და კეთილი ინებე, ამოიცვი პუანტები და უკან გამომყევი!..

პროვოკატორი

ირაკლი კაკაბაძე: „ეს იგივე ტაქტიკაა, რითაც ჟვანია მოკლეს...“

მწერალი და ტელეკომპანია „202“-ის გადაცემა „დებატების“ ბოლოდროინდელი წამყვანი ირაკლი კაკაბაძე 7 სექტემბერს, დილის 4 საათზე უცნობმა პირებმა უმოწყალოდ სცემეს. თავად დაზარალებული მომხდარს ჩვეულებრივ კრიმინალს უკავშირებდა, მაგრამ მისი თავდაპირველი ვერსია მას შემდეგ შეიცვალა, რაც კაკაბაძის მეგობარმა, დავით კოხრეიძემ პროკურატურის თანამშრომლები პრეზერვატივის ჩადებაში ამხილა... ამის შემდეგ ირაკლი კაკაბაძემ მწვავე განცხადებები გააკეთა და ასეთი ფრაზაც კი თქვა: „ეს იგივე ტაქტიკაა, რითაც ჟვანია მოკლეს...“ ვინ და რატომ ცდილობს ირაკლი კაკაბაძის კომპრომეტირებას და არის თუ არა 7 სექტემბრის ინციდენტი მასმედიის წინააღმდეგ მიმართული ტერორი? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, როგორც კაკაბაძის ახლობლები, ისე სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ცდილობენ.

ხათუნა მაღრაძე

მანანა ამირეჯიბი, *ირაკლი კაკაბაძის ბიძაშვილი:*

— ირაკლის არ უნდოდა გამწვავება. როგორც კი ცემის შემდეგ, გონებაზე მოვიდა, თქვა, რომ ეს იყო კრიმინალი — თავს დამესხნენ გაძარცვის მიზნითო, — მაგრამ მოგვიანებით, ისეთი ამაზრზენი ცნობა გაავრცელეს პროკურატურის თანამშრომლებმა, თავად მოიჭრეს ის ტოტი, რომელზეც ისხდნენ.

— თქვენ დამცავის ჩადების შესახებ როდის შეიტყვეთ?

— პროკურორის თანაშემწე რომ მოვიდა, მე უკვე აქ ვიყავი, ოთახში შესვლისას მათთვის თვალყური არ მიდევნებია. ხმაურზე გამოვედი სამზარეულოდან და დავინახე დათო კოხრეიძე, რომელიც გამწარებული იქნევდა პრეზერვატივს და ყვიროდა — ჩემი თვალით დავინახე, როგორ უდებდით ჯიბეშიო!.. ეს რომ არ გაეკეთებინათ, ირაკლი საქმეს არ გაახსნევინებდა და საკუთარი ცემის ფაქტზე აჟიოტაჟს არ ატეხდა.

— თქვენ როდის შეიტყვეთ ირაკლის ცემის ფაქტი?

— მე იმ ღამეს მათთან არ ვყოფილვარ. ნათიამ *(ირაკლის დედა. — ავტ.)* თქვა: 4 საათზე მოვიდა, დააკაკუნა და მითხრა — კარი გამიღე, დედა, შენ კი, შიგნით შედიო... ჩვენ საანეკდოტოდ გვაქვს ქცეული ირაკლის ზედმეტი სიყვარული ქალებისადმი. ნათიამ იფიქრა, რომ რაღაც მაგდაგვარი იყო, კარი გააღო და შევიდა დასაძინებლად... შემდეგ, მეზობლისთვის დაცვას უთქვამს — ირაკლი ვიღაცამ ნაცემი და გადაბინტული მოიყვანა და ხომ არ იცი, როგორ არისო?.. მეზობელი ირაკლის მდგომარეობის გასარკვევად ამოვიდა. სწორედ ამ დროს გაიგო ნათიამ შემთხვევის შესახებ. შემდეგ მივიდნენ რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმები, რომლებმაც პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. ამის შემდეგ გავიგეთ ნათესავებმა მომხდარის შესახებ.

— შაქრის დიაბეტის ფონზე, რაიმე გართულება ხომ არ არის მოსალოდნელი? რას ამბობენ ექიმები?

— გადავრჩით. მისთვის ამდენი სისხლის დაკარგვა არ შეიძლებოდა. დილით შაქარი ისე ჰქონდა დაწეული, ღამის გონება დაკარგა. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

— ირაკლის, გადაცემა „დებატებში“ მისი მონაწილეობის შეწყვეტაზე ხომ არაფერი უთქვამს?

— თუ ეს ტერორი იყო, ვინც ირაკლის იცნობს, უნდა გაეთვალა, რომ წინააღმდეგობას არ შეუშინდება, სიმართლეს უფრო მწარედ იტყვის, რადგან დაშინება და შანტაჟი მხოლოდ მისი კი არა, მთელი ქვეყნის პრობლემაა.

— ირაკლის დედა აცხადებს, რომ სამართლდამცველებმა შეცდომაში შეიყვანეს, რის შემდეგაც, ქალბატონმა ნათიამ ზაალ ბაიდაშვილის მისამართით მწვავე განცხადება გააკეთა.

— მას უთხრეს, რომ ზაალმა სცემა და მის სახლში ირაკლის სისხლის კვალი იყო დარჩენილი. აფორიაქებული დედა ამ პროვოკაციას წამოეგო და პროკურატურის წარმომადგენლების არასწორი ინფორმაცია დაიჯერა. როცა მოგვიანებით გაირკვა, ზაალმა, ირაკლის სიცოცხლე გადაარჩინა. მისთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

— თქვენი აზრით, უკავშირდება თუ არა კაკაბაძის ცემისა და გაძარცვის ფაქტი „202“-ზე დებატებში გაკეთებულ ოპოზიციურ განცხადებებს?

— მე არ ვიცი, რას უკავშირდება კონკრეტულად, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: „202“ განაგრძობს ფუნქციონირებას, კიდევ უფრო კარგად, ვიდრე წინათ. ჩვეულებრივი ობივატელის თვალით რომ შევხედოთ ყველაფერს, სწორედ ტერორის შთაბეჭდილება იქმნება. თუ ხელისუფლებას ტელევიზიის დახურვა უნდოდა და რამშვილის დაკავებით საწადელს ვერ მიაღწიეს, მაშინ ყველანაირი გზით შეეცდებიან მიზნის მიღწევას.

4 საათზე მოვიდა, დააკაკუნა და მითხრა — კარი გამიღე, დედა, შენ კი, შიგნით შედიო...

ნანა კაკაბაძე, *ორგანიზაცია – „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“:*

– მომხდარი ძალიან ჰგავს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას. ეს რომ პირველი შემთხვევა იყოს, შეიძლებოდა, გვეგარაუდა – „დებატების“ წამყვანს ყაჩაღობის მიზნით დაესხნენ თავსო, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ, იმავე ხელწერით გაუსწორდნენ ბიზნესმენ ვალერი გელაშვილს, როცა ქუჩაში დღისით-მზისით სცემეს და სიკვდილის პირას მიიყვანეს. ჩვენ გვახსოვს პოლიტიკური ანგარიშსწორების პერიოდები, თუმცა ასე მწვავედ ეს საკითხი საქართველოში დღემდე არ მდგარა.

— პროკურატურა აცხადებს, რომ მზად არის დამნაშავეთა გამოსავლენად, თუმცა კაკაბაძეს მათთვის ჩვენების მიცემა არ სურს...

– ამ საქმესთან ან გამომძიებელი რა შუაშია, ან რა უნდა გაარკვიოს პროკურატურამ? სასამართლო ვერ ახერხებს მოწმეების დაკითხვას და ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად მიღებული მტკიცებულებების გათვალისწინებას!.. თუ არ არსებობს ხელისუფალთა ნება, საქმე მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძვრება, თავად მათი შეკვეთით ჩადენილი დანაშაულის გახსნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— კაკაბაძის მეგობრები აცხადებენ, რომ საკუთარი თვალით დაინახეს, როგორ ცდილობდა პროკურატურის წარმომადგენელი „დებატების“ წამყვანისთვის პრეზერვატივის ჩადებას.

– ეს გამიზნულია კომპრომეტირებისთვის. ვისაც კი განსხვავებული აზრი აქვს, ყველას იმიჯის შელახვასა და ფიზიკურ დაშინებას ცდილობენ. ეს შევარდნაძის დროინდელი ხელწერაა, რაც სანაიასთან დაკავშირებით გამოიყენეს.

მაია ნადირაძე, *საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:*

– სანამ დაზარალებული ჩვენებას არ მისცემს და გამოძიება საქმის დეტალებში ვერ გაერკვევა, წინასწარი შეფასებების გაკეთება ძნელია. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყო ყაჩაღობის ფაქტი: ირაკლი კაკაბაძეს თავდასხმელებმა ფული და მობილურიც ხომ წაართვეს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე ბოლომდე უნდა იქნას გამოძიებული. იქნებ, ვინმეს ხელისუფლებისთვის ჩრდილის მიყენება სურს და მსგავს პროვოკაციაზე მიდის?..

— თქვენი აზრით, ხელისუფლებისთვის „დებატების“ წამყვანი კაკაბაძე უფრო საშიში იყო თუ თავგატეხილი, რომელიც საზოგადოებას ათასგვარ ეჭვს უჩენს?

– კაკაბაძე არ არის ის ადამიანი, რომელიც სამაგიეროს გადახდის მიზნით, უმოწყალოდ სცემეს. ხელისუფლებას მწვავე კრიტიკა არაერთი ჟურნალისტისგან მოუსმენია, მაგრამ ჩვენ მიერ მიღებულ „სიტყვის თავისუფლების შესახებ“ კანონს ბოლომდე ვიცავთ. არც ერთი კრიტიკული გამოსვლა, რომელსაც მაყურებელი ტელეეკრანიდან ისმენს, არ იქნება იმაზე უარესი, ვიდრე თავგატეხილი ტელეწამყვანის ხილვა. მე ვეთანხმები პრეზიდენტის პათოსს: სიმართლე უნდა დადგინდეს და დამნაშავეები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ.

ინგა გრიგოლია, *ჟურნალისტი:*

– ჩემთვის ირაკლი კაკაბაძეზე განხორციელებული თავდასხმა თავისუფალი სიტყვის დევნას ნიშნავს. დღეს პირველად შემეშინდა, როგორც ჟურნალისტს, დედასა და მოქალაქეს.

— თქვენი აზრით, ეს „დებატებს“ უკავშირდება?

– ამდენი დამთხვევა ერთდროულად, შემთხვევითი იყოს, წარმოუდგენელია. საქმე

ლაშა გულაძე, *მწერალი:*

– მე არ ვარ კონსპირაციული თეორიების მომხრე, მაგრამ რატომ დაესხნენ მაშინ თავს, როცა ძალიან პოპულარული გახდა, როგორც „დებატების“ წამყვანი?.. ასევე გაუგებარია, რატომ დაინტერესდა პროკურატურა ზაალ ბაიდაშვილით. ირაკლი ამბობს, რომ ზაალი მისი მეგობარია, სამართალდამცველები კი ირაკლის დედას „აწვეთებენ“, თითქოს ბაიდაშვილმა სცემა და ამის გამო, მას ჩვენებაც ჩამოართვეს.

— თავად ირაკლი კაკაბაძე პირველად აცხადებდა, რომ ეს ჩვეულებრივი კრიმინალი იყო.

– სანამ კაკაბაძის მეგობრებმა საკუთარი თვალით არ დაინახეს, როგორ უდებდა პროკურატურის თანამშრომელი ჯიბეში პრეზერვატივს, მანამდე ჩვენც ვფიქრობდით, რომ ეს ყაჩაღობის მოტივით მომხდარი ინციდენტი იყო. მაგრამ სამართალდამცველთა ქმედებამ, ანგარიშსწორების ვერსია კიდევ უფრო გაამყარა.

დღის ბოლოსთვის, პროკურატურამ ტელემაყურებელთა სამსჯავროზე ოპერა-

ნანა კაკაბაძე: ჩვენ გვახსოვს პოლიტიკური ანგარიშსწორების პერიოდები, თუმცა ასე მწვავედ ეს საკითხი საქართველოში დღემდე არ მდგარა

ტიული მასალა წარმოადგინა, რომელშიც ზაალ ბაიდაშვილი ამბობს – ირაკლი კაკაბაძემ თავად მოახდინა ამ ინციდენტის პროვოცირება და შემდეგ მითხრა – პიარის ასაგორებლად გამოვიყენეთო; ამის შემდეგ, ზაალ ბაიდაშვილი ადვოკატებთან ერთად პრესკონფერენციას მართავს და ძმასთან ერთად შინ მიმავალს მისივე ძმის განცხადებით, ბელინსკის ქუჩიდან იტაცებენ. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება და ამიტომ კითხვებს კითხვები ემატება. მაშ, რა მოხდა? ჩვეულებრივი კრიმინალი? პროვოკაცია? თუ ტერორი?.. იმედია, ამ კითხვებს დასაბუთებული პასუხი გაეცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას ეჭვის საფუძველი ნამდვილად ექნება.

■

თუ ეს ტერორი იყო, ვინც ირაკლის იცნობს, უნდა გაეთვალა, რომ წინააღმდეგობას არ შეუშინდება, სიმართლეს უფრო მწარედ იტყვის, რადგან დაშინება და შანტაჟი მხოლოდ მისი კი არა, მთელი ქვეყნის პრობლემაა

„დასანდობნ ოპოზიციურ გამოძიებაზე და კომიკურ სიტუაციაში ნუ ჩაიგდებენ თავს“

— მაჭავარიანმა თქვენი განცხადების შემდეგ, ღირსებაშელახულად იგრძნო თავი და საქმეში გენპროკურორის ჩარევა მოითხოვა. ვიცე-სპიკერი დარწმუნებულია, რომ მისთვის ბოდიშის მოხდა მოგიწევთ...

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— რატომღაც ამ ხელისუფლებას საგამოძიებო კომისიების ხსენებაც კი თავზარს სცემს. თუ ღირსება აქვს შელახული, ქუჩური გარჩევების ფორმატით გამოსვლებს თავი უნდა დაანებოს და დათანხმდეს ბექაური-რამიშვილის ფაქტთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელიც გულისხმობს თანამდებობის პირების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ნიშნების შემთხვევაში სპეციალური გამოძიების ჩატარებას. ეს იქნებოდა ძალიან კარგი ტესტი ამ ხელისუფლებისთვის. საპარლამენტო უმრავლესობის წინააღმდეგობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს პროვოკაცია თავისუფალი ტელეკომპანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩემი ინფორმაციით, „202“ სექტემბრიდან აპირებდა ფილმების ჩვენებას, რომლებიც ეხებოდა ბექაური-მაჭავარიანის ტანდემის, საბაჟო ტერმინალთან დაკავშირებულ საქმიანობას, ბექაურის უეცარ გამდიდრებას და ამ ყველაფერთან მიხეილ მაჭავარიანის კავშირს. ამავე ტელეკომპანიის ეთერით უნდა ეჩვენებინათ ფილმი ვანო მერაბიშვილის საქმიანობაზეც. ლაპარაკი იყო „დარდუბალის“ აღდგენაზეც. თუ ეს ყველაფერი სიცრუეა და ბექაური-მაჭავარიანებს არაფერი აქვთ დასამალი, დათანხმდნენ ობიექტურ გამოძიებაზე და ისეთ კომიკურ სიტუაციაში ნუ ჩაიგდებენ თავს, როცა სიმართლის გარკვევა ხათუნა გოგორიშვილზეა მინდობილი. ■

„კოკოითი თავის ხალხს აშინებს“

— 15 სექტემბერს, ედუარდ კოკოითი სამხედრო თავდასხმას ელოდება. მისი ეჭვების გასაქარწყლებლად, თბილისი სწორედ ამ დღისთვის, ნოღაიდელი-კოკოითის შეხვედრას ითხოვს. შედგება თუ არა მათ შორის დიალოგი?

გია ნოდია, *პოლიტოლოგი:*

— ცხინვალთან მიმართებაში იმდენი აქტუალური საკითხი დაგროვდა, რომ შეხვედრა და დიალოგის დაწყება აუცილებელია. ქართულ-ოსურ პოლიტიკურ ურთიერთობებს რომ თავი დავანებოთ, საგანგაშოა კრიმინოგენური ვითარების დაძაბვა. გატაცებისა და ყაჩაღობის, მუქარისა და აფეთქების რეჟიმში გამუდმებით ყოფნა შეუძლებელია. ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის. კრიმინალური ბანდების უკონტროლოდ თარეშის აღკვეთა კოკოითის ხელისუფლებას თავად უნდა აძლევდეს ხელს. რაც შეეხება თავდასხმის საშიშროებას, არ გამოვრიცხავ, რომ ქართული მხარის წარმომადგენლებს შორისაც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პრობლემის გადაწყვეტა იარაღითაა შესაძლებელი. თუმცა, ბუშისა და მთელი დასავლეთის მკაცრი ტონი — რომ ასეთ შემთხვევაში მხარს აღარავინ დაგიჭერს, — სამხედრო ოპერაციას გამორიცხავს. მსგავსი განცხადებების გაკეთება კოკოითისთვის „კეთილ ტრადიციად“ იქცა, რაც ერთი მხრივ, მოსკოვს ყურადღების მოდუნებას საშუალებას არ აძლევს და ფინანსურად უფრო ხელგაშლილს ხდის; გარდა ამისა, კოკოითის მიმართ რეგიონის მოსახლეობას სერიოზული პრეტენზიები აქვს. ამაზე სალაპარაკოდ ვინმემ რომ არ მოიცალოს, მუდმივად „მგელი მოვიდას“ გაიძახის. ■

ვინ უნდა გამოავლინოს კორუმპირებული ჩინოვნიკები?

— ბენდუქიძის ინიციატივას კორუმპირებული ჩინოვნიკების გამოსავლენი ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, ოპოზიცია მკაცრად აკრიტიკებს. თქვენ კორუმპირებულთა გამოვლენით არ ხართ დაინტერესებული?

კობა დავითაშვილი, *კონსერვატორული პარტია:*

— ბენდუქიძემ ეს დოკუმენტი მხოლოდ იმიტომ შეიმუშავა, რომ პირველ ოქტომბრამდე, ევროსაბჭოში კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა გვაქვს წარსადგენი. ჩვენ არაერთი კორუმპირებული თანამდებობის პირი დაგვისახელებია, მაგრამ ამ განცხადებებს რეაგირება არ მოჰყოლია. საქართველოში იმდენი ანტიკორუფციული ჯგუფია შექმნილი, კორუმპირებულთა რაოდენობასაც შეიძლება გადააჭარბოს, მაგრამ მათი გაკეთებული საქმე არავის უნახავს. როცა ქვეყანაში პოლიცია და პროკურატურა სათანადოდ ვერ მუშაობს, ამის გამო პარალელური ორგანოები კი არ უნდა შევქმნათ, არამედ ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი და სხვა უწყებების ხელმძღვანელები უნდა გავათავისუფლოთ და მათ ადგილებზე პრინციპული და კომპეტენტური ადამიანები დავნიშნოთ. სამწუხაროდ, დღევანდელი სიტუაცია აშკარად ჰგავს შევარდნაძის დროინდელ პერიოდს, რომელიც ყოველ წელს კორუფციასთან „ბრძოლით“ იწყებდა და ამთავრებდა, ქმნიდა სპეციალურ ორგანოებს, ყველაზე კორუმპირებულები კი, გარშემო ეხვევნენ და სრული ხელშეუხებლობითაც სარგებლობდნენ. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

მკურნალობა გარანტიით!

თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, სებორეა, თმის ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), სოკო, ფსორიაზი, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. იაპონური აპარატით ვაკეთებ მასაჟს. *მჭედლიძე, ბეგაშვილი*

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, II სტომატოლოგ. პოლიკ. ოთ. 28 ☎ 39-39-51; 893-91-89-17; 35-32-62

ნუ დავკარგავთ ჰაერებს!

„ამ სასახლეს ერთხელ უკვე სარფიანად ყიდღნენ...“

1851-60 წლებში, ამ შენობის რეკონსტრუქცია მოხდა

„სასახლე ჩვენია! ნუ წაგვართმევთ სასახლეს!“ — უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში, სწორედ ასე მიმართავდნენ ქალაქისა და ქვეყნის მაღალჩინოსნებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები. მართალია, საქართველოს პრეზიდენტმა დროებით შეაჩერა თბილისის მერის განკარგულება ქორეოგრაფიული სასწავლებლისთვის სასახლის გადაცემის თაობაზე, მაგრამ კვლავ გაურკვეველი რჩება, საბოლოოდ თუ ვის ერგება შენობა, რომელიც მდიდარი ისტორიითა და ტრადიციებით გამოირჩევა.

ემა ტუხიაშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის, თავდაპირველად — თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე — 1941 წელს გაიხსნა. სამამულო ომის პერიოდში, სასახლის პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ ფრონტის დასახმარებლად გამართულ ღონისძიებებში. პირველ წლებში, სასახლეში მხოლოდ 6 განყოფილება, 93 შემოქმედებითი წრე იყო გახსნილი, სადაც სხვადასხვა განხრით 1800 ბავშვი სწავლობდა. თანდათან სასახლის პროფილი გაფართოვდა და ისეთი წრეები დაემატა, როგორებიცაა მაგალითად, მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის, ალპინიზმის, კოსმონავტიკისა და ასტრონომიის. სასახლეში მოქმედებდა ავიამოდელისტებისა და გემთმოდელისტთა განყოფილებები, ოლიმპიური რეზერვის საჭადრაკო სკოლა, სპორტული სკოლა ფარიკაობაში და მრავალი სხვა. 1957 წლიდან დღემდე სასახლე გამოსცემს გაზეთს — „გაზაფხული“.

გია შალამბერიძე, *მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი:*

— ეს შენობა XIX საუკუნის დამდეგსაა აშენებული და თავდაპირველად, კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციას წარმოადგენდა. 1851-60 წლებში, ამ შენობის რეკონსტრუქცია მოხდა, კერძოდ — თავდაპირველად, აქ გახლდათ მხოლოდ ერთსართულიანი შენობა, შემდეგ კი მას რამდენიმე სართული დააშენეს და გვერდითა ფლიგელებიც მიუშენეს. სწორედ აღნიშნულ პერიოდშია გაკეთებული სასახლის ის კოლონადა, რომელიც რუსთაველის გამზირზე გადის. ამავე პერიოდში, მოეწყო ცნობილი, სარკეებიანი დარბაზი. მინდა აღვნიშნო, რომ ამ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ავტორი გახლდათ შვედი არქიტექტორი სიმონსენი, რომლის სახელსაც თბილისში არაერთი სხვა შენობა უკავშირდება. სამუშაოები მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვის პერიოდში ჩატარდა. ცნობილი ფაქტია, რომ ვორონცოვს განათლება ინგლისში ჰქონდა მიღებული, ამიტომ შენობის გვერდითი ბაღის მოსაწყობად, ინგლისიდან გამოიხმო დეკორატორები. ახლაც, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღს ინგლისური სტილის ელფერი დაჰკრავს, ხოლო ისევე, როგორც მაშინ, ბაღში უნიკალური ჯიშის ხეები ხარობენ — მაგალითად, ძელქვა, რომლებიც ძალიან იშვიათად გვხვდება დღეს საქართველოში... მოგეხსენებათ, რომ 1917 წელს, მოხდა რევოლუცია, შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია, რომელსაც ე.წ. სეიმი მართავდა. 1918 წლის 26 მაისს კი, სეიმის სასახლის ცენტრალურ დარბაზში, საქართველოს დელეგაციამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოულოდნელად დატოვა სხდომა და ამ სასახლის თეთრ დარბაზში გადაინაცვლა. სწორედ იქ იქნა მიღებული აქტი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, ხოლო ამის აღსანიშნავად, ხსენებულ დარბაზში დღემდე მემორიალური დაფა კიდია. როგორც ისტორიული წყაროები ცხადყოფს, ნოე ჟორდანიამ შენობის წინ შეკრებილ ხალხს, საქართველოს სუვერენიტეტის გამოცხადების შესახებ სწორედ რომ ამ სასახლის აივნიდან აუწყა, ამრიგად, 1918-1921 წლამდე, ეს შენობა წარმოადგენდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის რეზიდენციას: მოგეხსენებათ, რომ 1921



ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილმა დასძინა: დიდებული საქმე გაკეთდა იმით, რომ ეს ლამაზი შენობა ბავშვებს გადაეცათო... (სასახლესთან მიმდინარე საპროტესტო აქცია, 2005 წლის სექტემბრის დამდეგი)

წელს, მოხდა საქართველოს ანექსია. იმ დროიდან მოყოლებული 1940 წლამდე, ეს შენობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენციას წარმოადგენდა და აქ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები ისხდნენ. 1940 წელს მიღებული დადგენილების საფუძველზე კი, სასახლე ბავშვებს გადაეცათ. სხვათა შორის, მიმდინარეობდა დისკუსია იმის თაობაზე, აქ საქართველოს ისტორიის მუზეუმი განეთავსებინათ თუ პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე. ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილმა დასძინა: დიდებული საქმე გაკეთდა იმით, რომ ეს ლამაზი შენობა ბავშვებს გადაეცათო. ამრიგად, ივანე ჯავახიშვილი მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა იმის მიუხედავად, რომ თავად იყო ამ პერიოდში, ისტორიის მუზეუმის დირექტორი... შემდეგ სასახლეში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო მისი გახსნა 1941 წლის 2 მაისს გახდა შესაძლებელი და პიონერთა სასახლის პირველი დირექტორი ბატონი შალვა თევდორაძე იყო. საინტერესო ისტორიული ფაქტია ის, რომ ამავე წლის 22 ივნისს სასახლეში დაგეგმილი იყო გრანდიოზული საბავშვო კარნავალი. როგორ ცნობილია, იმ დღეს, ჰიტლერმა დაიწყო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბავშვებისთვის ზეიმის ჩატარებაში ხელი არ შეეშალათ. სხვათა შორის, ამ სასახლეში გამართული პირველი საზეიმო ღონისძიების ამსახველი ფირი ჩვენს არქივშია დაცული... 1941-დან 1990 წლამდე, პიონერთა სასახლეს რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება: ჯერ იყო ცნობილი, როგორც პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე, შემდეგ – მოსწავლეთა და პიონერთა სასახლე, ხოლო 1990 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, მას მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ეწოდა. მინდა გავიხსენო ამ სასახლის ერთ-ერთი აღსაზრდელის, კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძის მოგონებათა წიგნიდან მცირე ფრაგმენტი, სადაც ის წერს, რომ პიონერთა სასახლე საბჭოთა პარადოქსია. მართლაც, ყველაფრის მიუხედავად, ეს იყო ქართული დისიდენტური სულის მატარებელი ორგანიზაცია და ამ კედლებში არაერთი, ქვეყნის ერთგული, ნამდვილი პატრიოტი აღიზარდა.

— ამჟამად რამდენი წრე ფუნქციონირებს სასახლეში?

– გასულ სასწავლო წელს სასახლეში მუშაობდა 679 წრე, სადაც დადიოდა 6779 მოსწავლე. გარდა ამისა, გახსნილია ცვალებადი წრეები, თეატრალური სტუდიები, საჭადრაკო სკოლა, სპორტული კლუბები და ა.შ.

— თუ არ ვცდები, უკვე რამდენიმე წელია, სასახლის თეატრალური დასი უფასო წარმოდგენებს მართავს ხოლმე ბავშვებისთვის...

– თოჯინების თეატრი სასახლის გახსნისთანავე ჩამოყალიბდა. ამ თეატრის იდეოლოგები გახლდნენ დავით ჯალაღონია და მარო აბრამიშვილი. ამ ადამიანის აღსაზრდელები დღეს ბევრ ქართულ თეატრში მოღვაწეობენ. ამ თეატრში წარმოდგენებს თავად ბავშვები მართავენ და ყოველ კვირადღეს, საკუთარ შემოქმედებას მაყურებელს უზიარებენ. გარდა ამისა, სასახლეში ფუნქციონირებს პოეზიის თეატრი, დრამატული თეატრი, რომელსაც ნუგზარ ბაგრატიონი ხელმძღვანელობს, ლიტერატურული თეატრი და ა.შ.

გასულ სასწავლო წელს სასახლეში მუშაობდა 679 წრე, სადაც დადიოდა 6779 მოსწავლე...

— როგორც ვიცი, სასახლეში უნიკალური საარქივო მასალებია დაცული, მათგან რომელს გამოყოფდით?

– ალბათ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იმ ფოლკლორული ექსპედიციების ჩანაწერები, რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა. სასახლეში განთავსებულია საქართველოს ისტორიის მუზეუმი, რომელიც ასევე გამოირჩევა უნიკალური ექსპონატებით. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე საკმაოდ მრავალპროფილიანი დაწესებულებაა, ამიტომ გამიჭირდება ერთბაშად ყველა მის მონაპოვარზე საუბარი. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ჩვენი სასახლის შემოქმედთა კაბინეტი, სადაც მოზარდები პირველ ნაბიჯებს დგამენ სამწერლო ასპარეზზე. ამ კაბინეტის ხელმძღვანელი წლების მანძილზე საკმაოდ საინტერესო პიროვნება, ქალბატონი ქეთო ანანიაშვილი გახლდათ, რომელიც შარშან გარდაიცვალა. უფროსი თაობის პედაგოგებისგან მსმენია, რომ როდესაც სასახლეში ამ ქალბატონის მიერ ორგანიზებული ლიტერატურული საღამოები იმართებოდა, მილიცია იძულებული იყო, შენობა მოზღვავებული ხალხისგან დაეცვა.

— ქალბატონი ქეთო, ნინო ანანიაშვილის ნათესავი ხომ არ იყო?

– *(იცინის)* სიმართლე გითხრათ, აქამდე არც კი მიფიქრია იმაზე, რომ ამ ორ ქალბატონს ერთი და იგივე გვარი აქვთ...

გრიგოლ ჩიგოგიძე, *ყოფილ „პიონერფილმის“, ახლა კი – მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის კინოფონდის ხელმძღვანელი*:

– მე თავად გახლავართ ამ სასახლის აღსაზრდელი. პირველად ამ კედლებში 1955 წელს შემოვდგი ფეხი. წლების შემდეგ კი, სასახლის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ზურაბ ლომიძემ სტუდია „პიონერფილმში“ ხელმძღვანელად მომიწვია. ამის შემდეგ, კინოფირზე ავსახავდით სასახლის მთელ ცხოვრებას. ეს საარქივო მასალა დაახლოებით 60 საათს აღწევს და დიდი სურვილი გვაქვს, რომ მისი ხილვის საშუალება მომავალ თაობებსაც მიეცეთ. ჩვენი სტუდიის აღსაზრდელები არიან ასევე: კულტურის მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩეიშვილი, საქართველოს ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია და ა.შ. აქ გაიზარდნენ: ოთარ მელვინეთუხუ-

ცესი, რამაზ ჩხიკვაძე. სასახლის მუზეუმის დამაარსებლები არიან დიდი ქართველი მეცნიერები, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩიტაია... პიონერთა სასახლეში დაიბადა ანსამბლი „მზიური“, ამ შენობაში დღესაც მოქმედებს „გოეთეს თეატრი“, რომელსაც ხშირად იწვევენ წარმოდგენის გასამართად გერმანიის საელჩოში. სხვათა შორის, ჩვენს სასახლეს საინტერესო ამბავი აკავშირებს „კვირის პალიტრის“ გამომცემლობასთან: წლების წინ, გაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა წერილი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შესახებ, სადაც საუბარი იყო, რომ ვინმე შპეერს ეს შენობა, მეფისნაცვლის დაუკითხავად, ვიღაც უცხოელებისთვის მიუყიდია; როდესაც სასახლის „ახალი მეპატრონეები“ მის დასაუფლებლად ჩამობრძანებულან, მეფისნაცვალი გაოცებული დარჩენილა ამ სარფიანი „აფერით“... აღნიშნული პუბლიკაციის შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ ამ ამბის მიხედვით, ფილმი გადაგვეღო და საკმაოდ კარგი ანიმაციური ფილმი გამოგვივიდა...

თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი ასევე მდიდარი ისტორიისა და დიდი მნიშვნელობის კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე სასწავლო დაწესებულებაა და მასზე ზრუნვა მართლაც, ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს ხელისუფლებისა და საზოგადოებისგან. მისი „ბიოგრაფია“ 1916 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც იტალიელმა მოცეკვავე ქალმა მარია პერნიმ თბილისში პირველი კერძო საბალეტო სტუდია გახსნა. 1920 წლიდან, ეს სტუდია, ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო სკოლად გარდაიქმნა. 1934 წლამდე, მისი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი თავად მარია პერნი გახლდათ და მასში 200 მოსწავლე ირიცხებოდა. ამის შემდეგ, მას ბალეტმაისტერი დავით ჯავრიშვილი ჩაუდგა სათავეში და მისი ინიციატივით, სკოლა შვიდწლიან სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სტუდიად გადაკეთდა. 1941 წელს, საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი. 1951 წლიდან დღემდე, მას სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი ეწოდება.

1970-73 წლებში სასწავლებელს კვლავ ვახტანგ ჭაბუკიანი ხელმძღვანელობდა. ამჟამად ის „ცეკვის ჯადოქრის“ სახელს ატარებს. ამ სასწავლებლის აღსაზრდელებს შორის, არაერთი სახელგანთქმული ქართველი ხელოვანი გახლდათ, მათ შორის: ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, კოტე მახარაძე, ელენე ყიფშიძე, სოლიკო ვირსალაძე.

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის შენობა მნიშვნელოვნად დააზიანა რამდენიმე წლის წინ მომხდარმა მიწისძვრამ და ის „ენერგოგენერაციის“ შენობაში გადაიყვანეს. უკვე ორი წელია, რაც ქორეოგრაფიული სასწავლებლის 250 აღსაზრდელი ამ შენობის მე-4 და მე-5 სართულებზე, უდარაზოდ, საკაბინეტოდ განკუთვნილ ოთახებში ეუფლება ბალეტის ხელოვნებას.

სწორედ ამ პათოსითაა ნაკარნახევი ჩვენი მოწოდება – ნუ დავჩაგრავთ პატარებს!..

ომარ ლომსაძე, *ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ქორეოგრაფი:*

– მთელი ჩემი ცხოვრება ამ საქმეს ვემსახურები. გოგონებსა და ვაჟებსაც აქ ვასწავლი ქართულ ნაციონალურ ცეკვებს. სულ შვიდი ჯგუფი გვაქვს, მეტის საშუალებას შენობის მასშტაბები არ გვაძლევს. როდესაც სასწავლებელი კარგარეთელის ქუჩაზე მდებარე შენობაში იყო, იქ გვქონდა 8 სარეპეტიციო დარბაზი. შემდეგ კი ხან ოპერის შენობაში გვიხდებოდა რეპეტიციის ჩატარება და ხან – კიდევ სად. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროფილის მქონე გახლავთ. ასე რომ, აქ, გარდა კლასიკური ცეკვებისა, შეისწავლება მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და ქართული ეროვნული ცეკვები, ამიტომ ეს სასწავლებელი უთუოდ იმსახურებს კარგ შენობასა და პროფესიონალურ დარბაზებს. მით უფრო, რომ ეს გახლავთ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლებელი, სადაც ბავშვები სწავლების საფასურს არ იხდიან.

როგორც ხედავთ, ორივე დაწესებულება ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და რომ იტყვიან, ხელიხელსაგოგმანებია. სამწუხაროდ, ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელებს წლების მანძილზე, შეუფერებელ პირობებში სწავლა უწევთ. ნებისმიერი ჭკუათმყოფლისთვის ნათელია, რომ ხელისუფლებამ, დედაქალაქის თავკაცებმა უსწრაფესად უნდა მიიღონ ზომები მათთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად, რათა აღარ იგრძნონ თავი დაჩაგრულად. ბუნებრივია, არც მოსწავლე-ახალგაზრდობის ათასობით ნორჩ მომღერალს, მხატვარს, სპორტსმენსა თუ კინორეჟისორს უნდა გავუუარესოთ პირობები. სწორედ ამ პათოსითაა ნაკარნახევი ჩვენი მოწოდება – ნუ დავჩაგრავთ პატარებს!

■

მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები — იმ ინსტიტუტებს წარმოადგენს, რომელიც ყურადღებით, ზოგჯერ ჩასაფრებულის პოზიციიდანაც უნდა აკვირდებოდეს მმართველი წრეების მოქმედებას და შეცდომებზე მიუთითებდეს. ალბათ, საბოლოო ჯამში, სწორედ ამას ისახავს მიზნად დოკუმენტური ფილმების სერია, რომელსაც სტუდია „რეპორტიორი" ფონდის — „ღია საზოგადოება — საქართველო" — ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. როგორც ცნობილია, პირველ ფილმს, რომელიც ზურაბ ჟვანიას მოულოდნელი გარდაცვალების ვერსიებთან დაკავშირებით შეიქმნა, დიდი რეზონანსი მოჰყვა. მეორე ფილმი კი, პარლამენტარ კობა ბექაურის იდუმალებით მოცული ბიზნესსაქმიანობის შესახებ ეთერში გასვლამდე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მოარული ხმებით, ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო" აღნიშნული პროექტის დაფინანსების შეწყვეტას აპირებს. ამას არ ადასტურებს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით დარჩიაშვილი, რომელსაც პროექტზე სასაუბროდ შევხვდით. რას ისახავს მიზნად აღნიშნული ფილმების შექმნით ფონდი, როგორ დაიწყო ტელეჟურნალისტებთან მისი თანამშრომლობა და რამდენად რეალურია თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის საფრთხე — ამ საკითხებზე დავით დარჩიაშვილს ვესაუბრეთ.

სიღრის ჩატესა პირველ რიგში ხელისუფლებას შეუქმნის პრობლემას

ეკა ლომიძე

— სტუდია „რეპორტიორიდან" ფონდში შემოსულ პროექტში წარმოდგენილი იყო პრობლემა — თუ როგორ უჭირს საგამოძიებო ჟურნალისტიკას საქართველოში. ამის მაგალითად გამოდგება ტელეპროგრამის — „60 წუთი" შეწყვეტა. ცალკეული სიუჟეტები კი სერიოზული საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებას ვერ შველის. გარდა პრობლემისა, პროექტში აღწერილი იყო ავტორთა გამოცდილება, სამუშაო გეგმა და სამოქმედო მექანიზმები. სხვა ინფორმაცია პროექტში შეტანილი არ გახლდათ. წინასწარ ვერავინ იტყოდა და ვერც მოითხოვდა, თუ კონკრეტულად რა სიუჟეტები მომზადდებოდა. პროექტში აღნიშნული იყო, რომ ფილმები მიზნად ისახავს იმას, რომ სახელმწიფო მოხელეთა სოციალური მდგომარეობა, მათი მოქმედებები, ბიზნესში არსებული ვითარება და საქმიანობა გამჭვირვალედ ხორციელდებოდეს. ქვეყანაში, სადაც ტოტალიტარული სისტემიდან დემოკრატიულზე გადასვლა ძალიან გაიჭიმა დროში, ბუნებრივია, ყველა სფეროშია პრობლემები და მით უმეტეს — დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. ყველაფერი წესრიგში რომ იყოს, ეს ფონდი აღარც იარსებებდა საქართველოში... პროექტის დამტკიცების შემდეგ, ეთერში გავიდა სტუდიის მიერ მომზადებული პირველი ფილმი ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით. ვის როგორ მოეწონა და რა დაინახა მასში, სხვა საქმეა, ფილმი კი აშკარად საინტერესოდ იყო მომზადებული. ხოლო ფაქტების უტყუარობის დადგენა უკვე სასამართლოს კომპეტენციაა. საგამოძიებო ჟურნალისტიკას მოეთხოვება საინტერესო ფაქტების წარმოჩენა და სხვადასხვა ინტერპრეტაციის მოწოდება.

— მას შემდეგ, რაც რამიშვილი-ბექაურის სკანდალი აგორდა, თუ სცადეთ ამ ფილმის სრული ვარიანტის ნახვა?

— ფილმი ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ არა გვაქვს ცენზურის სტრუქტურა, რომ სამუშაო პროცესში ფილმის შინაარსი თუ ხარისხი შევამოწმოთ. გვაქვს ცალსახა პოზიცია: პროექტის დამტკიცების შემდეგ, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და გრანტის მიმღები. თუ აღმოჩნდება, რომ ჟურნალისტთა პროფესიონალიზმში ყველა, რატომღაც შეცდა, ფილმში ადგილი აქვს აშკარა ცილისწამებას, დაუსაბუთებელ ბრალდებასა და ფაქტების გაყალბებას, პროექტის დაფინანსებას შევწყვეტთ. მაგრამ თუ იქ მოყვანილ ფაქტებზე კორესპონდენტმა გააკეთა ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც ჟურნალისტურ ეთიკას არ ეწინააღმდეგება და ვარაუდების დონეზეა წარმოდგენილი, პროექტი გაგრძელდება.

— საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ სასამართლომ ხელისუფლების ზეწოლით გამოიტანა გადაწყვეტილება, რამიშვილისა და კოხრეიძისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ხელისუფლება ცდილობს, მედიაზე ზეწოლა განახორციელოს?

— მთელ გუნდზე ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენს „მრავალფეროვან" ხელისუფლებაში იყვნენ ადამიანები, რომელთაც ყველასა და ყველაფერზე სურთ ზეწოლა. არც ის ივარგებს, მედიაში არსებული პრობლემები მხოლოდ ხელისუფლებას რომ დავაბრალოთ. ზოგ შემთხვევაში, მართლაც, იქმნება პრობლემები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, ზოგ შემთხვევაში კი, მედიამ საკუთარ თავში უნდა მოიძიოს პრობლემათა გამომწვევი მიზეზი. დღეს ხელისუფლება უფრო ძლიერი და ხისტია, ვიდრე შევარდნაძის

დროს იყო და მასთან ურთიერთობა ბევრად უფრო რთულია. ამიტომაც მეტი დაფიქრება გმართებს, ვიდრე რაღაც ნაბიჯს გადადგამ. ძლიერი ხელისუფლება ოპონენტის წინააღმდეგ მის ყველა სისუსტეს გამოიყენებს. მედიაში, ისევე როგორც ყველა სფეროში, არსებობს ბევრი კომპრომატი, რის გამოც, შინაგანი შიშიც აქვს ზოგიერთ საინფორმაციო საშუალების მფლობელს და ალბათ, ჟურნალისტებსაც. ეს ხელისუფლებაშიც იციან და ზოგს უნებლიეთ, ზოგსაც შეგნებულად უჩნდება სურვილი, ეს ფაქტორი გამოიყენოს – „მოიცა რა, შენ ჩემზე ამბობ

მედიაში, ისევე როგორც ყველა სფეროში, არსებობს ბევრი კომპრომატი, რის გამოც, შინაგანი შიშიც აქვს ზოგიერთ საინფორმაციო საშუალების მფლობელს

რამეს? ხომ ვიცი, ვინცა ხარ!..“ ეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქართულ მედიას. მას სჭირდება გამოსწორება. როგორ? ხელისუფლებამ ძალიან კარგი ნაბიჯი გადადგა ფორმალურად, როდესაც პრესის შესახებ ახალი კანონი მიიღო. მაგრამ კანონი საყრდენია და მის განსახორციელებლად საჭიროა რეალური ინსტიტუტები. ერთ-ერთის – მედიასაბჭოს შექმნის მცდელობა ჩვენი დახმარებით მიმდინარეობდა, რასაც უამრავი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. თუ რაღაც პრინციპების საფუძველზე მედიის წარმომადგენელთა კონსოლიდაცია არ მოხდა, ცალ-ცალკე ყოველთვის დაუცველი იქნებიან, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში. ამიტომაც საჭიროა ისეთი ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც თვითწმენდას განახორციელებენ. „წმენდა“ მაინც ცუდად ჟღერს, ვანო მერაბიშვილსაც ცუდად გაუგეს სიტყვა „წმენდა“... უნდა დაიწყოს „საკუთარ თვალში დირეს აღმოჩენის“ ერთობლივი მცდელობა.

— ვანო მერაბიშვილს თუ ცუდად გაუგეს სიტყვა „წმენდა“, ეს მისი თანამშრომლის დამსახურებაც იყო, რომელიც რამიშვილის დაკავებიდან მეორე დღესვე, გაურკვეველი მიზნითა და უსანქციოდ ეწვია ტელეკომპანიას...

– ეს არის იმის ბრალი, რომ ხელისუფლებას არა აქვს გამოცდილება, განჭვრიტოს, თუ როგორ მიიღებს საზოგადოება მაღალი ტრიბუნებიდან ნათქვამ თითოეულ სიტყვას. ხელისუფლების რიგ წარმომადგენლებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან აქვს გამოყოლილი ლაპარაკისა და მოქმედების თავისუფალი სტილი. ამის უფლება ყველას აქვს და მათ შორის, პოლიტიკოსებსაც. მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ, როგორი რეაქცია მოჰყვება ამას საზოგადოებასა და მედიაში. ხომ გახსოვთ, რა ინტერპრეტაციები მოჰყვა გიგა ბოკერიასა და ირაკლი იმნაიშვილის ტელედებატებს. მაშინ ითქვა, ხელისუფლება თითს უქნევდა ჟურნალისტებსო. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი გაცხარებული ადამიანის პოლემიკა იყო?.. ასეთი რამ ყველგან ხდება. ისიც ხდება, რომ ჟურნალისტი ცდებოდეს პოლიტიკოსთან კამათისას. მაგრამ მაინც, მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელისუფლების წარმომადგენლებს ყოველთვის მეტი თავშეკავება მართებთ. საერთოდ, თუ ყველა სიტყვაში დავინახავთ შეთქმულებას, ეს ძალიან საშიში იქნება საზოგადოებისთვის: რაც გამუდმებით გეჩვენება, ერთ დღეს შეიძლება, მართლაც ახდეს... აუცილებელია დისკუსია ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ამის რესურსი არსებობს, თუმცა რთული, პოლემიკური ფონი დიალოგის დაწყებას ართულებს და ხიდის ჩატეხის საფრთხეს ქმნის. ხიდი თუ ჩატყდა, ამით ხელისუფლების ლეგიტიმურობასაც შეექმნება საფრთხე. ლეგიტიმურობა არ არის დაკავშირებული მხოლოდ არჩევნებთან. ის ყოველდღიურად იზომება. ხიდის ჩატეხით ვერავინ მოიგებს. სულ უფრო საშიში გახდება ტოტალიტარიზმის საფრთხე, რომელიც არსად გამქრალა. ის ღრმად არის ჩვენს გონებასა და კულტურაში და შეიძლება დაბრუნდეს ახალი „იზმების“ სახით, თუ დემოკრატიული სულისკვეთების მედიას, ხელისუფლებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის შეურიგებელი ურთიერთდამოკიდებულება გაგრძელდება. ყველამ უნდა გამოიჩინოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ხმამაღლა თქვას, თუ რა პრობლემა აწუხებს, ვინ ვისზე ახდენს ზემოქმედებას. თუ ვინმეს ხელისუფლებაში მიაჩნია, რომ გიგა ბოკერია, მაია ნადირაძე ან სხვა ვინმე სიტყვის ამოღების უფლებას არ აძლევს, გამოვიდნენ და თქვან. იგივე ითქმის მასმედიაზე. მხოლოდ ზოგადად იმის ლაპარაკი, რომ მასმედია წნეხის ქვეშ იმყოფება, უშედეგო იქნება. ამ პრობლემებს თუ არ გავუსწორეთ თვალი, ყოველთვის იქნება ხელისუფლებაში ავტორიტარიზმისკენ სწრაფვა, საზოგადოებაში კი – ზოგადი უკმაყოფილება, ნიჰილიზმი.

— ისევ რამიშვილი-ბექაურის თემას დავუბრუნდეთ. დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ბექაურის დაცვით საკუთარ იმიჯს იცავენ.

– პირველ რიგში, ბექაურის დამცველ ბოკერიას ვთხოვ, უფრო მშვიდად ილაპარაკოს და აუხსნას საზოგადოებას თავისი შეხედულებები. მიმაჩნია, რომ ბოკერია იცავდა არა უშუალოდ ბექაურს, არამედ სამოქალაქო პასუხისმგებლობის იდეას: მოქალაქეს უნდა ესმოდეს, რომ თუ კრიმინალური ხასიათის პრობლემა შეექმნება, აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს სამართალდამცავ სტრუქტურასთან. სხვაგვარად, სამოქალაქო საზოგადოება არ აშენდება. ■

ოფისის რემონტის „თანხლებით" გავლილ დასვენების სეზონს ჰეჯინგი დაგეგმილი ჰოუ და ლონდონში საქმიანი გასვლა მოჰყვება

გაილია დასვენების სეზონი, რომელიც ცნობილ დიზაინერს, ავთო ცაქვიტინიძეს ძალზე აქტიურად გაუტარებია — ცოტა დასვენებაც მოუსწრია, ოფისის რემონტიც ჩაუტარებია, ახალი დანადგარებიც შეუძენია და დიდი შემოქმედებითი გეგმებიც დაუსახავს...

ეკა მინდაძე

— წლეულს რამდენიმე დღე, მეუღლესთან და შვილთან ერთად ურეკში გავატარე. იქ ნამდვილად დავისვენე, იმიტომ, რომ ყველაზე კარგად მათთან ერთად ვგრძნობ თავს. საერთოდ, დასვენებას ყოველთვის საქმიან ვიზიტს ვამთხვევ, ვინაიდან სხვანაირად ამისათვის დრო არ მრჩება. ერთი თვის წინ, რომში კონგრესის სასახლეში ჩვენება მქონდა, სადაც 5 დღით ჩავედი, რათა უფრო კარგად მენახა და ცოტა დამესვენა კიდეც ამ ულამაზეს და როგორც უწოდებენ — შეყვარებულების ქალაქში. იქიდან ჩამოსულმა, გადავწყვიტე, ოფისის ინტერიერი შემეცვალა და რემონტს შევუდექით. ასე რომ, ზაფხულის ძირითადი ნაწილი რემონტს შევალიე. მიუხედავად ამისა, საღამოობით ქალაქგარეთ გასვლას მაინც ვახერხებ.

— ვიცი, რომ არაერთ ქვეყანაში ხარ ნამყოფი. ყველაზე მეტად რომელი მოგეწონა?

— ყველაზე მეტად მომეწონა იტალია. ვთვლი, რომ რომი ყველაზე ლამაზი ქალაქია მთელ მსოფლიოში.

— დასასვენებლად უფრო ხშირად, რომელ ქვეყანას ირჩევ?

— ძალიან მიყვარს თურქეთში დასვენება, ამიტომაც სტამბოლის ხშირი სტუმარი ვარ.

— რომელ ქვეყანაში ისურვებდი წასვლას?

— პირველ რიგში, მინდა ვნახო აფრიკა. უდიდესი სურვილი მაქვს იქაური ეგზოტიკისა და ხალხის გაცნობის. ვნახოთ, თუ გავუძლებ ბევრი ნემსის გაკეთებას, რომ არ დამჭამონ იქ ყოფნისას ქვეწარმავლებმა და ბუზებმა *(იცინის)*.

— შარშან სად დაისვენე?

— შარშან მე და ჩემი მეუღლე ისრაელში ვიყავით, სადაც შესანიშნავი დრო გავატარეთ, ხოლო შემდეგ, დასასვენებლად საზღვარგარეთიდან საქართველოს კურორტებზე გადმოვინაცვლეთ.

— ბავშვობაში სად ისვენებდი ხოლმე?

— ბავშვობაში ვისვენებდი სტანდარტულად: როგორც ყველა ბავშვი, მეც დავდიოდი სურამში, ურეკში, ბახმაროსა და ქობულეთში. გარდა ამისა, ყოველ ზაფხულს დავდიოდი ჩემს სოფელში — ბახვში (გურიაში).

— ახალგაზრდულ ბანაკში თუ დაგისვენია?

— კი, როგორ არა. ერთ ზაფხულს მამამ და მისმა მეგობრებმა შვილები შეგვკრიბეს და გაგვამგზავრეს სურამის ბანაკში, რათა უფრო ახლოს გაგვეცნო ერთმანეთი და დამოუკიდებლად ცხოვრებას მივჩვეოდით. სხვათა შორის, იქიდან ბევრი დიპლომი ჩამოვიტანე, რაც ადასტურებდა, რომ თითქმის ყველაფერში მოწინავე ბავშვი ვიყავი.

ძალიან მიყვარს კომფორტი, მაგრამ საყვარელ ადამიანებთან ერთად კარავშიც ვიცხოვრებდი...

— რომანი ხომ არ გქონია, დასასვენებლად წასულს?

— რომანი არ მქონია, მაგრამ ბავშვობაში არაერთ გოგონას ვეპრანჭებოდი.

— ლაშქრობაში სიარული გიყვარს?

— არა, არასოდეს ვყოფილვარ. მართალი გითხრა, სურვილი მაქვს, მაგრამ მოუცლელობის გამო უბრალოდ, ვერ ვახერხებ.

— ეი. მაინც კომფორტულად დასვენების მოყვარული ხარ?

— არა. გააჩნია, რა განწყობით და ვისთან ერთად მიდიხარ. ძალიან მიყვარს კომფორტი, მაგრამ საყვარელ ადამიანებთან ერთად კარავშიც ვიცხოვრებდი და „ჯუნგლურ" სიტუაციაშიც, ყველანაირი პირობის გარეშე. სწორედ ასეთ დასვენებას ვგეგმავ აფრიკაში და ვნახოთ, რა გამომივა.

— პიკნიკებზე თუ დადიხარ?

— საკმაოდ ხშირად. პიკნიკზე სიარული ყველაზე კარგი ზაფხულშია. აქედან გამომდინარე, მე და ჩემი მეგობრები ქალაქგარეთ გასვლას ხშირად ვგეგმავთ.

— სად უფრო გიყვარს დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?

— ორივეგან ძალიან მიყვარს. თუ ამის საშუალება მაქვს, ვცდილობ, მთაშიც დავისვენო და ზღვაზეც.

— კარგად ცურავ?

— კი, მაგრამ პროფესიონალივით ვერ ვცურავ.

— საქართველოს რომელი კუთხე არ გინახავს?

— არ მინახავს რაჭა და ძალიან მინდა მისი დათვალიერება.

— სვანეთში ნამყოფი ხარ?

— კი, მაგრამ იქ დასვენება ვერ მოვახერხე, არადა, იქ დასვენებას რა სჯობია?! იქნებ, მომავალში მოვახერხო იქ ჩასვლა და დასვენება.

— სანადიროდ თუ ყოფილხარ?

— კი. ერთხელ ვიყავი წასული მწყრებზე სანადიროდ, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. ისე, ნადირობის პროცესი ძალიან მომეწონა, თუმცა ერთი მწყერიც ვერ მოვკალი.

— თევზი თუ დაგიჭერია ოდესმე?

— არა. პატარაობისას სოფელში ბავშვები ხშირად დავდიოდით მდინარეზე ბადით და ანკესებით სათევზაოდ, მაგრამ აბა, ჩვენ რას დავიჭერდით?!. ამრიგად, როგორი დიზაინერიც ვარ, ისეთი წარმატებული მეთევზე არასდროს ვყოფილვარ.

— თუ გიყვარს თავისუფალ დროს, სამზარეულოში ფუსფუსი?

— კი, რა თქმა უნდა. დიდი სიამოვნებით ვამზადებ რაიმე კერძს, თუ ამის

დრო მაქვს. ძალიან მიყვარს ნაყინით ცივი ყავის მომზადება. ვფიქრობ, კარგად გამომდის, რადგანაც ვინც კი ჩემს მომზადებულ ყავას დალევს, ყველა მიწონებს. მიუხედავად ამისა, მაინც ჩემი მეუღლის მომზადებული მირჩევნია, რადგანაც მგონია, რომ ის ჩემზე გემრიელს აკეთებს.

— ზაფხულში ყველაზე მეტად რისი მირთმევა გიყვარს?

— ზაფხულში ყველაზე მეტად კიტრისა და პომიდვრის სალათა და სულგუნი მიყვარს.

— სასმელებიდან რომელს ამჯობინებ?

— მიყვარს წითელი ღვინო.

— მწვადის შეწვა იცი?

— კი, როგორ არ ვიცი?! მეგობრებს ხშირად ერთად შეგვიწვავს მწვადი ბუხარში.

— თუ მისდევ ჯანსაღი ცხოვრების წესს და თუ ვარჯიშობ?

— კი, ამჟამად აქტიურად ვვარჯიშობ გამაჯანსაღებელ ცენტრში.

— აზარტული ადამიანი ხარ?

— ჩემთვის თამაში „ჯოკერით“ შემოიფარგლება. ამ შემთხვევაში, აზარტული ნამდვილად ვარ. ბევრჯერ მომიგია და წამიგია კიდეც. წაგებული, არაერთხელ გადავმხტარვარ ზღვაში და მაგიდის ქვეშაც გავმძვრალვარ...

— აქტიური დასვენება თუ გიყვარს?

— მართალი გითხრა, აქტიური დასვენება აღარ მიზიდავს. იმდენად აქტიურად ვცხოვრობ, რომ ვცდილობ, სიმყუდროვეში დავისვენო.

— მოცალეობის ჟამს, რითი ერთობი?

— სადაც ჩვენი მეგობრების — ანუ შოუბიზნესის „ტუსოვკებია“, იქ დავდივარ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, თავს ვარიდებ.

— ზამთარში სად ისვენებ ხოლმე?

— ბაკურიანში. მართალია, თხილამურებზე დგომა არ ვიცი, მაგრამ ძალიან მიყვარს „ბურანით“ სრიალი.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— ამ დროს ვცდილობ, ოჯახთან ერთად ვიყო.

— რა სიახლეა შენს შემოქმედებაში?

— ამჟამად ვამთავრებ ოფისის რემონტს; შევიძინე დანადგარები, რომლითაც მსოფლიოს წამყვანი დიზაინერები მუშაობენ. სექტემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილი მაქვს დიდი შოუ პეკინში. ოქტომბრის დასაწყისში საქმიანი გასვლა მექნება უკრაინაში, შემდეგ — მოსკოვსა და ლონდონში. ■

„სასჯელის ბოხდ არ არის ბოლავარ“

როცა ორი ბოთლი ლუდის ქურდი მკვლელის გვერდით ხის

ეს ბავშვები თავიანთი თანატოლებისგან თითქმის არაფრით გამოირჩევიან. შეუძლიათ მთელი დღის მანძილზე სდიონ ბურთს, ან საათობით უსხდნენ კომპიუტერულ თამაშებს. უმრავლესობამ იცის, როცა გაიზრდება, რა უნდა გამოვიდეს — ზოგს მომღერლობა სურს, ზოგიც ავტოპროფილაქტიკაში მუშაობას აპირებს, ზოგს კიდევ კარგი ჰგონია და „კანონიერი ქურდობა“ უნდა. ეს არც არის გასაკვირი: ისინი ავჭალის ბავშვთა კოლონიის პატიმრები არიან და მოუთმენლად ელიან დროს, როცა კოლონიის ალაყაფის კარი გაიხსნება და საოცნებო მომავალთან შესახვედრად გადადგამენ ნაბიჯს...

დავით დევიძე

დღეს საქართველოში 135-მდე ბავშვი იმყოფება გისოსებს მიღმა. მათი უმრავლესობა სხვადასხვა სახის დანაშაულისთვის ელოდება მოსამართლის განაჩენს, ოცდახუთი ბავშვი კი პატიმრობის ვადის გასრულებასა და შინ დაბრუნებაზე ოცნებობს. თუმცა სიტყვა „შინ“ მათთვის საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა. ბევრს ციხის გარეთ არავინ ელოდება, ამიტომ დიდი ალბათობაა იმისა, რომ მორიგი დანაშაულის ჩადენის გამო ისევ ოთხ კედელშუა გამომწყდეულები აღმოჩნდნენ.

ვინ არიან ეს ბავშვები, რომლებსაც ცხოვრებამ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მძიმე ხვედრი არგუნა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სხვადასხვა ინსტანციას მივმართეთ. საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის ამდენი დამნაშავე ბავშვის არსებობა შემაშფოთებელი ფაქტია. რაც ყველაზე სამწუხაროა, პატიმარ ბავშვთა უმრავლესობას დანაშაულისკენ სოციალურმა გარემომ, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებმა უბიძგა.

მაია ხასია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის უფროსი:

— კატეგორიის მიხედვით ბავშვებს შორის ყველა სახის დანაშაულს ვაწყდებით, მაგრამ უმრავლესობა მაინც ქურდობის მუხლით არის გასამართლებული. სასჯელს იხდიან, ასევე, ყაჩაღობის, მკვლელობის, გაუპატიურების ბრალდებით. მკვლელი ბავშვი არც ისე ბევრია, მაგრამ როცა თუნდაც ერთი სჩადის ასეთ დანაშაულს, თავისთავად შემაძრწუნებელი ფაქტია.

— როგორი პატიმრები არიან

ბავშვები და რით გამოირჩევიან სრულწლოვანი პატიმრებისგან?

— ჩვეულებრივი ბავშვები არიან. უმრავლესობას ადამიანური სითბო აკლია. ნატრობენ მყუდრო, ოჯახურ გარემოს და მშობლების ალერსს. მათ სოციალურ წარმომავლობას შესწავლა სჭირდება, რაშიც მთელმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ჯერჯერობით ამით არავინ დაინტერესებულა. ბავშვებს დანაშაულისკენ ხშირად ოჯახური გარემო უბიძგებს. ხშირ შემთხვევაში მშობლები გაყრილები არიან, ბავშვისთვის არავის სცალია და ისიც ქუჩას ეჩვევა. ქვეყანაში არ არსებობს ისეთი პროფილაქტიკური დაწესებულებები, რომლებიც იმუშავებდნენ ამ ბავშვებთან და ქუჩის მავნე ზეგავლენისაგან დაიცავდნენ. საკმაოდ დიდი პრობლემები ექმნებათ გათავისუფლების შემდეგაც.

— მაგრამ სოციალური პირობების მიუხედავად, ბავშვები ხშირად შეგნებულადაც სჩადიან დანაშაულს, რადგან კრიმინალური „კარიერის“ გაკეთება სურთ.

— ყველას არ აქვს ასეთი ორიენტაცია. ბავშვს, რომელიც საკვებს იპარავს ან ლითონს, რომ გაყიდოს და შინ ორი კაპიკი მიიტანოს, ძნელია დანაშაულისკენ მიდრეკილი უწოდო. ცხადია, არიან ისეთებიც, კრიმინალური „კარიერის“ შექმნას რომ აპირებენ. მაგრამ ეს პრობლემა შეიძლება სხვა კუთხიდანაც დავინახოთ: ერთ-ერთ არასრულწლოვანს, რომელიც ვაზიანში ცხოვრობს, წვრილმანი დანაშაულისთვის შეფარდებული ჰქონდა პოლიციის ზედამხედველობა და ხელმოსაწერად კვირაში ერთხელ ვარკეთილის პოლიციაში უნდა ევლო. ერთხელ სამგზავრო ფული ვერ იშოვა და პოლიციაში ვერ გამოცხადდა. ამიტომ სასწრაფოდ ძებნილად გამოაცხადეს და რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თავად განსაჯეთ: როგორი ფსიქოლოგიით გამოვა ბავშვი ციხიდან, რომელიც უმნიშვნელო დანაშაულის გამო დააკავეს.

რამ უბიძგა დანაშაულისკენ პატიმარ ბავშვებს და რას აპირებენ ციხიდან გასვლის შემდეგ, ამის გასაგებად ავჭალის ბავშვთა კოლონიას ვესტუმრეთ. როგორც პატიმარი ბავშვების უმრავლესობა ამბობს, მართალია, მათ დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ შეიძლებოდა მოსამართლე უფრო ლმობიერი ყოფილიყო და მათთვის მრავალწლიანი პატიმრობა არ მიესაჯა. გათავისუფლების შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენას არც ერთი მათგანი არ აპირებს.

— რვა თვეა, რაც „სროკზე“ ვარ, — *ამბობს თოთხმეტი წლის ხაშურელი გოჩა მ.,* — კაფე გავტეხე და „პივა“ მოვიპარე, ათი ბოთლი „პივა“ და ორი „კოკა-კოლა“. სამი წელი მომისაჯეს.

— აქედან რომ გახვალ, რას გააკეთებ?

— არაფერს, დავჯდები სახლში და ჩემთვის ვიქნები.

— სახლში ჯდომით რა გამოვა?

— უნდა ვისწავლო. ჩემი ძმა მნახულობს ხშირად კოლონიაში და მპირდება, თუ ჭკვიანად იქნები, სწავლაშიც დაგეხმარები და მუშაობასაც დაგაწყებინებო... შეწყალება დავწერე შევარდნაძის, ბოდიში, საკაშვილის სახელზე, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიმიღია...

მეორე პატიმარი, თხუთმეტი წლის გიორგი ზ. მობილურის ქურდობისთვის იხდის სასჯელს:

— ჩემი მეზობლის ტელეფონი ავიღე, ხშირად თვითონ მათხოვებდა ხოლმე. დარეკვა დამჭირდა და მივაკითხე. ეძინა, მის გაღვიძებას მოვერიდე და ისე ავიღე ტელეფონი. იმას კი ეგონა, მოიპარესო და პოლიციაში დარეკა. რომ მოვიდნენ, შემეშინდა, ვერ ვთქვი, რომ ტელეფონი ჩემი აღებული იყო და დავიმალე. მერე დედაჩემმა მირჩია, სიმართლე თქვიო, მაგრამ აღარაფერმა მიშველა.

— მოსამართლემ რა გითხრა, როცა ყველაფერი უამბე?

— რა უნდა ეთქვა... ოთხი წელი მომისაჯეს.

— აქ ბიჭების ნაწილი ამბობს, რომ ქურდები უნდა გამოვიდნენ, შენ რას აპირებ?

— უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. მანქანების შეკეთება მეხერხება და პროფილაქტიკაში ვიმუშავებ. ყოველ შემთხვევაში, ციხეში დაბრუნებას ვაპირებ.

— აქაურ ბიჭებთან ნაწილი ურთიერთობა გაქვს?

— ძმებივით ვართ. ეს შავი ზონაა, აქ „ბეზპრედელი“ არ არის. „სვიდანიაზე“ საჭმელი რომ შემოდის, ძმურად ვიყოფთ. არც ჩხუბი მოგვდის. ზონას მაყურებელი ჰყავს და ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანად მთავრდება...

„შავი ორიენტაციის“ პატიმარმა ბავშვებმა ჩვენთან საუბარზე უარი განაცხადეს — „ქურდული კოდექსი“ მათ ჟურნალისტებთან ურთიერთობას უკრძალავს. ამასთან, ამ ბავშვების ერთი ნაწილი უფრო სერიოზული დანაშაულისთვისაც იხდის სასჯელს, მათ შორის რამდენიმე მკვლელიცაა.

კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი: სასამართლოს წინაშე გოგონებსაც უწევთ წარდგომა. ერთ-ერთი, რომელსაც ალუმინის ქვაბების მოპარვა ედებოდა ბრალად, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. მეორე გოგონა კი უფრო სერიოზული დანაშაულისთვის — ჯგუფურ ყაჩაღობაში მონაწილეობისთვის ელის განაჩენს.

სხვათა შორის, კოლონიაში ყოფნისას ერთი საინტერესო ფაქტიც დავაფიქსირეთ: როცა პატიმარი საკუთარ უდანაშაულობაზე იწყებს ლაპარაკს, შეიძლება არ დაუჯერო და მის ნაამბობს უნდოდ მოეკიდო. მაგრამ თვითონ კოლონიის ადმინისტრაციაც ამბობს, რომ ზოგჯერ ქართულ თემიდას შეეძლო უფრო ლმობიერი ყოფილიყო.

ხათუნა ჯაპაძე, *არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების უფროსი:*

— ძირითადად, სასჯელს სასურსათო პროდუქტების ქურდობისთვის იხდიან, მაგრამ ბოლო დროს დანაშაულის უფრო მძიმე კატეგორიები გახშირდა. თუ ადრე პროცენტულად უფრო მეტი მოზარდი იხდიდა სასჯელს ქურდობისთვის, ბოლო

ძირითადად, სასჯელს სასურსათო პროდუქტების ქურდობისთვის იხდიან, მაგრამ ბოლო დროს დანაშაულის უფრო მძიმე კატეგორიები გახშირდა

დროს ყაჩაღობისა და მკვლელობის ფაქტები მომრავლდა.

— **ბავშვები ამბობენ, რომ უმნიშვნელო დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს.**

— დიახ, მართალია. აუცილებლად უნდა გადაისინჯოს მათი საქმეები. მაგალითად, გვყავს ბავშვი, რომელმაც ორი ბოთლი ლუდი მოიპარა და ჯიხურში ჩაბარა. ამისთვის მას ორი წელი მიუსაჯეს. მართალია, კანონი ქურდობისთვის მისი საზოგადოებისგან იზოლირებას ითხოვს, მაგრამ ამას რა მოჰყვება, რატომ არავინ არ ფიქრობს? ორი ბოთლი ლუდის ქურდობისთვის ბავშვს ვათავსებთ მკვლელებისა და ყაჩაღების გვერდით. დიდია იმის ალბათობა, რომ



ვერ ვიტყვი, რომ კოლონია გამოსასწორებელი ადგილია...

ბავშვმა, რომელმაც გაჭირვების გამო დანაშაული ჩაიდინა, ხელი ჩაიქნიოს ყველაფერზე და იგივე გააკეთოს. ვინ უნდა აგოს პასუხი მის მომავალზე?

— **რამდენად შეიძლება ასეთ პირობებში ბავშვის გამოსწორება?**

— ვერ ვიტყვი, რომ კოლონია გამოსასწორებელი ადგილია. მხოლოდ სასჯელის მოხდა არ არის მთავარი. ბავშვი აქედან რომ გავა, რას გააკეთებს და როგორ მოიქცევა, ამ საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება. ეს კი არავის ანაღვლებს. სამწუხაროდ, ასეთი ბავშვები არც მშობლებს აინტერესებთ და არც საზოგადოებას. რამდენიმე დღის წინ ერთ ოჯახში დავრეკე, სადაც კოლონიიდან გასული ბავშვი ცხოვრობს. უშვერი სიტყვებით გამლანძღეს: ჩვენ მაგას სახლში არ შემოვუშვებთ და აქ მეორედ აღარ დარეკოო. არადა, კარგი ბიჭი იყო — ლექსებს წერდა. ოცნებობდა, აქედან რომ გავალ, რეპერი უნდა გამოვიდეო. მახსოვს, ერთხელ ერთი ბავშვი გავათავისუფლეთ და რამდენიმე კვირის მერე დაგვირეკა დედამისმა, იკითხა, ხომ არ გათავისუფლდაო? აქედან გამომდინარე, არსებობს საშიშროება, რომ ყველა მათგანი კრიმინალური ცხოვრების არეალში მოექცევა. სხვა რა უნდა გააკეთონ? იმ ბავშვმა, წელან რომ ვახსენე, წერა-კითხვა არ იცოდა. ფერებს ვერ არჩევდა. ეს არასოდეს უსწავლებიათ მისთვის.

— **ასეთი ბავშვები ალბათ კრიმინალურ სამყაროს ამარაგებენ „მუშახელით“. ბევრია ისეთი, რომელიც ამგვარ მისწრაფებას არ მალავს?**

— როგორ გითხრათ, მიმბაძველობა ყველა ბავშვს ახასიათებს, ზოგს დათა თუთაშხიობა უნდა, ზოგს — ტარიელ ონიანობა. ჩვენც ხომ ვიყავით ბავშვები, შერლოკ ჰოლმსობა თუ მორის მუსტანგერობა გვინდოდა. ესენი კი ჰოლმსსა და მუსტანგერს არ იცნობენ, ვინც იციან, მათ ჰბაძავენ.

ყველა ბავშვის ბიოგრაფია გვაქვს შესწავლილი და მათ 98%-ს დანაშაულისკენ ოჯახმა უბიძგა — ან მშობლები არიან გაყრილები, ან საეჭვო რეპუტაცია აქვთ...

რა უნდა ვიღონოთ, რომ ბავშვმა დანაშაული აღარ ჩაიდინოს? ალბათ, უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს მთლიანად საზოგადოებამ. დღევანდელ, პრობლემებით დახუნძლულ ყოფაში, შესაძლოა, კიდევ ერთი ახალი პრობლემით თავის ატკივება არავის უნდა, მაგრამ ამაზე მაინც ღირს დაფიქრება. ეს ბავშვები ხომ ქვეყნისა და საზოგადოების მომავალს წარმოადგენენ. 135 პატარა დამნაშავის არსებობა შეიძლება სათვალავში არავინ ჩაგდოს და თქვას, საგანგაშო არაფერიაო, მაგრამ თუკი მათ ყურადღებას არავინ მიაქცევს, დამნაშავეთა პატარა არმია კიდევ უფრო გაიზრდება. ეს რომ არ მოხდეს, გათავისუფლების შემდეგ მათზე ზრუნვაა საჭირო. მაგრამ იზრუნებს კი ვინმე?! პატიმარმა ბავშვებმაც არ იციან, რა ელით, როცა ერთ მშვენიერ დღეს კარი გაიღება და კოლონიის მიღმა აღმოჩნდებიან. ნორმალურ ცხოვრებას დაიწყებენ თუ კრიმინალური სამყაროს რიგებს შეავსებენ? — ამ კითხვაზე ბევრს სამწუხაროდ, პასუხი არც აქვს.

■

მკვლელობისა და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ახალგაზრდები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 22 აგვისტოს სამართალდამცველებმა ორი ეჭვმიტანილი დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა, მეორეს კი პოლიციელები ტაქსის მძღოლის დაყაჩაღებაში ადანაშაულებდნენ. 20 წლის ვაჟა ტიკიშვილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებდნენ, იგი 2005 წლის 7 იანვარს თბილისში, №117 საშუალო სკოლის ეზოში მომხდარ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. იმ დღეს ვ. ვარდიაშვილი მოკლეს. მკვლელობის საქმეს ისანი-სამგორის შს სამმართველო იძიებს. იმ შემთხვევაში, თუ ტიკიშვილი დამნაშავე აღმოჩნდება, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მას 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მეორე დაკავებული, ასევე 20 წლის, ნიკოლოზ თურმანაული გახლავთ. ის ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა აიყვანეს. სამართალდამცველთა ცნობით, თურმანაულმა ორ თანამზრახველთან — ვინმე ლევან კურტანიძესა და გიორგი გულიაშვილთან ერთად, ტაქსის მძღოლი დააყაჩაღა. შს სამინისტროს ინფორმაციით, ახალგაზრდები დანითა და ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები; ტაქსის მძღოლს — თამაზ გოჩაშვილს მათ ზურგში რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს, შემდეგ, პირზე სკოჩი ააკრეს და მისი კუთვნილი ავტომანქანის — „ოპელ ვექტრას“ გატაცებას შეეცადნენ.

მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიებას შსს-ს მე-7 განყოფილება აწარმოებს. თურმანაულთან ერთად, დანაშაულის თანამონაწილეების ვინაობის შესახებ მონაცემები დგინდება.

■

მამასთან უთანხმოებას ხუთი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მოჰყვა

ეჭვმიტანილი დაჟავების წინ პოლიციელებთან თვითმკვლელობით იმუქრებოდა

ოჯახურ კონფლიქტს, რომელიც ყოფითი პრობლემების გამო წარმოიშვა, სავალალო შედეგი მოჰყვა. საყოფაცხოვრებო საკითხებზე მამა-შვილს შორის წამოწყებული უთანხმოება ბოლოს და ბოლოს, სერიოზულ ჩხუბსა და ურთიერთდაპირისპირებაში გადაიზარდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ განაწყენებულმა და შურისძიებით აღვსილმა შვილმა — ვასილ ჯიშკარიანმა (მისი და ყველა სხვა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია) დანით სცადა მამასთან ანგარიშის გასწორება. ამის შემდეგ, წონასწორობიდან გამოსული, დანით ხელში, არასრულწლოვან ძმასაც დაედევნა...

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს ჯიშკარიანი დაემუქრა, რომ თუკი ისინი მას მიუახლოვდებოდნენ, დანის დარტყმით მოიკლავდა თავს. მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პოლიციელები მართლაც ფრთხილობდნენ და ოდნავ მოშორებით იდგნენ. გარკვეული დროის განმავლობაში, მათ ვერ შეძლეს მისთვის დანის წართმევა, ამასობაში კი, ის მამის ქონების განადგურებას განაგრძობდა... ყოველივე ეს შემთხვევის ადგილზე პოლიციელთა მისვლიდან ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა. დამნაშავე მხოლოდ მას შემდეგ განაიარაღეს და დააკავეს, რაც იქ მყოფ სამართალდამცველებს დამატებითი ძალა — პოლიციის სამართველოს სხვა თანამშრომლებიც შეუერთდნენ.

ვასილ ჯიშკარიანს პროკურატურამ ხუთი სხვადასხვა მუხლით წაუყენა ბრალი, სასამართლომ კი ის დამნაშავედ ცნო. საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულის ჩადენის მომენტში, ის მთვრალი იყო. მამასთან მას კარგა ხანია, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და სხვადასხვა ყოფით საკითხზე სისტემატურად უხდებოდა მასთან ჩხუბი. იმ დღესაც, განაწყენებულმა, მასთან ანგარიშის გასწორება გადაწყვიტა. მაგრამ ვიდრე მამასთან საჩხუბრად მივიდოდა, გზად საკოლმეურნეო ბაზარში მოვაჭრე ერთ-ერთ ნაცნობთან შეიარა და მას დანა გამოართვა. მამის საცხოვრებელ ბინას დანამომარჯვებული ჯიშკარიანი დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის მიადგა. ამ დროს მამამისი სახლის პირველ სართულზე იმყოფებოდა და თავის სახელოსნოში მუშაობდა. შვილმა ადვილად მიაგნო მას. შევიდა თუ არა სახელოსნოში, მაშინვე გინება დაუწყო, შემდეგ, დანაც ამოიღო და რამდენჯერმე მოუქნია. შეშინებული არჩილ ჯიშკარიანი სახელოსნოს მეორე ბოლოში გაიქცა, მაგრამ შვილი მას გინებით გაეკიდა. მამა შეეცადა, როგორმე შეეჩერებინა გამხეცებული შვილი და გონზე მოეყვანა იგი. წააქცია კიდეც იქვე მდგარ საწოლზე და დაეჯაჯგურა, მაგრამ მისი მორევა ვერ შეძლო. როცა დარწმუნდა, რომ დანას ვერ წაართმევდა, დრო იხელთა, გაიქცა და დაემალა მას. სახელოსნოდან გამოვარდნილმა არჩილ ჯიშკარიანმა ორი მეზობლის ეზო გაირბინა და მესამე მეზობლის ეზოში შევარდა, ეზოს ჭიშკარი დაკეტა, რომ შვილს მისი დაწევა გასძელებოდა და ბინაში დაიმალა. მამის კვალს ვასილ ჯიშკარიანმა ვეღარ მიაგნო. გაბრაზებული იმით, რომ ვერ დაეწია მას, უკან გაბრუნდა და სწორედ მაშინ შენიშნა თავისი არასრულწლოვანი ძმა, გადაწყვიტა, მასზე ეყარა ჯავრი და გინებითა და დანის ქნევით დაედევნა გაქცეულ, შეშინებულ გოგი ჯიშკარიანს. ბავშვმა ახლოს მდებარე ხევს შეაფარა თავი. ვასილ ჯიშკარიანი ვერც ძმას დაეწია და გააფთრებული, კვლავ სახელოსნოში შებრუნდა. გაანადგურა ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდა, შემდეგ კი მამის კუთვნილი ავტომანქანის გატაცება განიზრახა.

ამ დროისთვის, მისი უმცროსი ძმა უკვე ამოსულიყო ხევიდან და როცა ვასილი ავტომანქანასთან შენიშნა, მიუხვდა განზრახვას, სცადა, ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეჩერებინა იგი, მაგრამ ვერაფერს გახდა და მხოლოდ ის მოახერხა, რომ მანქანის დენის წყვეტგამანაწილებლის მთავარი გამტარი გამოეძრო. ამის გამო ვასილ ჯიშკარიანმა ავტომანქანის ძრავას ამუშავება ვერ შეძლო. გაბრაზებულმა, მუშტებითა და წიხლებით მანქანის ნაწილები, მათ შორის საქარე მინა ჩაამსხვრია და ეზოში გასულმა, მამის კუთვნილი 7 ფუტკრის სკაც გაანადგურა. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, საერთო ჯამში, მან მამას 1.140 ლარის ოდენობის მატერიალური ზარალი მიაყენა.

სასამართლო პროცესზე განსასჯელის ადვოკატი აცხადებდა, რომ ვასილ ჯიშკარიანის ქმედება ხულიგნობად არ უნდა შეფასებულიყო, რადგან მომხდარი კონფლიქტი საყოფაცხოვრებო ხასიათის იყო და ჯიშკარიანის ქმედება არ წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებებს. ადვოკატი ასევე კატეგორიულად უარყოფდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ მამის ავტომანქანის გატაცების განზრახვას. თუმცა, თავად დაზარალებული — განსასჯელის მამა აღნიშნავდა, რომ შვილს ზოგჯერ აძლევდა საჭესთან დაჯდომის უფლებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის თვითონ ეჯდა ხოლმე გვერდით. მისივე თქმით, ის შვილს დამოუკიდებლად მანქანის წაყვანის ნებას არ აძლევდა და ამისთვის სპეციალურად ძაღლიც კი შეიძინა, რათა ვასილ ჯიშკარიანს ეზოდან თვითნებურად არ გაეყვანა მანქანა. დაზარალებული იმასაც აღნიშნავდა, რომ შემთხვევის დღეს, ის და მისი უმცროსი შვილი სასწაულებრივად გადაურჩნენ დანით დაჭრას. მოსამართლეებმა სწორედ დაზარალებულის ჩვენებისა და გამოძიებით დადგენილი ფაქტების საფუძველზე არ შეუმსუბუქეს მსჯავრდებულს სასჯელი. ■

რატომ დავრჩი შინაბერად?

შინაბერობას საეჭვო სუნი აქვს ანუ ქალწულობა მავნებელია ჯანმრთელობისთვის...

ამას წინათ, ერთ-ერთ დილის გადაცემაში ჟურნალისტმა განაცხადა — საოცარია, რომ შინაბერების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ბერბიჭებისო... თუ გავიხსენებთ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, დედამიწაზე მცხოვრებ ერთ მამაკაცზე თურმე, 11 ქალი მოდის, მაშინ ის ფაქტი, რომ შინაბერები უფრო მეტნი არიან, სულაც არ გაგვაოცებს. თანაც, თუ ისედაც „ერთი მუჭა" მამაკაცების ნაწილი ბერბიჭად დარჩება, გაუთხოვარი ქალების რიცხვი ხომ გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება!..

მარი ჯაფარიძე

არავინ იცის, რომელი ასაკიდან ითვლება ქალი შინაბერად და მამაკაცი — ბერბიჭად, მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ასაკის დაუოჯახებელ ქალს აღიზიანებს სიტყვა — „გაუთხოვარი". რა თქმა უნდა, „გასათხოვარი" გაცილებით სასიამოვნოდ ჟღერს...

ადამიანები სხვადასხვა მიზეზის გამო ქორწინდებიან: ზოგს ამოძრავებს ის გრძნობა, რომელსაც სიყვარულს ვეძახით, მაგრამ ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ხშირად შესაძლოა, ეს იყოს: სიბრალული, შურისძიების სურვილი, ინსტინქტი ან თუნდაც, გამდიდრებისკენ სწრაფვა... ასე რომ, თუ გათხოვებისთვის საჭირო ხელშესახები მოტივი არ გაქვთ, ჯობს, მარტო ყოფნით დატკბეთ... ახლა კი, პირველი მესიჯი — დიდი ოპტიმისტი, 57 წლის შინაბერა ქალბატონისგან.

„ჭუჭრუტანიდან" დანახული ცხოვრება

„მე რომ დავიბადე, სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო და ცხოვრება ძალზე ჭირდა, განსაკუთრებით — სოფლად. იმერეთის ულამაზეს სოფელში ვცხოვრობდი. „ხმელა" ჭადსა და ტყემლის საწებელზე ვიზრდებოდი. ხანდახან ის ჭადიც გვენატრებოდა ოჯახში. სკოლაში ერთ დღეს, მე მივდიოდი ხოლმე, მეორე დღეს — ჩემი და, რადგან მხოლოდ ერთი წყვილი ფეხსაცმელი გვქონდა. შინ რომ ვრჩებოდი, იმ დღეს ჩემს თვალზე ცრემლი არ შრებოდა... ერთ დღეს კი, შინიდან გავიპარე და სკოლაში ფეხშიშველი მივედი. მასწავლებელმა ფეხები მერხზე შემაწყობინა და თავისი შალი შემომახვია... ამის შემდეგ, ანეტა მასწავლებელი ჩემთან შინ მოდიოდა და მამეცადინებდა. მერე, სკოლაში ბავშვებს 20-20 კაპიკი შეუგროვებიათ და როგორც იქნა, „პირადი" ფეხსაცმელიც მეღირსა... ზაფხულობით ჩვენს მეზობლად ერთ სახლში, ქალაქიდან დასასვენებლად ოჯახი ჩამოდიოდა. მახსოვს, კაცზე ამბობდნენ — „დიდი კაცია", „გოროდში" დიდი სახელი აქვსო... „ვოლგით" მოდიოდნენ ხოლმე და თან 2, ჩემი კბილა გოგო ჩამოჰყავდათ. ღობიდან ვუყურებდი ხოლმე, როგორ თამაშობდნენ ეზოში ქალაქელი გოგონები. თავზე დიდი, პეპელასავით ბაფთები ეკეთათ, ვარდისფერი და ცისფერი, „ვაფხორილი" კაბები და თეთრი რეიტუზები და თეთრი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვათ... დილიდან საღამომდე, ღობესთან ვიყავი ჩაცუცქული და ჩემთვის სანატრელ ცხოვრებას „ჭუჭრუტანიდან" ვუცქერდი. ყოველ დილით, ძიძა გოგონებს ეძახდა — მოდით, კარაქიანი პური ჭამეთო. კარაქი რა იყო, წარმოდგენაც არ მქონდა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ რაღაც ძალზე გემრიელი უნდა ყოფილიყო... ერთ დღეს, გოგონებს ჭრელი ბურთი გადმოუვარდათ ჩვენს ეზოში. მაშინ შევხვდით ერთმანეთს პირველად... დავმეგობრდით. ხშირად მიწვევდნენ სტუმრად და კარაქიან პურსაც მაჭმევდნენ. ხოლო წასვლისას, მათი დედა გოგონების ნახმარ ტანისამოსსა და ფეხსაცმელს მჩუქნიდა და ჩემზე ბედნიერი არავინ იყო... სწორედ ამ დროიდან ჩავიბეჭდე გონებაში — რომ გავიზრდებოდი, აუცილებლად „დიდი კაცი" გამოვიდოდი და მეც მექნებოდა „ვოლგა" და კარაქიანი პური... როდესაც სკოლა დავამთავრე, იმ ზაფხულს გოგონების დედას ვთხოვე, ქალაქში სამსახური მიშოვეთ-მეთქი. მართლაც, ერთი თვის შემდეგ, მათგან დეპეშა მივიღე და მალე, გაქუცული ჩემოდნით ხელში თბილისში ჩამოვედი. მუშაობა ტანსაცმლის ფაბრიკაში დავიწყე დამლაგებლად... მერე ჩავბარე გამოცდები და სტუდენტი გავხდი... სამსახურშიც ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი წინ და 22 წლის შემდეგ, უკვე იმ ფაბრიკის დირექტორი ვიყავი, სადაც თავდაპირველად, კაბის ქვეშ დამალულ ცოცხს ვატარებდი. ამსობაში წლები შემომადნა ხელში და უკვე 40 წელს მივუკაკუნე... პირადი ცხოვრებისთვის ვეღარ მოვიცალე. არც სურვილი მქონდა, რაიმე შემეცვალა. მყავდა საკუთარი „ვოლგა", „დიდი კაცი" ვიყავი, მქონდა ფული, კარაქიანი პური და ის ყველაფერი, რაზეც ბავშვობაში ვოცნებობდი. არასოდეს მიოცნებია გათხოვებაზე. ესეც რომ ჩაფიქრებული მქონოდა, აუცილებლად ავისრულებდი. ახლა სწორედ მაგ საკითხზე ვმუშაობ... ვიცი, შვილს ვეღარ გავაჩენ. ჩემს შეძენილ ქონებას ჩემს დისშვილს დავუტოვებ... მე კი ერთ ბებერ კაცს მივთხოვდები და ვიცხოვრებთ ტკბილად და ბედნიერად. პატივისცემით, კესარია..."

ერთ საღამოს, მეზობელს შინბერა ქალის ბინიდან საეჭვო ხმაური შემოესმა. სასწრაფოდ პოლიციაში დარეკა. პოლიციელებმა დიდხანს აკაკუნეს კარზე და ბოლოს, შეამტვრიეს. შუახნის ქალბატონი, შემოხეული ტანისამოსით აივანზე იდგა და თვალცრემლიანი ვიღაცას ხელს უქნევდა... — ქალბატონო, მანიაკი იყო? — იკითხა პოლიციელმა. — დიახ, მანიაკი... — ბედნიერი სახით უპასუხა შინბერამ. — სექსუალური? — ძალიან, ძალიან სექსუალური... — ჭერს მიაპყრო მზერა ქალმა. — აღვიწერეთ მისი ჰაბიტუსი, თუ შეიძლება, — არ ეშვებიან კანონის დამცველები. ქალმა დაიმორცხვა: — ასე, 18-20 სმ... რაღა

თქმა უნდა, ეს ანეკდოტია, მაგრამ არანაკლებ სახალისოა შემდეგი რესპონდენტის ნაამბობიც.

„ძლივს შევიტყუე კაცი საძინებელში და იქიდან გავუშვებდი?!.“

„უკვე 49 წლის ვარ. დღემდე არ ვიცი, ჩემს მშობლებს მართლა შუახნის ასაკში გავუჩნდი თუ მიშვილეს. რადგან დედისერთა ვარ და გარეგნობითაც მშობლებს არ ვგავარ (უფრო, რუსული გარეგნობა მაქვს), ეჭვი მაქვს, რომ მიშვილეს. ფაქტი კი ის არის, რომ სკოლა როცა დავამთავრე, დედაჩემი 60 წლის იყო, მამაჩემი – 66-ის. უნივერსიტეტში მესამე წელს მოვხვდი. როცა დავამთავრე, მუშაობა დავიწყე და თან უკვე მოხუცებულ მშობლებს ვუვლიდი. დედ-მამა ყველას, ჩემი ბებია-ბაბუა ეგონა. მთელი 12 წლის განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილ მამას ვუვლიდი, დედაც ბოლო 3 წელი საწოლიდან ვერ დგებოდა – აბა, როგორღა გავთხოვდებოდი?.. ამასობაში, 35 წელს „მივუკაკუნე“. სწორედ ამ ასაკში დავობლდი და ჩემი პირადი ცხოვრებისთვისაც მოვიცალე. აღმოჩნდა, რომ უკვე გვიანი იყო. ჩემი ასაკის შესაფერისი კაცი, ყველა დაოჯახებული გახლდათ. ჩემი გარეგნობის წყალობით, თაყვანისმცემლები არ მაკლდა, მაგრამ ყველა ცოლიანი იყო და ყურადღების ღირსადაც არ მივიჩნევდი. წლები კი ისე მიქროდა, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ ვასწრებდი... ორმოცს რომ გადავაბიჯე, გადავწყვიტე, შვილი გამეჩინა. ყველა ჩემს თაყვანისმცემელს დაუფარავად ვეუბნებოდი, რომ ქალწული ვიყავი და თუ შვილის გაჩენის უფლებას მომცემდა, იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი ურთიერთობაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველანი უცებ შემომეფანტნენ... ამ რამდენიმე წლის წინ, ძალზე სიმპათიური, შეძლებული, მაგრამ უკვე შვილიშვილების პატრონი მამაკაცი გავიცანი. რამდენიმეთვიანი ფლირტის შემდეგ, როდესაც გადაჭრით შემომთავაზა მასთან ღამის გათევა, ვუთხარი – ჩემი პირველი მამაკაცი იქნები-მეთქი, – მაგრამ შვილი აღარ მიხსენებია, რადგან უკვე 45 წლის ვიყავი და ამის შანსი თითქმის აღარ მქონდა. ჩემი კავალერი დაფრთხა, ჩემთან შეხვედრებსა და რეკვას მოუკლო. მე კი შეყვარებული ვიყავი მასზე და მიზნად დავისახე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მიზნისთვის მიმეღწია. ღამის მის აჩრდილად ვიქეცი, ყველგან კუდში დავდევდი. აშკარად ვგრძნობდი, როგორ გამირბოდა, მაგრამ ჩემსას არ ვიშლიდი. სამსახურში ვაკითხავდი, წარამარა ვურეკავდი, სიყვარულს ვეფიცებოდი და გასაქანს არ ვაძლევდი. ბოლოს, როგორც იქნა, იმაზე დავითანხმე, რომ ჩემთან შინ მოსულიყო სულ ერთი საათით და ჩვენი ურთიერთობა გაგვერკვია. მთელი კვირით ადრე დავიწყე მომზადება: სახლი ძირისძირობამდე დავალაგე, შევიძინე „რუშებიანი“ საცვლები, ღამის პერანგები, პენიუარები, ოთახის ჩუსტები და სურნელოვანი სანთლებიც კი... როგორც იქნა, ის დღეც დადგა. საკმაოდ შილიფად ჩაცმული დავხვდი. გაწყობილ სუფრასთან ერთმანეთის პირისპირ ვისხედით და ვგრძნობდი, როგორ უჭირდა ჩემი მოშიშვლებული მკერდისთვის თვალის არიდება. მივედი და კალთაში ჩავუჯექი. ისე წამოხტა, თითქოს ეშმაკი დაენახოს. ღამის მუხლის ჩოქვით ვეხვეწებოდი – ხელი არ მკრა, შენ რომ აქედან ისე წახვიდე, თითი არ დამაკარო, იცოდე, თავს მოვიკლავ-მეთქი. – ქალო, რას გადამეკიდე? ამდენი წელი შეგინახია ეგ შენი ქალწულობა და მაინცდამაინც მე უნდა შემომწიროო?!. – კი-მეთქი, – თვალცრემლიანი ვეუბნებოდი... ცოტა ხნის შემდეგ, გული მოულბა, თითქოს დამთანხმდა კიდეც. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა... ვიჯექი მარტო სუფრასთან და გულამოსკვნილი ვტიროდი. ამ დროს, ვიღაცამ კარზე დაკაკუნა. მეგონა, უკან მობრუნდა-მეთქი და გახარებული გავემართე გასაღებად. ზღურბლთან უცხო კაცი იდგა. – ბინას თქვენ ყიდით? – მკითხა. ჯერ დავაპირე მეთქვა, არა-მეთქი, მაგრამ მერე შინ შემოვიპატიჟე: – კი, მე ვყიდი, მობრძანდით, დათვალიერეთ-მეთქი. ჰოდა, შემობრძანდა და... ახლაც ჩემთან ცხოვრობს... რომ შემოვიდა, ჯერ სამზარეულო ვაჩვენე, მერე – სააბაზანო, ლოჯია, „ზალა“ და ბოლოს, საძინებელში შევიყვანე. კაი დაბნეული დამყვებოდა და მე რომ ჭერისკენ ვუთითებდი, ჩემს მკერდს დასცქეროდა, იატაკს რომ ვაჩვენებდი – ფეხებს... საძინებელში რომ შევედით, ვუთხარი – თუ გნებავთ, საწოლსაც მოგყიდით, მაინც არაფერში მარგია-მეთქი... – და ვაიძულე, დამჯდარიყო, რომ გაესინჯა, რამდენად რბილი იყო... ძლივს შევიტყუე კაცი საძინებელში და იქიდან გავუშვებდი?!. მოკლედ, მოვიწადინე და შინაბერად დარჩენას გადავურჩი. ის კაცი ქვრივი ყოფილა და ბინას თავისი შვილისთვის ეძებდა, ბედმა კი ჩემთან მოიყვანა... ქალებო, იბრძოლეთ თქვენი ბედნიერებისთვის და თუ გულით გინდათ, აუცილებლად იპოვით მას“.

ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ გაბედავს ვინმე, თქვას, რომ ბედისწერა არ არსებობს?.. ჭკვიანი წინაპარი გვყავდა – სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, – რომ ამბობდა... თუმცა, მავანნი ირწმუნებიან, რომ თურმე, ბედისწერის შეცვლაც შეიძლება. ეს კი „შავი“ და „ჯოჯოხეთური“ ძალების გარეშე არ გამოვა.

„...კიდევ იტყვით, რომ ჯადო არ მაქვს გაკეთებული?“

„შესაძლოა, მამაკაცის მიერ ნათქვამი – ჯადო მაქვს გაკეთებულიო, – სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემს ცხოვრებას სხვას ვერაფერს დაარქმევთ, თუ არა მოჯადოებულს... საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი ვიყავი და კარგი გარეგნობაც მქონდა (ახლაც მაქვს). მამაჩემი პარტიული მუშაკი იყო, რაიკომის მდივნადაც მუშაობდა, ტრესტის მმართველადაც და წარმოიდგინეთ, რა ქონების პატრონი იქნებოდა... სტუდენტობის დროს, ერთი გოგო შემიყვარდა. ყველასგან გამორჩეული, ძალზე ლამაზი და ამაყი გოგო იყო. მისი მშობლები რაიონში ცხოვრობდნენ, თვითონ კი – თბილისში, ბიძასთან. არასოდეს უარობდა ჩემთან შეხვედრას, თბილად მექცეოდა, მიმტკიცებდა, მიყვარხარო, მაგრამ გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ არ ვუყვარდი, თუმცა, მისი საქციელიდან ასეთ დასკვნას ვერ გამოიტანდით. თავის დაბადების დღეზე სოფელში დაგვპატიჟა. რა თქმა უნდა, წავედი. პირველი წუთებიდანვე ვგრძნობდი, რომ გადამტებულ ყურადღებას იჩენდნენ ჩემ მიმართ მისი ოჯახის წევრები, მეზობლები, ნათესავები, ერთმანეთს ჩემზე უთითებდნენ და რაღაცას ჩურჩულებდნენ. სასიდედრო პირველი შეხედვისთანავე არ მომეწონა – რაღაცნაირი, ბოროტი თვალები ჰქონდა... ბიძამისმა ჩვენი სადღეგრძელოც კი დალია ერთად. შინაგანად პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, თუმცა არ გამომიმჟღავნებია... თბილისში რომ დავბრუნდით, მარინა დავიმარტოხელე და ძალზე დაწვრილებით გამოკითხე ყველაფერი. იმდენი ველაპარაკე, რომ ბოლოს გამომიტყდა – ქალწული არ ვარო. ელდა მეცა. მაშინვე, გადაჭრით ვუთხარი – ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი... ახლაც არ ვიცი, რატომ ვერ ვაპატიე... ამის შემდეგ, ისეთ სკანდალს მიმართავდა ხოლმე, ისე ალქაჯივით იქცეოდა ეს კრავივით გოგო, რომ მისი ნამდვილი სახე კარგად დავინახე. მისივე დაქალი და თანასოფლელი გოგო მეუბნებოდა – მარინას მშობლები გაგიჟებული არიან, ეს რა სიძე გავუშვით ხელიდანო!.. მაშინ არ უსაყვედურიათ შვილისთვის ამდენი, დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯის გამო, როგორც ახლა; დედამისი მკითხავებთან დადის, შენი სურათი დააქვს და ჯადოს გიკეთებსო... მაშინ ეს ამბავი სასაცილოდაც არ მეყო, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ, მართლა არსებობს ჯადო და უბედურება. 45 წლის კაცი ვარ, გარეგნობით ვერავინ დამიწუნებს. ფულიც საკმაოდ მაქვს, მაგრამ... მაინც უცოლოდ დავრჩი და ბერბიჭაც შემარქვეს. ქალები არ მაკლია, მაგრამ ცოლი ვერა და ვერ მოვიყვანე. არადა, ძალზე მინდა, მქონდეს

მყუდრო ოჯახი, მყავდეს შვილები, ლამაზი და მოსიყვარულე ცოლი. კიდევ იტყვით, რომ ჯადო არ მაქვს გაკეთებული?..“

ის, რასაც ახლა გაცნობებთ, ალბათ თქვენთვისაც სიახლე იქნება. ისევ და ისევ სტატისტიკურ მონაცემებს მოვიშველიებ და გეტყვით, რომ თურმე, ადამიანთა 80% ღამით ხვრინავს. ამისგან განკურნება თითქმის შეუძლებელია. თვითონ „მხვრინავი“ არავითარ დისკომფორტს არ განიცდის, მაგრამ „მსმენელი“ ნამდვილად საშინელ დღეში ვარდება... რა იწვევს ხვრინვას? – აი, სწორედ ეს არის საინტერესო. თურმე, ამ პროცესს იწვევს: ცხვირის ხრტილის გამრუდება, პოლიპები, ნუშისებრი ჯირკვლის გადიდება, გადაღლა, ალკოჰოლი, სიგარეტი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება, საძილე საშუალებების მიღება და... გაუთხოვრობა. ხედავთ?.. გარდა იმისა, რომ შინაბერობა აფუჭებს ნერვებს, ხასიათსა და გუნება-განწყობილებას, თურმე, ხვრინვასაც იწვევს... აბა, თუ ეს ყველაფერი თავს „დაგატყდებათ“, მერე რაღა გაგათხოვებთ?!

„შეშის მხერხავი“

„ეჰ, ჯანდაბას, რაც არის, არის – ჩემი ამბავი უნდა მოგიყვეთ... გარეგნობით დიდად ვერ დავიკვეხნი. ერთხელ თმა მოკლედ შევიჭერი და ხალხი იმასაც კი ვერ იგებდა, მამაკაცი ვიყავი თუ ქალი. ახლა იტყვით – აბა, ამას რაღა გაათხოვებდაო?! – მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ალხანას, ჩალხანა არ გამოელევა... ვერ ვიპოვე ჩემი ჩალხანა და რა მექნა?! ვცდილობდი, გავპრანჭულიყავი, ქალს დავმსგავსებოდი, რომ ვინმეს მოვწონებოდი, მაგრამ ამაო იყო ჩემი მოწადინება... ასაკში რომ შევედი, ყველა მეუბნებოდა, რომ ხასიათი გამიფუჭდა. ამას მეც ვხვდებოდი, მაგრამ აბა, როგორ გამოვსწორდებოდი?!. ამას ისიც დაემატა, რომ ბოლო დროს, დედაჩემი მეუბნებოდა, საშინლად ხვრინავო. სურდოს დავაბრალე. ცხვირით ვერ ვსუნთქავ და ამიტომ ვხვრინავ-მეთქი, – ვიფიქრე, მაგრამ სურდომ გამიარა, ხვრინვამ – არა. ხანდახან კედლის მეზობელიც კი მომიბრახუნებს – დაგვაძინეო! – დღისით კი მითხრა – ისე ხვრინავ, სახლი ზანზარებსო... ზაფხულში ჩემს მეგობართან წავედი დასასვენებლად. ლამის მთელი ოჯახი გავაგიჟე. სულ დამცინოდნენ – ისე კარგად „ხერხავ“, ამ ზამთრისთვის შეშას დაგვიმზადებო... აი, ასეთი უბედურება მჭირს. ახლა მთხოვნელიც რომ გამოჩნდეს, ერთ კვირაში მაინც გამომაგდებს შინიდან. ბოლო 6 წელია, სწორედ ამის გამო გამიჩნდა კომპლექსი და უკვე გათხოვებაზე აღარც კი ვოცნებობ“.*

ქორწინებისთვის აუცილებელია ორი ადამიანი: გასათხოვარი ქალი და... მოწადინებული სასიძედრო... თუმცა, მოწადინებამ შესაძლოა, შედეგი ყოველთვის ვერ გამოიღოს. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ: თუ გაგიმართლათ და გათხოვება მოახერხეთ, ხომ კარგი, თუ არა და, მამაკაცებზე შთაბეჭდილება მაინც არ წაგიხდებათ.

„35 წლის გათხოვდე და 6 წელი ქალწული იყო?!“

„ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ წლების განმავლობაში, ერთი კაცი მიყვარდა. ის ცოლშვილიანი გახლდათ და ვერც კი ვუმხელდი, როგორ ვგიჟდებოდი მისი გულისთვის. ვიცოდი, რომ ცოლთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და სულ ვფიქრობდი – ახლა გაშორდებიან ერთმანეთს და ახლა-მეთქი... ამასობაში 15 წელი გავიდა. უკვე შინაბერობის ასაკიც შემოეპარა. დედაჩემი გაგიჟებული იყო – ერთი შვილი მყავს და ისიც უშვილძიროდ მრჩებაო!.. ჩემთვის საქმროს დაეძებდა გამწარებული და სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რომ თვალები გამეხილა და ვინმეზე არჩევანი შემეჩერებინა. ბოლოს და ბოლოს, ერთ უცოლო კაცზე შეაჩერა არჩევანი. შორს დავიჭირე, მაგრამ უარი არ გამივიდა. ახლავე, შენ თვალწინ მოვიკლავ თავს, უარი რომ თქვაო, – ულტიმატუმი წამომიყენა დედამ. დავხუჭე თვალები და გავთხოვდი... 6 წელი ვიყავი გათხოვილი. – აბა, რა შინაბერა ხარო?! – იკითხავთ. როგორც ჩანს, დედაჩემმა სწორი არჩევანი ვერ გააკეთა და მამაკაცურად უძლური საქმრო შემირჩია. წარმოგიდგენიათ? 35 წლის ასაკში გათხოვდე და მთელი 6 წელი ქალწული იყო?!. ჯერ ვუნახავდი საიდუმლოს ქმარს, ჩუმ-ჩუმად დავდიოდით ექიმებთან, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. 6 წლის შემდეგ, მოთმინების ფიალა ამევსო და წამოვედი. ახლა უკვე 40 წელს გადავაბიჯე და შინაბერა ვარ... ალბათ, ჩემს ქუჩაზეც აყვავდება ალუბალი ადრე თუ გვიან და ღმერთი ისე არ გამწირავს, რომ ოჯახის გარეშე დამტოვოს“...*

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„მამაკაცი აღარ გჭირდებათ?“

„ერთ-ერთ მაღაზიაში კონსულტანტად ვმუშაობ. ამას წინათ, დაუვიწყარი შეხვედრა მქონდა. მაღაზიაში ისეთი მაგარი ბიჭი შემოვიდა, რომ ადგილზე გავშეშდი – მაღალი, შავგვრემანი, ლურჯთვალება... თანაც „ფოლკსვაგენ-კაბრიოლეტიდან“ გადმობრძანდა. ასეთი „დონე“ ბიჭი ჯერ არ შემხვედრია... ალბათ, უკვე ვეღარასოდეს შევხვდები...“

„მინდა, „გზავნილების“ საშუალებით, ერთ ადამიანს რამდენიმე კითხვა დავუსვა: მეუბნები, მიყვარხარო?.. როცა გაგებუტები, სხვებს აბარებ ჩემთან – თავს განებებო, – მე კი მეუბნები, ვერასოდეს მიგატოვებო... რატომ გაქვს ასეთი მერყევი ხასიათი?.. ისე, იცოდე, რომ არასოდეს მიყვარდი და არც ახლა მიყვარხარ. „კ“.

„ჯერ 15 წლის ვარ და შინაბერას მარტო იმიტომ მეძახიან, რომ პაემანზე სიარულს და გართობას, წიგნის კითხვა მირჩევნია. ეს კი როკისა და წიგნის სიყვარულის ბრალია“.

„თიკო, ძვირფასო, ცოლად არ გამომყვები?.. ბერდები, გოგო! უკვე 16 წლის ხდები... მოდი, ბარემ, საახალწლო გოზინაყივით ტკბილად შევაბერდეთ ერთმანეთს. შენი პუტკუნა გურამი“.

„ჯანმრთელობის სამინისტრო გაფრთხილებთ, რომ ქალწულობა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის! ხანგრძლივი ქალწულობა იწვევს ნაადრევ შინაბერობას... სანამ გთხოვენ, გაეცი...“ – ასეთი მესიჯი მომწერა ამას წინათ ჩემმა მეგობარმა. მეც, ყველას დავუგზავნე, ვინც იმსახურებდა. ნეტავ, მართლა ასეა?.. ისე, არ მიკვირს. ერთხელ ისიც თქვეს, სულ ერთი და იგივე ხალხი თხოვდებაო... ჩემი შინაბერობა შესაძლოა, პლატონურმა სიყვარულმა გამოიწვიოს. თუ ერთი ბიჭის დავიწყება ვერ შევძელი, ჩემი საქმე ცუდად იქნება. ამის გამო, ახალციხიდანაც კი გამოვიქეცი. სამაგიეროდ, ახლა „გზას“ დილაუთენია ვყიდულობ, იქ კი შუადღის შემდეგ მოდიოდა მხოლოდ“.

„ეს მესიჯი რომ არ დამიბეჭდოთ, მართლაც შინაბერად დავრჩები, მე კი სულაც არ მინდა... ქუთაისელ გიორგი ქძეს მინდა მივმართო: გიო, მალე ჩამოდი, ყოველდამე მესიზმრები, უზომოდ მენატრები და მიყვარხარ. თათა.“

„ერთხელ „მარშრუტკაში“ გოგოს შევხვდი, №151 მარშრუტკით ვმგზავრობდი. ის გოგონა უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან ამოვიდა, დედასთან ერთად. მგონი, ქეთი ერქვა. ცისფერი თვალები ჰქონდა და ზაჰესის მიმართულებით მგზავრობდა. იქნებ, წაიკითხოს და გამომეხმაუროს, ვერსად მივაგენი. არადა, ვერ ვივიწყებ და ვერც მაშინ გამოველაპარაკე. სანდრო“.

„30 აგვისტოს, რაჭაში, შაორის ტბასთან ავარია მოხდა. თეორი „06“ დაეჯახა ყვითელ „011“-ს. „06“-ში იჯდა გოგონა, რომელიც გვარად კაკაბაძეა, მაგრამ მისი სახელი არ ვიცი. ის ოჯახთან ერთად ამბროლაურის რაიონის რომელიღაც სოფელში მიდიოდა დასასვენებლად. მე კი ჩემი სოფლიდან მოვდიოდი. იმედია, გამომეხმაურება თქვენი საშუალებით და თავის ნომერს შემატყობინებს. მე ვარ AAA-111 წინასწარ გიხდით მადლობას“.

„21 წლის ვარ, მაგრამ ვთვლი, რომ ჯერ ადრეა ჩემთვის ოჯახის შექმნა.

ჩემმა ახლობლებმა კი, თითქოს პირი შეკრესო – დედით დაწყებული, ყველა ჩამჩიჩინებს, სერიოზულად მოვეკიდო ამ საკითხს. ნუთუ მომავალი შინაბერობისას მატყობენ რამეს?!. მაკა".

„გათხოვილიც ვიყავი, 2 შვილიც მყავს და ქმარსაც გავცილდი, მაგრამ თავი მაინც შინაბერა მგონია. ისევ იმ სიყვარულს ველოდები, სტუდენტობის დროს რომ ვერ დავაფასე და ზურგი შევაქციე. მასაც დაენგრა ოჯახი და უკვე რამდენიმე წელია, რუსეთშია გადახვეწილი. მე კი მაინც ველოდები. პირადი ცხოვრება ვერაფრით ავაწყვე. ყველა მამაკაცს მას ვადარებ და ახლოს არავის ვიკარებ... იქნებ, ყველაფერი ძალიან გვიანია?.. ალბათ იმისთვის ვისჯები, რომ თავის დროზე ვერ დავაფასე ჩემი სიყვარული. როცა ქალი იმის გვერდით არ ხარ, ვინც გიყვარს, ეს საშინელებაა. შინაბერა ვარ, აბა, რა! ვზივარ და ველოდები..."

„ალეკო, შენ ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად ძლიერია ჩემი შენდამი სიყვარული. ჩემო სიცოცხლევ, არასოდეს დამავიწყდება ჩვენი პირველი პაემანი. იმედია, ჩვენი მცირე ასაკის მიუხედავად, მალე ვიქორწინებთ და იმდენ შვილს გავაჩენთ, ჩვენს სახლში კი არა, მთელ საღორიაზე ვერ დავატევთ. თამთა, ქუთაისი".

„შინაბერად დავრჩები, აბა, რა იქნება! ჯერ, სანამ მოსამართლის თანაშემწე არ გავხდი, ლამის თავი მოვიკალი. ახლა, ერთი სული მაქვს, როდის გავხდები მოსამართლე. ამ „ლენჩავიკ" ბიჭებს კი ჩემთვის სიტყვის თქმაც ეშინიათ. რომელი კაციჭამია მე მნახეს?!. ასეა – დარჩები, აბა რა, კაცი იქით რომ გაგიხდება მოსატაცებელი..."

„დავინახე თუ არა, მაშინვე შემიყვარდა... „ის" კი, იცით, როგორია?.. შეუდარებელია და შეუცვლელი. უიმისოდ ვერ ვძლებ... როგორი და... როგორიც ჟურნალი „გზაა"! სასაცილოა? სიმართლეა!"

„თავიდან, სწავლასა და კარიერის შექმნას გადავყევი. მერე ბინა ვიყიდე და ვიდრე რემონტი დავამთავრე, დამოუკიდებლობას, მარტოობასა და თავისუფლებას შევეჩვიე. თანაც, ჩემი გათხოვილი მეგობრების ცხოვრებას რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ მათი უმეტესობა მხოლოდ იმიტომ იტანს პრიმიტიულ და მობეზრებულ ქმარს, რომ შვილები ჰყავს გასაზრდელი... დავრწმუნდი, რომ გათხოვება და ქმრის ჭუჭყიანი საცვლების რეცხვა ჩემი საქმე არ არის. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ, როცა ქუჩაში ან მეზობლის ბინიდან მთვრალი და უმადური კაცების ყაყანი მესმის... აღარაფერს ვამბობ ჩხუბსა და გინებაზე. მე კი ამ დროს, მხართეძოზე წამოწოლილი, ტელევიზორს ვუყურებ ან ტელეფონზე ლაპარაკით ვირთობ თავს და არ მეშინია, რომ ვინმე თუნდაც, ხმის ამაღლებას გამბედავს. ბავშვები რომ უმამაკაცოდ ჩნდებოდნენ, კაცს სახლში არც ერთი ქალი არ შეუშვებდა... ინო".

„25 წლის ვარ და უკვე ორჯერ ვცადე გათხოვება, მაგრამ ორჯერვე ჩემი მცდელობა კრახით დამთავრდა. გადავწვყიტე, რომ აღარ გავთხოვდები. კიდევ ერთი შინაბერა ვეყოლები საქართველოს. იცით, რას ვფიქრობ?.. ალბათ, ჯადო მაქვს გაკეთებული, რომ ვერასოდეს გავთხოვდე".

„შინაბერად მართლა არ დავრჩები, რადგან 3 წლის შვილი მყავს... 2 კვირის წინ, სამტრედიელი ნიკა გავიცანი. შევხვდით კიდეც და ერთმანეთი შეგვიყვარდა, მაგრამ ვერ ვუთხარი, რომ განათხოვარი ვიყავი. ბოლოს, ავდექი და ტელეფონით გავუმხილე. მითხრა – დრო მომეცი, რომ ჩემს თავში გავერკვეო... მეშინოდა მისი დაკარგვის. ყველაფერი მაპატია. მადლობა ღმერთს, რომ ჩემი სიყვარული ჩემთან არის. ნიკა, მიყვარხარ! მარი, ნატანები".

„შინაბერად მე არ დავრჩენილვარ, მაგრამ ჩემი შეყვარებული კი დავტოვე ბერობიჭად. ისე, ჯობდა, მე დავრჩენილიყავი, რადგან უიმისოდ მაინც უბედური ვარ. ჩემი დაუდევრობისა და უყურადღებობის წყალობით, სხვისი ცოლი ვარ და მხოლოდ შვილები მანიჭებენ სიხარულს. ის კი, ცხოვრების უკუღმართობით, სულ თავქვე ეშვება"...

„ძალიან მიყვარს ანა ნ-შვილი, მაგრამ მას მხოლოდ შორიდან ვიცნობ. ვერ ვუმხელ, რადგან მასზე გაცილებით უფროსი ვარ. მისი ბავშვური თვალები კი მოსვენებას არ მაძლევს..."

„გთხოვთ, გამოაქვეყნოთ, რადგან შესაძლოა, მესიჯის ავტორი ხუთშაბათს ცოცხალი აღარ იყოს... ჩემო საყვარელო თამუ, მაპატიე ყველაფერი, გთხოვ და გემუდარები! სიგიჟემდე მიყვარხარ, ჩემო ფერიავ და თვალხატულა ანგელოზო. მთელი ქვეყნის გასაგონად ვაცხადებ და გეუბნები, რომ მიყვარხარ და მენატრები. შენი სითბო და ალერსი მენატრება... შენი ხმა... შენი მეუღლე, გია... მესიჯს ციხიდან ვგზავნი და გთხოვთ, გამოაქვეყნოთ".

„იცით, რატომ რჩებიან შინაბერებად?.. იმიტომ, რომ რომელ გოგოსაც შევხვდი, ყველა ბინიან, მანქანიან და ფულიან კაცს ეძებს... ერთ გოგოს ვხვდებოდი. უარი მტკიცა – სოფელში ვერ გავთხოვდებიო... თურმე, ვიღაც მდიდარ კაცს ურიგებდნენ, მაგრამ ეს ტიპი ცოლშვილიანი აღმოჩნდა და იმასაც უარი „ხია". ახლა ზის სახლში კრუხივით... კარგა ხანს იქნება კიდევ... ქალისთვის კულტად ფული, მანქანა და ბინა იქცა. მამაკაცი მგონი, აღარც სჭირდებათ. ვანსკი".

„23 წლის ვარ, მაგრამ უკვე შინაბერა მგონია თავი. სამჯერ ვიყავი შეყვარებული ჭკუის დაკარგვამდე – ნათესავზე, მეგობარზე და ბოლოს, ცოლიან კაცზე, რომელსაც დღემდე ვერ ვივიწყებ... სხვას ვერ შევიყვარებ, უსიყვარულოდ კი, არ გავთხოვდები... ჩემს შინაბერად დარჩენას, ბავშვობის დროინდელი მეგობარიც „ეხმარება". მოვატყუე, ერთ ბიჭზე ვუთხარი – მომწონს-მეთქი, – და ახლა ცდილობს, ის ბიჭი თვითონ შეაბას, თავისი ჭკუით – მაწერს... აი, ასეა 23 წლის შინაბერას საქმეები".

„გაინტერესებთ, რატომ ვრჩები შინაბერად?.. იმიტომ, რომ ჩემმა ძველმა შეყვარებულმა ორი წლის ურთიერთობის შემდეგ, სიტყვის უთქმელად მიმატოვა. ახლა შერიგებას ცდილობს. წელს კი, ქობულეთში სხვა ბიჭი გავიცანი და თავდავიწყებით შემიყვარდა. ახლა მგონი, ისიც მტოვებს. უკვე სამი დღეა, არ დაუმესიჯებია და რა უნდა ვიფიქრო?"

„მარი, თუ დამბეჭდავ, ხომ კარგი, თუ არა და – შენც კარგად იყავი და მეც... მე ვარ ახალგაზრდა შინაბერა, 20 წლის. ჯერ არავინ მყვარებია და მგონი, არც არავინ შემიყვარდება, რადგან მომწონს მამაკაცი თუ არა, მაინც თავიდან ვიშორებ. ნამეტანი „ურწმუნო თომა" ვარ, არავისი არაფერი მჯერა. ჰოდა, ძაან საეჭვო სუნი მცემს, შინაბერობის სუნი... იმ ასაკს რომ მივაღწევ, „გზავნილები" აღარ იქნება და ამიტომ გწერთ წინასწარ... შინაბერებო, არ იდარდოთ, ცხოვრება მამრების გარეშეც ტკბილია. ფოთოლა".

„ამას წინათ, ჭიათურაში, სოფელ ხრეითში ქორწილში ვიყავი. იქ გავიცანი ასე, 30 წლის მამაკაცი, რომელსაც პაატა ჰქვია და თბილისში, წერეთლის გამზირზე ცხოვრობს. მის შესახებ მეტი არაფერი ვიცი. თუ „გზავნილებს" კითხულობს, იქნებ, გამომეხმაუროს, რადგან მისთვის ძალზე საჭირო ინფორმაცია მაქვს გადასაცემი".

„გზავნილების" წინა ნომერში გამოქვეყნდა მესიჯი: „არ მინდა, რომ ყველაფერი მალე დამთავრდეს. მენატრება შენი სუნთქვა, არაგვი, ჯვრის მონასტერი... ეს ყველაფერი დაუვიწყარია. ლაშა, მიყვარხარ. რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები, არასოდეს მიმატოვებდი. შენი სულელი გოგო..." მესიჯის ავტორი სახელს არ ამხელს. მარი, გთხოვ, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია... გოგონას სახელი არ არის მითითებული და მაინტერესებს, ვინ არის. სიტუაცია ძალზე ნაცნობია... იქნებ, გამომეხმაუროს?.. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის. პატივისცემით, ლაშა".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად გთავაზობთ – ჩემი მთავარი ცხოვრებისეული შეცდომა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, როდის და სად დაუშვით დიდი შეცდომა. გემშვიდობებით, მომავალ ხუთშაბათამდე.

ჯაპანა გიორგი გურგულიასთან ერთად

თუ მაძალებდა ხალხი, ჭალთაან ოლიგარქიისას გაქცევა

ანუ

ბიელის გაეპარება ხოლომე ლუჩები ჯაპანს ხალისნელოვა...

მსახიობი დათო ხურცილავა — იგივე ჯაპანა ბედს არ უჩივის და მიიჩნევს, რომ მის თაობას უამრავი გაჭირვებისა და განსაცდელის მიუხედავად, მაინც გაუმართლა... როდესაც უჭირდა, არაფერს თაკილობდა და მისი თქმით, აბორტიდან დაწყებული, სურათის გადიდებით დამთავრებული, ყველაფერს აკეთებდა, ოღონდ — იაფად... ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით. ისე კი, ათეულობით როლი აქვს ნათამაშები კინოსა და თეატრში და ჯერაც არ აპირებს, ახალგაზრდებს რამეში ჩამორჩეს, რადგან კვლავაც საუცხოო ფორმაშია...

ნინო ჯავახიშვილი

— ზოგ თაობას ახალგაზრდობის დროს მოუწია არეულობამ, ზოგსაც — უფრო ადრეულ ასაკში... მე არასდროს გამიმტყუნებია ახლანდელი თაობა, რომლის დიდმა ნაწილმა არ იცის, ვინ არის ვაჟა-ფშაველა, ილია, აკაკი — ევროპულ ლიტერატურაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამას სწავლა უნდა, ვიღაცამ უნდა მოგაწოდოს ეს ყველაფერი. ჩვენი თაობა კი ძალიან ნაწვალები თაობაა. არეულობის წლებმა მოგვიწია და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, როგორ გამოგვეკვება შვილები. 70-იანელებს 30 წლის მაგივრად, 90 წელი დაგვიდგა. არადა, 30 წელი — ეს ქალისა და მამაკაცისთვისაც ოქროს ხანაა. ამის შესახებ ხშირად ვკამათობ ჩემს ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად. მათ ძალიან ბევრი რამ აქვთ წინ. კაცი 30 წლის ასაკში უკვე ღვინდება, ქარაფშუტობა აღარ ხიბლავს და სერიოზულ საქმეს ჰკიდებს ხელს.

— 30 წლის ასაკში ზოგს უკვე სერიოზული კარიერა აქვს გაკეთებული...

— ესეც უკიდურესობაა. დღევანდელი ხელისუფლება 40 წლის კაცს 80 წლისას უთანაბრებს. 43 წლის ვარ და ბევრ ახალგაზრდას დავუდგები გვერდით — გინდ ფიზიკურად და გინდ გონებრივად. ჩემი ასაკის კაცი წყალში გადასაგდები არ არის. ამას წინათ, ტაქსის მძღოლმა საოცარი რამ მითხრა: კარუსელის ჩამრთველის ადგილზე ვაკის პარკში ვაკანსია იყო, დავრეკე და იცით, რა მითხრეს, როდესაც გაიგეს, რამდენი წლის ვიყავი? — უი, რას ამბობთ, თქვენმა მატარებელმა უკვე დიდი ხანია, ჩაიარაო... დღეს 20 წლის უნდა იყო, მოსამართლე რომ გახდე, 25 წლის — მინისტრი, 32 წლის — სახელმწიფო მინისტრი... რა ხდება, ვერ გამიგია. არც ეს არის პრობლემა. პრობლემა ის არის, რაც უკვე დავკარგეთ — 15 წელი არაფერი გვიკეთებია. ამაზე ძალიან მწყდება გული, მაგრამ დაკარგულს რაღა ეშველება?! 30-35 წლისანი ვიყავით, როდესაც ცხოვრების თავიდან დაწყება მოგვიხდა.

— არეულობის წლებში როგორ ცხოვრობდით, რას საქმიანობდით?

— ვაკეთებდი ყველაფერს, არაფერს ვთაკილობდი. ერთ ანეკდოტს მოგიყვებით ამასთან დაკავშირებით: ერთი ქუთაისელი მეორეს შეხვდა და მოიკითხა — როგორ ხარო? — არა მიშავს-რაო. — მაინც, რას აკეთებო? — რა ვიცი, აბორტიდან დაწყებული, სურათის გადიდებით დამთავრებული, ყველაფერს, ოღონდ — იაფადო... მართალი გითხრათ, ჩემი საქმეც ასე იყო. ხაჭოს ვარიგებდი მაღაზიებში, ბაზრობებზე შემქონდა არაყი „საშა“, სიგარეტი, ვაცილებდი ბუნებრივი აირით დატვირთულ მანქანებს ოსეთიდან სადახლომდე, „ვეკაჩავებოდი“ პოლიციელებს, შავებს, ვინც გზაზე მხვდებოდა, რომ ჩემი კუთვნილი 100 დოლარი არ წაერთმიათ. მქონდა ქსეროქსის აპარატიც. იმდენ რამეს ვკიდებდი ხელს, რომ ყველაფერი აღარც მახსოვს. დილიდან საღამომდე ვმუშაობდი იმისთვის, რომ ჩემს შვილებს არ მოშივებოდათ და თავი დღემდე მოგვეტანა. არ დაგავიწყდეთ, რომ იმ დროს, უკვე დაახლოებით 9-10 ფილმში მქონდა ნათამაშები მთავარი როლები. ეს არ იყო ჩემი კარიერის დასაწყისი. ჩემი მსახიობური კარიერა რამდენჯერმე გაჩერდა და ისევ თავიდან მომიხდა ყველაფრის დაწყება. სულ რამდენიმე წელია, რაც საქართველოში კინოგადაღებები განახლდა. „თეატრალურ სარდაფშიც“ მიმიწვიეს და უკვე ბევრი სამუშაო მაქვს. მადლობა ღმერთს, რომ ამდენი გაჭირვების შემდეგ, კვლავ ჩემი საქმით ვარ დაკავებული! სი-

მაშინ წერილებით უხსნიდნენ სიყვარულს, კომპიუტერი და მობილური არ იყო (დუტასთან და რომა რცხილაძესთან ერთად)

ბერის ჟამს გამიმართლა... არც თეატრალური როლების გამო ვარ გულდაწყვეტილი და არც — კინოროლებით. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ლევან წულაძეს და ოთარ ეგაძეს. ამ მცირე დროში, ფორტუნის და დუტას წყალობით, ხალხის სიყვარულიც დავიმსახურე. ქუჩაში ღიმილითა და დიდი სიყვარულით მხვდებიან, რაც ძალიან მახარებს.

— ბევრი გაჭირვების მიუხედავად, თქვენი თაობა საკმაოდ მებრძოლი სულისკვეთებისაა. თუმცა ბევრმაც საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება ვერ შეძლო...

— უფრო მებრძოლები ვიყავით — დრო იყო ისეთი, რომ სხვა გზა არ გვქონდა... მთელი ცხოვრება ოპტიმისტი ვარ, არაფერს ვუშინდები. ტერენტი გრანელი — გენიალური პოეტიც კი, იმის გამო არ მიყვარს, რომ პესიმისტია. რეალისტი ადამიანები მხიბლავს. რაც არ უნდა მოხდეს, სულით არ უნდა დაეცე. მაშინ, როდესაც ყველას ერთნაირად გვიჭირდა, ერთმანეთს ვერ ვეხმარებოდით. მამაჩემის თაობაში კი სულ სხვანაირად იყო საქმე: ერთს თუ უჭირდა, დანარჩენები ეხმარებოდნენ. ჩემი მეგობრების წყალობით, მეც ბევრი რამ გადამიტანია.

— მამების თაობისგან ალბათ ბევრი რამ ისწავლეთ, არა?

— ძალიან ბევრი რამ — ის ტრადიციები, რომლებიც საშუნაროდ, ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. მამაჩემისგან ვისწავლე კაცობა, ადამიანის სიყვარული, ნდირობა, თვეზაობა, სიძღერა, ბევრი სხვა რამ... მე მინახავს, როგორ თვეზაობდა რეზო ლაღიძე, როგორ მღეროდა ზურიკო ანჯაფარიძე და როგორ ხუმრობდა ბიძაჩემი — თენგიზ ჩანტლაძე. მათ იცოდნენ პურის მადღი, ღვინის ყადრი, ადამიანის ფასი, სადღეგრძელოს თქმა, რაც დღეს იგნორირებულია.

— როგორები იყვნენ ისინი ჩვეულებრივ, რეალურ ცხოვრებაში?

— რაც უფრო ინტელექტუალური ადამიანი ხარ და უფრო ნიჭიერი, მით უფრო ნაკლები ამბიცია გაქვს. ჭკვიანი ქალი არასდროს იტყვის, — მამაკაცზე ჭკვიანი ვარო, რადგან ქალის და მამაკაცის გონება აბსოლუტურად განსხვავებულია. ნიჭიერი და განათლებული კაცი არ ილაპარაკებს საკუთარ ნიჭიერებაზე... მამების თაობის კორიფეები უბრალოები იყვნენ, ახლანდელ ე.წ. „ვარსკვლავებს“ კი, არც ინტელექტი აქვთ, არც ნიჭი, ზოგმა წერა-კითხვაც კი არ იცის, სამაგიეროდ, დიდი ამბიციები აქვთ. ირაკლი ჩარკვიანი რომ ამბობს, მეფე ვარო, მართალია ის კაცი: იმათთან შედარებით, მეფეა. მას აქვს მუსიკალური გემოვნება, ინტელექტი. ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ უყურებს ცნობილი ინგლისელი კინორეჟისორის — პიტერ გრინუეის ფილმებს, ეს კი ინტელექტის მაჩვენებელია. ამას წინათ კი, ერთმა ცნობილმა ვარსკვლავმა, ახალგაზრდა ქალბატონმა იცით, რა უთხრა ჟურნალისტს?.. იცით, როგორი „კინოები“ მიყვარს? ხელში ხმალი რომ უჭირავთ და თავზე ის რომ ახურავთ, ისო... მუზარადი ვერ გაიხსენა და ვერ თქვა, რომ უყვარს ისტორიულ-კოსტიუმირებული ფილმები...

იუმორი მაქვს, თავის მოყვანილობაც ლამაზი მაქვს — სხვა რა მოგახსენოთ?.. (ბაბა კოლელიშვილთან და დუგასთან ერთად)

— რა ტრადიციები დაგიტოვათ თეატრში მამების თაობამ?

— ჩვენ რას ვიზამთ, არ ვიცი, მაგრამ მამების თაობამ მართლაც დიდი ტრადიციები დაგვიტოვა. მე მაქვს ნანახი, როგორ თამაშობდნენ სცენაზე: სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი, გოგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, კახი კავსაძე... უზარმაზარი გამოცდილება დაგვიტოვეს მათ და კიდევ — მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა აკეთოს მსახიობმა თავისი საქმე.

— როგორ ფიქრობთ — თქვენი შემდგომი თაობა რამდენად ნიჭიერია?

— მამების თაობა ყოველთვის მიიჩნევს, რომ თვითონ უფრო მაგრები იყვნენ... ეს არასწორად მიმაჩნია. ჩემს დროს ძალიან ბევრს ვმუშაობდით საკუთარ თავზე. დღესაც ბევრი ნიჭიერი მსახიობია. მთავარია, საშუალება მივცეთ ახალგაზრდებს, განათლება მიიღონ და საკუთარი თავის რეალიზება მოახდინონ. ნიჭიერები ყველა თაობაში იბადებიან.

— თქვენს შვილებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? ხომ არ გიჭირთ მათი გაგება?

— მამაჩემსაც ესმოდა ჩემი და მეც მესმის ჩემი შვილების, თუმცა მაშინაც იყო რაღაცები, რაც არ მოსწონდათ და გვეკამათებოდნენ. ეს ყოველთვის ასეა და ბუნებრივადაც მიმაჩნია. ჩემი გოგონა 15 წლისაა, ვაჟი — 13-ის. ბიჭთან სულ კონფლიქტი მაქვს სწავლასთან დაკავშირებით. სულ იმას ჩავჩიჩინებ, რომ ბევრი იკითხოს. თვალი ბურთისკენ გაურბის. ფლეიტასა და რაგბიზე დადიოდა, მაგრამ ფლეიტა მიატოვა.

— ახლა ისიც მითხარით, როგორ უყვარდათ თქვენი ახალგაზრდობისას?

— მაშინ გამოხატვის ფორმა იყო სხვანაირი, თორემ, დღესაც ისევ ისე უყვართ. მაშინ წერილებით უხსნიდნენ სიყვარულს, კომპიუტერი და მობილური არ იყო. სხვათა შორის, არც დედას აგინებდნენ ერთმანეთს მობილური ტელეფონით, ისე, როგორც დღეს... მობილურით დედის გინება აღარ გამიგია. ადამიანები გადაგვარდნენ. დიდი სურვილი მაქვს, სიყვარულს არაფერი შეეხოს... მაშინ ბევრი უნდა გეკითხა, რომ კარგი წერილი დაგეწერა, რათა ამ წერილის გამო ქალს შეჰყვარებოდი. ახალგაზრდობისას, არაერთი სასიყვარულო წერილი დამიწერია...

— თქვენს ოჯახზეც მითხარით რამე.

— 17 წელია, მე და ჩემი ცოლი ერთად ვართ. ეს კარგია თუ ცუდი, ვერ გეტყვით, მაგრამ სულ იმას ვეუბნები — ძალიან დამღალე-მეთქი... აწი, რაღა დროს გაყრაა?!. 28 წლის ასაკში, სიყვარულით დავქორწინდი. წერილებითაც მოვხიბლე, საქციელითაც და სხვა რაღაცებითაც...

— მაინც რას აკეთებდით მისი გულის მოსაგებად?

— ჩემი ცოლი ამბობს, რომ ვარ მომხიბვლელი, საოცრად ლაღი, იუმორით სავსე. იუმორის ნიჭი თუ აქვს კაცს და ლამაზი თავის ფორმა, ეს უკვე ბევრს ნიშნავსო, — ამბობს ხოლმე. იუმორი მაქვს, თავის მოყვანილობაც ლამაზი მაქვს — სხვა რა მოგახსენოთ?.. ბადრი კაკაბაძემ თქვა ჩემზე — ჯაპანა ბავშვობაში ავადმყოფი იყო, დედამისმა ღმერთს შესთხოვა — ამის თავი გამიზარდოს ღმერთმაო; ღმერთმაც ეს თხოვნა პირდაპირ გაიგო და მარტო თავი გაეზარდა ჯაპანასო... სხვა რა გითხრათ? თუ მამაკაცი ხარ, ეს ქალთან ურთიერთობისას გამოჩნდება. 4 წლის ვიყავი, როდესაც ჩემს თანატოლ გოგონას ბურთი წავართვი. მან ტირილი დაიწყო. ამ დროს ბაბუაჩემი შემოვიდა, ბურთი გამომართვა და მითხრა — ბაბუ, დაიმახსოვრე, ეს ქალია და უნდა დაუთმო. დღემდე მახსოვს მისი სიტყვები. იყო პერიოდი, როდესაც ოთახში ქალის შემოსვლისას ფეხზე ვდგებოდი. დღეს ასე აღარ ვიქცევი, რადგან ჩემ გარდა, ფეხზე არავინ დგება და მატრაკვეცა კაცი გამოვდივარ... კარგა ხანია, გადავეჩვიე ქალისთვის ხელზე კოცნას, თუმცა ზოგჯერ მაინც გამეპარება ტუჩები საკოცნელად — მაშინ, როდესაც ქალი თვითონ მიწვდის ხელს...

■

გუბულეებში ჩასიძებული რაჭველი

ინგა ჯაყელი

...მართლა გადარეული სიყვარულით უყვართ რაჭველებს რაჭა, თორემ, სხვა მათ ადგილზე კარგა ხნის წინ აიყრებოდა იმ მიწიდან, რომელსაც, რამდენიც არ უნდა ეფერო, იმდენს ვერაფერს გამორჩები, რომ წლიდან წლამდე არჩინო ოჯახი. ამიტომაცაა – რაჭისკენ მიმავალ ავტობუსში ხალხზე მეტი ტომრები რომ აწყვია, კარგა ხანია, არავის უკვირს: მიაქვთ და მიაქვთ ძირითადად – ფქვილი, შიგადაშიგ – შაქარი თუ მარილი. ისეც მომხდარა, განსაკუთრებით ზაფხულში, ფქვილი ისე ამტვერებულა, ცემინებისგან გადარეულ მგზავრებს ხტუნვა-ხტუნვით „ჩაუტანიათ“ ავტობუსი დანიშნულების ადგილზე...

მაინც მიყვარს „პაზის“ ტიპის ყვითელი „დინოზავრები“, რომელთაც ეს სახელი სიძველის გამო შეარქვეს ენაკვიმატმა რაჭველებმა. თან, მთის კალთებზე შემოხვეულ გზაზე სხვა სატრანსპორტო საშუალება ალბათ, ვერც იმოძრავებდა. როცა ნათესავებთან წასვლას ვიფიქრებ, წინასწარ ვტკბები იმის წარმოდგენით, სითბოთი და სიყვარულით სავსე გარემოცვაში რომ მოვხვდები და ცხოვრებაში პირველად ნანახი ადამიანები თავიანთი სისხლი და ხორცივით რომ მოგიკითხავენ: რადგან ამბროლაურისკენ ან ონისკენ მიმავალ ავტობუსში ახვედი, ე.ი. შინაური ხარ, მათი მოკეთე და მოყვარე!..

– კაი გამარჯობა შენი, რაჟიკუნა! რამ გაგახსენა ქუთეისი? რეიზა შეიწუხე თავი აქეთ ჩამოსვლით? – ეკითხება ჭარმაგ მამაკაცს ვიღაცა.

– ბოშო, შენ ვიტალიკა არ ხარ?! – სათვალე დაისკუპა ცხვირზე მის შესათვალიერებლად რაჟიკო ბიძიამ და როცა მიხვედრილობის სისწორეში დარწმუნდა, გახარებული წამოხტა, რატომღაც ყაბალახშემოხვეული რაჭველი გულში ჩაიკრა და დათვივით დატორა.

– ორი ნეკნი დამიტოვა მთელი ვირულმა შრომამ და ისიც ნუ დამიმტვრიე! – ძლივს გააშვებინა ხელი გახარებულ რაჟიკო ბიძიას თითქმის მისმა ტოლმა ჭოკივით ხმელმა ვიტალიკამ.

– სადა ხარ, სად დეიკარქე? აღარც ქვე მეგონე ცოცხალი! – არ ისვენებდა რაჟიკო.

– მაგას მერე მოგიყობი. ახლა მემეხმარე, თუ კაცი ხარ, შოფერი მომაძებნიე, ტომრები მაქ დასაწყობი, – იჩქარა ვიტალიკამ.

– აუჰ, რაღაის ტომრები დაეტევა აწი აქანა?! ჩვენ თუ დავრჩებით, არ ვიცი, თვარა... – მხრები აიჩეჩა რაჟიკო ბიძიამ.

– მოძებნე ვალერიკა შოფერი და მაგნაირები დოუტევია?! – შეაგულიანა კაცები ჭაღარა ქალბატონმა, რომელსაც ბომბორა ლეკვი, ჩვილი ბავშვივით ჩაესვა კალთაში.

– იიმე, ბოშო, რავარი კარქი ლეკვუნაა! სა იშოვე, თუ ქალი ხარ? რაც მაგას შვილიშვილები მეხვეწებიან... ხვარ დამითმობ? – თვალები გაუბრწყინდა კაცს, ხელში აიტაცა ლეკვი, ცხვირი ცხვირზე მიადო და ბავშვივით მოუწლიქა ენა: – შენ დეიღუპე საცხა, რავა დახატულს ჰგავხარ!..

– ვერ დაგითმობთ, ჩემო ბატონო, მეც შვილიშვილმა გამომატანა, თან სული გამომაყოლა. მომავალ ზაფხულს რომ ჩამოვა, უნდა დავახვედრო, იმას ენაცვალოს ბებულიკა!.. მარტო ქალი ვარ, იმედივით მიმყავს – დაიყეფებს, სახლს აახმაურებს...

ვიტალიკამ ააჩქარა რაჟიკო ბიძია და თვალი გავაყოლე ქვემოთ ჩასულებს. ურიკაზე მანდარინით სავსე ტომრები ეწყო. მძღოლმა გაიკვირვა: ამდენი მანდარინი სავაჭროთ თუ მიგაქ, აქ უფრო კაი ფულს გააკეთებ, რაჭველებს დიდად არ უყვართ მანდარინი, ტკბილი ხალხი არიენ და ხილიც ტკბილი ურჩევნიათო!..

– რა მიგავს, შე კაცო, ვაჭარს?! ჩემს ბაღში მოკრეფილი ხილი მიმაქვს ნათესავებისთვის. სამი წელიწადია, გონია, არ ვყოფილვარ შინ. ოქრო-ვერცხლი მე არ დამიგროვებია და რაც შევძელი, ის მაინც ჩამატანიე სოფლამდე...

მძღოლმა მხოლოდ მას შემდეგ მოუძებნა ადგილი ტომრებს, რაც ვიტალიკამ ერთ-ერთი პირადად მას უფეშქაშა...

დალაგდნენ და მოისვენეს.

ავტობუსიც, როგორც იქნა, დაიძრა და გავცდით ჭომის ოღრო-ჩოღრო გზას, რომელზეც გავლისას, ლამის ორჯერ ჩავყლაპე ენა და რამდენჯერმე კედელს ვეტაკე თავით, ისე შეხტა ავტობუსი.

– ამ გზით იარეთ სამოთხემდე!.. – უმისამართოდ დაიწყევლა ვიღაცამ.

რაჟიკო ბიძიას სვანურმა ქუდმა ისკუპა და გვერდით სკამზე მჯდომ ახალგაზრდა ქალს ჩაუხტა კალთაში.

– უჰ, მაპატიე, შენი ჭირიმე! – დაირცხვინა კაცმა და ვიტალიკას გაჰკრა კბილი: – რა გახურავს თავზე, ქუდი ვერ იშოვე ქვეყანაზე?!.

– ჩვენებური ქუდია ეს! – ყაბალახი შეიხსნა ვიტალიკამ.

– არ გადამრიო, ბოშო! ამფერი, რაჭველის თავზე არაფერი მინახავს ჯერ, მატყუებ! – გააპროტესტა რაჟიკომ, ხელი წაავლო ყაბალახს, გულდასმით დაათვალიერა და

რატომღაც დაყნოსა კიდეც...

— ე-ეჰ, რაღა დროს ჩემი რაჭველობაა, ჩემო რაჟიკო?! 30 წელიწადია, გურიაში ვცხოვრობ, იქაურებს ჩევესიძე და ქე გადამიყვანეს თავის ჭკუაზე. მაგის დარდმა გადეიყოლა საწყალი მამაჩემი. ქვე გეცოდინება — 7 გოგოს მერე გავჩნდი და ჩემი იმედი ჰქონდა, მარა იმ გოგოების საპატრონო-დასატირებელი გახდა საბოლოოდ: მე ქე გავშპი და წევეი მოუსვლელში...

— გავშპიო-ო?!. რაო, ბოშო, რაო?! — ვერ გაიგო რაჟიკო ბიძიამ და გაკვირვებულმა შეხედა ვიტალიკას. — შენ, გონია, არც ქვე ხარ ის, ვინცხა მეგონე...

— ი-ი ვარ, ი-ი, აპა, ვინ სიკვდილი ვარ, მარა 30 წელიწადია, გურულებში ვცხოვრობ და ქვე გადამიყვანეს თავის ჭკუაზე.

— ერთმა გურულმა ხუთი მილიონი ქართველი გედეიყვანა ჭკუიდან და ერთი რაჭველის შეცდენას რა უნდოდა, მარა მაინც, რაფრა მოგივიდა ამისთანა გლახა ამბავი, შე საწყალო?

— მამაჩემს, ვალიკუნას, რაც მამულები ჰქონდა, შენც ქვე იცი, შიმშილით გვძრობდა სული, რაც თავი მახსოვს. ჰოდა, ჯარში რომ წევედი და ვნახე ქვეყანა, მივხვდი, აღარ ვიყავი უკან დამბრუნებელი...

— გურია შეიქნა მერე, მარტო ქვეყანა, შე კაცო?!

— სამუშაოს საძებრათ დავხეტიალებდი სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ. მანდარინის კრეფამ შემიყოლია ოზურგეთში. ჰოდა, გურულს შენ გამოაპარებ კაი კაცის ცნობას?.. ვისთანაც ვიყავი ბინად, იმან შემომატყუა თავისი გოგო: დამათვრენ უბედური მაკვე ღვინით და დილით ქე გემეღვიძა მასპინძლის ტარაკანასავით შავი მაყვალას მკლავებში... ფაქტზე დაჭერილი, ქვე რაღას ვიტყოდი და ქე დამარქვეს უცებ, ჩასიძებული რაჭველი...

— ეს რა მოგსვლია! არ გიყვარდა ის მაყვალა ალბათ!..

— სიყვარულს რას დეკეძებდი?! კაი ხანს მეშინოდა მისი! იმისთანა შავია, სიბნელეში კბილებით ანათებდა ოთახს და ისე ვაგნებდი... მარა შევეჩვიე მერე... მოკლედ, იმფერი ქალი შემომაჩეჩეს, ალალი რაჭველის მეტი რომ არავინ გაბრიყვდებოდა და არ ითხოვდა...

— ოჯახი რახან იყო სულმოთქმული, ქვე რაღას დეეძებ?..

— ისე ჩემი სიდედრის სულმა იხაროს საიქიოში! ერთი დანგრეული ქოხის მეტი არაფერი ებადათ, მარა, იმასაც სიკვდილამდე მაყვედრიდა — გამზადებულზე მოგიყვანეო!.. ჩემი ხელით აშენებულ სახლში ეზარებოდა ჩემი დანახვა და შემოასკდა გულს... დოლ-„მუზიკით“ გავასვენე, ძაან მოულხინეს მეზობლებმა მის გასვენებაში...

— რა უნდოდა, მაინც რას გიწუნებდა?

— სიძე ვიყავი და სიდედრს მეტი რა მიზეზი უნდოდა სიძულვილისთვის? თან — ნელი ხარო, ქვა რომ გესროლონ, ნაბიჯს არ მოუჩქარეფო... სა მეჩქარებოდა, თვარა — კი. თავათ თუ იჩქარა, რა მეიგო?!.

— ცოლიც ავი გამოგადგა?

— იცის, რომ ვჯობივარ, ბევრმა გააგონა: გეექცევა ე ბულკივით თეთრი ბიჭი, მაგას რავა შეაბერდებაო?! — და დატკბა შაქარივით. ტყუპი ბიჭი გამიგორა — გიორგუნა და ვასიკუნა, მერე — გოგოებიც და ქვე რაღას გეექცეოდი?! თანაც, მაყვალუკასაც შევეჩვიე, ისეთი გლახა აღარ მეჩვენებოდა... ძაან ყოჩაღია, ვაუკაცივით მიდგას გვერდში. სხვაზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ ვცხოვრობთ ნამდვილად, მარა მაინც გლახათ ვარ ამ ბოლო ხანებში, ვერ ვისვენებ, სიზმრებმა გადამრია და... ანდერძი უნდა დავწერო — რა ვიცი, რამე რომ მომივიდეს, იმ მიწაში არ დამმარხონ, რაჭის მიწის ნაწილად უნდა ვიქცე, ჩემი წინაპრების ძვლებს უნდა შევერიო...

— ბიჭო, ცოცხალი გურულებს ემსახურე და კვტარი მოდიხარ რაჭაში?!. მაინც უკბინა რაჟიკო ბიძიამ ვიტალიკას.

— რავა გითხრა, ჩემო რაჟიკო, არადა, სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ოღონდ თბილათ მეგრძნო თავი, კუჭი გამეძღო და იგი მეგონა ჩემი სამშობლო, საცხა ტკბილათ დამეძინებოდა დაღლილს. ახლა დავბერდი და კვტარი მამა მენატრება, ცოცხალი მამა არ გამხსენებია მისდღემჩი ისე... ახალგაზრდებს ვერ გავაგებიებ ამას, არც ჩემი შვილები დამიჯერებენ და მიტო მოვდივარ ახლა: მიწა უნდა მევიმზადო სასაფლაოზე, ჩემი სახელი უნდა დავარქვა და შევეხვეწო ყველას, დამბრუნონ ჩემს მიწა-წყალზე...

ამას რომ ამბობდა ვიტალიკა, ცრემლი სდიოდა ორივე თვალიდან. რაჟიკო ბიძიაც ატირდა და მეც მომებჯინა ყელში ცრემლებით გაჟღენთილი ბურთი... იმაზე დავიწყე ფიქრი, ვიტალიკას ასაკში მეც ასე თუ შემაშინებდა „სხვა მიწაში“ დამარხვის პერსპექტივა და სიმართლე გითხრათ, ვერაფრით მივხვდი, გურია რატომ უნდა ყოფილიყო „სხვა“, რაჭველი — პირველ რიგში, ქართველი კაცისათვის?!.

ასე დადარდიანებული არასოდეს მინახავს მანამდე, რაჭველების ავტობუსი — მძიმედ კვნესოდა და მითუხთუხებდა, ბერიკაციანით მიაჭრიალებდა „ძვლებს“... წინ, მშობლიური მიწისაკენ...

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი ქვეყანაა საძსოფონის სამშობლო?

ა) ბელგია;
ბ) ინგლისი;
გ) აშშ.

2. ვინ არის სოფიკო ჭიაურელის ნათლია?

ა) თენგიზ არჩვაძე;
ბ) რამაზ ჩხიკვაძე;
გ) რობერტ სტურუა.

3. რას ეძახდნენ იაკობ გოგებაშვილს პატარაობაში?

ა) მუშტიას;
ბ) კოდალას;
გ) იას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„მონდებით“ ექიმი და ვახათლებით თუოქოლოგი

ბელა გიორგაძე

ტელეეკრანზე დამკვიდრებას ზაზა დარასელს უმადლის

უკვე 3 წელია, რაც ბელა გიორგაძე პირველი არხის ეთერიდან გვესალმება. არადა, წარმატებული ტელეწამყვანის ბავშვობის ოცნება თურმე, ექიმობა ყოფილა, მაგრამ მოულოდნელად, პროფესიად აღმოსავლეთმცოდნეობა აურჩევია, შემდეგ კი საკუთარი თავი ელექტრონულ მედიაში აღმოუჩენია... ინტერვიუს ჩაწერის დროს დავრწმუნდი, რომ ბელა ცხოვრებაშიც ისეთივე მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია, როგორსაც ტელეეკრანზე ვხედავთ, თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც ხდება ხოლმე — თუ როდის, ამას თავად გაგვანდობს...

ემა ტუხიაშვილი

— ბავშვობაში ექიმობაზე ვოცნებობდი. მქონდა სათამაშო სამედიცინო ჩანთა, სადაც ექიმისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა იყო თავმოყრილი. გამუდმებით დავდევდი ჩემი ოჯახის წევრებს, ზოგს ვითომ სიცხეს ვუზომავდი, ზოგს — წნევას... მართლაც რომ უზრუნველი ბავშვობა მქონდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ მთელ სანათესაოში ასაკით ყველაზე უმცროსი ვიყავი, ამიტომ მანებივრებდნენ და გამორჩეულად მეპყრობოდნენ. ბავშვობის დროინდელი მოგონებებიდან ხშირად ვიხსენებ, თუ როგორ არ მიყვარდა სასაუზო ბაღში სიარული, როგორ მეზარებოდა დილით ადრე გაღვიძება...

— როგორი იყო შენი დამოკიდებულება ტელეეკრანის მიმართ? ბავშვები ხშირად ოცნებობენ იმაზე, რომ დაემსგავსონ „ჯადოსნური ყუთიდან“ მომზირალ ადამიანებს.

— ჩემ ირგვლივ იზრდებოდნენ ბავშვები, ვისაც სარკის წინ ჯდომა და დიქტორის როლში ყოფნა ხიბლავდათ. მე ასეთი რამ სრულებით არ მიზიდავდა. მთელი ბავშვობა ჩემს თავს ექიმად აღვიქვამდი.

— საინტერესოა, პროფესია როგორ აირჩიე?

— ვიდრე სკოლას დავამთავრებდი, ბოლო 2 წლის განმავლობაში, ინტენსიურად ვემზადებოდი სამედიცინო უნივერსიტეტში ჩასაბარებლად. მაგრამ მოულოდნელად გადაწყვეტილება შევცვალე და სბუთები სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიტანე. ახლაც რომ მკითხო, რამ გამოიწვია ჩემში ასეთი რადიკალური ცვლილება, შესაძლოა, ვერც გაგცე პასუხი... ალბათ მივხვდი, რომ ჩემი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, კარგი ექიმი ვერ ვიქნებოდი... აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავირიცხე და თურქული ენის შესწავლა დავიწყე.

— თურქულს კარგად ფლობ?

— მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც ტელევიზიაში მუშაობა დავიწყე და მთელი ჩემი ენერგია და დროის დიდი ნაწილი ამ საქმეს მოვახმარე. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ საფუძვლიანად თურქული ენის შესასწავლად ვეღარ ვიცლიდი, რაზეც ახლა ძალიან ვწუხვარ.

— ისე, რომ დაგჭირდეს, გაქცეულ თურქს ხომ მოაბრუნებ?

— ამას ნამდვილად მოვახერხებ...

— ტელევიზიაში როგორ მოხვდი?

— სტუდენტობისას, ბევრი თავისუფალი დრო მქონდა, რომელსაც მეგობრებთან ერთად ვატარებდი. ამიტომ ჩემს მშობლებს დაებადათ იდეა, რომ სადმე დავსაქმებულიყავი. სწორედ იმ პერიოდში ჩამოყალიბდა მეორე არხი, რომელმაც სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და მაღალი რეიტინგი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ახალგაზრდული არხი, სადაც ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ადამიანი მუშაობდა. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვობაში წერა მიყვარდა, ვადგენდი დღიურებს, მშობლებმა შემომთავაზეს, რომ ჩემი კარიერის დაწყება ტელევიზიაში მეცადა. იმ დროს სახელმწიფო ტელევიზიის თავმჯდომარე, ბატონი არჩილ გოგელია გახლდათ და მეც პირველად, რა თქმა უნდა, მას შევხვდი. სწორედ მისი დახმარებით დავიწყე მუშაობა მეორე არხზე, როგორც სტაჟიორმა. ამ არხს მაშინ, არაჩვეულებრივი პიროვნება — ზაზა დარასელი ხელმძღვანელობდა. ყოველგვარი გადამეტების გარეშე შემიძლია გითხრათ — რომ არა ბატონი ზაზა, დღეს მე საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემის წამყვანი არ ვიქნებოდი. მეტიც, ბატონი ზაზას დამსახურებაა, დღევანდელ ქართულ მედიაში მოქმედი ბევრი ჟურნალისტის წარმატება. ეს ადამინი აბსოლუტური თვითრეალიზაციის შესაძლებლო-

მესმის რეჟისორის ნერვიული ხმა: ბელა, რას შვრებიო?!. იმ დროს, ზაალ უდუმაშვილიც ჩვენთან მუშაობდა...

ბას გვაძლევდა... ძალიან ახალგაზრდა ვიყავი ასაკით, როდესაც ბატონმა ზაზამ საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმე მომანდო. კერძოდ — უნდა ვყოფილიყავი საპარლამენტო გადაცემის — „დარბაზის" ავტორი და წამყვანი. როდესაც ამას დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებ, მეშინია კიდეც — როგორ ავიღე ამხელა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე?.. სხვათა შორის, ამ გადაცემას საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა და მისი ჩვენება პირველი არხის ეთერითაც ხორციელდებოდა.

— თუ გახსოვს, როგორი იყო შენი პირველი „ურთიერთობა" ტელეკამერასთან? ალბათ, ძალიან ნერვიულობდი, არა?

— ახალბედა ჟურნალისტებს კამერის წინ მუშაობისას ხშირად, პანიკური შიში იპყრობთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე ე.წ. კამერის კომპლექსი არასდროს მქონია. მაგრამ როდესაც საინფორმაციო გადაცემის წამყვანი გავხდი და პირდაპირ ეთერში მომიწია გამოსვლამ, ჩემი გამბედაობა მომენტალურად სადღაც გაქრა. ახლაც, როდესაც ამას გიყვები, ისევე განვიცდი იმ მომენტს, როგორც პირველად პირდაპირი ეთერის დროს. რა თქმა უნდა, მანამდე, ორკვირიანი მოსამზადებელი ეტაპი გავიარე და აი, დადგა ის დღე, როდესაც მთავარ საინფორმაციო გადაცემას უნდა გავძღოლოდი... ვიდრე ეთერში გადაცემის „ქუდი" გავიდოდა, ეკრანზე საათი ჩნდებოდა და მისი ისრები 8 საათამდე დარჩენილ წამებს ითვლიდა. როგორც კი ისრების წიკწიკი გავიგონე, უნებლიეთ წამოვდექი, მოვიხსენი მიკროფონიც, „ყურიც" და სტუდიიდან გამოსვლა დავაპირე. არადა, ეთერში გასვლამდე მხოლოდ წამებია დარჩენილი!.. მესმის რეჟისორის ნერვიული ხმა: ბელა, რას შვრებიო?!. იმ დროს, ზაალ უდუმაშვილიც ჩვენთან მუშაობდა. მახსოვს, იმ დღეს, ჩემ წინ იჯდა სტუდიაში და გაოცებული, ჟესტებითა და მიმიკით მეკითხებოდა: რას აკეთებო?!. ბოლოს, ყველაფერი კარგად დასრულდა და პირველმა პირდაპირმა ეთერმა წარმატებით ჩაიარა.

— ახლა რას გრძნობ, როდესაც ეთერში გასვლამდე გადაცემის „ქუდის" მუსიკას ისმენ?

— რა თქმა უნდა, უწინდებურად აღარ ვღელავ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ახლაც, ეთერში გასვლამდე მღელვარებას არ ვგრძნობ. უკვე 3 წელია, საინფორმაციო გადაცემას პირდაპირ ეთერში ვუძღვები, ამიტომ უფრო მეტად ვარ მობილიზებული, მეტი გამოცდილება მაქვს. ეს კიდევ უფრო შესამჩნევია მაშინ, როდესაც ძველი და ახალი გადაცემების ჩანაწერებს ვადარებ ერთმანეთს.

— გიყვარს ძველი, საარქივო მასალების გადახედვა?

— არ მიყვარს, ამას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ვაკეთებ. საერთოდ, არ მიყვარს წარსულისკენ გახედვა...

— როგორც საინფორმაციო გადაცემის წამყვანს, მოგიწია თუ არა ე.წ. იმიჯის შეცვლამ?

— მინდა გითხრა, რომ ამ სახის მოთხოვნა, თავად არხის ხელმძღვანელობის მხრიდან წამოვიდა. ამიტომ შევიცვალე, როგორც ვარცხნილობა, ასევე თმის ფერი.

— ტელევიზია საკმაოდ სწრაფად ხდის ადამიანს პოპულარულს. შენს შემთხვევაში როგორ იყო?

— ტელეეკრანისგან განსხვავებით, ცხოვრებაში მაკიაჟს არ ვიკეთებ, ამიტომ თავდაპირველად, ბევრი ვერ მცნობდა, მხოლოდ ჩემი სახელისა და გვარის გაგონებისას მეკითხებოდნენ — ის ბელა ხომ არ ხარ, რომელსაც საინფორმაციო გადაცემა მიჰყავსო?

— პირდაპირ ეთერში მუშაობისას, ხშირია გაუთვალისწინებელი შემთხვევა, კურიოზული სიტუაცია. შენ თუ გადაგხდენია თავს ასეთი რამ?

— ხშირად გამიხსენებია ინტერვიუს დროს ეს შემთხვევა, მაგრამ სიამოვნებით მოგიყვები კიდევ ერთხელ. ძველი საინფორმაციო გადაცემის ფორმატის მიხედვით, წამყვანს შემდეგი სიტყვებით უნდა წარედგინა მაყურებლისთვის სპორტული მიმიმხილველი: „ახლა კი, სიტყვას გადავცემ ჩემს კოლეგას, დათო მინაშვილს". ერთხელაც, დათოს წარდგენისას ვთქვი: „ახლა კი, სპორტულ ამბებს გაგაცნობთ ჩემი კორესპონდენტი, დათო მინაშვილი". ამ ამბის შემდეგ, დათო ხშირად მეხუმრებოდა: კიდევ კარგი, რომ „ჩემი პირადი კორესპონდენტი" არ მიწოდეო...

— ცხოვრებაშიც ისეთივე მშვიდი და გაწონასწორებული ხარ, როგორსაც ეკრანზე გხედავთ, არა?

— ნამდვილად ასეა, იშვიათად ვკარგავ წონასწორობას. რთულ სიტუაციებშიც კი ვახერხებ, თავი ხელში ავიყვანო. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ ზედმეტად მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ვარ. მაგრამ თუ ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფიალა ამევსო და გამოვედი წონასწორობიდან, იქ უკვე სულ სხვა ბელა იჩენს თავს...

— რამ შეიძლება ეს გამოიწვიოს?

— არ მიყვარს უპასუხისმგებლო და მატყუარა ადამიანები. მირჩევნია, მითხრან სიმართლე.

— ცოტა ხნის წინ, საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობა შეიცვალა, რა ცვლილებებს ელოდებით ჟურნალისტები?

— მაქვს მოლოდინი იმისა, რომ ეს ტელევიზია გაამართლებს თავის სახელს — ჭეშმარიტად საზოგადოებრივი იქნება. ახალი ხელმძღვანელობა ტელევიზიაში სწორედ ამ სულისკვეთებით მოვიდა, საკმაოდ კარგი გუნდი შეიკრა და ვფიქრობ, მიზანი მოკლე დროში იქნება მიღწეული. მოსალოდნელი ცვლილებებისთვის უკვე დიდი ხანია, ვემზადებით — ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ტელევიზიას საზოგადოებრივი არხის სტატუსი მიენიჭა, საინფორმაციო გადაცემებში სოციალურ თემებზე გადავიტანეთ აქცენტი. ახლა კი,

ტელეეკრანისგან განსხვავებით, ცხოვრებაში მაკიაჟს არ ვიკეთებ...

ახალი ხელმძღვანელობის ძალისხმევით, კიდევ უფრო დავიხვეწებით და გავამართლებთ არხისთვის მონიჭებულ სახელს.

— როგორია ბელა გიორგაძე ეკრანს მიღმა, მეგობრების წრეში და ხომ არ გეგმავს ცვლილებებს პირად ცხოვრებაში?..

— ამ ეტაპზე, პირადი ცხოვრების შეცვლას არ ვგეგმავ, თუმცა — ვნახოთ. არაფერს გამოვრიცხავ... რაც შეეხება იმას, თუ როგორი ვარ კადრს მიღმა — სამსახურიდან თავისუფალ დროს, ჩემი მეგობრების ცხოვრებით ვცხოვრობ. ფაქტობრივად, ყოველ საღამოს მათთან ერთად ვატარებ. გვაქვს საერთო ინტერესები, ვიზიარებ მათ პრობლემებს... ვცდილობ, ცოტა დავისვენო, ცოტაც გავერთო — მოკლედ, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ.

— წერის მუზა აღარ გიპყრობს ხოლმე?

— საამისოდ დროც არ მრჩება... თუმცა, ხშირად ვკითხულობ სკოლის დროინდელ დღიურებსა და ჩანახატებს და გულწრფელად მიკვირს, რომ ყველაფერ ამას მე ვწერდი...

— ამ ზაფხულს თუ მოახერხე დასვენება?

— მეგობრებთან ერთად ვისვენებდი ჩაქვში. მანამდე კი, ერთი კვირა, ოჯახთან ერთად გურიაში, ჩემს სოფელში გავატარე და ვიგრძენი, თუ როგორ მომნატრებია ის ადგილები, სადაც ბავშვობა მაქვს გატარებული.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის *უბის წიგნაკიდან:*

1. მუხურიშხა მთაა ბზიფის ქედზე.
2. ფერდინანდ პორშე ავსტრიელი იყო.
3. ლიკა ქავჟარაძე 19 წლის ასაკში გათხოვდა.
4. „მაბზაკუნა“ და „ბოლოქანქარა“ სინონიმებია.

5. „ხუმრობაც ზომაზე იხმარე, როგორც მარილი“, — ამბობდა პითაგორა.
6. სენეკა ლოთობას, „ნებაყოფლობით სიგიჟეს“ ეძახდა.
7. ცელის ერთი მოსმით მოთიბულ ბალახს, ნაფთევი ჰქვია.
8. ნავთიანი, სოფელია თეთრიწყაროს რაიონში.
9. ზვიგენს ყურები აქვს, ოღონდ, ისინი შიგნით, მის თავშია განლაგებული.
10. ვალენტინა ტერეშკოვამ კოსმოსური გაფრენა ხომალდზე — „ვოსტოკ 6“ — შეასრულა.
11. საშუალო ევროპელი ცხოვრების 2,5 წელიწადს ტელევიზორთან საუბარში ატარებს.
12. კუნძულ ტაიტიზე ცხოვრებისას, პოლ გოგენმა 13 წლის ადგილობრივი გოგო მოიყვანა ცოლად.
13. ნარდი 5 ათასი წლისაა. არქეოლოგები მესოპოტამიაში დღესაც პოულობენ დაფისა და კოჭების დეტალებს.
14. „ზოგიერთი მამაკაცი, მხოლოდ ლოყაზე დახატული მშვენიერი ხალით მოკაზმული, შეცდომით „მთელ ქალს“ ირთავს ცოლად“, — ამბობდა სტივენ ლიკოკი.
15. ჩეხ რეჟისორებს „შაბათის შოუს“ მონაწილე ვანო ჯავახიშვილი და მისი ღიმილი ერთხელ მანც რომ ენახათ, ცოტათი მასუქებდნენ და ყოველგვარი სინჯის გარეშე, ყორაღი ჯარისკაცი შეიკის როლს ათამაშებდნენ.
16. ფირისმანი ძირითადად იარმურკაზე, რიყესა და სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობდა. საჭმელ-სასმლისთვის ხატავდა, დალოცვილი.
17. „საკაშვილის რეიტინგი რომ ექვს პროცენტამდეა დაცემული, ეს უკანასკნელმა ვირმა იცის კახეთში“, — ირწმუნება შალვა ნათელაშვილი.
18. „პრინციპიალნოსტ უკრაშაეტ ბიაგრაფუ, ნო ასლაჟნიაეტ ჟიზნ“, — ამბობენ რუსები.
19. „ნე ლუბი დენგი, ობმანუტ! ნე ლიუბი ჟენშინ, ობმანუტ! ვსტავაი უტრომ რანო ი პონნი, შტო ზაკატ პრიხოდიტ ტოგდა, კოგდა ევო სოვსემ ნე ჟდიომ!“ — მოძღვრავდა მჭედელი ჩუდრა ლოიკო ზაბარს ფილმში — „ბოშათა ბანაკი ზეცას მიეგზავრება“.
20. მნიშვნელოვანი გადწყვეტილების მიღე-

«იმ მგლის კბილების შავი ნაიარევი დღემდე მამჩნევია»...



ბიზნესმენის აზრით, ჯიხვზე ნადირობას ქვეყნისთვის დიდი მოგების მოტანა შეუძლია

საინტერესო ადამიანსა და კოლორიტულ ფიგურას, გოგი თოფაძეს, როგორც მეწარმესა და პოლიტიკოსს, ისე იცნობს ფართო საზოგადოება. დავუმატებთ: ბატონი გოგი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე ეროვნული და საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრიც გახლავთ. ამასთან, მრავალფეროვანი ინტერესების მქონე პიროვნებაა. მის გატაცებებს შორის კი, განსაკურებული ადგილი ნადირობას უკავია. ამ სფეროზე საუბრისას, ბიზნესმენი ძალზე აზარტული გახლდათ, თუმცა, საუბრისას, ცოტა პოლიტიკასაც შევეხეთ.

ნუცა თოფჩიშვილი

— **ბატონო გოგი, რა ჰქვია იმ გრძნობას ან იმ ძალას, რომელიც კაცს კომფორტული სახლიდან ტყეღრეში გაიყვანს და სიცივესა და ტალახში კილომეტრების გასავლელად უბიძგებს?**

— არ ვიცი, რა ჰქვია. ალბათ, ბუნების სიყვარული, თავგადასავლის განცდის სურვილი... ნადირობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტია მსოფლიოში. ადამიანი ბუნებასთან კონტაქტს რომ შეეჩვევა, დაინახავს სილამაზეს — ეს დიდი ბედნიერებაა. ეს ალბათ, იმასაც ჰგავს, ალპინისტი მწვერვალზე რომ ავა, გადმოხედავს სივრცეს და ამით უდიდეს სიამოვნებას მიიღებს. ასეა მონადირეც: ბევრს ივლის, რაღაცას მიაღწევს ან ვერ მიაღწევს, მაგრამ მთავარია, რომ ფიზიკურად დაიტვირთება და ამით სიამოვნებას მიიღებს. ზოგი ამბობს — ცოდვა არ არის, ცხოველს რომ კლავს მონადირეო?! ქათამს რომ ვკლავთ, ცოდვა არ არის?!.

— **ისეთ ადგილებში თუ გინადირიათ, სადაც ჩვეულებრივ, მონადირეები ვერ ხვდებიან?**

— ხშირად დავდიოდით სანადიროდ აზერბაიჯანში, ირანის საზღვარზე ძირითადად — ვერტმფრენით. თავის დროზე, ამიერკავკასიის სასაზღვრო ძალების სარდალს თბილისში ჰქონდა შტაბი და ბუნებრივია, მასთან კონტაქტს ვამყარებდით და ისიც დახურულ ზონაში სანადიროდ გვიშვებდა. მთელი კვირით ჩავდიოდით ხოლმე. მაშინ სასაზღვრო ძალები ირანის საზღვრის 300-კილომეტრიან ზოლში იყო განლაგებული. ე.წ. „ზასტავები“ თითქმის ყოველ 40 კილომეტრში იყო. საზღვრის დაცვას დიდი კონტინგენტი ემსახურებოდა და ბუნებრივია, მათ ხორცის ფონდიც ჰქონდათ — ჭამა ხომ უნდოდათ!.. ბევრ ტახს ვკლავდით, ყველა ვერ მოგვქონდა და ნაწილს მათ ვუტოვებდით ხოლმე. სამხედროებს, ხორცის შესაძენად, ფონდიდან ფული გამოჰქონდათ, ჯარს კი ჩვენი ნანადირევით ამარაგებდნენ... ეს გარიგება ჩვენც გვაძლევდა ხელს და მათაც *(იცინის)*... ბევრი საინტერესო რამ მაქვს გასახსენებელი...

— **ნადირობისას ალბათ, მხიარული ამბებიც გადაგხდებოდათ თავს, არა?**

— წარმოშობით მოხევე ვარ და ჯიხვზე ნადირობა მიყვარდა. ყოფილა რთული შემთხვევები. ვასილ პავლოვიჩის *(მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის ცეკას*

პირველი მდივანი. — ავტ.) ვაჟიშვილი, საშა მჟავანაძე მოსკოვში სწავლობდა, მაგრამ სანადიროდ ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. ერთხელ, მთაში წავედით სანადიროდ, ჩვენთან ერთად ძმები ქირიკაშვილებიც იყვნენ. მთაში ამინდმა მოულოდნელად და მკვეთრად გაფუჭება იცის. გაფუჭდა ამინდი — წამოვიდა თოვლი, ამოვარდა ქარბუქი. მწყემსის მიერ ნაშენები, ქვის პატარა ქოხი ვნახეთ. შევცვივდით ამ ქოხში, შევაფარეთ თავი. ვიყინებით, ისე ცივა. საშამ თქვა — პატარა ალუმინის „ფლიაგაში" არაყი მაქვსო. ჩამოვასხით და ვხედავთ — არაყი ლურჯი ფერისაა. დალევის გვეშინია, ვფიქრობთ — არ მოგვწამლოს-თქო. სულ ექვსნი ვიყავით, მაინც არ გვეყოფოდა. ჩვენმა პარტნიორმა, ომარ ლორთქიფანიძემ თქვა — მე გავსინჯავ, არაფერი მომივაო. დალია. ველოდებით, რა მოუვა. გავიდა რაღაც დრო და ვხედავ, კარგად არის. რომ დაინახა, ჩვენც გადავწყვიტეთ დალევა, მოიკუნტა, მუცელზე მოიკიდა ხელი და ყვირილი დაიწყო — ვაი, ვაი, მტკივაო!.. შეგვეშინდა — არიქა, ვუშველოთ, მოიწამლაო!.. მოკლედ, ომარმა შეგვაშინა და სულ თვითონ დალია ის „მოწამლული" არაყი...

— ყველაზე რთული, ფათერაკიანი ნადირობა რომელი იყო?

— ნადირობის დროს ბევრი ფათერაკი გადამხდენია. ერთხელ, მე და საშა მჟავანაძე ჯიხვებზე სანადიროდ წავედით. ზამთარი იყო, წყალი ყინულით იყო დაფარული. ერთი, საკმაოდ დიდი, ხარჯიხვი მოვკალით და ორნი მოვათრევდით პატარა ღელეში, დაღმართზე. დაგვიცურდა ჯიხვი და გაგვიყოლა ორივე. მივცურავთ ყინულიან ღელეში, ორივეს თოფები გვაქვს გადაკიდებული. ჯიხვს ინსტინქტურად ხელს არ ვუშვებდით... ბევრი გვატრიალა, მაგრამ ბოლოს, ჩვენდა ბედად, ეს მკვდარი ჯიხვი (კლდესავით იყო) ქვას შეეჯახა და ჩვენც შევჩერდით. არადა, 10 მეტრში ხევი იწყებოდა და შეიძლებოდა, გადავჩეხილიყავით... ასე რომ, ჯიხვზე ნადირობა სახიფათო და ფათერაკიანია, თან — შრომატევადიც. სხვათა შორის, საქართველოში ჯიხვზე ნადირობას დიდი პერსპექტივა აქვს, ვინაიდან ჯიხვი კავკასიის ბიოტიპია და სხვაგან არსად არის. ყაბარდოში, ბალყარეთში, ოსეთსა და ჩეჩნეთშიც დიდი ბიზნესია გაჩაღებული: უცხოელები ჩადიან და ერთ ნადირობაში 4-5 ათას დოლარს იხდიან. ჩვენ ჯიხვი „წითელ წიგნში" შევიტანეთ და მასზე ნადირობა აკრძალეთ. რა თქმა უნდა, ჯიხვი შესანახია, მაგრამ მისი გავრცელების არეალი მთელი კავკასიაა, თან, ძლიერი ცხოველია, მას ხოხობივით და შველივით იოლად ვერ ამოწყვეტ. შესაძლებელია, მასზე სანადირო მეურნეობის მოწყობა სვანეთში, რაჭაში, ყაზბეგის რაიონში და ეს საკმაოდ დიდ შემოსავალსაც მოიტანს.

— მგლებზე თუ გინადირიათ?

— აი, ფეხზე როგორი ნაიარევი მაქვს *(მიჩვენებს)*... ერთხელ აზერბაიჯანში, ლენქორანის რაიონში ტახებზე სანადიროდ წავედით. ნადირობა რომ იწყება და ძაღლებს მიუშვებ, პირველი, მგელი გამოვარდება და ტყეს აფარებს თავს. მფრთხალია... გახტა მგელი ჩემს ნომერზე, ვესროლე. ცოტა ხანს ირბინა და დავარდა. მკვდარი მეგონა, მოვკიდე ერთ ფეხში ხელი, რომ ამეწია და ამ დროს (ეტყობა, აგონიაში იყო), უკანასკნელად გაიბრძოლა — ფეხზე მიკბინა. ძლივს გავახსნევინე პირი. ეს ამბავი 35 წლის წინ მოხდა და მისი კბილების მიერ დატოვებული შავი ნაიარევი დღემდე მაჩნევია.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლვალილ

უბის წიგნაკიდან:

ბის წინ, სამურაები შვიდჯერ ჩაისუნთქავდნენ და შვიდჯერ ამოისუნთქავდნენ. დროის ეს მონაკვეთი მათ საშუალებას აძლევდა, არ მიელოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილება.

21. „ჩუტ ნე ედინსტვენნი ტრეზვი კუჩერ ვ როსი" — ასე მოიხსენიებენ რუსები მოსკოვში, დიდი თეატრის ფრონტონზე გამოსახულ აპოლონის ფიგურას, რომელიც კვადრიგას მართავს.

22. ბეთჰოვენის გარდაცვალების დღეს, საშინელი ჭექა-ქუხილი იყო. დიდმა მეხსტრომ ლოგინიდან წამოიწია, მუშტად შეკრული ხელი შავი ცისკენ გაიშვირა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმა ვერარ ამოიღო და უსულოდ დავარდა ლოგინზე.

23. რედაქციაში ყურმოკრული ანეკდოტი: მოქმედება მიმდინარეობს რუსეთში. ცოლს უნდა, ლოთი ქმარი დალევას გადაჩვიოს. ერთ დღეს, აბაზანას გაუკსებს არყით და შიგ მკვდარ კატას ჩაუდებს. საღამოს გაგლეჯილი მთვრალი ქმარი ცარიელ აბაზანასთან გდია, კატას წურავს და ეხვეწება: „ეშო კაპელკუ, კისანკ!"

24. ინგლისის სოფელ მარშუტში ყოველი წლის 23 ივნისს იმართება შეჯიბრება ჭინჭრის ჭამაში. გამარჯვებულს უფლება ეძლევა, მთელი წლის განმავლობაში უფასოდ დალიოს ლუდი ადგილობრივ ლუდხანაში. ამ ტრადიციის ისტორია ასეთი გახლავთ: თავის დროზე, ორი ადგილობრივი ფერმერი დანაძლევებულა — ჩემს ნაკვეთში უფრო დიდი ჭინჭარი იზრდება, ვიდრე შენსაშიო. მან ხუთი მეტრი სიგრძის ჭინჭარი მოიტანა და განაცხადა — თუ ვინმე უფრო დიდ ჭინჭარს მოიტანს, მზად ვარ, შევჭამო ის ჭინჭარიო. მეორე ფერმერმა უფრო დიდი ჭინჭრის მოტანა შეძლო და პირველი ფერმერი იძულებული გახდა, სიტყვა შეესრულებინა.

25. ვახუშტი კოტეტიშვილი საკუთარ სოფელ კავთისხევში საპატიო სოფლელად აირჩიეს და მიწის ნაკვეთი გამოუყვეს. ამ ნაკვეთს სოფელი გუდალეთი გადაჭურებს და ულამაზესი ხედია. 12 წელი აშენებდა სახლს და საშველი მაინც არ დადგა. იმხანად, ბატონი ვახუშტი ერთ-ერთი საზოგადოების პრეზიდენტად აირჩიეს, რასთან დაკავშირებითაც, ასეთი ლექსი დაწერა: „ვახუშტიმ ჩაიდუდუნა, ცუდი დამიდგა დრო-ხანი, სახლი ვერ ჩავდგი გუდალეთს, ვერ მოვამთე ძროხანი, ვერ მოვამრავლე ფუტკარი, ვეღარც ნაკვეთი მოვხანი, ცოლ-შვილ ტიტვლები დამიდის, აღარც მე მაცვაკ ფოხანი, მე ჩემდა თავად ეგეთი პრეზიდენტობა ...!" P.S. ჰა, როგორია?! „...დროხანი" „...ძროხანი", „...მოვხანი" „...ფოხანი" და „....!"



დაიჯერებ, რომ აზერბაიჯანის საზღვარზე ერთი ნადირობისას 27 ტახი, 6 მგელი და ერთი დათვი მოკვალით?.. (გოგი თოფაძე მარჯვნივ)

— ნადირობის მოყვარულს, საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ, მთელი კავკასია გაქვთ მოვლილი და საზღვარგარეთაც გინადირია. რით განსხვავდება იქ და აქ ნადირობა?

— ევროპის ბევრ ქვეყანაში ბელურაც კი აღარ დაფრინავს... ბევრი მინადირია ევროპაშიც და სხვა ქვეყნებშიც. იქაური ნადირობა ძალზე ხელოვნურია: დაგაყენებენ ერთ ადგილზე და გეტყვიან — აქ ესა და ეს ცხოველი ჩამოივლის ამა და ამ დროს და ამა და ამ მანძილიდან უნდა ესროლო. ეს არ არის ნადირობა...

— ფასიანია ნადირობა?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ესპანეთში დათვისთვის ერთი გასროლაში 4.200 ევროს გადაგახდევინებენ. თუ არ მოკალი და მხოლოდ სისხლი წამოუვიდა, მაინც მთლიანად უნდა გადაიხადო ეს თანხა; დათვი რომ დაინახო, ესროლო და ვერ მოარტყა, ნახევარი უნდა გადაიხადო. იგივე ხდება ტახთან დაკავშირებითაც. ჩვენ ჯიხვზე უფრო მაღალი ფასი უნდა დავაწესოთ, რადგან ეს კავკასიის ბიოტიპია.

— თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, ნადირობის, როგორც სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარების რა პერსპექტივას ხედავთ?

— მარტო შარშან, 3 უცხოური ჯგუფი მყავდა სტუმრად: 2 — იტალიიდან და 1 — ავსტრიიდან. დიდი ინტერესი გამოთქვეს ამ ბიზნესით და არა მარტო მათ. ნადირობის ბიზნესი ალბათ, უნდა განკერძოვდეს: სახელმწიფო ბიუჯეტი ამას ვერ იტვირთებს: ძველი, სამონადირეო მეურნეობა გაპარტახებულია. მისი აღდგენა, ეგერების შენახვაა საჭირო, სათანადო, თანამედროვე სასტუმროებიც უნდა აშენდეს, რათა უცხოელები ჩამოვიდნენ. შეგვიძლია შევთავაზოთ კომპლექსური ნადირობა მთაში — დათვსა და ჯიხვზე (ძალიან მომრავლებულია დათვი და მგელი); ჭალებში — ღორზე, ხოხობზე, კაკაბზე. ზამთრის პერიოდში, გადაფრენის დროს, ბევრია იხვი, ტყის ქათამი... უცხოეთში მგელზე სანადიროდ ბევრი დადის, უყვართ ეს სპეციფიკური ნადირობა. ჩვენ კი მგლებზე ნადირობისთვის ჯარიმები დავაწესეთ — არადა, ხომ ნახეთ, რა უბედურება მოხდა დუშეთში!.. ბევრ რაიონში, განსაკუთრებით იქ, სადაც მეცხოველეობაა განვითარებული, ძალიან მომრავლებულია მგელი. მასზე ნადირობა საოცრად საინტერესო და აზარტულია. უცხოელები ექსტრემალები არიან, მწვავე განცდებს ეშურებიან, ნადირობისას წვალება, კლდეზე ცოცვა, მთის წვერზე მოკლული ჯიხვის ან არჩვის მონადირება სურთ... ამის დიდი ინტერესი აქვთ და უნდა გამოვიყენოთ. შეიძლება, ერთკვირიანი ტური დავაწესოთ: 4-5 დღე ნადირობას მოვანდომოთ, 1-2 დღე კი ჩვენი შესანიშნავი ძეგლების დათვალიერებას დავუთმოთ. ჩემი აზრით, ეს რაღაც პროგრამაში უნდა ჩაჯდეს, მკაცრი კონტროლის დაწესებით — ისე კი არა, ქარხნები საჩუქრად რომ დავარიგეთ და მერე დანადგარები და დაზგები ჯართად გაიყიდა...

— მონადირეებს საქმეში გამოცდილი, საყვარელი თოფები აქვთ. თქვენ რომელ თოფებს ანიჭებთ უპირატესობას?

— ბევრ მონადირეს ვიცნობ, რომელიც უნიკალური თოფებით — „ჰოლანდ-ჰოლანდით“ „ჩერჩილით“, „ლეგოთი“ და სხვა ცნობილი ფირმების იარაღით ტრაბახობს. მაგრამ ჩემი აზრით, ეს უფრო „კედლის თოფებია“. რუსებმა რამდენიმე საქმე კარგად იციან, მათ შორის — იარაღის კეთება. „კალაშნიკოვმა“ ნახევარი მსოფლიო ამოწყვიტა და ჯერ ანალოგი ვერ მოუძებნეს... მე ყოველთვის რუსულ — იჟევსკის ქარხნის თოფებს ვხმარობდი, რუსული კარაბინებიც მაქვს. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ თოფებით. ყველა ნადირს თავისი თოფი სჭირდება და ამის საშუალებაც მაქვს...

— თუ თქვენთვის გასახსენებლად მძიმე არ იქნება, თქვენს შვილზე, ლევანზეც მოგვიყევით: ამბობენ, კარგი მონადირე იყოო.

— მართლა კარგი მონადირე იყო. შოთა ტყემალაძესთან მეგობრობდა. შოთა ჩემი მშობლების უმცროსი მეგობარი იყო, მერე — ჩემი უფროსი მეგობარი გახდა და ბოლოს, ლევანზე გიყდებოდა. სულ ერთად დადიოდნენ ჩეჩნეთში სანადიროდ. სულ გზაზე იყვნენ გადებული. კარგი მონადირე იყო ლევანი, ძალიან უყვარდა ნადირობა. ტრაგედიამ იმსხვერპლა შესანიშნავი, კარგი ბიჭი...

— ისეთი დაუჯერებელი შემთხვევა თუ გქონიათ, სხვის მონაყოლს რომ არ დაიჯერებდით?

— დაიჯერებ, რომ აზერბაიჯანის საზღვარზე ერთი ნადირობისას 27 ტახი, 6 მგელი და ერთი დათვი მოკვალით?.. ასეც ხდება. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იქ სარეზერვო ზონა იყო, დაცული, ჯაშუში რომ არ გადმოსულიყო. ეს არის არაქსამდე ერთი კილომეტრით შემოსაზღვრული ზონა, საიდანაც ნადირი ვერ გადიოდა და მისი დახოცვა ადვილი იყო.

— რა არის თქვენი ისეთი ოცნება, რომლის ასრულებასაც ისურვებდით?

— ჩემი ოცნება არის და იქნება, ჩემი ქვეყანა ვნახო გალაღებული და გამდიდრებული, გამთლიანებული. ეს ალბათ, ყველა ქართველის ოცნებაა. უკანასკნელი წლები, ქვეყნის გაურკვეველი და გაუგებარი მართვისას (კომუნისტურ და შემდგომ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდს ვგულისხმობ), ვერაფერი გავაკეთეთ. მაშინ, როცა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ყველაფერი წინ მიდიოდა, შენდებოდა, ჩვენ სტაგნაცია გვქონდა. ამას წინათ, ჩვენს პრეზიდენტს ვახლდი ყაზახეთში, მერე — აზერბაიჯანში ვიყავი, გუშინწინ თურქეთიდან ჩამოვედი, ხშირად ვარ სომხეთში. ვხედავ, ყველგან ყველაფერი წინ მიდის, ჩვენთან კი ყველაფერი დამუხრუჭებული იყო, აბსტრაქტული კანონები მივიღეთ, ჩავკალით სოფლის მეურნეობა, მრეწველობა. ამ ყველაფერს ხომ აღდგენა უნდა. ამაზე მიკვდება გული. მე იმ თაობის კაცი ვარ, გალაღებული საქართველო რომ ახსოვს. ნებისმიერ სოფელში, სანადიროდ ჩახვიდოდი თუ სტუმრად, სულითა და გულით გაგიმასპინძლდებოდნენ. ეამაყებოდათ, სტუმარი რომ ჰყავდათ. ამ უკუნეთსა და სიბნელეში ჩაფლულები, დღეს გემალებიან... მენატრება ძველი თბილისი, ძველი საქართველო. დამერწმუნეთ — თუ სწორ გზას დავადექით, ვიღაც-ვიღაც მრჩევლებს ხელი ავუქნიეთ და ჩვენი სტრატეგია გამოვიმუშავეთ, 2-3 წელიწადში საქართველო არნახულად წავა წინ...

■

ჭინჭრის ციება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ჭინჭრის ციების დიაგნოზის დასმა საკმაოდ ადვილია. ამობურცული, წითელი გამონაყარი ისე ჰგავს ჭინჭრით დასუსხულს, რომ მის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება იყოს. თუმცა ამავდროულად, ჭინ-ჭრის ციების დიაგნოზის დასმა ძალზე რთულიცაა... აქ არაფერია ურთიერთსაწინააღმდეგო: ჭინჭრის ციება საოცრად მარტივი და ამავდროულად იდუმალი დაავადე-ბაა.

დაავადების მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. თუმცა, ერთი რამ უდავოა – ეს ალერგიაა.

მწვავე ჭინჭრის ციებას საფუძვლად უდევს ალერგიული რეაქცია წამალზე, საკვებზე, კოსმეტიკაზე, ოთახის ან ყვავილის მტვერზე. ეს ალერგენები ორგანიზმში ძირითადად საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან ხვდება, თუმცა შესაძლოა, ჭინჭრის ციება, ალერგენის შესუნთქვით ან კანთან მისი კონტაქტის დროსაც განვითარდეს. ასეთი სახის ჭინჭრის ციება იოლად დასადგენი და სამკურნალოა: საჭიროა ალერგენის დაზუსტება და მასთან კონტაქტის გამორიცხვა. თუ ამას სწრაფად და ზუსტად გააკეთებთ, შესაძლოა, ჭინჭრის ციების პირველი შეტევა თქვენთვის უკანასკნელი იყოს – ადამიანი ერიდება ალერგენს და ჭინჭრის ციება აღარ ემართება. ჭინჭრის ციების ასეთი გამწვავება მალევე – 1-2 დღეში გაივლის. სამკურნალოდ ანტიჰისტამინური საშუალებები გამოიყენება.

ზოგჯერ ალერგიული ჭინჭრის ციება ხანგრძლივდება – ერთ შეტევას, მცირე შესვენების შემდეგ, მეორე მოსდევს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ალერგენის განსაზღვრა შეუძლებელია და მასთან კონტაქტი გრძელდება, ანდა როცა ავადმყოფს ერთდროულად რამდენიმე ნივთიერებაზე აქვს ალერგია და თითოეულ მათგანს შეუძლია ჭინჭრის ციების გამოწვევა.

მაგრამ ასეთი დაავადების მკურნალობაც უფრო მარტივია, ვიდრე ქრონიკული ჭინჭრის ციებისა. მის დასახელებას მედიკოსები ჩვეულებრივ, უმატებენ ტერმინს „იდიოპათიური“, რაც სიტყვასიტყვით იმას ნიშნავს, რომ ჭინჭრის ციების მიზეზი დაუდგენელია.

ძირითადი ანტიჰისტამინური პრეპარატები

პრეპარატი	დღის განმავლობაში მიღების რაოდენობა	სედაციური (საძილე) ეფექტის არსებობა
პირველი თაობის პრეპარატები		
სუპრასტინი	3-4	აქვს
ტავეგილი, კლემასტინი და სხვა (ყველა პრეპარატი შეიცავს კლემასტინს)	2	აქვს
დიმედროლი, ალერგინი (შეიცავს დიფენჰიდრამინს)	3-5	აქვს
პიპოლფენი, დიპრაზინი	3-4	აქვს
ფენისტილი	2-3	აქვს
ფენისტილი 24	1	აქვს
მეორე თაობის პრეპარატები		
სემპრექსი, აკრიდილოლი	3	იშვიათად აქვს
კესტინი	1	იშვიათად აქვს
კლარიტინი, კლაროტადინი კლარიდოლი	1	პრაქტიკულად არ გააჩნია
ზირტეკი, ალერტეკი, ლეტიზენი	1	პრაქტიკულად არ გააჩნია
ტელფასტი	1	პრაქტიკულად არ გააჩნია

რთულია სამკურნალოდ

ქრონიკული იდიოპათიური ჭინჭრის ციება საკმაოდ რთული სადიაგნოსტიკო და სამკურნალოა. მის განვითარებაში ბევრი მექანიზმი და დაავადებაა ჩართული. ეს შეიძლება იყოს: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნებისმიერი პრობლემა, ენდოკრინული დაავადებები, ინფექციები, სხვა პათოლოგიები. ზოგჯერ ჭინჭრის ციება შესაძლოა, ონკოლოგიური დაავადების პირველი გამოვლინება იყოს და მაშინ მდგომარეობაში გასარკვევად მთელი ორგანიზმის ღრმა და სერიოზული გამოკვლევაა საჭირო. ასეთი ავადმყოფის მკურნალი ექიმი საკმაოდ გამოცდილი უნდა იყოს და უმჯობესი იქნება, თუ მსგავსი პაციენტი ალერგოლოგს მიმართავს.

გარეგნული მსგავსების მიუხედავად, ქრონიკული ჭინჭრის ციების მექანიზმი რადიკალურად განსხვავდება მწვავესაგან. დაავადების განვითარების მექანიზმი უკავშირდება „ღრუბლისებურ უჯრედებს“, რომლებიც სავსეა ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით. „აფეთქებისას“ ისინი გადმოისვრიან იმ ნივთიერებებს, რომელთაგან მთავარი, ჰისტამინია. სწორედ იგი იწვევს ქავილს და ზრდის სისხლძარღვთა კედლების განვლადობას, რის გამოც სისხლის თხიერი ნაწილი გაივლის კედელს, ხვდება კანქვეშა სივრცეში და იწვევს შეშუპებებს – სწორედ ეს გახლავთ ჭინჭრის ციების ტიპური გამონაყარი. ძალზე ხშირად, ღრუბლისებური უჯრედის გახსნას იწვევს ჰისტამინოლიბერატორები ანუ „ჰისტამინის გამათავისუფლებლები“. ასეთი ლიბერალური თვისებებით ხასიათდება შოკოლადის, მარწყვის და სხვა ალერგენული პროდუქტების შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები.

მარტივი ჭინჭრის ციება თავისთავად გაივლის ხოლმე. ჩვეულებრივ, მის სამკურნალოდ ანტიჰისტამინურ პრეპარატებს ნიშნავენ. რთულ შემთხვევაში კი, გლუკოკორტიკოიდულ ჰორმონებსაც იყენებენ.

ცხოვრება შვებულების შემდეგ

რთული პერიოდი უდგას ადამიანს, რომელსაც შვებულება დაუმთავრდა. ჯერ კიდევ გუშინ, მოდუნების საშუალება ჰქონდა, დღეს კი გადაუდებელი საქმეები და პრობლემების კორიანტელი ახვევია თავს. როგორ დავუბრუნდეთ საქმიანობას ისე, რომ შეცდომები არ დავუშვათ? როგორ გავუმკლავდეთ შვებულების შემდგომ დეპრესიას?..

შვებულების შემდეგ სამსახურში გამოცხადებისას, ბევრნი თავში ხელს შემოირტყამენ და დაიჩივლებენ ხოლმე — ნეტავ, საერთოდ არ დაგვესვენაო!.. პარადოქსია — უსაქმოდ გატარებული დღეების შემდეგ, ჩვენს აქტივში სიმხნევე, ტონუსი და მთის გადაბრუნებისკენ სწრაფვა კი არა, თავის ტკივილი, გაღიზიანებულობა და სრული აპათიაა. ფსიქოლოგები ასეთ მდგომარეობას შვებულების შემდგომ დეპრესიას უწოდებენ და მას „არასწორი" შვებულების კანონზომიერ შედეგად მიიჩნევენ. ყველაზე ხშირად, შვებულების შემდგომი დეპრესია მცირე ბიზნესის წარმომადგენლებსა და ე.წ. ლიბერალური პროფესიების წარმომადგენლებს — ექიმებს, ადვოკატებსა და ჟურნალისტებს ემართებათ.



სწორი დასვენება

შვებულებისას, ადამიანმა უნდა შეძლოს, ერთი სახის საქმიანობიდან მეორეზე მთლიანად გადართვა. მთავარი პრობლემა, სამუშაოს დავიწყებაა. თუ ყოველ წუთს თანამშრომლებს ურეკავთ და გონებაში სამსახურებრივი სიტუაციები გიტრიალებთ, ამგვარად თქვენ თავად ჰპარავთ საკუთარ თავს დასვენების უძვირფასეს საათებს. გარდა ამისა, ორი ამოცანის გადაჭრის მცდელობა — კიდეც დაისვენოთ და თან, სამუშაო პროცესიც გააგრძელოთ, — შესაძლოა, ქრონიკული დაავადების გამწვავების მიზეზი გახდეს.

დამსვენებლის მეორე პრობლემაა — დასვენების ხანგრძლივობა: სპეციალისტთა აზრით, ცოტა ხნით დასვენებას სჯობს, საერთოდ არ დაისვენოთ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „შვებულების მინიმუმი" ორ კვირას შეადგენს: პირველი კვირა ახალი პირობების ადაპტაციას — დღის რეჟიმის შეცვლას, ახალ კლიმატთან და გარემო პირობებთან შეგუებას სჭირდება, მეორე კვირა კი — დასვენებას. სასურველი იქნება, თუ კიდევ ერთ კვირას რეკლიმატიზაციისთვის — ცხოვრების ჩვეულ პირობებში დასაბრუნებლად შემოინახავთ.

საკმაოდ გავრცელებული შეცდომაა, დასვენება სხვის „კომპანიონად". ასეთ დროს, იძულებული ხართ, საკუთარი სურვილისამებრ კი არა, სხვისი გეგმების შესაბამისად გაატაროთ დრო. ამიტომ უმჯობესი იქნება, საჭიროების დროს, მტკიცე უარის თქმა ისწავლოთ.

მოთელვა სტარტის წინ

მაშინაც კი, თუ მართლა შეძელით



დასვენების პერიოდში სიტყვა „სამუშაოს" დავიწყება, სამსახურში მაინც მოსალოდნელია გართულებები. ბევრი ცდილობს, ერთბაშად აქტიურად ჩაებას სამუშაო პროცესში და დაგროვილი პრობლემები ერთიანად გადაჭრას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ ღირს აჩქარება. ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მუშაობის პირველსავე დღეს: შეიძლება, შეცდომები დაუშვათ. გერმანელმა მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ დასვენების შემდეგ, ადამიანის გონებრივი კოეფიციენტი 20 პუნქტით ქვეითდება. ამიტომ მიეცით საკუთარ თავს დრო გონების გასააქტიურებლად.

სამსახურში გასვლის მომენტი მინიკრიზისად უნდა ჩავთვალოთ და მას სერიოზულად მივუდგეთ. საკუთარი სამუშაოთი და საერთოდ, ცხოვრებით უკმაყოფილება ყველაზე მკვეთრად სწორედ შვებულების შემდგომ ვლინდება. ესპანელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მათი თანამემამულეების 35%-ზე მეტი სისტემატურად ვარდება შვებულების შემდგომ დეპრესიაში. ასეთი „მასობრივი

მატროსი, ანუ ...	ნარდის სათამაშო ძვლის პატარა კუბი	ცალკე სადგომი სასტუმროში	გაზაფხული შემოსულა ...	მსახიობი მარლენ ...	გამის ნოტა
ბეზოვსკი		

| ფარი | ბოდა |

პირის ნაცვალსახელი	მლაშე წყლის მასა, უერთდება ოკეანეს	ერთბორბლიანი ხელის საბიდარი	სახარების ერთ-ერთი ავტორი	მსახიობი ... ვენტურა	შტატი აშშ-ში	მონო, დი, ...	ფათერაკი, სა

მოწყენილობის“ მიზეზად მეცნიერები იმას მიიჩნევენ, რომ ესპანელთა მხოლოდ 5%-ია კმაყოფილი საკუთარი სამსახურით. ნუ ჩათვლით მსგავს მოვლენებს საკუთარ სისუსტედ: ასეთი პრობლემები ძლიერი, ცხოვრებასა და ბიზნესში წარმატებული ადამიანების წინაშეც წამოიჭრება ხოლმე.

ცხოვრება მშვენიერია!

როგორ გავუმკლავდეთ ასეთ დეპრესიას?.. პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მუშაობა მაინც მოგვიწევს. დავიწყოთ მარტივი საქმიანობით, რომელიც ყურადღების დიდ კონცენტრაციასა და გონების განსაკუთრებულ დაძაბვას არ მოითხოვს. შესვენებისას უამბეთ კოლეგებს შვებულების სასიამოვნო მომენტები, უჩვენეთ ამ დროს გადაღებული ფოტოსურათები და აჩუქეთ სუვენირები — ეს არცთუ ისე ცუდი „პროგრამა“ იქნება პირველი სამუშაო დღისათვის.

მეორე: გააფრთხილეთ ოჯახის წევრები, რომ თქვენი გალიზიანება, მათთან არანაირ კავშირში არ არის. სხვათა შორის, ბედნიერ ქორწინებაში მყოფი ადამიანები იოლად უმკლავდებიან სამსახურებრივ პრობლემებს, რადგან ყოველთვის აქვთ ახლობლების მხარდაჭერის იმედი.

მოწყენილობისას მნიშვნელოვანია საკუთარი „დადებითი რესურსების“ მოძიება: ზოგს ხანგრძლივი სეირნობა ამშვიდებს, ზოგს — გასართობი სანახაობები. სასურველია თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან კონტაქტიც. სკანდალურ მეზობლებსა და ავყია ნათესავებს კი, მაქსიმალურად მოერიდეთ.

ტონუსის მიმატებაში დაგეხმარებათ ფიზიკური ვარჯიშიც. მეტისმეტად ნუ დაიტვირთებით. დასაწყისისთვის, სტატიკური ვარჯიშებიც საკმარისია.

კიდევ ერთი „ეშმაკობა“ — დილით, ჩვეულებრივზე 20-30 წუთით ადრე ადექით. ეს ფასეულობების გადაფასების, ახალ გარემოებებთან შეგუებისა და მომავალ შვებულებაზე ოცნების საშუალებას მოგცემთ.

რატომ არის სიყვარული ბრმა

ალბათ, ხშირად გსმენიათ ამგვარი გამონათქვამები: „ეს რომ მცოდნოდა, ცოლად არ გავყვებოდი...“; „ეს რა სისულელე ჩავიდინე!“; „ხომ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მიმატოვებდა?!“... საქმე ის გახლავთ, რომ ამ სიტყვებს მართლაც საღი აზრი უდევს საფუძვლად, სიყვარული კი სწორედ იმით არის მომხიბლავი, რომ შორს დგას ობიექტურად აზროვნებისგან. ხშირად, ყველაზე ღრმა და არაჩვეულებრივი სიყვარულიც კი, თუ იგი ქორწინებით გვირგვინდება, მომხიბვლელობიდან თანდათან პროზაულ ყოველდღიურობაში გადადის და ეს თითქმის გარდაუვალია!

ქალებს ხშირად ეჩვენებათ, რომ სიყვარული ჩაიფერფლა, რადგან გულის სწორი შეიცვალა, სხვაგვარად ლაპარაკობს, სხვაგვარად იქცევა და იმზირება... სინამდვილეში, ის კი არა, თქვენი შეხედულებები შეიცვალა მასზე! საქმე ის არის, რომ „სიყვარულის ვირუსით“ შეპყრობილი ადამიანი გარშემო ვერავის და ვერაფერს ამჩნევს, თავისი მიჯნურის გარდა. ფსიქოლოგები ამ ფენომენს „შეზღუდულ ცნობიერებას“ უწოდებენ. მაგრამ შეუძლებელია, ადამიანი სულ იწვოდეს და იფერფლებოდეს. ჰოდა, იწყება იმ ღირებულებათა ნგრევა, რომლის გაიდეალებასაც ახდენდა მიჯნური თავის გულის სწორში. ცნობილია, რომ როგორი მშვენიერიც არ უნდა იყოს სიყვარული, იგი ბრმაა და ადამიანს ობიექტურად აზროვნების უნარს ართმევს, ხოლო როცა სიყვარული ქრება, საღი აზროვნება ბრუნდება და უკვე... ძალზე გვიანია. რომანტიკა ყოველდღიურობაში იკარგება.

კონფლიქტების უმეტესობას ხშირად ერთი და იგივე საფუძველი აქვს: თქვენი პარტნიორი თავისი საქციელითა და ცხოვრების წესით გიჩვენებთ, რომ სავსებით მშვიდად შეიძლება ცხოვრება იმ ღირებულებების გარეშეც, რაც თქვენთვის ასეთი მნიშვნელოვანია. შესაძლოა, ცოლს გათხოვებამდე ოჯახური ცხოვრება ორი მოსიყვარულე მტრედის ღუღუნად წარმოედგინა, რეალობამ კი ეს ილუზია დაუნგრია, ვინაიდან ქმარი სულ სხვაგვარად აღიქვამს ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას და ძვირად უღირს თავისი დამოუკიდებლობა, მეგობრები, სამსახური და ა.შ.

ისიც ცნობილია, რომ ადამიანის გადაკეთება შეუძლებელია. ამიტომ, კონფლიქტის დროს, ქალი უნდა შეეცადოს, მიხვდეს, თუ რა არ მოსწონს და



აღიზიანებს ქმრის ხასიათში. მაშინ ცხადი გახდება, რომ მისი ქმარი უბრალოდ არ ჯდება იმ იდეალურ ჩარჩოებში, რომელიც მან თავის წარმოდგენაში შექმნა. ცოლქმრული ცხოვრების სტერეოტიპი კი ქალსა და მამაკაცს სხვადასხვანაირი აქვთ.

ამიტომ, პირველ რიგში ადამიანი უნდა შეეცადოს, არ გააიდეალუროს პარტნიორი, თანაც ეს რთული სულაც არ გახლავთ. ნუ ეცდებით მეუღლის გადაკეთებას და ამავე დროს, შეინარჩუნეთ თქვენი ინდივიდუალობა. ნამდვილი სიყვარული ღირს იმად, რომ ადამიანი გაისარჯოს...

| | | |

რა არის ცნობილი ელია წინასწარმეტყველის ხალენის საქართველოში მოხვედრის შესახებ?

ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდეა ელია წინასწარმეტყველის ხალენი (მოსასხამი, რომლის ზუსტი, ზედმიწევნითი აღწერა არც ერთ ლექსიკონში არ გვხვდება), რომელიც საქართველოშია დაცული. „მცხეთაში, საკურთხევლის მარჯვნივ (იგულისხმება სვეტიცხოვლის საკურთხეველი) არის ელია წინასწარმეტყველის ტრაპეზი. ჩვენი წინაპრები ამბობენ, რომ სწორედ აქაა დაფლული ეს უდიდესი სიწმინდე“, — ბრძანებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ეი. ელია წინასწარმეტყველის ხალენი დავანებულია სვეტიცხოვლის (წმინდა მოციქულთა სახელობის) ტაძარში, ე.წ. თეზბიტელის სამლოცველოში. სავარაუდოდ, ის დაფლულია სამლოცველოს დასავლეთ კედლის საძირკველში, სადაც ის უფლის მეორედ მოსვლამდე იქნება დაცული — ისევე, როგორც უფლის კვართი.

შორენა მერკვილაძე



ვინ იყო ელია წინასწარმეტყველი?

ელია „ძველი აღთქმის“ ერთ-ერთი წინასწარმეტყველია. „წმინდა წერილში“ ცნობები მის შესახებ პირველად გვხვდება „მესამე მეფეთა“ წიგნის პირველ მუხლში. წარმოშობით ელია წინასწარმეტყველი ლევიტელთა ტომიდან, ქალაქ თეზბედან გახლდათ. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ზედწოდება — თეზბიტელი. ოჯახი, რომელშიც ელია დაიბადა, უარყოფდა იმდროინდელ ისრაელში გავრცელებული ბაალის (ფინიკიური ნაყოფიერების ღმერთი) კერპს და ჭეშმარიტი ღმერთის რწმენას აღიარებდა. სწორედ ჭეშმარიტი ღმერთის რწმენის აღიარების გამოვლინება იყო სახელი, რომელიც მომავალ წინასწარმეტყველს უწოდეს — ელია, ელიაჰუ, — რაც ნიშნავს: „უფალი ღმერთი ჩემი“.

ელია წინასწარმეტყველის მოღვაწეობა, ისრაელი ერისთვის ძალზე მძიმე და სახიფათო ჟამს დაემთხვა. როგორც აღვნიშნეთ, იმდროინდელ ისრაელში გავრცელებული იყო ბაალის კერპისადმი თაყვანისცემა *(მისდამი თაყვანისცემა ხდებოდა უზნეო ორგიებითა და ადამიანთა მსხვერპლთშეწირვით)*. ამ პერიოდში, ისრაელში მეფობდა მეფე აქაბი, რომელმაც თავისი ცბიერი და ძალაუფლების მოყვარე, წარმართი თანამეცხედრის — დედოფალ იეზებელის გავლენით, დაივიწყა ჭეშმარიტი ღმერთი და თაყვანს სცემდა უცხო კერპებს, კერძოდ — ბაალს. წარმართმა დედოფალმა მეფეს ისრაელის დედაქალაქ სამარიაში, ფინიკიელთა ღმერთებისთვის საკურთხეველი და ტაძარიც ააგებინა, ამასთანავე, სასტიკად სდევნიდა და ხოცავდა იუდეური სარწმუნოების მიმდევრებს. მეფე აქაბის მაგალითს მიჰბაძა ერის დიდმა ნაწილმა. ასე გავრცელდა ისრაელში ბაალის კერპისადმი თაყვანისცემა. სწორედ ამ პერიოდში — როდესაც ხალხის არჩევანი ბაალსა და ჭეშმარიტ ღმერთს შორის მერყეობდა, ჩნდება ელია წინასწარმეტყველი, რომელმაც რამდენჯერმე ამხილა უსჯულოებაში მეფე და დედოფალი (თავისი საქმიანობით ის ცდილობდა, ჭეშმარიტებისკენ მოექცია კერპმსახურების წყვდიადში მყოფი ერი). მაგრამ მათ უზნეო ცხოვრება და ბაალისადმი თაყვანისცემა არ შეუწყვეტიათ.

როგორც ცნობილია, ელია წინასწარმეტყველი ღმერთმა ცოცხლად აღიტაცა ზეცად, ცეცხლოვანი ეტლით: „აჰა, ეტლნი ცეცხლისანი და ცხენნი ცეცხლისანი. და განეშორენ იგინი ურთიერთსა და აღიტაცა ელია ძვრით ზეცად“, — ვკითხულობთ „IV მეფეთა“ წიგნის მეორე თავის მეთერთმეტე მუხლში. ელიას ზეცად აღტაცებისას, მასთან იმყოფებოდა მისი მოწაფე — ელისე წინასწარმეტყველი, რომელსაც ელია წინასწარმეტყველმა თავისი ხალენი დაუტოვა (ზეცად ამაღლების დროს ჩამოუგდო: „და მიიღო ელისემ ხალენი იგი ელიასი, რომელი დაეცა მის ზედა“ (IV მეფეთა 2, 13). ამიერიდან ელისეს ერგო არა მარტო ელიას ხალენი, არამედ წინასწარმეტყველების განსაკუთრებული ნიჭიც და სასწაულების მოხდენის უნარიც. მან, მასწავლებლის მსგავსად, მრავალი სასწაული მოახდინა. პირველი სასწაული ელისემ, ელია წინასწარმეტყველის ზეცად ამაღლების ხილვიდან უკან მობრუნებისას მოახდინა: ელიას ხალენის, იორდანეს წყალზე დარტყმით და ღვთის სახელის მოხმობით, იორდანემ მდინარე ორად გაყო და მეორე ნაპირზე გავიდა... სწორედ ელისე წინასწარმეტყველისადმი დატოვებული ხალენი ინახება საქართველოში, რაც რელიგიური თვალსაზრისით უდიდესი მადლია.

რა არის ცნობილი ელია წინასწარმეტყველის ხალენის საქართველოში მოხვედრის შესახებ?

ელია წინასწარმეტყველის ხალენის საქართველოში არსებობას ადასტურებს ქართული ისტორიული წყაროები: „მოქცევაის“ მიხედვით, სიდონიას თავისი მამის, აბიათარისგან სცოდნია, რომ უფლის კვართის დაკრძალვის ადგილი, ორმაგი ძალით იყო მოსილი: ქრისტეს კვართის დაფვლამდე, ოდესღაც აქ დუმარხავთ წინასწარმეტყველის ხალენი... „მოქცევაის“ შატბერული ვარიანტის თანახმად, სიდონია ამბობს, რომ მამისგან სმენია: „არს სხუაიცა ძალითა შემოსილი, მრჩობლი იგიცა. ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შინა, ხელთა ჩუენთა საკურთხეველისა სიმტკიცისა ქუეშე ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე ჟამამდე მისა“. გადმოცემით, ელია წინასწარმეტყველის ხალენი დაფლული იყო „სამარხვოში“ (ებრაელთა ბაგინში – სამლოცველოში), ვინაიდან მხოლოდ ბაგინში შეიძლება ყოფილიყო საკურთხეველი, რომლის „ქვათა შინა ულპოლველად“ განისვენებდა სიწმინდე („მოქცევაიში“ სიტყვა „ქვა“ გამოიყენება სამსხვერპლოს სინონიმად).

ამ ორი უდიდესი სიწმინდის – უფლის კვართის და ელია წინასწარმეტყველის ხალენის მცხეთაში არსებობა გაცხადდა ქართლში წმინდა ნინოს მოსვლის დროს...

რაც შეხეება იმას, თუ როგორ მოხვდა ან ვინ შემოიტანა ელია წინასწარმეტყველის ხალენი საქართველოში – ამის შესახებ ისტორიული წყაროები არავითარ ცნობას არ იძლევა. ეკლესიური მოძღვრებით, სავარაუდოდ, ეს უდიდესი სიწმინდე ქართლში, ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილ ებრაელებს უნდა შემოეტანათ, რომლებიც მის რისხვას პალესტინიდან მცხეთაში გამოერიდნენ (აღიარებული ფაქტია, რომ ებრაელები მცხეთაში პირველად მოვიდნენ ნაბუქოდონოსორის დროს, მის მიერ იერუსალიმის აოხრების პერიოდში; სწორედ ამავე პერიოდში ჩნდება ქართლში ებრაელთა დიასპორის პირველი დასახლებანი. „ებრაელებმა ქართველებს... უდიდესი სიწმინდე ჩამოგვიტანეს – წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი. ეს ის სამოსია, რომელიც ელია წინასწარმეტყველმა თავის მოწაფეს – ელისეს დაუტოვა, როცა იგი ცეცხლოვანი ეტლით ამაღლდა ზეცად. დიახ, ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, რაც ებრაელებს გააჩნდათ, მათ საქართველოში ჩამოიტანეს“, – ბრძანებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ■

სამ შვეიცარიელ ქალს საქართველო სამშობლოსავით უყვარდა...

შვეიცარიაში, ციურიხის მოხუცთა თავშესაფარში ერთი ქალბატონი ცხოვრობს... ისევ შერჩენია ძველებური მომხიბვლელობა. ოღონდ ეგაა, მისთვის ერთ დროს მჩქეფარე და მოუსვენარი ცხოვრება, ახლა ერთფეროვანი და მოსაწყენი გამხდარა. უფრო სწორად, წარსულთან ხიდად გადებულ ერთ გრძელ, გაბმულ ფიქრად ქცეულა. ეს წარსული კი უმეტესწილად საქართველოს, ქართულ ენასა და ქართულ კულტურას უკავშირდება...

ციცინო ხერვალიძე

ქართველ კაცს უმადურობა არ სჩვევია, მაგრამ ვეჭვობ, დღევანდელ საქართველოში ვინმეს თუ ახსოვს ქალბატონი ლეა ფლური, მისი ორი მეგობარი – რუთ ნოიკომი და იოლანდა მარშევი, რომლებმაც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან თავიანთი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ქართულ საქმეს მიუძღვნეს...

ვაშინგტონში, ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ბატონ პეტრე ხვედელიძის პირად არქივზე მუშაობისას წავაწყდი მათი მშვენიერი ქართულით დაწერილ ბარათებს, რომელთა გაცნობის შემდგომ გაჩნდა უამრავი კითხვა...

დოქტორი რუთ ნოიკომი სამი წლის წინ გარდაიცვალა, ქალბატონი იოლანდა მარშევი ამერიკაშია (მისამართი ჯერ ვერ დავადგინე), ქალბატონი ლეა ფლური კი ციურიხის მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს და რადგან ჯერ-ჯერობით არც შვეიცარიაზე მიმიწვდება ხელი, „გარდასულ დროში“ მეგზურობა ისევ ბატონ ***პეტრე ხვედელიძეს*** *ვთხოვე:*

– 1956 წლის 9 ოქტომბერს საფრანგეთიდან ამერიკაში, ნიუ-იორკში ჩავედი, – მიამბობს ბატონი პეტრე, – 1958 წლის დასაწყისში ამერიკის ქართული სათვისტომოს გამგეობის მდივნად ამირჩიეს. გადავწყვიტე, ემიგრანტულ ცხოვრებაში რაიმე სიახლე შემეტანა. ვიფიქრე, ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს დავკავშირებოდი (რომ მერე ერთად გვეკეთებინა ქართული საქმე). მეტადრე, კულტურული და პოლიტიკური ცენტრი ქართული ემიგრაციისა საფრანგეთში იყო. თავის დროზე გერმანიაშიც ძლიერი ქართული სათვისტომო გვქონდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იგი ძალზე დასუსტდა. იდეას მომხრეებთან ერთად, მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, განსაკუთრებით მეფის რუსეთის მეხოტბე გარუსებული ქართველები. ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და აღნიშნულის შესახებ პარიზში მივწერე ჩემს საუკეთესო მეგობარს, ლევან ზურაბიშვილს, რომელმაც თანადგომა აღმითქვა. ეტყობა, „ახალი ცოცხი“ კარგად გვიდა – ჩემი ხმა გავრცელდა ევროპაში და ერთ დღესაც შვეიცარიიდან ბატონ კიტა ჩხენკელის წერილი მივიღე. მწერდა, თუ რა დიდებული საქმე წამოიწყო, რომ არათუ მხოლოდ ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა შვეიცარიელ სტუდენტებს, არამედ აპირებდა შეექმნა სრულყოფილი ქართულ-გერმანული ლექსიკონი. დასახმარებლად თავისი სამი საუკეთესო სტუდენტი – ლეა ფლური, იოლანდა მარშევი და რუთ ნოიკომი აირჩია.

ლეა ფლური და პეტრე ხვედელიძე, 1971 წლის ივნისი, ციურიხი

ᲑᲫᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ, ᲚᲔᲐ ᲤᲚᲣᲠᲘ, ᲘᲝᲚᲐᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲨᲔᲕᲘ, ᲠᲣᲗ ᲜᲝᲘᲙᲝᲛᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ (ᲓᲒᲐᲡ), ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲝᲥᲠᲝᲛᲩᲘᲫᲔ 1968 Წ. ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐᲖᲔ (ᲤᲝᲢᲝ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ)

აღფრთოვანებული იყო ამ სამი ახალგაზრდა ქალის შრომისმოყვარეობითა და ქართული ენისადმი განსაკუთრებული ინტერესით.

დაუყოვნებლივ მოვამზადე ცნობის ფურცელი, რომლითაც ამერიკაში მცხოვრებ თითქმის ყველა ქართველს მივმართე თხოვნით, ვისაც როგორ შეგვეძლო, დავხმარებოდით ბატონ კიტა ჩხენკელს. მაგალითი თავად მივეცი – ლექსიკონის რამდენიმე წიგნაკი გამოვიწერე (იგი ჯერ წიგნაკის სახით გამოდიოდა და მერე უნდა აკინძულიყო წიგნად). ბატონი კიტა ამ გამოხმაურებით ძალზე გახარებული იყო და ისიც კი მოინდომა, რომ ჩემთვის (რადგან ამ საქმის მოთავე ვიყავი) უფასოდ გამოეწერა წიგნაკები, რაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე...

ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს საქმიან ურთიერთობას, რომელიც შემდეგ გულითად მეგობრობაში გადაიზარდა...

ამ პერიოდში დავუმეგობრდი ბატონი კიტას ქართველოლოგ სტუდენტებს. გაგაცნობთ მათ წერილებს, რომელიც ერთობლივი მუშაობის პერიოდში გამომიგზავნეს *(წერილებს გთავაზობთ მცირეოდენი შემცირებით, სტილი დაცულია. – ავტ.):*

„ციურიხი, 17 სექტემბერი 1968

დიდად პატივცემულო ბატონო პეტრე, მომივიდა თქვენი ვრცელი წერილი, რომანი „მზიანი ღამის“ თარგმანი, წიგნაკი შოთა რუსთაველის შესახებ ათ ცალად... უღრმეს და გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ასეთი ჩემს მიმართ თავაზიანობისათვის... ქართული ენა ჩვენთვის, უცხოელებისათვის მართლაც და ძნელია. ძალიან სასარგებლო იქნებოდა, რომ უფრო მეტი თარგმანი ქართულიდან არსებობდეს, ძალიან აადვილებს ქართული ენის სწავლას – შედარების ნიადაგზე.

...იმედი მაქვს, დრო მექნება, ამ წიგნების საშუალებით გავიღრმავო ჩემი ინგლისური ენის ცოდნა. ეს ალბათ, შემეძლება, ქართულ-გერმანული ლექსიკონი როცა დამთავრებული იქნება. ჩვენთან არის ახლა ბატონი ვიქტორი *(ვიქტორ ნოზაძე. – ავტ.)*. მისი დახმარებით დავასრულეთ მე-15 რვეული. დღეს მისი 75 წლის დაბადების დღეა. სამწუხაროდ არ სურს იზეიმოს. არაფერი მაქვს საზეიმოო – თქვა. უნდა დავუმატო, ამის მიუხედავად, კარგად არის და მხიარულადაც...

გულითადი მოკითხვით და პატივისცემით ჩვენ ყველასაგან, ლეა ფლური.“

— ბატონო პეტრე, თავად როდის გაიცანით ეს ქალბატონები?

– სანამ ამერიკის მოქალაქე გავხდებოდი, ქვეყნიდან გასვლის უფლება არ მქონდა. როგორც კი ეს უფლება მივიღე, ჩემი ძველი მეგობრების მოსანახულებლად მაშინვე ევროპაში გავემგზავრე. გული როგორ მომითმენდა, შვეიცარიაშიც არ წავსულიყავი და ის ქალბატონები პირადად არ გამეცნო, ქართულ საქმეს ასეთი რუდუნებით რომ აკეთებდნენ. ეს 1963 წელს მოხდა. სამწუხაროდ, ბატონი კიტა ჩხენკელი ცოცხალი აღარ იყო. სასტუმროში მინდოდა გაჩერება, მაგრამ არ გამიშვეს და რამდენიმე დღე იოლანდა მარშევის სახლში გავატარე. ამ სახლშივე ცხოვრობდა ლეა ფლურიც და იქვე იყო მოთავსებული ქართული სტამბა „ამირან-ფელაგი“, ხოლო დოქტორ რუთ ნოიკომს ცალკე ჰქონდა ბინა. პატივისცემის ნიშნად ისინი რესტორანში დავპატიჟე. შევსვით კიტა ჩხენკელის შესანდობარი და მთელი საღამო მის ხსოვნას მივუძღვენით... ამ მშვენიერ და საქართველოზე შეყვარებულ ქალებსაც დავუმეგობრდი. შეიძლება ითქვას, სამივენი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. დახვეწილი ქართული ლაპარაკით იოლანდა მარშევი გამოირჩეოდა. დოქტორი რუთ ნოიკომი არაჩვეულებრივი მწერალი და მეცნიერი გახლდათ, უამრავი შრომა აქვს გამოქვეყნებული გერმანულად საქართველოს შესახებ, თანაც არა მარტო ჩვეულებრივ ქართულ ლიტერატურას, ვაჟაფშაველასაც კი თარგმნიდა. ლეა ფლური გასაოცარი ორგანიზატორი იყო... თავის დროზე საქართველოში კარგად იყო ცნობილი მათი მოღვაწეობა, მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ქართველ მეცნიერებთან, საქართველოშიც რამდენჯერმე იმოგზაურეს... მეორედ ისინი 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს ვინახულე... ევროპაში ისე როგორ ჩავიდოდი, სამივენი საგანგებოდ რომ არ მომენახულებინა. მოგვიანებით, „ამერიკის ხმაში“ მათ საქმიანობას რამდენიმე გადაცემაც მივუძღვენი...

ამონარიდი ლეა ფლურის წერილიდან:

„ციურიხი, 25 აგვისტო, 1970

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი 23 ივლისის წერილისა და ჩეკისათვის. თქვენი ასეთი ზრუნვა ჩვენი საქმისადმი ძალიან გვახარებს. წიგნმა ქართული ლიტერატურის შესახებ შვეიცარიასა და გერმანიაში კარგი გამოხმაურება მოიპოვა. კარგად იყიდება, რაც ნიშნავს, რომ ამით ვრცელდება ცნობა საქართველოსა და მის ლიტერატურაზე. ამის მეტი რა გვინდა...

დიდი ინტერესით წავიკითხე თქვენი მოგზაურობის მოკლე აღწერა, ახლა ვუცდით, დაპირებისამებრ, თქვენს საუბარს მექსიკაში ყოფნის შესახებ, იმედი გვაქვს, მოახერხებთ გაისად გვინახულოთ ციურიხში, რაც ძალიან გაგვახარებდა...“

— ბატონო პეტრე, როგორც წერილებიდან ჩანს, თქვენი ურთიერთობა მხოლოდ უბრალო მეგობრობით არ შემოიფარგლებოდა, მათ მატერიალურ დახმარებასაც უწევდით...

– მე არასოდეს მქონია ბევრი ფული, მაგრამ რაც მქონდა, ქართული საქმისთვის არ ვიშურებდი. ჩემთვის იმდენს ვიტოვებდი, რამდენიც საარსებოდ მეყოფოდა... ყოველთვის ვცდილობდი, მცირეოდენი წვლილი მაინც შემეტანა ყველა იმ სასიკეთო საქმეში, რაც საზღვარგარეთ კეთდებოდა საქართველოსა და ქართველი ემიგრანტებისთვის...

იოლანდა მარშევის წერილი:

„ციურიხი, 21 X.73

ძვ. ბ-ნო პეტრე

მოგვივიდა მეორე სიმპათიური ამერიკელი გოგო, მოგვიტანა თქვენგან დიდებული აბრეშუმის თავსაფარი და დაგვპატიჟა რესტორანში. ძალიან კარგი დრო გავატარეთ ერთად და ბევრი გავიგეთ თქვენს სიკეთეზე იმ გოგოსადმი.

ჩვენი მხრივ, როგორ გითხრათ სათანა-

დო მადლობა ამდენი განებივრებისათვის? მართლაც ძალიან გაგვახარეთ. როცა ჩამოხვალთ შვეიცარიაში, მაშინ იცოდეთ, რომ უსათუოდ ჩვენი რიგი იქნება! წარმოიდგინეთ, რომ ამ ზაფხულში მე ვიქტორთან დავამთავრე ლექსიკონის მთელი მასალის დამუშავება! ახლა ლეაზეა დამოკიდებული, როდის მორჩება ბეჭდვას. იმედი გვაქვს, რომ მთელი შრომა გაისად დაბეჭდილი და გამოცემული იქნება.

გისურვებთ ყოველივე კარგს. გულითადი მოკითხვა ჩვენ სამივესაგან. თქვენი იოლანდა მარშევი.“

ამონარიდი ლეა ფლურის წერილებიდან:

„ციურიხი, 7 მაისი 1974

უდიდეს მადლობას მოგახსენებთ კეთილი და ვრცელი წერილისათვის...

...რაც ეხება თქვენს გულუხვ ძღვენს, ვფიქრობთ, რომ მეტისმეტად გვანებივრებთ, მართალია, ამ თვეებში გათავდება ლექსიკონი და ამისათვის დაფასების მიღება, რასაკვირველია, სასიამოვნოა, მაგრამ ეს დაფასება არ უნდა იყოს ასე კონკრეტული... ცოდვა არა ხართ?! სამივენი გითვლით უღრმეს მადლობას და იმედი გვაქვს, ისევ შევხვდებით ციურიხში, სადაც ჩვენი სტუმარი იქნებით...

მეტადრე სასიხარულოა, რომ გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი, ალისა ჰარისი, ჰსურს ქართული ენის სწავლა...

თქვენი ლეა ფ.“

— **ბატონო პეტრე, ვინ არის ალისა ჰარისი, რომელმაც შვეიცარიელი ქალბატონებიც კი მოხიბლა. სად არის და რას აკეთებს ახლა?**

— ალისა ჰარისი, როცა მე გავიცანი, ძალიან კარგი ლინგვისტი, ქართული ენის ქომაგი და მოყვარული გახლდათ. საინტერესო კვლევასაც ეწეოდა ამ მიმართულებით. ჩემთან რამდენჯერმე მოვიდა და როგორც შემეძლო, დავეხმარე. მერე გათხოვდა, ალბათ ოჯახურ საქმეებში ჩაეფლო. ბოლო წლებში აღარ შემხმიანებია... თუმცა, იმედი არ დამიკარგავს, რომ ისევ გამიხსენებს...

ამონარიდი ალისა ჰარისის წერილიდან:

„23 იანვარი, 1980

ძვირფასო ბატონო პეტრე!

მოგილოცავთ ახალ წელს! როგორ ბრძანდებით? იმედი მაქვს, რომ ძალიან კარგად ხართ. თქვენი დახმარებით დავამთავრე ჩემი წიგნი. ახლა გამომცემლობაშია. ალბათ, წელს გამოქვეყნდება, შეიძლება გაისად. როგორც იცით, სპეციალისტებისთვისაა...

ახლა ახალი თხოვნა მაქვს. კვლევას ვეწევი საერთო ქართველურ ენაზე. ე.ი. სამივე (ოთხივე) ქართველურ ენებზე. რაც მაინტერესებს ესაა, თუ როგორ მოხდა ისტორიულად, რომ ქართველები ასე ამბობენ: ის აკეთებს და მან გააკეთა. უნიკალური სინტაქსია და როგორ ასე გახდა? ამ საკითხის პასუხისთვის მეტი უნდა ვიცოდე სვანურის შესახებ. მჭირდება საუბარი სვანელებთან, როგორც 1978-ში მქონდა თქვენთან. ხომ არ იცნობთ — თქვენ ან თქვენი თანამშრომლები — ვისმე, ვინც სვანური ენა იცის (მე ვგულისხმობ ამ ქვეყანაში, კანადაში, ანდა კიდევ დასავლურ ევროპაში, ამჟამად ვერ წავალ საქართველოში)...

ძალიან კარგად ბრძანდებოდეთ

თქვენი პატივისმცემელი ალისა ჰარის“.

— **ბატონო პეტრე, დავუბრუნდეთ ისევ შვეიცარიას. გასულ ზაფხულს, საქართველოში გამგზავრებამდე თქვენ ისევ მოინახულეთ ქალბატონი ლეა ფლური. როგორი იყო ეს შეხვედრა და ლეამ თუ იცოდა, რომ მასთან ჩასვლას აპირებდით?**

— წინასწარ არ გამიფრთხილებია. მინდოდა, მისთვის სიურპრიზი მომეწყო. საქართველოში გამგზავრებამდე, შვეიცარიაში რამდენიმე დღით კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახს ვესტუმრე და მეორე დღესვე ციურიხში წავედი ლეას მოსანახულებლად. იგი არაჩვეულებრივად მოწყობილ მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს, რომელიც მთელ ციურიხს ზემოდან გადაჰყურებს... ლეა რომ მოვიკითხე, მითხრეს — სასეირნოდ არის წასული და მალე დაბრუნდებაო. მოგეხსენებათ, გერმანელებმა დიდი გამოკითხვა არ იციან, მაგრამ ჩემმა სტუმრობამ მაინც გამოიწვია ინტერესი. მეც ვუთხარი, ვინ ვიყავი და როგორი მეგობრობა მაკავშირებდა ლეასთან. სანამ ლეა მოვიდოდა, თან გადამყვნენ, აღარ იცოდნენ, როგორ ეცათ ჩემთვის პატივი. მალე ლეაც გამოჩნდა. ჩემს დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა: — პეტრე, ნუთუ შენა ხარ, არა მჯერა, ზღაპარში ვარო... — იმეორებდა. მერეც, საუბრისას, ხელს ხელზე მომკიდებდა ხოლმე. მართლა აქა ხარ, მართლა შენ ხარო? მასთან რამდენიმე საათი გავატარე და ეს დრო წარსულის მოგონებებს დავუთმეთ, მოგონებებს კი ჩვენ რა გამოგვილევდა...

— **და სულ ქართულად ლაპარაკობდით? თქვენ ხომ ფრანგულსა და ინგლისურთან ერთად, გერმანულ ენასაც კარგად ფლობთ...**

— მხოლოდ ქართულად. მეუბნებოდა — რა ბედნიერი დღე დაგიდგა, სამშობლოს ნახვას ეღირსებიო. საქართველო ჩემთვის ყოველთვის ჩემი სამშობლოს ტოლფასი იყო, ჩემი ცხოვრება კი ქართული საქმის სიყვარულით აღსავსე და სრულყოფილიო. საქართველოში რომ ჩახვალ, თუ ვინმეს ვახსოვარ, ჩემგან ყველას დიდი სიყვარული და მოკითხვა გადაეციო. თან მთხოვა — უკან დაბრუნებისას ისევ მინახულე და საქართველოს ამბები დაწვრილებით მომიყევიო. დავპირდი, მაგრამ ეს დაპირება ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შევასრულე. იმედი მაქვს, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, მანამდე კი ჩვენს მეგობრობას ისევ სატელეფონო საუბრებს მივანდობ...

1998 წლის 8 აგვისტოს, ქალბატონმა ლეა ფლურმა ბატონ პეტრე ხვედელიძეს ციურიხიდან თავისი ბოლო წერილით გულისტკივილით აცნობა:

„ძვირფასო ძმაო პეტრე

„გათავდა ესა ამბავი“...

იოლანდამ გაყიდა თავისი სახლი და წავიდა, უთხრა ერთ მეზობელს „წავალ ჩემს ნათლულთან“-ო (მისი ნათლული არის თენგიზ ტყებუჩავა). არავის დაუტოვებია ახალი მისამართი. უცნაურია, დატოვა თავისი სამშობლო, ახალგაზრდა ხომ აღარ არის! რა იქნება მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები?

არის ბევრი კითხვა, პასუხი კი არა — ჯერჯერობით გითვლით გულითად მოკითხვას აგრეთვე რუთისაგან.

თქვენი და ლეა.“

P.S. ნათქვამია — ამქვეყნად უსასრულო არაფერია, რაღაც იწყება და მთავრდება. ბევრი რამ უკვალოდ ქრება, მაგრამ სამუდამოდ რჩება სიკეთე და მადლი, მადლი — ქვაზე დადებულიც რომ ხარობს...

ლეა ფლური და ვიქტორ ნოზაძე

ვაშინგტონი

ლეილა მესხი
პირველი ქართველი პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი

როგორ მდიდრდებოდა „გოსკომსპორტი" სპორტსმენთა ხარჯზე



საქართველოს პირველი ჩოგანი კორტზე მუდამ მობილიზებული იყო

აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ, საქართველოს ყველა დროის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალს, ლეილა მესხს საყვარელი საქმისთვის თავი არ დაუნებებია: პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, საჩოგბურთო აკადემიის დაარსება გახლდათ. აკადემიას ის მეუღლესთან, პავლე ნადიბაიძესთან ერთად ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, ქალბატონი ლეილა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტიცაა და თანამოაზრეებთან ერთად ცდილობს, სპორტის ამ სახეობას საქართველოში მეტი პოპულარობა შესძინოს. მისი ყოველი სამუშაო დღე მარჯანიშვილის მოედანთან მდებარე საჩოგბურთო სტადიონზე იწყება და ჩვენი შეხვედრაც სწორედ იქ შედგა.

გიორგი ლანჩავა

მამის სურვილით დაწყებული ჯარიერა

— მამაჩემს, გიორგი მესხს ჩოგბურთი და ფეხბურთი უყვარდა გამორჩეულად. მას თურმე, ნათქვამი ჰქონდა, რომ თუ გოგო შეეძინებოდათ, აუცილებლად ჩოგბურთზე ატარებდა, ხოლო თუ ბიჭი — ფეხბურთზე. მან გადაწყვიტა, პირველად სპორტის ამ სახეობაზე ჩემი და, ნანა შეეყვანა, რომელიც მაშინ 12 წლის იყო, ხოლო მე — 8 წლის გახლდით. მარჯანიშვილის მოედანთან მდებარე ჩოგბურთის კორტებზე, სადაც ამჟამად აკადემია მაქვს გახსნილი, მამამ ორივე მიგვიყვანა. ვინაიდან იმ პერიოდში ჩოგბურთში ვარჯიშს უფრო გვიან იწყებდნენ, ვიდრე ახლა, მას არც უფიქრია, მწვრთნელს — გურამ თოხაძეს ჩემზე დალაპარაკებოდა. თოხაძემ მამას თავად ჰკითხა: რატომ არ გსურთ, თქვენმა პატარა გოგონამაც ივარჯიშოსო? ასე შევუდექით ორივე, ბატონ გურამთან წვრთნას. ნანამ ჩოგბურთს მალევე დაანება თავი, რადგან არ ჰქონდა მონაცემები და სპორტის ამ სახეობისადმი ისეთი სიყვარული, როგორიც მე. აქედან გამომდინარე, მამას მისთვის ფაქტობრივად, არც დაუძალებია, რომ ვარჯიში გაეგრძელებინა. ჩემთან მიმართებაში კი, ის სხვაგვარად იქცეოდა — სულ მთხოვდა, რომ უფრო მონდომებული ვყოფილიყავი. კორტებზე მისვლის პირველი დღიდან, ორი წელი იყო გასული, როცა 1968 წელს, დაბადებულ ჩოგბურთელ გოგონებს შორის, საქართველოში პირველი ნომერი გავხდი. 12 წლისა, უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტურნირში გამოვდიოდი, სადაც ჩემი მეტოქე, რუსი ასტაფიევა გახლდათ, რომელმაც შემდგომ დიდ ასპარეზზე წარმატებას ვერ მიაღწია. 16 წლისამ, საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატი მოვიგე, რამაც ხელი შემიწყო, რომ ქვეყნის ნაკრებში დავმკვიდრებულიყავი. საბჭოთა კავშირის ქალ ჩოგბურთელთა გუნდთან ერთად ორჯერ ვიასპარეზე ფედერაციის თასის ფინალში და ორივე შემთხვევაში, ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. პირველად, ამერიკელებთან დავმარცხდით, მეორედ კი — ჩეხებთან.

ამერიკელთა დავა ქართველი ჩოგბურთელის გამო

— საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას პირველად 1986 წელს მივაღწიე, როდესაც იუნიორთა შორის უიმბლდონის ტურნირის ფინალში გავედი, სადაც ნატაშა ზვერევასთან ორთაბრძოლისას დავმარცხდი. იმ წელს, წყვილთა თანრიგში ახალგაზრდებში პირველი ნომერი გავხდი, ხოლო ზვერევამ იგივე შედეგი ერთეულებს შორის აჩვენა. მაშინ ზვერევასთან სხვადასხვა ტურნირის ფინალში ისე ხშირად მიწევდა თამაში, რომ ერთმანეთს დასანახავად ველარ ვიტანდით. აღსანიშნავია, რომ არც იმ პერიოდში და არც შემდეგ, ნატაშასთან არ წამიგია. 1988 წელს, პროფესიონალი ჩოგბურთელის სტატუსი მომენიჭა, ხოლო ერთი წლით ადრე, ტარზანას საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი მოვიგე. სხვათა შორის, მე, ზვერევა და ლარისა სავჩენკო-ნეილანდი, საბჭოთა კავშირიდან პირველი ჩოგბურთელი ქალები ვიყავით, ვინც პროფესიონალური კონტრაქტი გავაფორმეთ კომპანია „აი-ემ-ჯისთან", რომელიც ჩვენთვის საჩვენებელ მატჩებს აწყობდა, სათამაშო ფორმით უზრუნველგვყოფდა; ასევე, თუ ვინმეს ჩვენთვის ინტერვიუს ჩამორთმევა მოუნდებოდა, მისი წარმომადგენლისთვის უნდა მიემართა. „აი-ემ-ჯი" არეგულირებდა აგრეთვე სპორტსმენების ურთიერთობას სპონსორებთან. გამომდინარე იქიდან, რომ ეს კომპანია ძირითადად, მსოფლიოს პირველი ათეულის ჩოგბურთელებთან თანამშრომლობდა, რადგან მათგან უფრო მეტ სარგებელს ნახულობდა. 1990 წელს, მათთან კონტრაქტი გავწყვიტე და ახალი ხელშეკრულება იმავე პროფილის ფირმა „ოქტაგონთან" გავაფორმე. აღსანიშნავია, რომ თავის სფეროში „აი-ემ-ჯი" მსოფლიოში ლიდერი იყო, ხოლო „ოქტაგონს" ასეთ საშუამავლო კომპანიებს შორის მეორე ადგილი ეკავა. ჩემსა და მათ შორის 1990 წელს ნიუ-იორკში

მცირე სასამართლო პროცესიც კი შედგა, სადაც ჩვენების მიცემაც კი მომიხდა იმის თაობაზე, თუ რატომ გავწყვიტე ურთიერთობა „აი-ემ-ჯისთან“. პროცესი, რომელმაც საბოლოოდ, უმტკივნეულოდ ჩაიარა, ჩემთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა, რადგან პირველად მოვხვდი სიტუაციაში, როდესაც მე და სხვა გამომსვლელებს „ბიბლიაზე“ ხელის დადებით მოგვიწია დაფიცებამ, რომ მხოლოდ სიმართლეს ვიტყოდით. „ოქტაგონთან“ ურთიერთობა დღემდე მაქვს და ეს კომპანია ახლაც ყველა პრობლემას მიგვარებს.

ბრძოლა არსებობისათვის

– ძალიან ხშირად, სხვადასხვა ქართველი ჩოგბურთელისგან გამიგონია, თითქოს საბჭოთა კავშირის დროს, ჩემი პლეადის სპორტსმენებს ტურნირებზე გასამგზავრებლად პრობლემა არ გვქონდა და ყველა ხარჯს სახელმწიფო გვინაზღაურებდა. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები, რადგან მაშინ ქართველი, საბჭოთა კავშირის ნაკრებში რომ მოხვედრილიყო ან საზღვარგარეთ რომელიმე ტურნირზე წასულიყო, 15 რესპუბლიკაში პირველი უნდა ყოფილიყო. დღესდღეობით კი, თბილისში რომ გახდე პირველი ჩოგანი, ყველა გზა ხსნილი გაქვს, რადგან დედაქალაქში პირველი ნომრობა, ფაქტობრივად, საქართველოში ლიდერობას ნიშნავს, ვინაიდან რეგიონებში ჩოგბურთის განვითარების დონე ჯერჯერობით საკმაოდ დაბალია. საქართველოს ჩემპიონატი, თბილისის პირველობას წარმოადგენს და სხვა ქალაქიდან თითო-ოროლა ჩოგბურთელი თუ მონაწილეობს მასში. გარდა ამისა, დღეს, შესაძლოა, ჩოგბურთელი საქართველოში მე-10 იყოს, მაგრამ თუ მის მშობლებს შესაბამისი მატერიალური შესაძლებლობა აქვთ, შვილი საზღვარგარეთ სათამაშოდ გაგზავნონ, მაშინ კი, საბჭოთა კავშირში მე-3 ნომერიც რომ ყოფილიყავი, ამის საშუალება არ მოგეცემოდა. ჩვენ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე ისეთ რიტმში ვიმყოფებოდით, რომ ვინც გაუძლებდა, დიდი ჩოგბურთის თამაშის საშუალებაც მას მიეცემოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, 16-17 წლის გოგო, თვეობით მარტო ვიყავი, თან მკაცრი კვების რეჟიმი მქონდა და ხშირ შემთხვევაში, ნაყინს ან შოკოლადსაც ვერ ვჭამდი, ხოლო დიდი დატვირთვებისგან წელი მტკიოდა. ცხოვრების ასეთ წესს ბევრმა ჩემმა მეგობარმა ვერ გაუძლო და ისინი ჩოგბურთს ნაადრევად ჩამოშორდნენ. მაგალითად, იყო ასეთი ჩოგბურთელი – ნატალია ბიკოვა, რომელიც თავის დროზე ზვერევასაც უგებდა, მაგრამ ვერ აიტანა ბოლომდე ამგვარ რეჟიმში ყოფნა და სპორტს შეეშვა. სხვათა შორის, რამდენჯერმე მეც შემექმნა ისეთი სიტუაცია, როცა შესაძლებელი იყო, ჩოგბურთის თამაში აღარ გამეგრძელებინა. 18 წლის ვიყავი, როდესაც ინგლისში, უიმბლდონის ტურნირის დაწყებამდე, ბალახისაფრიან კორტზე სამ ტურნირში მივიღე მონაწილეობა და სამივეს პირველსავე წრეში გამოვეთიშე. საერთოდ, არც მაშინ და არც მომდევნო პერიოდში, ბალახი ჩემთვის სასურველი საფარი არ ყოფილა. უპირატესობას მიწის საფარსა და „ჰარდს“ (ხელოვნური საფარი) ვანიჭებდი. ამ წარუმატებლობის შემდეგ, ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ოლგა მოროზოვამ პირდაპირ განმიცხადა: შენ ყველაფერი წააგე და ახლა საბერძნეთში მივდივართ ტურნირზე, სადაც მარცხის შემთხვევაში, ჩოგნის ლურსმანზე ჩამოკიდება მოგიწევსო. დღევანდელი გადმოსახედიდან, მოროზოვას არ ვამტყუნებ, რადგან მას საბჭოთა სპორტის ჩინოვნიკები შედეგს სთხოვდნენ. მათი არგუმენტი ასეთი იყო: ჩოგბურთს ამდენ ფულს ვახარჯებთ და ტურნირებზე წარმატებით უნდა გამოხვიდეთო. საბერძნეთში გამართული ასპარეზობა მოვიგე და ნაჩვენები შედეგით, მსოფლიოს 100 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის მოვხვდი.

ლეილა მესხი საკუთარ აკადემიაში

მიზერული თანხები

– საბჭოთა სპორტსმენებს, ტურნირებში მიღწეული შედეგის გამო, ფაქტობრივად, არავითარ თანხას არ გვაძლევდნენ და მთელი ფული „გოსკომსპორტს“ *(სპორტის სახელმწიფო კომიტეტი. – ავტ.)* მიჰქონდა. აღნიშნული უწყება იმით ხელმძღვანელობდა, რომ იგი ჩოგბურთელებს საკმაო ფულად სახსრებს ახარჯებდა, რომელთა ამოღება იყო საჭირო. ამიტომ ჩოგბურთელებს ყოველდღე, მხოლოდ 25 დოლარს გვაძლევდნენ კვებისა და საჭირო ხარჯებისთვის. შემდეგ, „გოსკომსპორტის“ თავკაცებმა საქმისადმი მიდგომა შეცვალეს და თუ რომელიმე საბჭოთა სპორტსმენი საერთაშორისო ტურნირზე გარკვეულ წარმატებას მიაღწევდა, მას განსაზღვრულ თანხას აძლევდნენ, რომელიც, იმასთან შედარებით, რაც „გოსკომსპორტში“ შედიოდა, მიზერული იყო. ეს ორგანიზაცია ჩვენზე დახარჯულ თანხას ასმაგად იგებდა. 1989 წელს, ნეშვილის ტურნირში გავიმარჯვე, რომელშიც მანამდე, 15 წლის წინ, ოლგა მოროზოვას მოეგო – ე.ი. საბჭოთა კავშირის მეორე წარმომადგენელი ვიყავი, რომელმაც აღნიშნულ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, კიდევ ორ ტურნირში გამოვედი და ერთ შემთხვევაში ნახევარფინალს მივაღწიე, მეორეში – მერვედფინალს. საბოლოო ჯამში, „გოსკომსპორტმა“ 2.400 დოლარი მომცა, როდესაც მინიმუმ 100.000 დოლარი უნდა ამეღო. თუმცა, მაშინ მიღებული თანხა ჩემთვის მაინც ძალიან დიდი იყო, რადგან რეალურად ჯერ კიდევ ვერ აღვიქვამდი, რამდენი მეკუთვნოდა და რასაც მაძლევდნენ, იმით ვკმაყოფილდებოდი...

ორი – ოლიმპიადა, ერთი – ბრინჯაო

– 1988 წელს, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, სეულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩოგბურთიც შეიტანეს. იმ ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება დართეს ლარისა სავჩენკონეილანდს, ასევე ნატაშა ზვერევას, რომელსაც მაშინ ახალგაზრდებს შორის ერთეულთა თანრიგში პირველი ადგილი ეკავა, ხოლო მე ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად, ავსტრიაში დაგეგმილ ტურნირზე გამგზავნეს. მართლაც, ავსტრიაში მიღწეული გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად სეულში გავემგზავრე. იქ ერთეულთა თანრიგში ორი წრე გავიარე და მესამე წრეში შტეფი გრაფთან წავაგე, რომელიც შემდეგ, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მიუხედავად ამისა, ჩემი გამოსვლა დადებითად შეფასდა, რადგან, ვერც სავჩენკომ და ვერც ზვერევამ სამხრეთ კორეაში წარმატებას ვერ მიაღწიეს. მეორედ ოლიმპიადაზე 1992 წელს,

ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს პრობლემები არ აკლია

ბარსელონაში ვიასპარეზე. როგორც იცით, იმ დროს, საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო, მაგრამ საქართველოს გუნდს ესპანეთში დამოუკიდებლად ასპარეზობის საშუალება არ მისცეს და ჩვენ ე.წ. დსთ-ის ნაკრების შემადგენლობაში გამოვედით. ბარსელონაში ერთეულთა თანრიგში ცუდად ვიასპარეზე და მერი პირსთან ბრძოლაში წავაგე. სამაგიეროდ, წყვილებში, ზვერევასთან ერთად ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. არადა, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეგვეძლო, მაგრამ ნატაშა არ იმყოფებოდა სათანადო ფორმაში. იგი ტურნირის მსვლელობისას სულ ბოდიშს მიხდიდა: ასე ცუდად მომზადებული არასდროს ვყოფილვარო, – ამბობდა. სხვათა შორის, მე და ზვერევა ორი კვირის განმავლობაში, სიცხეში ვვარჯიშობდით და ბარსელონა ფაქტობრივად, არც დაგვითვალიერებია. საერთოდ, უცხოეთში ჩასვლით ახლა უფრო მეტ სიამოვნებას ვიღებ, რადგან დრო მაქვს ქალაქის დასათვალიერებლად და მისი ღირსშესანიშნაობების გასაცნობად. სპორტსმენობის დროს კი, ქალაქში გასვლა და თუნდაც, მაღაზიაში შესვლა, მხოლოდ მაშინ მიწევდა, როდესაც დამარცხდებოდი – და ტურნირს გამოვეთიშებოდი. არადა, წაგება ნამდვილად არ მინდოდა ხოლმე. თუ შეჯიბრების მსვლელობისას კარგად გამოვდიოდი, მაშინ სადმე წასვლაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. რადგან წყვილთა თანრიგი ვახსენე, გეტყვით, რომ 5 ტურნირი მაქვს მოგებული ევგენია მანიუკოვასთან ერთად. მასთან თამაში მიადვილდებოდა, რადგან მანიუკოვასთან წყვილში თავს ლიდერად ვგრძნობდი – მაშინ, როდესაც ზვერევასთან და სავჩენკოსთან ასპარეზობისას, კორტზე ლიდერები ისინი უფრო იყვნენ. მე და ევგენიამ სერიოზულ შედეგს მივაღწიეთ, რისი დადასტურებაც ის გახლავთ, რომ პირველ ათეულში შემავალ წყვილებს ვუგებდით. ჩვენ ტამპა-ბეიში „ჩემპიონშიპის“ ტურნირზეც ვითამაშეთ, სადაც მსოფლიოში საუკეთესო 8 წყვილი გადიოდა.

ორი დღე ნავრატილოვასთან და რევანში საბატინისთან

– ჩემს კარიერაში საუკეთესოდ 1991-1992 წლების სეზონი მიმაჩნია, როდესაც მიმდინარე რეიტინგში მე-11 ადგილი მეკავა, ხოლო წლიურში – მე-7. აღნიშნულ პერიოდში, პირველ ათეულში შემავალი თითქმის ყველა ჩოგბურთელისთვის მომიგია, რომელთა შორის იყვნენ: გაბრიელა საბატინი, ჰელენა სუკოვა, ჯენიფერ კაპრიატი, ნატაშა ზვერევა, მარტინა ნავრატილოვა, სამი და – მალეევა. ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელია 1991 წელს, „პილტონ ჰედის“ ტურნირი, სადაც ფინალამდე მიმავალ გზაზე, კაპრიატი, ზვერევა და ნავრატილოვა დავამარცხე. ამ უკანასკნელთან მოგების შემდეგ, საკუთარი წარმატების თავად არ მჯეროდა. ნავრატილოვასთან შეხვედრის მესამე სეტის დამთავრებას ერთი გეიმი აკლდა, რომ საშინელი წვიმა წამოვიდა და ამ გეიმის თამაში მეორე დღეს მოგვიხდა. იგი 15 წუთი გაგრძელდა და ჩემი გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ საკმაოდ გადავიღალე და ფინალი საბატინისთან დავთმე. მაშინ საკმაოდ დიდი ჰონორარი მივიღე და ცნობილმა კომენტატორმა, ბატ კოლინსმა მკითხა: ამ თანხას სულ შენ იღებო?!. მას ეტყობა, ის დრო ახსოვდა, როდესაც ჩვენი გამომუშავებული ფული „გოსკომსპორტს“ მიჰქონდა... კოლინსს ვუპასუხე, რომ თანხა მთლიანად მე მეკუთვნოდა. სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში საკმაოდ გახმაურდა ამბავი, როდესაც ნატაშა ზვერევას საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში გასვლის სანაცვლოდ 300.000 დოლარის მაგივრად, „გოსკომსპორტმა“ 800 დოლარი მისცა... ჩემთვის ყველაზე დრამატული იყო მარცხი ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში, არგენტინელ საბატინისთან. იმ შეხვედრაში სეტ-ბოლი *(როცა ჩოგბურთელს გამარჯვებისგან მხოლოდ ერთი ქულის აღება აშორებს. – ავტ.)* მქონდა და როდესაც გაბრიელამ ბურთი აუტში დაარტყა, ქულა არ მომცეს. არადა, ხაზზე მყოფმა მსაჯმა თქვა, რომ აუტი იყო, ხოლო კოშკურაზე მჯდომმა არბიტრმა მისი გადაწყვეტილება შეცვალა, რაც იშვიათად ხდება. ამან ნერვებზე მომშალა და ბოლოს და ბოლოს, შეხვედრა დავთმე. იმ თამაშის ვიდეოფირზე ჩაწერა ჩემს ამერიკელ მეგობრებს ვთხოვე, რადგან ყოველთვის საინტერესოა საკუთარი გამოსვლის ყურება. ჩვენს შეხვედრას პირდაპირ ეთერში ბატ კოლინსი და კრის ევერტი გადასცემდნენ, რომლებიც საკუთარ აღშფოთებას ვერ ფარავდნენ მსაჯის შეცდომის გამო... მატჩის მეორე დღეს, კორტზე აღარ გავსულვარ და ქალაქში გასეირნება გადავწყვიტე. ერთ მაღაზიაში შესულს გამყიდველმა მკითხა – თქვენ ის გოგო არა ხართ, გუშინ რომ თამაშობდაო? თან დასძინა: როგორ არ ჩაგითვალეს ის ბურთიო!.. მეორე მაღაზიაშიც იგივე გამეორდა და ამან უფრო გამაბრაზა, ამიტომ მალევე სასტუმროში დავბრუნდი... საბატინისთან რევანში 1992 წელს, სან-დიეგოში ავიღე, როდესაც 6:0 და 6:2 დავამარცხე. ის თამაში ისე ადვილად მოვიგე, რომ მისი მსვლელობი-

ჩემს კარიერაში საუკეთესოდ 1991-1992 წლების სეზონი მიმაჩნია... (ლეილა მესხი ვარჯიშისას)

სას მეცინებოდა კიდეც, რადგან ვერც ვხვდებოდი, არგენტინელს ასე იოლად როგორ ვამარცხებდი. მატჩის დასრულებისას, საბატინის მწვრთნელმა კარლოსმა მკითხა კიდეც: რა ჭამე დილით, ასე რომ თამაშობდიო?.. აქვე გეტყვით, რომ კარიერის მანძილზე, არ მომიგია გერმანელი შტეფი გრაფისთვის და ძალიან მიჭირდა თამაში ესპანელ არანჩა სანჩესთან.

ნაადრევი დასასრული

– 27 წლის ვიყავი, როდესაც მოვიგე ტურნირი ტასმანიაში და სეზონი საკმაოდ კარგად დავიწყე. მანამდე, ერთ წლის განმავლობაში, ტერფის ტრავმა მაწუხებდა და ტასმანიაში როგორ გავიმარჯვე, არც ვიცი, რადგან ყოველი მატჩის წინ, ტკივილგამაყუჩებელ ნემსს ვიკეთებდი... შემდეგ, ავსტრალიის ღია პირველობაზე უნდა მეთამაშა, რაც ტრავმის გამო ფიზიკურად ვერ შევძელი. ერთი თვე დავისვენე და საფრანგეთში გავემგზავრე, სადაც „გაზდეფრანსის“ ტურნირზე გამოსვლისას, ტერფის მყესი გამიწყდა – არადა, წინა წელს ამ ასპარეზობის ფინალისტი ვიყავი. საფრანგეთიდან ყავარჯნებით დავბრუნდი თბილისში, მაგრამ მალევე უკან მომიწია გამგზავრებამ – სამკურნალოდ, რამაც შედეგი არ გამოიღო. სპეციფიკური ტრავმა მქონდა, რომლის გამოც, აქტიურ სპორტს ცნობილმა ფრანგმა ჩოგბურთელმა იანიკ ნოამ დაანება თავი. ჩემმა ფრანგმა ექიმმა მირჩია, ერთი წელი დამესვენა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, ვარჯიში განვაახლე და საქართველოს ნაკრებთან ერთად ფედერაციის თასზე გამგზავრებას ვაპირებდი, მაგრამ მყესი ისევ გამიწყდა. საბოლოოდ, ექიმმა მითხრა, რომ თუ თამაშს გავაგრძელებდი, შესაძლოა, აქილევსის მყესი დამზიანებოდა, რამაც კორტზე გამოსვლაზე ხელი ამაღებინა. ხშირ შემთხვევაში, სპორტსმენები კარიერას მაშინ ამთავრებენ, როდესაც ხედავენ, რომ აღარაფერი გამოსდით. მე კი ჩოგბურთის თამაშს რომ შევეშვი, მსოფლიო კლასიფიკაციაში 24-ე ვიყავი და ამიტომ ეს ამბავი შედარებით უმტკივნეულოდ გადავიტანე. თან იმ პერიოდში პირველი შვილი, ლიზიკო შემეძინა, ამასთან ერთად, ჩემი საჩოგბურთო სკოლა გავხსენი, რომელიც შემდეგ, აკადემიად გადაკეთდა და ერთი სიტყვით, ყველაფრის თავიდან დაწყება აღარ მიღირდა. მით უმეტეს, რომ არსებობდა საშიშროება, რომ უფრო სერიოზული ტრავმა მიმეღო.

რატომ სჯობს რუსული ჩოგბურთი ქართულს

– ჩემი მეუღლე, პავლე ნადიბაიძე თბილისში, მეგობართან გავიცანი. მას ჩოგბურთთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. ჩვენი გაცნობის შემდეგ, პავლემ საკმაოდ იაქტიურა და 1989 წელს დავქორწინდით. ამჟამად, 9 წლის ლიზიკო და 7 წლის გიორგი გვყავს. პავლე ფაქტობრივად, ყველა ტურნირზე დამყვებოდა და ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის მომენტი, რომ როგორც წარმატების, ასევე წარუმატებლობის შემთხვევაში, მისთვის საუკეთესო ჩოგბურთელი ვიყავი. არადა, ზოგიერთ ჩოგბურთელ ქალს ისეთი მეუღლე ჰყავდა, რომელიც მარცხის შემდეგ, გამხნევების ნაცვლად, პირიქით – საყვედურობდა: რატომ წააგეო?!. საქართველოში პრივატიზაციის პროცესის დაწყებისას, გადავწყვიტეთ, მარჯანიშვილის მოედანთან მდებარე კორტები შეგვეძინა და დღემდე ამ საქმეს ერთად ვუძღვებით. უკვე 9 წელი ხდება, რომ „ბორჯომის თასის“, „ქართუ ბანკისა“ და ბათუმის საერთაშორისო ტურნირებს ვატარებთ. ქართულ ჩოგბურთში ჩავარდნა, ქვეყანაში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ გამოიწვია. ჩოგბურთი საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა და იგი დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოზე, სპონსორებსა და მშობლის ჯიბეზე. ბავშვს 6 წლის ასაკიდან, ფედერაცია ფულს ვერ გადაუხდის და მას მხოლოდ მაშინ დაასპონსორებს, როდესაც ნაკრებში მოხვდება. როგორც ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გეტყვით, რომ ძეგლთა დაცვის, სპორტისა და კულტურის სამინისტრომ საკუთარი ბიუჯეტიდან 100.000 ლარი გამოგვიყო. ამ თანხის ერთი ნაწილი საქართველოს ნაკრების დევისისა და ფედერაციის თასზე გამგზავრებას ხმარდება, მეორე კი – ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე. ეს ფული იმაზეც აღარ გვყოფნის, რომ ახალგაზრდული ნაკრები შევინახოთ, რადგან წლის განმავლობაში ტურნირებზე ერთი ბავშვის წასაყვანად მინიმუმ 20.000 ლარია საჭირო. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ჩოგბურთში საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. მიხეილ ლაბაძის დახმარებით, საქართველოს ნაკრები მე-2 ლიგაში დარჩა. 16-წლამდელთა შორის, გერმანიაში დიდი ტურნირი მოიგეს გიორგი ჭანტურიამ და მანანა შაფაქიძემ, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვამ

სპორტსმენები კარიერას მაშინ ამთავრებენ, როდესაც ხედავენ, რომ აღარაფერი გამოსდით. მე კი ჩოგბურთის თამაშს რომ შევეშვი, მსოფლიო კლასიფიკაციაში 24-ე ვიყავი ...

მეორე კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. დიღომში, ღუღუშაურის კლინიკის გვერდით, ჩემი ინიციატივით დიდი საჩოგბურთო კომპლესი შენდება, სადაც 8 ღია და 3 დახურული კორტი უნდა იყოს. ამჟამად, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ საინვესტიციო კომპანიებთან, მშენებლობის რაც შეიძლება მოკლე ვადაში დამთავრების თაობაზე. დღესდღეობით, ბევრს უკვირს, თუ რამ გამოიწვია რუსეთში ჩოგბურთის აღმავლობა. საქმე ის არის, რომ ჩოგბურთი ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, ბორის ელცინის ჰობი გახლდათ და სწორედ მისი მმართველობის პერიოდში, რუსეთის საჩოგბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებაში უდიდესი ფული ჩადო. ელცინის ინიციატივით, 24 იუნიორი ჩოგბურთელიდან თითოეულს ყოველწლიურად, ტურნირებზე სასიარულოდ 20.000 დოლარი გამოუყვეს. იქ სახელმწიფო ფაქტობრივად აიძულებდა ბიზნესენებს, ჩოგბურთი დაესპონსორებინათ. ამასთან ერთად, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი უკვე 10 წელია, „კრემლის თასის“ ტურნირს ატარებს, რომლის საწყისი ბიუჯეტი 100.000 დოლარი იყო, ახლა კი 10 მილიონს მიაღწია. რაც შეეხება მარია შარაპოვას, მას რუს ჩოგბურთელად ვერ აღვიქვამ, რადგან იგი 6 წლის ასაკიდან, მშობლებთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს და სპორტის ამ სახეობაში შტატებში დაოსტატდა. შარაპოვა და მამამისი ოთხი წლის წინ, თოთხმეტწლამდელთა ერთ-ერთ ტურნირზე გავიცანი და ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

■

მასთან ერთად

ლუბა ელიავილი

(დასაწყისი „გზა“ №28-35)

ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა ცდილობს, იდუმალებით მოცული მკვლელობის ამბავში გაერკვეს: ღამით, მთაწმინდაზე ვიღაცამ მოკლა განდეგილად მცხოვრები მხატვარი თომა და დაჭრა ნიორას ლაბრადორი. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მომხდარ მოვლენებთანაა დაკავშირებული. სამ მეგობარს — ანტონ დარჩიას, თომა გოგოლაშვილსა და ლევან მანჯავიძეს ერთი გოგო — თამარ სანაძე ჰყვარებია. მან თომას გრძნობას უპასუხა, მაგრამ ქალვაჟის ურთიერთობას გოგოს ბებია, ნუცა დადიანი აღუდგა წინ. წლების შემდეგ, თამარი ვინმე არდაშელიას გაჰყოლია ცოლად, ბებიამისმა კი, რაღაც ძვირფასეულობა ანტონსა და მის ნაშვილებიჭს — ბაკურს დაუტოვა... ნიორა დროებით, სწორედ ანტონის სახლში ცხოვრობს, რომელიც ახლა მის მეგობარს, ამერიკაში მყოფ მაგდას ეკუთვნის.

რადიოგადაცემის დროს, რომლის თემაა მოჩვენებები, სტუდიაში რეკავს კაცი, რომელიც ჟურნალისტს ოიდიპოსის მეტსახელით წარუდგება და ქალის მკვლელობას ახსენებს. მოკლული, ვინმე თამილა არდაშელია იყო. მკვლელობის მსხვერპლი გახდა აგრეთვე, მისი ქალიშვილი სალომე... თამილას მეზობელი, მეტსახელად „შავი მარო“, წარსულში ბებიაქალი, ჩვილის გაყიდვის ბრალდებით იყო გასამართლებული. მშობიარე, სწორედ თამილა არდაშელია — იგივე თამარ სანაძე ყოფილა...

ლევან მანჯავიძე ნიორას შინ ეწვევა და სთხოვს, მისი შვილის — 22 წლის ბაიას მოძებნაში დაეხმაროს. როგორც შემდგომ, ლევანის ცოლთან, ესმასთან შეხვედრისას მარიანა შეიტყობს, ბაია ნარკოტიკებს ეძალება და ახალგაზრდა მხატვარ ბაკურ სანაძეზეა შეყვარებული.

ნიორა ხეზე აგებულ ქოხში მცხოვრები, შერეკილი თომას სანახავად მიდის, რომელიც რაღაც სურათის ჩვენებას დაჰპირდა. მის ცარიელ ქოხში ჟურნალისტი ერთ უცნაურ სურათს ნახავს: მასზე თავად მხატვარია გამოსახული, რომელსაც მუხლებზე საკუთარი ასლები, ოღონდ, ერთი — კეთილი და ხალისიანი, მეორე კი — მოღუშული და ბოროტი — უსხედან.

სათვალთვალო ვიდეოკამერები ნიორას სახლში დააფიქსირებენ ლევანის ფარულ ვიზიტს. მოსამსახურე ნაზიკო გამოუტყდება ჟურნალისტს, რომ დაშანტაჟების გზით, მანჯავიძემ დაითანხმა იმაზე, რომ შინ შეეშვა. ლევანი იქ ნუცა დადიანის მიერ ანტონისთვის ნაანდერძევ, „ფაბერჟეს“ კვერცხს ეძებს.

ნიორა „შავ მაროს“ ესტუმრება, რათა მისგან 3 მეგობრისა და თამილას ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ რაიმე შეიტყოს და დაადგენს, რომ ბაია, თამილას შვილია და არა — ესმასი. მაგრამ მთავარ კითხვაზე — თუ რა კავშირი ჰქონდა ამ ამბებთან თომას მკვლელობას? — პასუხს ვერ მიიღებს.

მოულოდნელად, თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს ლევან მანჯავიძე. თომას სავარაუდო მკვლელთა ნიორასეულ სიაში მხოლოდ ბაკური რჩება. მიუხედავად ამისა, მხატვრის დაჟინებული თხოვნით, ჟურნალისტი მას სახელოსნოში მიჰყვება. საუბრისას, ბაკური მოულოდნელად ოთახიდან გადის და ცოტა ხანში, აბანოს ხალათითა და ჩუსტებით ბრუნდება, თითქოს ეს-ესაა, სააბაზანოდან გამოვიდა...

— ხომ არ მოიწყინე? — მეკითხება ბაკური და თავისი ცივი თვალებით მიყურებს.

მოწყვეტით ჩავენარცხე სავარძელში. ნეტავ, რატომ მეჩვენება ხოლმე ხანდახან, რომ ეს კაცი სიმპათიურია?.. ამწუთას, ერთი სასიამოვნო შტრიხიც ვერ აღმოვუჩინე გარეგნობაში...

— მწვანე ჩაის დალევ? — მკითხა უეცრად. ეს მოულოდნელი გაშინაურებაც არ მესიამოვნა... ან კი როდიდან გადავედით „შენობით“ მიმართვაზე?..

— თქვენ ხომ რაღაც სურათის ჩვენებას დამპირდით, ვნახავ და წავალ — უკვე გვიანია... — ამ „თქვენს“ განსაკუთრებულად ვაწვები, მინდა, ჩვენს ურთიერთობაში დისტანცია შევინარჩუნო.

კუთხეში დაყრილ ტილოებთან მიდის.

— ეს მე ვარ, — იღრიჭება და იმ ტილოზე მიმითითებს, თომას სახლიდან რომ არის წამოღებული. — ეს კი — შენ. ჩემი საჩუქარია, შენ მოგიძღვენი, — რომელიღაც სხვა სურათს იღებს და მოლბერტზე ცარიელი ტილოს ნაცვლად ათავსებს.

ზეთით შესრულებული ჰიპერრეალისტური ნახატიდან მარიანა ნიორაძე შემომცქერის — წითელ კაბაში, თავზე ვარდების გვირგვინით... სულ გამომეცალა ძალა. უკვე ზუსტად ვიცი, რომ მანიაკის ხელში აღმოვჩნდი. ისიც, თითქოს ჩემი ფიქრის დასადასტურებლად, მეუბნება:

— ყველა ქერა ქალი ერთნაირი ბოზია. აბა, რას წამომყევი ამ უცხო კაცს სახლში?!. ყველას ერთი და იგივე გინდათ...

სურვილს, სახეში სილა გავაწნა, გულში ვიკლავ. დედაჩემისგან ვიცი, ასეთ დროს ჯობს, მოწინააღმდეგე, აგრესიული ტონიდან მშვიდზე გადავიყვანო.

— მომეწონეთ და იმიტომ. ნუთუ, ამის გამო შეურაცხყოფა მეკუთვნის?!

— აჰა, მოგეწონე „ზნაჩიტ“... რაკი ასეა, იქნებ, ლოგინშიც ჩამიწვე?.. ნახე, საქორწინო კაბაში დაგხატე, მაგრამ — წითელში! მაგარი სისხლიანი ქორწილი გამოგვივა...

ვაიმე, დედა, ახლა გამაუპატიურებს და მომკლავს... თუმცა, ალეკომ მითხრა, რომ „წითელ მანიაკს“ ქალი არ გაუუპატიურებია, მხოლოდ მოკლა. დიდი



შელავათია... არა, უნდა ვიმოქმედო. იქნებ, მოლბეს.

— რატომ მიბრაზდები? რა მოხდა, თუ ქალს მამაკაცი მოეწონა და სახლში გაჰყვა? ჩემი აზრით, ამაში ცუდი არაფერია... კარგი, გეყოფა ხუმრობა, უკვე შემაშინე. ჯობს, სახლში წამიყვანო, — გავიბრძოლე უმწეოდ.

— ძალიან რომ გთხოვო, დარჩები ჩემთან ღამით? — მეუბნება და ისეთი თვალებით მიყურებს, ხელ-ფეხი მეყინება.

— კარგი, რა, ბაკურ! თუ ჩემი გაცილება არ გინდა, მარტო წავალ, — სავარძლიდან წამოვდექი.

— დაეგდე! — შემომიღრინა. — მაშ, წესიერ გოგოს თამაშობ?! ყველანი ეგეთები ხართ — ვითომ პატიოსანი. ცოტა ხანს იკრუსუნებ და გაგივლის. მერე შენი ქერა თმით და ფლიდი თვალებით ვინმეს შეაცდენ, გადარევ, დაყრი შვილებს, გუგულივით და საკუთარი ბილწი ცხოვრების გარდა, არაფერზე იფიქრებ. შენი შვილები ერთმანეთს რომ გადააწყდნენ და ერთმანეთი შეუყვარდეთ, როგორ ცოდვაში გაეხვევიან, გიფიქრია?! მითხარი, იმათ რა ეშველებათ, რა ააშავეს?!

„ბოდავს“, — გავიფიქრე და სულ გადამეწურა ხსნის იმედი.

— ნუ გეშინია, მე დაგიფარავ ამ უმძიმესი ცოდვისაგან, — თავისას მიერეკებოდა ბაკური. — ახლავე, სიკვდილზე დაგაქორწინებ. შენთვის, ვარდების მაგივრად, სურათი მაქვს საჩუქრად, — ამ სიტყვებზე, ხალათი გაიხადა და წელს ზევით შიშველი, ჩემკენ წამოვიდა. საოცარია, მაგრამ ამ საშინელ სიტუაციაშიც კი შევნიშნე, როგორი ლამაზი, დაკუნთული ტორსი აქვს. რაღაც მეხამუშა, მაგრამ ამაზე აღარ მიფიქრია, მღელვარებისაგან მუშტები შევკარი, იატაკზე დადებულ შანდალს დავწვდი და მოძალადეს გამეტებით ვდრუზე თავში. მოულოდნელობისაგან დაიბნა და დარტყმა ძალიან ეფექტური გამომივიდა: დაბარბაცდა, გახეთქილი შუბლიდან გადმოსული სისხლი თვალებში ჩაუვიდა. მოგებული წამით ვისარგებლე და კარისკენ გავსხლტი. უეცრად, ისეთი რამ დავინახე, რომ გაოგნებისაგან გავშრი, სიმწრის ოხვრა აღმომხდა...

კარში კიდევ ერთი ბაკური იდგა, ოღონდ — ჩაცმული, არც შუბლიდან გადმოსდიოდა სისხლი... ორეულმა ხელიც კი გამოიშვირა ჩემკენ, მაგრამ სანამ შემეხებოდა, უკან დარჩენილი, თავგატეხილი მწვდა მკლავში. აქ კი ვიძალე და — ხომ წარმოუდგენელია?! — ორივე ბაკურს ერთად დავუსხლტი ხელიდან. მომეჩვენა, თითქოს ამ საქმეში ერთ-ერთი კიდეც მომეხმარა: მეორეს წელში შეუვარდა და გასაქანი არ მისცა...

რთული საკეტი უცნაურად იოლად გავაღე. სახელოსნოდან ორთაბრძოლის და ნივთების მსხვრევის ხმა მესმოდა. რომ წარმოვიდგინე, როგორ ეჭიდავება ბაკური საკუთარ ორეულს, დავიზაფრე, ტემპს მოვუმატე. კარის წინ უსულოდ დაგდებულ რექსს გადავახტი და სირბილით დავეშვი კიბეზე.

— მიშველეთ! — გავიგონე უცებ. ორი სართულიც ჩავირბინე და კვნესა უფრო მკაფიოდ შემომესმა: ერთ-ერთი ბინის გამოღებულ კარში თავი გამოყო ქერა ქალმა. აშკარად ნაწამებია, თვალთან და შუბლზე ნაკაწრები და ლურჯ-ყვითელი სისხლნაჟღენთები აქვს... ქალს მხარი შევაშველე. უღონოდ მოლასლასებს კიბეზე. ბაიაა! — გავიფიქრე. თითქმის ზურგზე მოკიდებული ჩამომყავს ლიფტამდე. ვეღარ გავრბივარ. გავიგონე, როგორ ატყდა ჩოჩქოლი სადარბაზოში. ბაია გათიშულია, ძლივს მომყვება. როგორც იქნა, გავაღწიეთ სამშვიდობოს და თომას გვამის მოსაძებნად გამოსულ პოლიციას ჩავბარდით.

— იქ, სახელოსნოში, ბაკურია... ორი ერთნაირი. ერთი — მოკვლას მიპირებდა, მეორე — მომეხმარა.

პოლიციელს სახეზე შევატყვე — ჩათვალა, რომ ვბოდავდი.

— თუ არ ვცდები, ეს — დაკარგული ბაია მანჯავიძეა. კონტაქტში ვერ შემოდის. სასწრაფოდ დახმარება სჭირდება. მას მამა ეძებდა, რომელმაც დღეს მოიკლა თავი, — არ ვიშლი ჩემსას.

პოლიციელი გაგვეცალა და მობილზე დაიწყო ლაპარაკი. ცოტა ხანში, „სასწრაფოთი“ გაგვაქანეს: მე ბაია მარტო ვერ დავტოვე და წავყევი.

საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში გაგვანაწილეს: ბაია მიმღებში დატოვეს, მე კი, ვიღაც მწვანეხალათიანმა ქალმა გამიყვანა. ქილა რომ მომაწოდა და შარდის ჩაბარება მომთხოვა, მივხვდი, პოლიციელმა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გაგვგზავნა. სიმწრის ცრემლები წამომცვივდა. მედდამ ეს რეაქცია თავისებურად ახსნა და დამიყვავა:

— ნუ გეშინია, შვილო, მოხმარებისთვის არ დაგიჭერენ. თუ გინდა, მოგარჩენენ კიდეც, დაგეხმარებიან „ლომკის“ გადაგდებაში. იმ შენს დაქალსაც უმკურნალებენ...

— ქალბატონო, თუ შეიძლება, ტელეფონზე დამარეკვინეთ, გამუდარებით.

— რა უცნაური გოგო ხარ, ეგ რა სახვეწარია?! წამო, ექიმის კაბინეტიდან დარეკე, — ქილა გამომართვა მედდამ და ოთახში შემიძღვა.

— ნინო ექიმო, სახლში უნდა დარეკვა, — მოახსენა ჩემი ხნის ცხვირპაჭუა გოგოს, რომელიც ძალიან ჰგავდა ფაიფურის თოჯინას და ჟურნალში პირველკლასელის მონდომებით გამოჰყავდა ასოები... ხელში ყურმილი ავიღე და აღმოვაჩინე, რომ ვერსად ვრეკავ, რადგან ჩემი ჩანთა და მობილური ბაკურის სახელოსნოში დარჩა, ზეპირად კი ერთადერთი, ირას ტელეფონის ნომერი ვიცი. სხვა რა გზა მქონდა? ძვირფასი დედიკო გავანერვიულე და დახმარება ვთხოვე.

სულ რაღაც ათიოდე წუთში, ირა და

თორნიკე ნარკოლოგიურ საავადმყოფოში გაჩნდნენ. ექიმთან ხანმოკლე, პროფესიონალური საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ ბაიას, კლინიკაში დატოვებდნენ.

— აღენიშნება ცნობიერების დაბინდვა... დეზორიენტირებულია დროსა და სივრცეში... გამოხატულია შოკის ნიშნები... მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია... — აღწევდა ჩემამდე „ფაიფურის ქალისა“ და დედაჩემის დიალოგის ნაწყვეტები...

— შენი მარტო დატოვება არ შეიძლება, — ვიშვიშებდა მანქანაში დედაჩემი, დროდადრო შუბლზე ხელს მადებდა, თითქოს სიცხეს მიმოწმებსო და გაუჩერებლად ქაქანებდა. მე ვერ ვეწინააღმდეგებოდი. თორნიკეც უხმოდ ატრიალებდა საჭეს.

— წარმოგიდგენია, შენს სახლთან ვიღაც საწყალი მაწანწალას თავმოჭრილი გვამი იპოვეს დამარხული!.. ზემოდან, გერმანელის ეზოდან მოპარული კაქტუსები გადაურგავს მკვლელს. დიასახლისი გერმანიაში გამგზავრებულა თურმე და სახლი მიტოვებულია. სამარხს, ეკლების გამო, მეძებარი ძაღლები ვერ ეკარებოდნენ. ნაზიკოს ბიჭს დაუნახავს, როგორ დაუმარხავს ვიღაც თქვენს მეზობელ მხატვარს იმ ორმოში, ჯერ — დიდი ტომარა, მერე — მოჭრილი თავიც. იმან აპოვნინა ალეკოს. იმ სახლში ვერ გაგიშვებ: ხომ ხედავ, მანიაკი დაგდევს! — კატეგორიულად განმიცხადა ირამ და მეც არ გამიპროტესტებია.

ღამე დედასთან მომიწია დარჩენამ. ერთადერთი, რისი ნებაც ირამ დამრთო, მაღრაძესთან დარეკვა იყო. ჩემგან განსხვავებით, ირას კარგად აქვს დაზეპირებული მისი ტელეფონის ნომერი. შეფს ყველაფერი ვუამბე და ბაკურის სახელოსნოდან ჩემი ჩანთის წამოღება ვთხოვე.

— კარგი, ალეკო გაარკვევს ყველაფერს, — ასეთ მოკლე კომენტარს დასჯერდა ირაკლი, რომელიც ყურადღებით მისმენდა და მხოლოდ ერთხელ შემაწყვეტინა თხრობა — შემთხვევის ადგილის მისამართის დასაზუსტებლად.

დილას, ალეკო და ირაკლი ერთად გამომეცხადნენ, მთაწმინდის სახლში წამიყვანეს. ირამ მარტო არ გამიშვა, თვითონაც წამომყვა.

შინ მაგდა დამხვდა, უცნობ ქალბატონთან ერთად. ეს ქალი მარინა დარჩია აღმოჩნდა — ჩვენი სახლის ყოფილი პატრონი. ნაზიკო თავს დაგვტრიალებდა. ძალიან ამაყი იყო, რომ მისი ლუკა გამოძიებას გამოადგა...

ალეკომ გვიამბო, როგორ აღმოაჩინა ბაკურ სანაძის სახელოსნოში წელს ზემოთ შიშველი, თავგატეხილი მამაკაცის გვამი, რომელსაც გულმკერდი იაპონური ხმლით ჰქონდა გადასერილი.

— მეორე არ გინახავთ, იმ მოკლულის ორეული? — ვიკითხე გულუბრყვილოდ და მაშინვე ვინანე: ამ უცხო ქალის თანდასწრებით სამივემ ისე შემომხედა, თითქოს ორი წლის ცრუპენტელა ბავშვი ვყოფილიყავი, რომელიც ცელქობაში არ ტყდება.

— მარიანა, გამოძიებას ესმის, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდი, მაგრამ გულწრფელი აღიარება გვჭირდება — ჩვენება უნდა მოგვცე, — დამიყვავა ბაღაშვილმა.

— დიდი სიამოვნებით. ირაკლის ხომ ყველაფერი ვუამბე. თუ გინდა, თავიდან მოგიყვები იმავეს და ახსნა-განმარტებას წერილობით მოგართმევ, — ვერ ჩავწვდი მისი ნათქვამის შინაარსს.

— მარიანა, ჩემო კარგო, — დაიწყო დედაჩემმა ისეთი ტკბილი ტონით, როგორითაც მხოლოდ თავის „იუზერებს“ ელაპარაკება. — მე კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ შენ გიჭირს იმის გახსენება, თუ როგორ შემოგაკვდა ადამიანი, მაგრამ ყველამ ვიცით — თავს იცავდი და სხვა გამოსავალი არ გქონდა. შენც უნდა შეეგუო ამ აზრს, თავის მოტყუება და ვიღაც მითურ ორეულზე გადაბრალება არ გამოგადგება.

ახლაღა მივხვდი — ამათ ბაკურის ორეულის არსებობის არ სჯერათ და ჰგონიათ, რომ მოძალადე მე მოვკალი.

— რა უნდა გაგიმხილოთ? სიმართლე უკვე გითხარით! — დავიჟინე მე. — რატომ არ შეიძლება, რომ მაგ ბაკურს ტყუპისცალი ძმა ჰყოლოდა და იმას მოეკლა ყველა?!. საერთოდ, რა იცით, რომელი ბაკურია მკვდარი — მანიაკი თუ ის, მეორე, რომელიც მეხმარებოდა!..

— ეგეთი რამ შეუძლებელია, — „დაბეჭდა“ ირაკლი მაღრაძემ.

— რატომ?! — წამოვიძახე გამწარებულმა: ძალიან ძნელია, როცა შენი თვალით ნანახს არავინ გიჯერებს.

— იმიტომ, რომ ეგეთი რამეები მხოლოდ მექსიკურ და ვენესუელურ საპნის ოპერებში ხდება და არა რეალურ ცხოვრებაში, — გამომიცხადა ადამიანის ფსიქიკაში ღრმად ჩახედულმა დედაჩემმა.

— მაშ, ის კი ხდება ნორმალური ადამიანების ცხოვრებაში, მაგ თამილას გუგულივით რომ ჰყავს თავისი ბარტყები სხვის ბუდეებში ჩაყრილი?! — ვიკითხე ცრემლნარევი ხმით.

— მაკო მართალია, მაი, სერიალზე თუ თქვით, ეგ საპნის ოპერაააო თუ რაცხა, მე ვუყურებ ეხლა ერთს, ნამეტანი ცხოვრებისეულია, — გამოსარჩლება დამიპირა ნაზიკომ, მაგრამ მაგდამ თვალები დაუბრიალა და ხმა ჩააწყვეტინა.

— თამილას ამბავს მე გატყვით, — ხმა ამოიღო ამერიკიდან ჩამოსულმა მარინა დარჩიამ. — ჩემი საცოდავი შვილის ამბავს მოგიყვებით, მართლაც სერიალის სცენარს ჰგავს, ასეთი ტრაგიკული რომ არ იყოს ეს ამბავი...

— თამილა არდაშელიასთან თქვენი ქალიშვილი რა კავშირშია? — ვიკითხე გაფაციცებულმა.

— ჩემი ნინიკო, თამილას შვილი იყო... ესმას ჰყავდა ერთი ნაცნობი ბებიაქალი, მარო. იმან ამშობიარა თამილა და ბავშვი ესმას გამოატანა. მაშინ სულ არ ვიცოდი, ეს პატარა, ულამაზესი გოგონა, თამილას შვილი თუ იყო. ესმასთან ვმეგობრობდი და ბრმად ვენდობოდი. როდესაც სრულიად ახალგაზრდას, სიმსივნის გამო, საშვილოსნო ამომკვეთეს, შვილის გაჩენის შანსი დავკარგე. ანტონს დავუმალე ჩემი პრობლემა, არ ვეუბნებოდი, მეშინოდა, ამის გამო არ დამეკარგა. ესმა შემომიჩნდა — ბავშვი აიყვანეო. მირჩევდა — ერთი პატარა გოგო ვიცი, ლამაზი და ჯანმრთელი, უკანონო შვილს აჩენს, არავინ იცის იმის ორსულობის ამბავი, შინ გამოჩენის ეშინიაო; ქალთა კონსულტაციაში შენი პასპორტით გავატარებთ, სამშობიაროშიც ნაცნობი მყავს, შენად გავაფორმებთ და არავის ეცოდინება, სხვისი შვილი რომ არისო... დავუჯერე. ესმა მაშინ თვითონაც ბავშვს ელოდებოდა. ჩამჩიჩინებდა — დაქალები ვართ, ტოლი შვილები გვეყოლება, ერთად გავზრდითო. ბაია ჩემს ნინიკოზე ექვსი თვით ადრე დაიბადა. მე ორსულობის იმიტაცია გავაკეთე. ანტონს ბოლო თვეებში ვატყუებდი — მძიმე ტოქსიკოზი მაქვს, შენთან შეხებაც კი არ შემიძლია, მარტო მინდა ძილი-მეთქი. დამიჯერა. ისე უნდოდა შვილი, სიხარულით მეცხრე ცაზე იყო... ნერვიულობისგან ბევრს ვჭამდი, ძალიან გავსუქდი, მართლა ორსულს ვგავდი... თექვსმეტ წლამდე ისე გავზარდე ბაია, ჩემზე ბედნიერი ქალი არავინ მეგონა... მერე ჩვენს სახლში ანტონმა ნუცა და ბაკური გადმოიყვანა. მე არც გამიგია, ბავშვებს ისე შეუყვარდათ ერთმანეთი. ბაკური ბაიასაც ჰყვარებია, მაგრამ იმან ნინიკო არჩია. გაბრაზებულ ბაიას პირში მიუხლია ნინიკოსთვის, რომ ბაკური მისი ნახევარძმა იყო. ესმამ გამთქვა. ის ბაკურიც ესმას მიუყვანია ნუცასთვის, ისიც მარომ გამოაყვანინა სამშობიაროდან. მაშინ გავიგე პირველად, რომ ნინიკო თამილას შვილი იყო. სულ კი ვამსგავსებდი თამილას, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, ესმა ასე თუ გამაცურებდა. ბაიამ შემომტირა — როცა ეს ამბავი გავუმხილე, ჯერ არ ვიცოდი, მაგასა და ბაკურს შორის ინტიმი თუ იყოო...

მარინამ ცრემლი მოიწმინდა და ცოტა ხანს გაყუჩდა. სულგანაბული ვუსმენდით. იმ „შავ მაროსთან“ ისევ უნდა მივიდე და ვკითხო, რატომ დამიმალა ბაკურის ამბავი, — გავიფიქრე მე.

— ეს ყველაფერი ჩემი ქალიშვილის სიკვდილის წინა წერილში წავიკითხე. მანამდე კი მე მკითხა — მართალია თუ არა, რომ ნაშვილები ვარო? რომ მცოდნოდა, რატომ მეკითხებოდა, ხმას როგორ ამოვიღებდი?! მაგრამ საკუთარი თავი დამაფიცა და სიმართლე ვერ დავუმალე. ანტონმაც სიკვდილამდე არ მაპატია სიცრუე: ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ჩემთვის ხმა აღარ გაუცია... ბაკური ნინიკოს დასაფლავების მერე, სახლიდან გაიქცა. ერთი წლით ადრე, ნუცამ, შვილიშვილისთვის შესანახად, ძველებური საწერი მაგიდა და თამილას ერთი ვერცხლისჩარჩოიანი სურათი მომაბარა... ბიჭმა სურათი ნინიკოს გასვენებაში, თომას აჩუქა... არც მაგიდა წაიღო: ახალ სახლში ძველი მოგონებები არ მჭირდებაო, — გამოაცხადა. მეც მაშინ გავუმხილე თომას, ბაკური მისი შვილი რომ იყო.

— დამაცადეთ, ერთ სურათს გაჩვენებთ, — წამოვიძახე მე. ეს ფრაზა მანიაკის ამბავში ლამის საკრალური გახდა. სახელოსნოდან წამოღებულ ჩემს ჩანთას დავწვდი და გავხსენი. დიდხანს უშედეგოდ ვიქექებოდი. თამილას სურათი არსად ჩანდა...

— ხომ არ გაგიგონიათ ნუცა დადიანის „ფაბერჟეს“ ამბავი?

— ლევანი ჰყვებოდა, როგორ აჩვენა ერთხელ თამარმა „ფაბერჟეს“ ორი კვერცხი. მისი ვერსიით, მამამისს, ავთო სანაძეს უჩუქებია დედამისისთვის. ამ ამბის შემდეგ, ლევანი „ფაბერჟეს“ ფანატიკოსი გახდა. ყველაფერი შეისწავლა, რაც ამ გენიალური ხელოვნის მემკვიდრეობას შეეხებოდა. ამბობდა — ეგ, როგორც ჩანს, „კელშის კვერცხებია“ და მილიონები ღირსო... ნუცას სიკვდილის მერე, მოვიდა ანტონთან და ეს ამბავი მოუტანა. თამარმა არ იცოდა, დედამისი განძს სად მალავდაო, — ირწმუნებოდა ლევანი... ერთხელ, ნუცას ზარდახშა ღია დარჩენია და მაშინ უპოვია თამარს. ნუცა ძალიან გაბრაზებულა და ისე კარგად დაუმალავს თავისი ძვირფასეულობა, თვალით აღარავის უნახავს. ვიპოვოთ ქონება და გავყიდოთო, — ამბობდა, მაგრამ ანტონმა სახლიდან გააგდო. ნინიკოს გამო, მანჯავიძეების დანახვა არ უნდოდა. არც თვითონ იყო განძის ძებნის ხასიათზე. მათ საუბარს ღია კარიდან მოვკარი ყური...

— ექსპერტიზიდან დამირეკეს, იაპონურ ხმალზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდები მამაკაცს ეკუთვნის. მარიანას პატარა ხელის ანაბეჭდები სხვა ნივთებზეა, ხმალზე კი არ აღმოჩნდა. ასე რომ, მისი ვერსიის გაზიარება მოგვიწევს.

— „შავი მარო“, — აღმომხდა მე. — „შავმა მარომ“ რატომღაც დამიმალა, თამილას ბიჭი რომ ჰყავდა. იმან იცის სიმართლე. ბაიაც უნდა ვნახოთ საავადმყოფოში: იქნებ, გამოვიდა შოკიდან?.. გვეტყვის, რა უნდოდა იმ ბინაში.

— აღარ უნდა შეეშვა სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფას?! — მრისხანედ გადმომხედა დედაჩემმა.

— როცა შენს პაციენტს დაცვა სჭირდება, მაშინ კარგად მაძლევ დავალებებს! — გავცხარდი უცებ. — სხვათა შორის, იმ სალომე არაბულის სიკვდილშიც შესაძლოა, ბაკურ სანაძის ხელი ერიოს. ისიც თამილას გაშვილებული ბავშვი იყო, „შავი მაროსგან“ ვიცი, — გამოვაცხადე ამაყად.

— მარიანა მართალია: იმ საქმესთან სანაძის კავშირს მირიან ბოკუჩავაც ადასტურებს. სალომეს მეგობრის ჩვენების მიხედვით შედგენილი ფოტორობოტი ძალიან ჰგავს ბაკურს, — სიტყვა შემაწია ბაღაშვილმა. — დაქალის თქმით, იმ დილას სალომე სწორედ მაგ კაცს ელოდა სტუმრად. ის სულით ავადმყოფი სანტექნიკოსი, ორველაშვილი, სალომეს ბინასთან რომ დაიჭირეს, დღეს დილას გაათავისუფლეს წინასწარი პატიმრობიდან, სამხილის უკმარისობის გამო, — გაახარა დედაჩემი ბაღაშვილმა. — რადგან „შავი მარო“ ასეთი გულახდილია შენთან, იქნებ, კიდევ ერთხელ გაესაუბრო? ოფიციალურად ვერ დაგავალებ — მეგობრულად გთხოვ, — თვალი ჩამიკრა ალეკომ.

ჩემს რკინის არგუმენტს დედაჩემიც კი ვერ შეეწინააღმდეგა.

სამაგიეროდ, მაღრაძე გაჯიუტდა — მარტოს არსად გაგიშვებ, მეც წამოვალო, — გამომიცხადა კატეგორიულად. ახლა, უკვე გამომძიებლის ოფიციალური თანხმობით, მაროსთან, ჩვენების ჩამოსართმევად წავედით.

— მარტო შედი, მე გარეთ დაგელოდები, — შემომთავაზა ირაკლიმ. — ჩემს დანახვაზე არ გაჯიუტდეს. თუ რამე საეჭვო დაინახო, ხმამაღლა დაიყვირე და შენთან გავჩნდები.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და კიბეზე ავედი. ზარი რომ დავრეკე, გული გამალებით მიცემდა. არავინ გამიღო. კარი ოდნავ შეღებული მომეჩვენა. ხელი ვკარი და გაიღო. თამამად შევაბიჯე ბინაში. დერეფნის იატაკზე, სისხლის გუბეში მარო იწვა. პირზე ნარინჯისფერი, სქელი პლასტირი ჰქონდა დაკრული. გულში სამზარეულო დანა ჩაერტყათ, რომელიც იქვე ეგდო. შიშისაგან ხმამაღლა შევკივლე, მერე აზრზე მოვედი, მომაკვდავს თავი წამოვუწიე და ხელის ენერგიული მოძრაობით პირიდან პლასტირი ავაძრე.. მარომ თვალი გაახილა.

— ვკვდები, — ამოიხრიალა.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

მილა იოვოვიჩი: მე ღონიერი უკრაინელი გოგო ვარ და ბევრს ვმუშაობ...

ჰოლივუდის ვარსკვლავმა მილა იოვოვიჩმა, ყირიმში არსებული, წარსულში პიონერთა, ამჟამად კი – ბავშვთა საერთაშორისო ბანაკის – „არტეკის“ 80 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა და უკრაინაში საქველმოქმედო ფონდი დააფუძნა, რომლის მიზანი, ბავშვების, მათ შორის –

ხეიბარი მოზარდებისთვის დახმარების გაწევაა. სახელგანთქმული მსახიობის პირველმა შენატანმა 80 ათასი დოლარი შეადგინა. მისი თქმით, ეს ფონდი ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენასა და მხარდაჭერას შეუწყობს ხელს „და საერთოდ, ყველა უკრაინელი ბავშვის მხარდამჭერი იქნება“, – დასძინა იოვოვიჩმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მომდევნო შემოწირულობები გაცილებით მასშტაბური იქნება და მისი სურვილია, „არტეკში“ ინვალიდი მოზარდების დასასვენებლად საჭირო ყველა პირობა შეიქმნას. კითხვაზე – თუ მისი ვარაუდით, ჰოლივუდის ვარსკვლავებიდან ვინ შეიძლება შეიტანოს შეწირულობები აღნიშნულ ფონდში, მილა იოვოვიჩმა უპასუხა, რომ მას ჯერ ვერ მოუსწრია ამ წამოწყების შესახებ აშშ-ში ინფორმაციის გავრცელება და როგორც კი შინ დაბრუნდება, ამ მიზნით უმალვე ტელეფონს მიუჯდება... გსურთ თუ არა, რომელიმე უკრაინულ ფილში გადაღება? – ჰკითხა მილას ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: „რასაკვირველია, მსურს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მსახიობმა თითოეული როლის შერჩევისას დიდი დაკვირვება და სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, – და დასძინა: „მე ღონიერი უკრაინელი გოგო ვარ და ბევრს ვმუშაობ... თავისუფალ დროს კი, კითხვასა და გიტარაზე დაკვრას ვუთმობ“. ■

ალ პაჩინო ნაპოლეონის როლში მოგვევლინება

ამ ფილმის პროდიუსერი, ბარი ნავიდი იქნება, რომელიც მსახიობთან შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ გადაღებისას თანამშრომლობდა. „ამ სურათში, ნაპოლეონის ცხოვრების უკანასკნელი წლების ასახვას ვაპირებთ, რომლებიც იმპერატორმა დევნილობაში გაატარა“, – თქვა ჟურნალისტებთან საუბრისას ნავიდიმ. – სცენარის საფუძველს, ახალგაზრდა ბრიტანელი ქალის, ბეტსი ბელკომბის დღიურები წარმოადგენს. წმინდა ელენეს კუნძულზე ყოფნისას, ნაპოლეონს ბეტსისთან ურთიერთობა ჰქონდა და ამ ქალს მასში დიდი ვნებაც გაუღვიძებია... „ძალზე გაგვახარა იმ ამბავმა, რომ ალ პაჩინო ჩვენს წინადადებაზე დათანხმდა. გადაღებებს სულ მალე დავიწყებთ და ფილმს კანის საერთაშორისო ფესტივალზე 2007 წელს ვუჩვენებთ მაყურებელს“, – დასძინა პროდიუსერმა. ■

ანჯელინა ჯოლი – ჯადოქარი

ვარსკვლავი დათანხმდა, მონაწილეობა მიიღოს ანგლოსაქსურ ეპოსში – „ბეოვულფი“, რომელშიც კაციჭამია გოლიათის, გრენდელის დედას განასახიერებს. ეპიკური თქმულება, რომელიც VIII-IX საუკუნეებშია ჩაწერილი, გაუტთა (დანიელთა თანამოძმეთა) ტომის წარმომადგენელი რაინდის შესახებაა მოთხრობილი. ბეოვულფმა უსასტიკეს ბრძოლაში დაამარცხა და მოკლა გრენდელი. შემდგომ, ღრმა სიბერემდე, ის გაუტებზე მეფობდა და დრაკონთან შერკინებისას დაიღუპა... ფილმის რეჟისორად სახელგანთქმული რობერტ ზემეკისი მოგვევლინება. მამაც ბეოვულფს ინგლისელი მსახიობი რეი უინსტონი განასახიერებს; სურათში მონაწილეობას მიიღებენ: ენტონი ჰოპკინსი, ბრენდან გლისონი და კრისპინ გლოვერი. კინოეკრანებზე „ბეოვულფის“ გამოსვლა 2007 წლისთვისაა დაგეგმილი. ■

შვარცენეგერს საკუთარი მუზეუმი ხელაც არ ანაღვლებს

კალიფორნიის გუბერნატორის, არნოლდ შვარცენეგერის სამშობლოში – ავსტრიის ქალაქ გრაცში მდებარე, არნის მუზეუმის თანამშრომლები განგაშს ტეხენ იმის გამო, რომ ამ დაწესებულების შესანახად ფული არ ჰყოფნით. თავად ყოფილი კინოვარსკვლავი კი არ პასუხობს მისი მისამართით გაგზავნილ წერილებს, რომლებშიც მას ფინანსურ დახმარებას სთხოვენ. როგორც ჩანს, შვარცენეგერს დაავიწყდა ავსტრიის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ დაბაში გატარებული საკუთარი ბავშვობა და ის ადგილები, რომლებიც ამ მშვენიერ ხანას უკავშირდება, – ასე ფიქრობენ მუზეუმის მესვეურები, რომლებმაც ჰოლივუდის ვარსკვლავის უკვდავსაყოფად, ეს დაწესებულება 1997 წელს გახსნეს, ახლა კი, უსახსრობის გამო, მისი დროებით დახურვა უწევთ. ■



კირა ნაიტლი: არა – ლიპოსაქციას!

ინგლისელი მსახიობი ქალი გაოცებულია იმით, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჰოლივუდში უნაკლო გარეგნობას... „კარიბის კუნძულის მეკობრეების“ ვარსკვლავი თურმე, პირველად მაშინ გაოცებულა, როდესაც ექიმმა მას, ლიპოსაქციის მეშვეობით ფიგურის კორექტირება ურჩია, ხოლო როცა ცხვირის ფორმის შეცვლაც შესთავაზეს, მისი გაოცება განრისხებით შეიცვალა. „როცა ლოს-ანჯელესში ვიყავი ჩასული, გადავწვიტე, დერმატოლოგთან მივსულიყავი, რათა მისგან კანის პრობლემასთან დაკავშირებით კონსულტაცია მიმეღო, – გაუზიარა კირამ ამას წინათ, საკუთარი გრძნობები ჟურნალისტებს. – ჩემთვის მოულოდნელად, მკითხეს – შემთხვევით, ცხვირის ფორმის შეცვლაც ხომ არ გსურთ? თან შეგვიძლია, ლიპოსაქციაც შემოგთავაზოთო... არავითარ შემთხვევაში! – ვუპასუხე მე“. კირა ნაიტლის თქმით, მაყურებლები სულ ტყუილად ფიქრობენ, რომ მსახიობ ქალებს უნაკლო გარეგნობა უნდა ჰქონდეთ. „სრულყოფილება შეუძლებელი რამაა“, – დასძინა ნაიტლიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

■

ჯორჯ ულუნიმ ხათამაშო ბიზნეხს მოჰკიდა ხელი

მსახიობმა ლას-ვეგასში მშენებარე კომპლექსის – Las Ramblas – ერთ-ერთი ინვესტორის როლი მოირგო. პროექტის საერთო ღირებულება 3 მლრდ დოლარადაა შეფასებული, მაგრამ ჰოლივუდის ვარსკვლავის წილის ოდენობა საიდუმლოდ რჩება. „ცხადია, ამან შესაძლოა, გამაკოტროს კიდეც, – აღნიშნა კლუნიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას, – მაგრამ ვიცი, რომ ჩემი პარტნიორები ბიზნესის გაძღოლის კარგი უნარით გამოირჩევიან და ამიტომ, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ ეს ჩემი მხრიდან ავანტიურაა...“ იქვე დასძინა, რომ მსგავს, მსხვილმასშტაბიან მშენებლობაში აქამდე, არასდროს მიუღია მონაწილეობა.

პროექტის თანახმად, Las Ramblas, რომელიც ბარსელონის ერთ-ერთი ცენტრალური ტურისტული ქუჩის სახელს ჰგავს, 11 ქოშკურისგან შედგება, რომელშიც საცხოვრებელი აპარტამენტები, სასტუმრო და კაზინო განთავსდება. გარდა ამისა, დაგეგმილია სასტუმრო-„ბუტიკის“, რესტორნებისა და სხვა გასართობი დაწესებულებების მშენებლობაც. კლუნის თქმით, მისი სურვილია, მის მიერ დაფინანსებულ პროექტის ნაწილში იხილოს სასტუმრო, რომელიც „ჩემთვის ახლობელ, ძველ ჰოლივუდურ სტილში იქნება გადაწყვეტილი“. შესაძლებელია, რომ კომპლექსში კინოთეატრსაც მოეძებნოს ადგილი.

აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ჩაბმული არიან, ღამის გასართობი დაწესებულებების ქსელის მეპატრონე რანდ გერბერი და მისი ცოლი სინდი. როგორც ამერიკული პრესა იუწყება, შესაძლოა, პროექტს კიდევ ერთი ვარსკვლავი – ბრედ პიტიც შეუერთდეს, რომელიც პარტნიორობას უწევდა კლუნის, ლას-ვეგასის კაზინოს ძარცვის სიუჟეტზე გადაღებულ ცნობილ ფილმში – „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“... ბოლოს დავძენთ, რომ Las Ramblas-ის მშენებლობა 2006 წლისთვისაა დაგეგმილი, ხოლო მისი ექსპლუატაციაში ჩაბარება 5 წელიწადში მოხდება. ■



მაიკლ ჯექსონი ხაამიროებში უძრავი ქონების შეძენას აპირებს

მოარული ხმებით, როკის მეფე, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში უძრავი ქონების შეძენას აპირებს. ამ ცოტა ხნის წინ, ის ბახრეინის მეფის შვილთან ერთად, კერძო თვითმფრინავით, პირადი დაცვის თანხლებით დუბაიში იმყოფებოდა და მსოფლიოში ყველაზე მაღალი და ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროს –

„ბურჯ ალ არაბის“ – ე.წ. სამეფო ნომერში ცხოვრობდა.

ჯექსონი ბახრეინში ივნისის ბოლოს – მას შემდეგ გადაბარგდა, რაც ვარსკვლავის წინააღმდეგ წამოწყებული სასამართლო პროცესი მისი გამარჯვებით დასრულდა. როგორც დასავლეთის პრესა იუწყება, „მეფემ“ უკვე შეიძინა ამ ქვეყანაში, ხელოვნურ კუნძულზე მდებარე 2 ვილა და ბახრეინში ცხოვრების ოფიციალური უფლებაც გააფორმა. გარდა ამისა, ჯექსონმა ადგილობრივ ბანკში რამდენიმე ანგარიში გახსნა და 3 ავტომანქანა – Rolls-Royce Phantom, Bentley Continental და შვილებისთვის განკუთვნილი ჯიპი იყიდა. როგორც ცნობილია, მაიკლს 3 შვილი – პრინცი მაიკლ I, პრინცი მაიკლ II და გოგონა პერისი ჰყავს. რაც შეეხება არაბთა გაერთიანებულ საამიროებს – როკის მეფე ამ ქვეყანაში, თავის მეგობართან, რეგიონულ რალიში მრავალგზის გამარჯვებულ მოჰამედ ბინ სულაისთან ერთად მოგზაურობდა.

■

ბორბლებზე შემდგარი სასტუმრო

გერმანული ფირმა Hymer არა მარტო კემპერების (ბორბლებიანი სახლების) წარმოებაშია დახელოვნებული, არამედ მათზე შედარებით იაფფასიან, საცხოვრებელ მისაბმელებსაც უშვებს. ამ ტიპის ტრანსპორტის ისტორია უკვე ნახევარ საუკუნეს ითვლის. კომპანიის ბოლო წარმატებულ მოდელს კი, მისაბმელი Eriba Nova წარმოადგენს, რომელზეც იმდენად დიდი მოთხოვნაა ევროპაში, რომ მისი შეძენის მსურველები წინასწარ ეწერებიან და რამდენიმე თვის მანძილზე ელოდებიან თავ-თავიანთ რიგს. ამ ცოტა ხნის წინ, აღნიშნული მოდელის ბაზაზე ახალი – Eriba-Feeling შეიმუშავეს. მას ორ ვარიანტად აწარმოებენ: 415 (სიგრძე – 4,46 მ) და 430 (სიგრძე – 4,86 მ). მანქანის სიმაღლე 1,78 მ-ს, ხოლო აწეული სახურავით – 1,98 მ-ს შეადგენს. მისაბმელის ორივე ვერსიას აქვს სამზარეულო და საპირფარეშო, სასტუმრო ოთახი, რომელიც საძინებლად გარდაიქმნება. მისაბმელში დგას 60 ლ ტევადობის მაცივარი, ორკომფორიანი პორტატული გაზქურა, გათბობის სისტემა. Eriba-Feeling-ის მასა 840 კგ-ს (415) და 880 კგ-ს (430) შეადგენს. მისი ფასიც საკმაოდ ხელმისაწვდომია: Eriba-Feeling 415 მომხმარებელს 11.900, ხოლო 430 – 12.500 ევრო დაუჯდება.

Getz-ს პლასტიკური ოპერაცია გაუკეთეს

Hyundai Motor Company-მ თავისი ყველაზე პოპულარული მოდელის – Getz-ის რესტაილინგური ვერსია წარმოადგინა. ამ მანქანის ევროპული პრემიერა მოახლოებულ ფრანკფურტის ავტოსალონზე გაიმართება. განახლების პროცესში დიზაინერებმა საფუძვლიანად გადაამუშავეს წინა მაშუქების, ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქების, უკანა ფარნების კონფიგურაციები, წინა და უკანა ბამპერები, საბორბლე დისკები. შეიცვალა აგრეთვე სალონის გაფორმება – კერძოდ, განახლდა ხელსაწყოთა პანელი. სალონის მოსაპირკეთებლად ახალი ფერების მასალებს გამოიყენებენ. წინამორბედი მოდიფიკაციებისგან განახლებული Getz უფრო მძლავრი ძრავათიც გამოირჩევა: ძველ, 1,3 ლ მოცულობის აგრეგატს, 95 ცხ.ძ-ის მქონე 1,4-ლიტრიანი შეცვლის. ახალი მოდელი უსაფრთხოების მხრივაც უფრო სრულყოფილი გახდა: ის აღჭურვილია მგზავრებისთვის განკუთვნილი უსაფრთხოების ბალიშით, რომელსაც სამუშაო და არასამუშაო რეჟიმზე გადამრთველი აქვს დართული. 2002 წლის მაისიდან მოყოლებული, როცა ავტობაზარზე აღნიშნული მოდელი პირველად გამოჩნდა, სხვადასხვა ქვეყანაში 550 ათასი Getz გაიყიდა.

RAV4-ის ახალი გამოშვება

Toyota RAV4-ის ახალი ვერსია, ისევე, როგორც Getz, ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე იქნება წარმოდგენილი. მისი ოფიციალური ფოტოსურათები უშუალოდ სალონის გახსნის წინა დღეებში იქნება გამოქვეყნებული. მანამდე კი, „ტოიოტამ“ RAV4-ის ახლანდელი თაობის სპეციალური მოდელი – Edition გამოუშვა. მანქანა აღჭურვილია კომპაქტ-დისკიანი აუდიოსისტემით, ტყავის სავარძლებით, გვერდითი სარკეების გამათბობლებით და 16-დუიმიანი საბორბლე დისკებით. ოპციების სახით მომხმარებლებს სავარძლების გამათბობლებს, სანავიგაციო სისტემასა და CD-ჩეინჯერს შესთავაზებენ. Edition-ს სამ და ხუთკარიანი ვერსიებით გამოუშვებენ. სამკარიანი მოდიფიკაცია 1,8 ლ სამუშაო მოცულობისა და 125 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი. მისი ფასი 21 ათასი ევრო გახლავთ.

მრავალსახოვანი Mini

კონცერნი BMW ცნობილი ავტომობილის – Mini – სამ მოდიფიკაციას აწარმოებს. ვერსია Seven – კონსტრუქტორ ალეკ ისიგონისის მიერ 1959 წელს შექმნილი ლეგენდარული მოდელის – Austin Seven – თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ახალი ვერსიის კომპლექტაციაში შედის: ტყავის საჭე, კონდიციონერი, მაგნიტოლა Wave და სავარძლების რეგულატორები. ვერსია – Parklane, ძველი, 1987 წელს გამოშვებული Mini-ს სპეციალური მოდელის ნაირსახეობა გახლავთ. ის გამოირჩევა სახურავზე მოთავსებული სპოილერით, ძარას ქრომირებული დეტალებითა და მსუბუქი ლითონისგან ჩამოსხმული საბორბლე დისკებით; რაც შეეხება მოდიფიკაციას – Checkmate – 17-დუიმიანი საბორბლე დისკებით, სპორტული სავარძლებითა და მაღალი სიჩქარით მოძრაობისთვის გათვალისწინებული საკიდრით. სამივე მოდელი მალე აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის ბაზრებზე გამოჩნდება.

ქართველი ემიგრანტების ვარსკვლავური ეზოები

რაც ქართულმა შოუბიზნესმა „ჩაილურის წყალი დალია“, მას ვისაც კი შანსი მიეცა, ყველა საზღვარგარეთ წავიდა. მათმა ძირითადმა ნაწილმა დიდ რუსეთს შეაფარა თავი. წავიდნენ და თანაც ისე, რომ აქეთ გამოხედვაც აღარ უნდათ და თუ ვინმე ძალზე ახლობელი არ სთხოვს, კონცერტის ჩასატარებლად კი არა, გამარჯობის სათქმელადაც აღარ ჩამოდიან. ბევრი ქართველი პირდაპირ საზღვარგარეთიდან გავიცანით: მაგალითად, ქეთი მელუა (რომელიც ლონდონში იმდენად პოპულარულია, რომ პირადი დაცვაც კი ჰყავს), ირაკლი ფირცხალავა (რომელიც, სამწუხაროდ, სუსტი იოგების გამო, ამჟამად ვერ მღერის), წლევანდელი „იურმალის“ მონაწილეები: სოფო ნიჟარაძე რუსეთიდან და ბესიკ შპეტიშვილი, იგივე ბრენდონ სტოუნი, ესპანეთიდან. უკვე რამდენიმე წელია, მათ რიგს სალომე გასვიანიც შეუერთდა და ამერიკაში ცნობილი ვოკალის პედაგოგებთან დადის, ამასთანავე, სამსახიობო ხელოვნებასაც ეუფლება... მათ ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებთ — ამჯერად, გიამბობთ იმ სამი ადამიანის შესახებ, რომლებიც ამერიკაში, საბერძნეთსა და თურქეთში საკმაოდ პოპულარულები არიან, ჩვენ კი, ზოგიერთი მათგანის გვარ-სახელები აქამდე არც გაგვეგონა...

თეონა კოროშინაძე და ნათია გაგუა

ორი ქართველი გოგონა — თეონა კოროშინაძე და ნათია გაგუა — ამერიკაში პოპვარსკვლავის კარიერაზე ოცნებობს. ისინი უკვე წლებია, ნიუ-ჯერსიში ცხოვრობენ და დაბრუნდებიან თუ არა საქართველოში, არ იციან... თეონა კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას ნათლულია. მამამისი საქართველოში ცხოვრობს და თეონაც თითქმის ყოველ ზაფხულს სტუმრობს თბილისს. მას სწორედ ამერიკაში გამგზავრების დღეს ვესაუბრეთ. საინტერესოა, როგორ ესხმება ფრთები საზღვარგარეთ ახალბედა მომღერლების ოცნებას და როგორ ხდებიან იქ ვარსკვლავები...

ნათია ქივიძე
ნინო ჯავახიშვილი

— თეონა, თავდაპირველად წარმოგვიდგინე საკუთარი თავი. ქართველმა მსმენელმა ხომ არაფერი იცის შენ შესახებ...

— დედაჩემი, ეთერ იოსებიძე მომღერალი გახლდათ. ფილმში — „მოიტაცეს თამარ ქალი“ — აჟღერებულ სიმღერებს, ბუბა კიკაბიძესთან ერთად მღეროდა. ის სიმღერების ავტორიც იყო. დედაჩემი ჩემს მშობიარობას გადაჰყვა, როგორც ამბობენ — ექიმების დაუდევრობის გამო... ბებიამ, დეიდამ და უფროსმა დეიდაშვილმა ფაქტობრივად, დედის მაგივრობა გამიწიეს. დეიდაჩემი — ნათელა იოსებიძე ამჟამად ჩვენი პედაგოგია, არაერთი ჯაზ-ფესტივალის ლაურეატი გახლავთ. მამაჩემი თბილისში ცხოვრობს, მას მეორე ოჯახი აქვს. ნათია გაგუა, რომელთან ერთადაც თითქმის ყოველთვის დუეტში ვმღერი, ჩემი დეიდაშვილის შვილია, ჩვენ შორის მხოლოდ 2 წელია სხვაობა. წელს სკოლას ვამთავრებ, მერე კი ერთი წელი, უმაღლეს სკოლაში ვივლი, ხელოვნების განხრით. ეს სკოლა ნიუ-იორკშია. მინდა, რომ მუსიკისმცოდნე გამოვიდე.

— დიდი ხანია, რაც ამერიკაში ცხოვრობ. რატომ გადაწყვიტე გზის გაკვალვა მაინცდამაინც საზღვარგარეთ?

— ამერიკაში გამგზავრება ჩემი არჩევანი არ ყოფილა, რადგანაც 6 წლის ვიყავი, როცა ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ამერიკაში წავედი საცხოვრებლად. მანამდე რამდენიმე წლით ადრე, დეიდა და ბიძა წავიდნენ სამუშაოდ. იმდენად კარგად აეწყოთ საქმე, რომ აგერ უკვე 15 წელია, იქ ცხოვრობენ. ბიძაჩემიც ხელოვანი იყო — მევიოლინე. ამერიკაში კი პროფესია გამოიცვალა — კბილის ტექნიკოსი გახდა და საკმაოდ წარმატებულადაც მუშაობს. დეიდაჩემს კი მუსიკალური სკოლა აქვს გახსნილი. ვიდრე ისინი ამერიკის მოქალაქეები გახდებოდნენ, ბებიამ და ბაბუამ „მწვანე ბარათი“ მოიგეს ლატარიაში. სწორედ მაშინ გადაწყდა ჩვენი საზღვარგარეთ წასვლა. პატარა ვიყავი და ადვილად შევეგუე იქაურობას. თანაც, იმდენი ქართველია ჩვენ გვერდით, რომ თავი საქართველოში გეგონება. იქაურებთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ის სითბო და სიყვარული, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლისას ვგრძნობ, იქ არ არის... თითქმის ყოველ ზაფხულს ჩამოვდივარ. წელს მხოლოდ 10 დღით მოვახერხე — პრობლემები შემექმნა პასპორტთან დაკავშირებით. სექტემბრიდან კი, უკვე სწავლა მეწყება და იქ უნდა ვიყო.

— თქვენს რეპერტუარში მხოლოდ უცხოური სიმღერებია?

— ძირითადად უცხოური, მაგრამ ამერიკაში არსებობს რუსული, უკრაინული, ებრაული დიასპორები და ჩვენ მათთვის ვმართავთ კონცერტებს. საუკეთესო დარბაზებში გამოვდივართ. ჩავატარეთ საქველმოქმედო კონცერტები და შემოსული თანხა მოხუცთა თავშესაფარს გადავურიცხეთ. რამდენიმე დისკიც გამოვუშვით. ახლა ახალ ალბომზე ვმუშაობთ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ძველ სიმღერებთან ერთად, ახალ ალბომში, სპეციალურად ჩვენთვის დაწერილი რამდენიმე სიმღერაც შევა: როდესაც კონკურსში გავიმარჯვეთ, იქ დამსწრე რამდენიმე კომპოზიტორმა საგანგებოდ ჩვენთვის დაწერა სიმღერა. ამერიკაში ძალზე მნიშვნელოვანია, იმღერო ის, რაც მხოლოდ შენთვის არის დაწერილი.

გონდუაძე თამთა თურმე, ბერძენ ჟურნალისტებს ძალზე ჰყვარებიათ

— საქართველოში ადვილია, გახდე ვარსკვლავი, თუ ფული გაქვს. როგორია გზა პოპულარობისკენ ამერიკაში? რა არის ვარსკვლავის კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი პირობა — ფული, ნიჭი, გარეგნობა თუ ყველაფერი ერთად?

— რა თქმა უნდა, ფული აუცილებელია, უფულოდ ვერაფერს მიაღწევ. თუმცა, სხვა დანარჩენსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ამერიკაში დამწყები მომღერლისთვის ძალზე პერსპექტიულია მუსიკალური კონკურსები: იქ თავს იყრიან იმპრესარიოები, კომპოზიტორები და ვინც მოეწონებათ, იმ მომღერლებს საქმიანი წინადადებებით მიმართავენ. შარშან, კონკურსის შემდეგ, ჩვენთან მოვიდა ერთი პროდიუსერი და შემოგვთავაზა — თუ შეგიძლიათ, ექვსი თვე ჰოლივუდში იცხოვროთ, მე ვიზრუნებ თქვენს პოპულარობაზეო. ბევრი რამეა პროდიუსერზე დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ იმიჯს შეგიქმნის. მე და ნათია ვერ დავთანხმდით მის წინადადებას, რადგან ვსწავლობდით და 6 თვით ვერ მოვწყდებოდით სასწავლო პროცესს. ასე რომ, ამერიკაში ვარსკვლავად ქცევა არცთუ ისე წარმოუდგენელი რამ არის... ჩემი ოცნებაა, ნიუიორკის სახელგანთქმულ დარბაზში — „მედისონ სქვერ გარდენში“ ვიმღერო. ეს თუ მოვახერხე — ვარსკვლავობისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება.

— საქართველოში თუ აპირებთ დაბრუნებას და თბილისში კონცერტის გამართვას?

— იცი, ახლა ძალიან ძნელია ჩვენთვის საქართველოში დაბრუნება და აქ ცხოვრება, გზის გაკვალვა. ამერიკაში უკვე აწყობილი გვაქვს ჩვენი საქმე. გვაქვს გეგმები, ოცნებები, რასაც მხოლოდ იქ შეიძლება შეესხას ხორცი. სამწუხაროდ, დღესდღეობით ასეა, მერე რა მოხდება — არ ვიცი... რაც შეეხება თბილისში კონცერტის ჩატარებას — სოლოსაც ვმღერით, მაგრამ ძირითადად, მაინც დუეტებს. ორივე რომ ჩამოვსულიყავით, შეიძლებოდა, რომელიმე კლუბში გვემღერა. დიდ დარბაზში კონცერტის გამართვა კი, ამ ეტაპზე, ცოტა არ იყოს, სარისკოა, რადგან საქართველოში ჯერ არავინ გვიცნობს... ვნახოთ, მომავალში რა იქნება, ყველაფერს დრო გვიჩვენებს...

თეონას შემოქმედებაზე მის ნათლიასა და პედაგოგს, კომპოზიტორ **ნუნუ გაგუნიას** ვესაუბრეთ:

— თეონა დედამისის დასაფლავების დღეს მოვნათლე... პროფესიონალურ სცენაზეც პირველად, მე გამოვიყვანე, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. 10 წლისამ საკმაოდ რთულ ნაწარმოებს არაჩვეულებრივად გაართვა თავი. ეს იყო მისი სასცენო ნათლობა. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ნათლულმა გამიმართლა. შარშან თეონამ და ნათიამ ჰოლივუდში, კონკურსში — „ხელოვნების ჩემპიონატი“ მიიღეს მონაწილეობა და გრან-პრი მოიპოვეს. ძმები გულაშვილები კი გამარჯვებულები — ჩემპიონები გახდნენ. ისე ამაყად ვგრძნობდი თავს, რომ ვერც აღგიწერთ. ქართველებმა დაიპყრეს ჰოლივუდი და ამაზე კარგი სხვა რა უნდა მომხდარიყო?!. იმ კონკურსში დაახლოებით 3000 ბავშვი მონაწილეობდა და ქართველებმა რომ გაიმარჯვეს, ეს ბევრს ნიშნავს...

ამერიკიდან საბერძნეთში გადავინაცვლოთ და ახლა იქ მყოფ ქართველ მომღერალს გავეცნოთ, რომელზეც ინფორმაცია იქ მყოფმა ჩვენმა თანამემამულემ, ქართული დიასპორის შესახებ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული არაერთი კორესპონდენციის ავტორმა ლიგია მუშკუდიანმა მოგვაწოდა. ამჯერად ქალბატონი ლიგია მოგვითხრობს ***თამთა გონდუაძის*** *შესახებ, რომელიც ბერძენ მუსიკის მოყვარულებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.* „დაახლოებით 10 წლის წინ, როდესაც პირველად ვეწვიე ელადის უძველეს მიწას, პირველი გაცნობა ჩემსა და ბერძნებს შორის ამ დიალოგით იმართებოდა: — ქართველი ხარ? თემურ ქეცბაიასა და კახი კახიაშვილის სამშობლოდანო?.. ახლა მათ თამთაც დაემატა: ეს ის სამი პირონვნებაა, რომელიც გაღმერთებული ჰყავთ ბერძნებს“, — *გვამცნობს ლიგია მუშკუდიანი.*

თამთა გონდუაძე 25 წლის გახლავთ. სულ ცოტა ხნის წინ, ახალგაზრდა მომღერალმა სიმღერის ფესტივალში —



მისთვის მეტსახელად „ყველაზე მოღიმარი“ რესპონდენტი შეურქმევიათ...

Super Idol – მიიღო მონაწილეობა, რომელიც მთელი წლის მანძილზე, სატელევიზიო არხის – „მეგას“ საშუალებით გადაიცემოდა საბერძნეთში. ამ კონკურსში საბერძნეთისა და კვიპროსის 3000-მდე პროფესიონალი და დამწყები მომღერალი მონაწილეობდა. მიუხედავად ამხელა კონკურენციისა, თამთამ მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე კი, კვიპროსელი სტავროს კონსტანტინიდუსი გავიდა.

გონდუაძე თამთა თურმე, ბერძენ ჟურნალისტებს ძალზე ჰყვარებიათ. იგი ხშირად ჩნდება პოპულარული ბერძნული ჟურნალების გარეკანზე. იმდენად თბილი და კომუნიკაბელური ადამიანი ყოფილა, რომ ჟურნალისტებს მისთვის მეტსახელად „ყველაზე მოღიმარი“ რესპონდენტი შეურქმევიათ. ქალბატონი ლიგიაც ესტუმრა ახალგაზრდა მომღერალს, რომელმაც ჩვეული სითბოთი მიიღო ჟურნალისტი და თავისი ცხოვრების შესახებ გულახდილად უამბო.

თამთა ბავშვობიდან მღერის. თავდაპირველად, საბავშვო ბაღში სიარულის დროს, მისი ნიჭი ჩვენს შესანიშნავ მომღერალს, ქალბატონ თამრიკო ჭოხონელიძეს აღმოუჩენია და თამთას დედისთვის უთქვამს – არაჩვეულებრივად მღერის და ყურადღება მიაქციეთო. გოგონას პირველად, 4 წლის ასაკში აუღია ხელში მიკროფონი და პროფესიონალურ სცენაზეც გამოსულა. ის საბავშვო ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ნერგებში“, მოგვიანებით კი – მანანა თოდაძის მიერ ჩამოყალიბებულ ანსამბლ „პრესტიჟში“ მღეროდა. ასევე გაირა სუხიშვილების სტუდია და საბავშვო მუსიკალურ თეატრ-სტუდიაშიც დადიოდა.

14 წლის თამთამ უკვე ოჯახი შექმნა და სულ მალე, პატარა ანაც გაუჩნდა. ოჯახის გამო სიმღერისთვის თავის დანებება მოუხდა, მთლიანად სწავლაზე გადაერთო და ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა, სადაც რუსული და ინგლისური ენების განხრით სწავლობდა. შვიდწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, თამთას ოჯახი დაენგრა, რის შემდეგაც, საბერძნეთში გაემგზავრა, სადაც იმ დროს დედამისი იმყოფებოდა. ზემოთ აღნიშნულ კონკურსშიც სწორედ დედის დაჟინებული თხოვნით გადაწყვიტა მონაწილეობა. მართალია, მას კონკურსები და ფესტივალები არასოდეს ხიბლავდა, რადგან ვერ იტანს, როცა ასობით ადამიანი პირველობისთვის იბრძვის, მაგრამ დედას ხათრი ვერ გაუტეხა და წარმატებასაც მიაღწია.

სწორედ ამ წარმატების შემდეგ დაიწყო მისი კარიერის აღმასვლა. რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთმა პრესტიჟულმა ხმის ჩამწერმა სტუდიამ მასთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. სამშაბათიდან შაბათამდე, თამთა ღამის კლუბ „ბუზუკიში“, ცოცხლად 8 სიმღერას ასრულებს. ოქტომბრის ბოლოსთვის კი, პირველ ალბომზე მუშაობას დაასრულებს, სადაც 12 პოპულარული ბერძენი კომპოზიტორის მიერ დაწერილი სიმღერებია შესული.

თამთას თურმე, ძალზე ენატრება სამშობლო, თბილისი, ენატრება მეგობრები და ნათესავები და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ის საქართველოში ჩამოვა და ქართველ მსმენელს თავის საშემსრულებლო ხელოვნებას გააცნობს...

კიდევ ერთი ქართველი მომღერალი, რომელსაც საზღვარგარეთ უკეთ იცნობენ, ვიდრე სამშობლოში, **ჯაბა გოჯგუა** *გახლავთ, რომელიც ძირითადად თურქეთში საქმიანობს. ამ ზაფხულს, ერთ-ერთ საბავშვო ანსამბლთან ერთად ამ ქვეყანაში ყოფნისას, რამდენიმე დღით სტამბოლშიც გავისეირნეთ. ჩემს გაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ-ერთ ღამის კლუბში შესულმა, სცენაზე მდგომი ჯაბა დავინახე. მაყურებლები მის გამოსვლას დიდი ოვაციებით ხვდებოდნენ და როგორც მივხვდი, ის იქ დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. რა თქმა უნდა, კონცერტის შემდეგ, ჯაბას შევხვდით და მისგან პატარა ინტერვიუც ჩავიწერეთ.*

– სენაკში დავიბადე და გავიზარდე. დედას მუსიკალური განათლება კი აქვს მიღებული, მაგრამ არ მღერის. 11 წლიდან, სენაკის ვოკალურ ანსამბლში ვმღეროდი. პირველად, თურქეთში სწორედ მათთან ერთად წავედი და მაშინვე მოვიხიბლე ამ ქვეყნით. მოგვიანებით, მთელი ოჯახი თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. 15 წლის ვიყავი, როცა კვლავ თურქეთში დავბრუნდი და მას მერე, აქ ვარ. რა თქმა უნდა, თბილისშიც ძალზე ხშირად ჩამოვდივარ, მაგრამ აქ კომერციულად მომგებიანი მომღერალი ვარ და ამის გამო, უმეტესად აქ ვიმყოფები... ფესტივალებში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან მიმაჩნია, რომ საფესტივალო ვოკალი არ მაქვს. იქ ძირითადად, სტუმრის სტატუსით გამოვდივარ ხოლმე. თუ თურქეთის მოქალაქე არ ხარ, გამორიცხულია, რომ აქაურმა კომპოზიტორებმა სპეციალურად შენთვის დაწერონ სიმღერა. ამის გამო, ვმღერი ცნობილი თურქი მომღერალი ქალის, ნიშინ ქარავჯას სიმღერებს, ოღონდ – ჩემებური ინტერპრეტაციით. ეს მომღერალი ჩემი „პადრუგაა“ და მოსწონს ჩემი სიმღერები. ასევე ვმღერი მეგრულ და ლაზურ სიმღერებს, რომლებიც თურქეთში უკვე ძალზე პოპულარულია. ამჟამად ვცხოვრობ ანკარაში



ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ-ერთ ღამის კლუბში შესულმა, სცენაზე მდგომი ჯაბა დავინახე. მაყურებლები მის გამოსვლას დიდი ოვაციებით ხვდებოდნენ

და ვმღერი ერთ-ერთ ცნობილ კლუბში – „ვალენტინში“, რომლის შესასვლელშიც ჩემი ლაითბოქსია გამოკრული. კვირაში სამჯერ გამოვდივარ ამ კლუბში და ორმოცწუთიან კონცერტს ვატარებ ჩემს შოუბალეტთან ერთად. ზაფხულის განმავლობაში, გასვლითი კონცერტები მაქვს ანტალიასა და სტამბოლში. სტამბოლში ხელშეკრულება მქონდა სამ პოპულარულ კლუბთან: „ალიბეისთან“, „მაქსიმესა“ და „რენესთან“. თუმცა, როგორც ხედავთ, აქ ქართულ სიმღერებს არ ვმღერი – მხოლოდ თურქული რეპერტუარი მაქვს, რადგან ასეთია კლუბის მოთხოვნა. ადრე ტარკანის სიმღერებსაც ვმღეროდი, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჩემი სტილი არ არის. მომავალ გაზაფხულზე მივემგზავრები ერთ-ერთ ფესტივალზე, ოღონდ, ჯერჯერობით არ დავასახელებ, რომელი ქვეყნის სახელით გამოვალ იქ. ჩემი იქ გამგზავრება მოხდება ცნობილი თურქი ტელეწამყვანის, ბეჰინ ბეის დახმარებით. ეს არის კონკურსი, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს შოუბალეტს. ასე რომ, დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ იქ პირველ ადგილზე თუ ვერ გავალ, სამეულში მაინც მოვხვდები.

■



პოპჯგუფის — „ქუჩის ბიჭების“ ახალი და უკვე საკმაოდ პოპულარული წევრი — პაატა ცეცხლაძე, დანარჩენ წევრებთან ერთად, სულ ახლახან დაბრუნდა ბათუმიდან, სადაც მათ ზაფხულის ცხელი დღეები გაატარეს. რა სიახლეებია ჯგუფში, რატომ მიდიან ისევ თურქეთში და როგორი ურთიერთობა აქვს პაატას თავის წინამორბედ პიკასოსთან — ყოველივე ამაზე თავად მომღერალი მოგვითხრობს.

"quCis biWebis" axali wevri gaorebulia: „sadamdec meyofa Zalebi, gavagrZeleb aseT cxovrebas..."

ნათია ქივიძე

— პაატა, საუბარი იმით დავიწყოთ, თუ სად იყავი დასასვენებლად და როგორ ერთობოდი?

— ბათუმში არის ცენტრი „ორერა“. მისი თაოსნობით განხორციელდა პროექტი, რომლის მიხედვითაც, პოპულარულ ადამიანებთან ერთად, მსურველები ანუ ფანები დაისვენებდნენ. ამ პროექტში პირველად, „ქუჩის ბიჭებზე“ შეაჩერეს არჩევანი და სამი დღის განმავლობაში, თურქეთში, კერძოდ ქალაქ ტრაპიზონში ვისვენებდით ჩვენს თაყვანისმცემლებთან ერთად, რომელთა რიცხვიც დაახლოებით ორმოცს აღწევდა.

— ალბათ, იქ კონცერტებსაც გამართავდით...

— რა თქმა უნდა. ერთი კონცერტი ჩავატარეთ, რომელსაც იქაური მცხოვრებლებიც ესწრებოდნენ. ძალიან კარგად გავერთეთ. სამი დღე თითქოს არაფერია, მაგრამ მართლა მოვასწარით კარგი დროს ტარება. ახლა ისევ იგეგმება ამავე პროექტის განხორციელება. 9 სექტემბერს, კვლავ გავემგზავრებით ტრაპიზონში.

— ისევ იმავე ხალხთან ერთად?

— არ ვიცი. ალბათ, რამდენიმე იგივე ადამინი წამოვა და, რა თქმა უნდა, ახლებიც იქნებიან. ამ ხალხს ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი ძალიან დავუმეგობრდით. თითოეულ მათგანთან გვქონდა ურთიერთობა და ათასგვარ საკითხზე ვსაუბრობდით. ტელეფონის ნომრებიც გავცვალეთ და აქაც ვაგრძელებთ ურთიერთობას. გვირეკავენ და ჩვენც ვურეკავთ ხოლმე. ხშირად ვერ ვახერხებთ, მაგრამ თვეში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს. პროექტის მიზანიც ეს იყო.

— როგორც ვიცი, დასვენება ბათუმში განაგრძეთ...

— მართალია. თურქეთიდან ბათუმში ჩავედით, სადაც 17 აგვისტოდან დაწყებული, ექვსი კონცერტი ჩავატარეთ. ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, რომლის ათდღიანი საგზურიც საჩუქრად გადმოგვცეს. შალვა რამიშვილს ქობულეთში გახსნილი ჰქონდა დისკოთეკა — „პროპაგანდა“, სადაც ერთი კონცერტი ჩავატარეთ...

— ...და სადაც გოგონები ერთმანეთს გახდაში ეჯიბრებოდნენ, რათა „ქუჩის ბიჭების“ რომელიმე წევრთან ცეკვა მიეღოთ საჩუქრად...

— ეს საიდან გაიგეთ?.. არა, მთლიანად კი არ იხდიდნენ — საცურაო კოსტიუმების ამარა რჩებოდნენ... კარგი გართობა იყო და მეტი არაფერი. ხელვაჩაურშიც გვქონდა ერთი კონცერტი. ძალიან ლამაზი ადგილი ყოფილა, აქამდე იქ ნამყოფი არ ვიყავი. რა თქმა უნდა, თითოეული კონცერტის შემდეგ, საქეიფოდ გვეპატიჟებოდნენ და დილის 5 საათამდე ვსვამდით. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ არ დაგვისვენია, რადგან სულ დატვირთული გრაფიკი გვქონდა. კარგად ვერთობოდით, მაგრამ ამას დასვენებას მაინც ვერ დავარქმევ.

— ისიც ვიცი, რომ დაბადების დღე ბათუმში გადაიხადე...

— მართალია. 24 აგვისტოს, 23 წლის გავხდი. ეს დღე ერთ-ერთ რესტორანში აღვნიშნე და მაგრად მოვილხინე. მართალია, იქ მეგობრებთან ერთად ვიყავი, მაგრამ რამდენიმე ფანმა, რომელმაც იცოდა, რომ დაბადების დღე მქონდა, დამირეკა და როცა მკითხა — სად ხარო? — არ დამიმალავს იმ რესტორნის სახელი, სადაც ვიმყოფებოდი. ისინიც მოვიდნენ და ყველამ ერთად კარგი დრო გავატარეთ.

— მოდი, ახლა „ქუჩის ბიჭებზეც“ ვისაუბროთ. ამ ბოლო დროს, თითქოს პაუზა გაქვთ და ახალ სიმღერებსა თუ კლიპებზე აღარ მუშაობთ. ეს რისი ბრალია?

— ჩვენი ჯგუფი საკმაოდ მოქმედია და სულ კონცერტები გვაქვს. მომავალშიც ბევრ კონცერტს ჩავატარებთ. მაგრამ ამჟამად ვისვენებთ, რადგან ასეთი აქტიური ცხოვრებისგან ცოტა გადავიღალეთ. თუმცაღა, როგორც გითხარი, რამდენიმე დღეში, ისევ გავემგზავრებით თურქეთში. რაც შეეხება სიახლეებს — გვაქვს ერთი ახალი სიმღერა, რომელიც ჩვენს რამდენიმე ბოლოდროინდელ კონ-

„ქუჩის ბიჭებმა“ იციან, რომ მე ხალხური სიმღერა ძალიან მიყვარს და ხელს მიწყობენ...

ცერტზე აჟღერდა. მაგრამ რადიოსტუდიებში შეგნებულად არ მიგვაქვს, რადგან გვინდა, რომ ამ სიმღერაზე კლიპი გადავიღოთ და მერე დავატრიალოთ ტელეეკრანებზე. ამ სიმღერის ავტორია გელა გნოლიძე, ხოლო არანჟირებაზე, მასთან ერთად, კოტე ნონიკოვი მუშაობდა, ტექსტი კი, „ქუჩის ბიჭებს" გვეკუთვნის. ჯერ არ ვიცით, კლიპის რეჟისორი ვინ იქნება, მაგრამ ერთ-ერთი რეალური კანდიდატი, ბასა ჯანიკაშვილია. ეს არის ჩვენი რეპერტუარისგან აბსოლუტურად განსხვავებული ჟანრის სიმღერა, „ლაითროკის" სტილში. მთელი ორი თვე, ჩვენი ერთ-ერთი ბოლო სიმღერა – „მიყვარხარ" ხომ ჰიტი იყო და ვფიქრობ, რომ ახალი სიმღერა უფრო პოპულარული გახდება. კლიპს სულ მალე გადავიღებთ.

— როგორც ვიცი, საპატრიარქოსთან არსებულ ხალხური სიმღერის გუნდშიც მღერი. ამის შესახებაც მოგვიყევი, ორიოდე სიტყვით.

– საერთოდ, ხალხური სიმღერებითა და საგალობლებით დავიწყე. 6 წლის ვიყავი, როცა „შენ ხარ ვენახი" შევასრულე და ამის ჩანაწერიც კი მაქვს შენახული. ამით იმის თქმა მინდა, რომ 30 სექტემბერს, სიმფონიური მუსიკის ცენტრში გაიმართება საპატრიარქოს ანსამბლისა და „ბასიანის" კონცერტი. ეს ორი გუნდი, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა – უბრალოდ, საპატრიარქოს ანსამბლს გამოეყო რამდენიმე კაცი და ამ ჯგუფს „ბასიანი" დაერქვა. საპატრიარქოს გუნდი კი, ის 50-60 კაცია, რომელიც წმინდა სამების საკათედრო ტაძარში გალობენ. ასეთი მასშტაბური კონცერტი არასოდეს ჩაგვიტარებია. 300-400 წელი მაინც იქნება, რაც ქართული საგალობლების კონცერტი არ ჩატარებულა. ვფიქრობ, რომ საზოგადოებისთვის ეს ძალზე საინტერესო უნდა იყოს. ეს გუნდი ჩემი მეორე ცხოვრებაა, ხალხური სიმღერა და საგალობელი კი – ჩემი ჰობია. სადაც არ უნდა წავიდე, რეპერიც რომ გავხდე, ქართულ ხალხურ სიმღერასა და საგალობელს არასოდეს დავკარგავ.

— როგორ ათავსებ ერთმანეთთან „ქუჩის ბიჭობასა" და მგალობლობას?

– ამის შეთავსება მართლაც, საკმაოდ ძნელია. თავიდან გამიჭირდა კიდეც, მაგრამ „ქუჩის ბიჭებმა" იცი, რომ მე ხალხური სიმღერა ძალიან მიყვარს და ხელს მიწყობენ. საპატრიარქოშიც მაქსიმალურად მიწყობენ ხელს და ყველაფერს ვახერხებ. შეიძლება ითქვას, რომ ამის გამო გაორებულიც კი ვარ... სადამდეც მეყოფა ძალები, გავაგრძელებ ასეთ ცხოვრებას. ამ ყველაფერთან, კონსერვატორიაში სწავლის შეთავსებაც მიწევს: როგორც იცი, მესამე კურსზე ვარ, საგუნდო-სადირიჟოროზე ვსწავლობ. ჯერჯერობით, ცოტას ვზარმაცობ, მაგრამ ვეცდები, რომ რაღაცას მივაღწიო. ადამიანს ბევრის გაკეთება შეუძლია – მთავარია, მოინდომოს.

— როგორ შეეწყვე „ქუჩის ბიჭებს"? მეჩვენება, რომ მათგან აბსოლუტურად განსხვავებული ხარ...

– ხასიათით ყველა ადამიანი განსხვავებულია. მე მათთან ურთიერთობის პრობლემა არ მაქვს. უკვე ორი წელია, ერთად ვართ და ძალიან ახლო მეგობრებიც ვართ. ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან დამალული არაფერი გვაქვს. ისეთი სიტუაციაც მქონია, როცა რაღაც საკითხი ვერ გადამიწყვეტია და ბევრი მიფიქრია ამაზე, მერე ბიჭებისთვის მიკითხავს რჩევა და მათ ძალიან კარგად დავურიგებივარ. მეც ხშირად ვაძლევ მათ რჩევას.

— ქალებზე თუ საუბრობთ ერთმანეთთან და ერთიმეორის რჩეულებს თუ აძლევთ თქვენეულ შეფასებას?

– რა თქმა უნდა, ქალებზეც ვსაუბრობთ, თანაც – დეტალურად განვიხილავთ ამ ამბავს *(იცინის)*... ერთმანეთის რჩეულებსაც ვაფასებთ. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ვინმე მომწონებია და გურამს ჩემი არჩევანი არ გაუზიარებია, ან – პირიქით.

— ყოფილ „ქუჩისბიჭელ" ირაკლი ნოზაძესთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

– საკმაოდ კარგი. ვმეგობრობთ. ერთმანეთს არ ვურეკავთ, მაგრამ როცა სადმე შევხვდებით, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. სუფრასთანაც ვმსხდარვართ ერთად და გვიმღერია კიდეც. მინდა, წარმატებები ვუსურვო, რადგან ირაკლი ძალზე ნიჭიერი ადამიანია.



რა თქმა უნდა, ქალებზეც ვსაუბრობთ, თანაც – დეტალურად...

— თუ იცი, ირაკლი რა აზრისაა შენს შემოქმედებაზე?

– მართლა არ ვიცი. თუ სადმე რამეს ლაპარაკობს და ჩემი კარიერა არ მოსწონს, არ ვიცი, მაგრამ მე მსგავსი არაფერი მსმენია... ■

«ხავერდოვანი ბათუმი–2005»



ვიდრე საზაფხულო სეზონი დამთავრდება, ბათუმის მერიისა და აჭარის ტელევიზიის მხარდაჭერით, 14, 15, 16 და 17 სექტემბერს, ფესტივალი – „ხავერდოვანი ბათუმი-2005" ჩატარდება. კონკურსში, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული 10-დან 15-წლამდე ასაკის მოზარდები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც ბათუმში საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქიდან ჩავლენ. ნინა წკრიალაშვილი კონკურსზე სტუმრის სტატუსით წარდგება, რადგან იგი ფესტივალისთვის საჭირო ასაკს არ აკმაყოფილებს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე: საბავშვო ანსამბლები – „გვირილა" და „ბომბორა", ყოფილი „ჯეოსტარელი" გიორგი ბუშელაშვილი. ჟიურის თავმჯდომარე, ცნობილი კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი იქნება, ჟიურის წევრებად კი – ირმა სოხაძე, ბასა ფოცხიშვილი, კოკა ყანდიაშვილი, ნუცა ჯანელიძე და ზურა მანაგაძე მოგვევლინებიან. კონკურსის რეჟისორი გოჩა კაპანაძე გახლავთ. ■

ბიზნესმენური ოინი

— კოტეოსი, კოტეიხი და ბოლოს... ქორწილი

ჩვენი რუბრიკის სტუმარი ამჯერად, მომღერალი თიკა ფაცაციია გახლავთ. თიკას აზრით, პაემანი ბიჭისა და გოგოს ურთიერთობის დასაწყებად აუცილებელი სულაც არ არის. მამაკაცებს კი, ერთ ფრიად საინტერესო რჩევას აძლევს: თუ გინდათ, გოგოსთან სერიოზული ურთიერთობის გაბმა, ეცადეთ, თქვენი და მისი ინტერესები ერთმანეთს დაამთხვიოთ — სხვა ყველაფერს ბედი გადაწყვეტსო...

მერი კობიაშვილი

— პირველი სიყვარული საბავშვო ბაღში მეწვია. ოღონდ, რატომღაც ერთდროულად ორი ბიჭი შემიყვარდა. ისინი გარეგნობით ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ალბათ, ამიტომ ვერ გავაკეთე არჩევანი. აღარ მახსოვს, რომელიმე მათგანს მოვწონდი თუ არა. ერთხელ, ერთ-ერთმა მათგანმა შემომთავაზა — ვითამაშოთ, ვითომ შენ ჩემი ცოლი ხარო. მე სასტიკი უარი განვაცხადე, მახსოვს, ვიტირე კიდეც: არ მინდა შენი ცოლობამეთქი, — ვამბობდი. როგორც ჩანს, პასუხისმგებლობას გავექეცი. ის ბიჭი კი მიყვარდა, მაგრამ მისი ცოლობა არ მომინდა... მერე, სკოლაში მომწონდა ერთი ბიჭი. მეექვსე გიმნაზიაში ვსწავლობდი. ჩემს კლასში მეოთხე კლასამდე, ერთი ბიჭი სწავლობდა, რომელიც ჩემ მიმართ სიმპათიებს ამჟღავნებდა. მეც არ ვიყავი გულგრილი. ერთმანეთს ბავშვურ წერილებს ვუგზავნიდით ხოლმე. ჩვენი ამბავი მთელმა კლასმა იცოდა. ბავშვობიდან ვმღეროდი. ამიტომ მასწავლებლები მთხოვდნენ, კლასში მემღერა. მეც იმათი ხათრით, გიტარით ხელში, დაფასთან სხვადასხვა სიმღერას ვასრულებდი. თუ სიმღერა შავთვალება ბიჭს ეხებოდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჩემს შეყვარებულს ვუმღერდი. მოკლედ, იძულებით თუ ნებაყოფლობით, შეყვარებულს სერენადებს ვუმღერდი... ის ბიჭი მეოთხე კლასიდან, სხვა სკოლაში გადავიდა. ასე დამთავრდა ჩვენი სიყვარულის ამბავი.

— პირველად პაემანზე როგორ წახვედი? გახსოვს შენი მაშინდელი ემოციები? ალბათ, მასთან შეხვედრის წინ, ძალიან ღელავდი, ხომ?

— გინდ დაიჯერე, გინდ — არა, მაგრამ პაემანზე არასდროს ვყოფილვარ. ბიჭები შეხვედრას რომ მთხოვდნენ, სასაცილოდ არ მყოფნიდა. ჩემთვის ჩინური ენასავით გაუგებარი იყო პაემანი. ვერ წარმომედგინა, ბიჭს როგორ უნდა შევხვედროდი. ჩემხელა გოგონები მშობლებს ეპარებოდნენ და პაემანზე ისე მიდიოდნენ. ჩემთვის ეს წარმოუდგენელი იყო. თაყვანისმცემლებს ყოველთვის მეგობრების წრეში ვხვდებოდი. როცა წამოვიზარდე და პოდიუმებსა და კონცერტებზე გამოსვლა მიწევდა, ყოველთვის დედა დამყვებოდა.

— არასდროს გიოცნებია პაემანზე წასვლაზე?

— როგორც ჩანს, ისე არავინ მყვარებია, რომ მასთან პაემანზე წასვლაზე მეოცნება. არასდროს მიფიქრია — ნეტავ, შეყვარებულთან ერთად წვიმაში ვისეირნო ან ღამე ვარსკვლავებს ვუყურო-მეთქი!.. ახლანდელი, 15-16 წლის გოგონები ძალიან განსხვავდებიან ჩემი დროის ახალგაზრდებისგან. დღევანდელი ტინეიჯერები სასიყვარულო ამბებში საკმაოდ გარკვეულები არიან. მე რატომღაც ბავშვური ვიყავი. თან ძალიან დაკავებული გახლდით: სკოლის გარდა, უამრავ წრეზე დავყავდი მშობლებს. ამიტომ სასიყვარულო ამბებისთვის არც მეცალა ხოლმე.

— გოგონები თავიანთ სიყვარულში რომ დაარწმუნონ, ბიჭები ორიგინალურ ხერხს მიმართავენ ხოლმე. შენ როგორ გიხსნიდნენ სიყვარულს? შენ გამო ბიჭებს არ უჩხუბიათ?

— დედა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ თუ ბიჭები გოგოს გამო ჩხუბობენ და რამეს აშავებენ, ამაში ლომის წილი თვითონ გოგოს მიუძღვის, ამიტომ ყოველთვის ვცდილობდი, ასეთი რამ არ მომხდარიყო. ჩემ გამო არავის უჩხუბია. არც ვენები გადაუჭრია ვინმეს — არიქა, თიკა, დამიჯერე, მიყვარხარო!.. ერთი ბიჭი მეუბნებოდა — თავს დავიწვავ, თუ არ დამიჯერებ, რომ მიყვარხარო. მე სიცილით ვკვდებოდი მის ნათქვამზე. მოგვიანებით, იმ ბიჭმა თავის დაწვა გადაიფიქრა — როგორც ჩანს, არც ისე ძლიერ ვუყვარდი, როგორც მიმტკიცებდა...

— პოპულარული რომ გახდი, ალბათ, შენს თაყვანისმცემელთა რიცხვიც გაიზარდა. მათგან თავის დაცვას როგორ ახერხებდი?

— მიზანი მქონდა დასახული: მინდოდა, წარმატებისთვის მიმეღწია სცენაზე. ალბათ ამიტომ იყო, რომ ბიჭები არ მაინტერესებდნენ. რა თქმა უნდა, მსიამ-

ახლანდელი, 15-16 წლის გოგონები ძალიან განსხვავდებიან ჩემი დროის ახალგაზრდებისგან...

ოვნებდა, როცა ვინმე მირეკავდა ან რაიმე სუვენირს მომიძღვნიდა საჩუქრად. მამაკაცის ყურადღება ნებისმიერ ქალს სიამოვნებს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შევხვედრივარ. მათი მორთმეული სუვენირები კი, დღემდე მაქვს შენახული.

— თქვი, პაემანზე არასდროს ვყოფილვარო. შენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს გოგო ბიჭთან შეხვედრისას?

— რატომღაც მგონია, რომ პაემნები მხოლოდ ფილმებში ხდება. ამიტომ არც ვიცი, რა ვურჩიო გოგონებს, რომლებიც პაემანზე წასვლას აპირებენ. თუ ბიჭი მეგობრების წრეში არ გაიცანი, მგონი, საშიშიც უნდა იყოს მასთან შეხვედრა.

მინდა, მამაკაცებს ვურჩიო, გოგონასთან დასაახლოებლად, ჩემი მეუღლის მიერ გამოყენებულ მეთოდს მიმართონ

— არც მეუღლესთან გქონია პაემანი?

— არა, რადგან ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობა ბიზნესით დაიწყო. დათო ანთელიძემ პირველად, ტელეეკრანზე მნახა. რამდენიმე წლის წინ, დილის აერობიკა მიმყავდა პირველი არხის ეთერში. როგორც შემდეგ გავიგე, დანახვისთანავე მოვწონებივარ და ჩემთან დაახლოების გზებზე ფიქრი დაუწყია. მაშინ დათო ამერიკაში ცხოვრობდა. გამოაცხადა კონკურსი. ამბობდა — ორ მოდელს დავეხმარები ამერიკაში სამოდელო ცხოვრების მოწყობაშიო. მე ეს მეცნატის ჩვეულებრივ შემოთავაზებად მივიღე და ბედის საცდელად კონკურსზე მივედი... მოგვიანებით, დათოს ვკითხე — ხომ შეიძლებოდა, იმ ორ მოდელს შორის, არ მოვხვედრილიყავი-მეთქი? მიპასუხა — შენ გარდა, ყველა გოგოს დავიწუნებდიო... ამერიკაში დათოს მარტო არაფრით გავყვებოდი. ჩემთან ერთად მეორე გოგო რომ წამოვიდოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. ჰოდა, ამერიკაში წავედით... ასე რომ, პაემანი დათოსთანაც არ მქონია... პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს, თვითმფრინავის ბილეთებზე და იმაზე ვლაპარაკობდით, თუ სად ვიცხოვრებდი ამერიკაში... მინდა, მამაკაცებს ვურჩიო, გოგონასთან დასაახლოებლად, ჩემი მეუღლის მიერ გამოყენებულ მეთოდს მიმართონ — მოახერხონ ის, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეს.

— შენმა მეუღლემ როგორ მოახერხა, საქმიანი ურთიერთობიდან სასიყვარულოზე გადასვლა?

— ამერიკაში მთელი ორი თვე, სააგენტოებში დავდიოდით. მას „ბატონ დათოს“ ვეძახდი. ჩვეულებრივი ბიზნესურთიერთობა გვქონდა. როცა ამერიკაში ჩვენი ორთვიანი ვოიაჟი დამთავრდა და თბილისში დავბრუნდით, სატელეფონო საუბრებისას ჩვენ შორის სასიყვარულო ძაფები გაიბა. მოგვიანებით, დაქორწინება გადავწყვიტეთ. ასე შეიქმნა ჩვენი ოჯახი.

— ეჭვიანი მეუღლეები ხართ? ერთმანეთისთვის სიურპრიზების მოწყობა გეხერხებათ?

— ეჭვიანები რომ ვიყოთ და ერთმანეთს სურვილებს რომ არ ვუსრულებდეთ, ერთად არც ვიცხოვრებდით. თუ ადამიანს სულ ცოტა ფანტაზია მაინც აქვს, სიურპრიზების მოწყობა არ გაუჭირდება.

— ბედისწერის თუ გჯერა?

— რატომღაც მგონია, რომ ადამიანთან ბედი ერთხელ მოდის. ის არაფრით არ უნდა გაუშვა ხელიდან — უნდა ჩაეჭიდო და ჩაებღაუჭო... ბედისწერის მჯერა. ჩემი აზრით, სწორედ მას მიჰყავხარ იმ ადგილამდე, სადაც შენი მომავალი ცხოვრება უნდა წარიმართოს. რა თქმა უნდა, ბედს თვითონ ადამიანმაც უნდა შეუწყოს ხელი. მისთვის ზურგის შექცევა, არა მგონია, კარგი საქციელი იყოს...

— ინტერვიუს დასაწყისში მითხარი — კლასში მასწავლებლის ხათრით, შეყვარებულს სერენადებს ვუმღერდიო. შენთვის თუ უმღერიათ სერენადები?

— სამწუხაროდ, მომღერალი თაყვანისმცემელი არ მყოლია, რომ ჩემთვის სერენადები ემღერა...

■

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელ პლანეტას არ აქვს არც ერთი თანამგზავრი?

ა) ვენერას;
ბ) მარსს;
გ) დედამიწას.

2. სად დაუდგეს დ'არტანიანს პირველი ძეგლი 1931 წელს?

ა) საფრანგეთში;
ბ) ესპანეთში;
გ) იტალიაში.

3. ჩამოთვლილთაგან რისი ეშინიათ ყველაზე მეტად შიმპანზეებს?

ა) ყვირილის;
ბ) ღიტინის;
გ) სინათლის.

4. ტაივანის მეტროში აკრძალულია...

ა) ...კითხვა;
ბ) ...სიმღერა;
გ) ...ჭამა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დიეგო-უმცროსი დიეგო-უფროსს უჩივის

დიეგო მარადონა კვლავ გაეხვა არასასიამოვნო ინციდენტში. მას საკუთარმა ვაჟიშვილმა უჩივლა. ის ფეხბურთის სუპერვარსკვლავის უკანონო შვილია. მარადონა აღიარებს, რომ ბიჭის ბიოლოგიური მამაა, მაგრამ მას თავის სრულუფლებიან მემკვიდრედ არ მიიჩნევს. მარადონა-უმცროსი 1986 წელსაა დაბადებული. იგი დონ დიეგოსა და იტალიელ კრისტინა სინაგრას სასიყვარულო ურთიერთობის შედეგად მოევლინა ქვეყანას. მაშინ, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი ჯერ კიდევ კლაუდია ვილიაფანზე იყო დაქორწინებული, რომელთანაც ორი ქალიშვილი — დალმა და ჯანინა — ჰყავს. ცოტა ხნის წინ, არგენტინული მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში მარადონა-უფროსმა განაცხადა, რომ დიეგო არმანდო-უმცროსს თავის ვაჟიშვილად არ მიიჩნევს, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ მისი ბიოლოგიური შვილია. სუპერვარსკვლავის თქმით, მას ვაჟიშვილობას ნათესავი ბიჭი უწევს. „მსურს, ზოგიერთი გარემოება დავაზუსტო, რომელიც ვაჟიშვილის თემას ეხება. ეს ჩემი ქალიშვილებისადმი პატივისცემის ნიშნად მინდა გავაკეთო. ახალგაზრდობის დროინდელი შეცდომის შედეგს ახლა, გაღებული ხარჯით ვიმკი. ვერც მოსამართლე მაიძულებს ბიჭის სიყვარულს, რომელიც ჩემი ვაჟიშვილი არ არის. ჩემს შვილებად მხოლოდ დალმასა და ჯანინას მივიჩნევ“, — დასძინა დიეგომ, რის შემდეგაც, იტალიის მესამე დივიზიონის ერთ-ერთ კლუბში მოასპარეზე მარადონა-უმცროსს მოთმინების ფიალა აევსო. მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მამას ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანი უწოდა. „მინდა, საზოგადოებას ვაცნობო, რომ მამაჩემი საცოდავი კაცია, რომელსაც არავითარი გრძნობა არ გააჩნია, — დასძინა დიეგო არმანდო-უმცროსმა. — როგორც ჩანს, ნარკოტიკების მოხმარებამ ის უგულო და უსინდისო ადამიანად აქცია. ამიტომაც შევიტანე სარჩელი სასამართლოში. ის არაფერს მიხდის. საერთოდ, დახმარებაზე პრეტენზია იმიტომ არ მქონდა, რომ მსურდა, მასთან ისეთი ურთიერთობა დამემყარებინა, რომელიც ფულზე არ იქნებოდა დამოკიდებული“.

■

ადრიანო ქორწინდება

მილანის „ინტერის“ ფორვარდი, ადრიანო იტალიის სერია A-ს პირველი ტურის მთავარ გმირად იქცა. „ტრევიზოს“ კარში მის მიერ გატანილმა სამმა გოლმა მანჩინის გუნდს იოლი გამარჯვება და მნიშვნელოვანი სამი ქულა მოაპოვებინა. არანაკლებ წარმატებულია ადრიანო პირად ცხოვრებაშიც. იტალიელი ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცოტა ხნის წინ, ბრაზილიელმა ფორვარდმა და მისმა მეგობარმა, დანიელამ ახლობელთა და ნათესავთა ვიწრო წრეში გადაიხადეს ნიშნობა. უფრო მეტიც, უახლოეს მომავალში შეყვარებულები ქორწინებასაც აპირებენ. ცერემონიის თარიღი ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. ერთადერთი, რისი დადგენაც იტალიურმა მასმედიამ მოახერხა, ის გახლავთ, რომ ქორწინება რიო-დე-ჟანეიროში მოხდება. ეს არცაა გასაკვირი — ადრიანოს სურს, რომ თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დღე სამშობლოში გაატაროს. ■

რუნი მამა გახდება

უეინ რუნის, საცოლემ — კოლინ მაკლაფლინმა საფეხბურთო სეზონის სტარტზე ჩინებული საჩუქარი მოუმზადა. გაზეთ Mirror-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კოლინი ფეხმძიმედაა. გამოცემა იუწყება, რომ ბოლო დროს, შეყვარებულები ბედნიერებას ვერ ფარავენ. უეინსა და კოლინს ამ ცნობის საიდუმლოდ შენახვა სურდათ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გაზეთების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ბავშვის ყოლა მათ დაგეგმილი არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, მაკლაფლინი ძალიან გახარებულია. მას ხომ არაერთხელ განუცხადებია, რომ ოჯახის შექმნა სურს. ბოლო დღეებამდე, მისი ფეხმძიმობის შესახებ სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. უახლოეს მომავალში კი, ალბათ, ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას თავად რუნი და მაკლაფლინი გააკეთებენ.

■

„ლაციოელებს“ ჯინოში იდებენ

კინოგადაღებებში ცნობილ სპორტსმენთა მონაწილეობა სულ უფრო ხშირად ხდება. გამონაკლისი არც რომის „ლაციოს“ ფეხბურთელები — ანჯელო პერუცი და პაოლო დი კანიო არიან. იტალიური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ფეხბურთელებს მეორეხარისხოვანი როლების შესრულება შესთავაზეს ფილმში, რომელშიც ევროპელთა ცხოვრება, პრობლემები და საზრუნავი იქნება ასახული. რეჟისორის ჩანაფიქრით, პერუცი და დი კანიო მაყურებელთა წინაშე სხვადასხვა ამპლუაში წარდგებიან. ანჯელო შვეიცარის როლში იქნება, ხოლო პაოლომ ხულიგნის როლი უნდა ითამაშოს, რომელიც ფილმის მთავარ გმირთან ჩხუბს იწყებს. „ლაციოს“ მოთამაშეებმა მათი მომავალი საქმიანობის შესახებ უკვე გააკეთეს კომენტარი. „გულწრფელად გეტყვით — თავს კარში დგომისას უფრო კომფორტულად ვგრძნობ, ამიტომ მომავალი გადაღებების წინ, ცოტა არ იყოს, ვღელავ“, — აღნიშნა პერუცამ. აი, პაოლო დი კანიომ კი უფრო ოპტიმისტური განცხადება გააკეთა: „მივიჩნევ, რომ ფილმში შედარებით იოლ როლს ვთამაშობ. მოხარული ვარ, რომ ამის საშუალება მომეცემა — ხულიგნობაზე ხომ ყოველთვის ვოცნებობდი“.



■

კრეჩმარი და ვან ალმსიკი ერთმანეთს არ ეარგავენ

პოპულარულმა გერმანელმა ხელბურთელმა, შტეფან კრეჩმარმა, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში, ცნობილ მოცურავეს, ფრანსისკა ვან ალმსიკს ხვდებოდა, ახალი გელფრენდი გაიჩინა. ეს გახლავთ ვინმე კლაუდია, რომელიც ავსტრიულ ქალაქ ბრეგენცში შემნახველი სალაროების ფილიალებს ხელმძღვანელობს. წყვილი მაშინ შენიშნეს პაპარაცებმა, როდესაც ის ტაილანდიდან ბრუნდებოდა. „კლაუდია ჩემი ახალი მეგობარია, – თქვა კრეჩმარმა, რომელსაც მარცხენა ფეხზე ამოსვირინგებული, ყოფილი მეუღლის პორტრეტი დღემდე არ მოუცილებია, – ერთმანეთი გვიყვარს და ჩვენი ურთიერთობა ხანგრძლივი იქნება“. გარდა ამისა, კრეჩმარმა განაცხადა, რომ ვან ალმსიკთან კვლავაც აქვს ურთიერთობა: „ერთმანეთს ტელეფონით ვეხმიანებით, ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ მიგვდის საქმეები. ერთმანეთთან დაშორების შემდეგ, კვლავაც ვხვდებოდით და ვიხილავდით სხვადასხვა საკითხს – ჩვენ ხომ 4 ბედნიერი წელი გვაქვს გატარებული ერთად. სამწუხაროდ, ეს წარსულს ჩაჰბარდა. ახლა ახალი თანამგზავრი მყავს, რითიც უზომოდ ბედნიერი ვარ“. კლაუდიამ და შტეფანმა ერთმანეთი მარტში გაიცნეს, როდესაც კრეჩმარის გუნდი ბრეგენცში ადგილობრივ კლუბთან მატჩის ჩასატარებლად იმყოფებოდა. მას შემდეგ, მათ შორის რომანი გაჩაღდა. რაც შეეხება ფრანსისკას – ახალი კავალრის გარეშე არც ის დარჩენილა. ეს გახლავთ 45 წლის მილიონერი, იურგენ გარდერი, ვისთან ერთადაც მოცურავე, სარდინიაზე ისვენებდა. ■

ჰიმნი მოკრივის მხარდასაჭერად



10 სექტემბერს, ცნობილ ფილიპინელ მოკრივეს, მენი პაკიაოს, რინგამდე მიაცილებს მასზე არანაკლებ ცნობილი რესტლერი, მარკ კელოუეი, რომელიც „მესაფლავის“ სახელითაა ცნობილი. კელოუეი 208 სმ სიმაღლისაა და 150 კგ-ს იწონის. იგი რინგისკენ მიმავალ პაკიაოს, წინ ამერიკის დროშით ხელში წარუძღვება. ამჟამად, მენი პაკიაო თავისი მწვრთნელის, ფრედი როუჩის ხელმძღვანელობით ემზადება. იგი მექსიკელ ჰექტორ ველასკესს დაუპირისპირდება. ცოტა ხნის წინ,ფილიპინელ მოკრივეს მისი გარემოცვა იმის გამო საყვედურობდა, რომ იგი სერიოზულად არ უდგებოდა მომავალ ორთაბრძოლას და თავდაუზოგავად არ ვარჯიშობდა. მას შემდეგ, მენიმ 61 სპარინგ-მატჩი გამართა და ამ რიცხვის 100-მდე გაზრდასაც აპირებს. სწორედ ამის გამო, მისი გუნდის წარმომადგენლები უკვე იმის გამო არიან შეშფოთებულნი, რომ პაკიაო რინგზე ზედმეტად გადაღლილი არ გავიდეს. აი, კიდევ ერთი საინტერესო გარემოება, რომელიც მომავალ მატჩს უკავშირდება: ცნობილი გახდა, რომ ფილიპინელ მოკრივეს პოპულარული ამერიკული ჯგუფი – The Black Eyed Peas – დაუჭერს მხარს. ცოტა ხნის წინ, ამ მუსიკალურმა კოლექტივმა ჩაწერა კომპოზიცია – The Champion – რომელიც მენი პაკიაოს ეძღვნება. სიმღერის პრემიერაც 10 სექტემბერს შედგება. სწორედ ამ კომპოზიციის ფონზე გაეშურება რინგისკენ ფილიპინელი მოკრივე. მისი შექმნის იდეა The Black Eyed Peas-ის წევრს, ალან პინედას გაუჩნდა, რომელიც ფილიპინებზეა დაბადებულ-გაზრდილი. არც ის არის გამორიცხული, რომ სიმღერის საბოლოო ვარიანტის ჩაწერაში თავად პაკიაომაც მიიღოს მონაწილეობა: მისი სინგლი, The Black Eyed Peas-თან ერთად სავარაუდოდ, ოქტომბერში გამოვა ფილიპინებზე. ■

ფიშერი ისევ დაუპირისპირდება სპასკის

13-წლიანი პაუზის შემდეგ, ბობი ფიშერი და ბორის სპასკი კვლავ მიუსხდებიან საჭადრაკო დაფას. ამ შეხვედრის საპრიზო ფონდი 6 მილიონი ევრო იქნება. ისინი ე.წ. „ფიშერის ჭადრაკში“ გაეჯიბრებიან ერთმანეთს. „ფიშერის ჭადრაკი“, რომელიც მსოფლიოს თერთმეტგზის ჩემპიონმა შეიმუშავა, ჩვეულებრივი ჭადრაკისგან უპირველეს ყოვლისა, ფიგურათა საწყისი განლაგებით განსხვავდება. ისინი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, ციფრთა შემთხვევითი არჩევის პრინციპით განლაგდება, თუმცა შავი და თეთრი ფიგურების განთავსება სარკისებურად, ერთმანეთის იდენტურია. ეს იმისათვის კეთდება, რომ სრულიად გამოირიცხოს წინასწარ დაგეგმილი დებიუტი, რომელიც თითოეულ ახალ პარტიაში უნიკალური იქნება. აღნიშნული შეხვედრა სპასკისთვის, ფიშერთან რევანშის აღების პირველი მცდელობა როდი იქნება. 1972 წელს, რეიკიავიკში მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად გამართულ მატჩში, ფიშერმა ბორის სპასკი მართლაც გამანადგურებელი ანგარიშით – 12,5:8,5 დაამარცხა. 20 წლის შემდეგ, მათ მატჩი-რევანში იუგოსლავიაში გამართეს, რის გამოც ფიშერს ამერიკის კანონმდებლობასთან პრობლემები შეექმნა: მან იუგოსლავიის წინააღმდეგ შემოღებული საერთაშორისო სანქციები დაარღვია და აშშ-ის ხელისუფლების მიერ მისდამი გაგზავნილი გაფრთხილების ფურცელი საჯაროდ დახია. უფრო მეტიც, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მიცემული ერთ-ერთ ინტერვიუს დროს ფიშერმა განაცხადა: „აპლოდისმენტებით ვეგებები ამ აქტს, რადგან აშშ და ისრაელი პალესტინელებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ინდობდნენ“... 2004 წლის 13 ივლისს, აშშ-ის ხელისუფლების მოთხოვნით, ფიშერი იაპონიაში დააკავეს. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მისდამი მხარდაჭერა გამოთქვა, სწორედ ბორის სპასკი გახლდათ. ბობიმ რვა თვე დაყო ციხეში და 2005 წლის მარტში გათავისუფლდა. მან ისლანდიაში მოძებნა თავშესაფარი და ამ ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღო. ■

ზოდიაქოს ნიშნები და ფული

თუ „ფორბსის“ სიას თვალს გადავავლებთ, იქ ერთ ასტროლოგიურ კანონზომიერებას აღმოვაჩენთ — მილიონერებს შორის (უფრო სწორად კი მილიარდერებში), კუროსა და ღრიანკლის ნიშნით დაბადებული ადამიანები ჭარბობენ (სხვათა შორის, ეს მდიდარ ქართველებსაც ეხება). მაინც რა არის სიმდიდრის მოსაპოვებლად მთავარი? იქნებ, რაიმე ფორმულა არსებობს, რომელიც ადამიანებს გამდიდრებაში ეხმარება?.. ამჯერად ამ კითხვების სხვა ასპექტებს არ შევეხებით და მხოლოდ იმაზე შევჩერდებით, თუ რა კავშირია ზოდიაქოს ნიშნებსა და ფულს შორის.

ვერძი

მისთვის ფულს უფრო იდეური დატვირთვა აქვს, ვიდრე მატერიალური. მისი სურვილი, საზოგადოებაში პირველობას მიაღწიოს, ხანდახან ფინანსურ სფეროშიც ვლინდება, მაგრამ მისთვის მთავარია, რომ ის სხვებზე ღარიბი არ იყოს. თუმცა, პირველობას ის ფულის ხარჯვაშიც ცდილობს, ეს კი ხშირად, მის გაკოტრებას იწვევს (ამას მხოლოდ ის ვერძები აღწევენ თავს, რომლებსაც კუროს ან ღრიანკლის გავლენა აქვთ). საერთოდ, ის შრომისმოყვარეა და ისეთი იდეები მოსდის, რომლებსაც არცთუ ისე იშვიათად, ფულის მოტანა შეუძლია. მთავარია, მან საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას, დიპლომატია და ტაქტი გამოიჩინოს — ეს სიმდიდრისკენ მის მოძრაობას უფრო რეალურს გახდის. თავს კარგად ავლენს იმ პროფესიებში, სადაც ენერგიაა გამოსავლენი — სპორტში, სამხედრო საქმეში, პოლიციაში, მეცნიერებაში; სამწუხაროდ, მისგან კარგი კრიმინალიც დგება (თუ შეიძლება, კრიმინალი კარგი იყოს).

კუროს

კური საკმაოდ ჯიუტია და სწორედ სიჯიუტეს იჩენს ფულის გამომუშავებისას. მისი დევიზია: „არასდროს გქონდეს იმდენი ფული, რამდენიც იმწუთას გჭირდება“. ამაში ის, რა თქმა უნდა, საჭიროზე გაცილებით მეტს გულისხმობს, რადგან ბუნებით მაქსიმალისტია. მას ძალიან ხიბლავს სივრცე, ამიტომ მისი სახლი ხშირად, ბუკინგემის სასახლეს მოგვაგონებს (ან ასეთი სახლის შეძენისკენ მიისწრაფის) — დიდი ოთახებით, მაღალი ფანჯრებით, ძვირად ღირებული ავეჯით გაწყობილი და დიდი ბაღით დამშვენებული. ამას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება, ამიტომ კური ამ ყოველივეზე ოცნებას, თავგანწირულ შრომას ამჯობინებს. ის ფულს იშვიათად შეინახავს შინ — მან კარგად იცის, რომ ბევრი ფულის შესანახად ბანკი უკეთესი ადგილია. ახალგაზრდობაში მას ფინანსური საქმეები არცთუ ისე კარგად მისდის, სამაგიეროდ, მოწიფულობისას, უკვე უძრავი ქონებაც აქვს და პრესტიჟული სამსახურიც. ის კარგი ბანკირი, მოქანდაკე, მწერალი, მომღერალი და დიზაინერია, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც საბანკო საქმე და მენეჯმენტი მოსწონს.

მარჩბივი

მარჩბივისა და ფულის ერთად წარმოდგენა საკმაოდ ძნელია, მაგრამ ხანდახან, აქაც ვხვდებით გამონაკლისს. ეს განსაკუთრებით იმ მარჩბივს ეხება, რომელიც ყიდვა-გაყიდვით არის დაკავებული. მას ხომ ლაპარაკი სხვაზე უკეთ ეხერხება. სიტყვებს ის ავტომატივით ისვრის და საცოდავ მყიდველს თავბრუს ახვევს. მის სიმდიდრეს ყველაზე დიდ ხიფათს მისივე მხრიდან უზომო ფლანგვის სურვილი უქმნის. ის ყიდულობს ყველაფერს, რაც სჭირდება და არ სჭირდება. სასაცილო სანახავია ბაზრობაზე მოხვედრილი მარჩბივი, რომელიც მთელი დღე დადის და ვერაფრით ახერხებს იმის ყიდვას, რაც დილით უნდოდა (ეს გაორების გამო ემართება). საღამოს, აბსოლუტურად გამოუსადეგარ რამეს ყიდულობს და შინ გაღიზიანებული ბრუნდება. მისგან კარგი მწერალი, ადვოკატი, კომერციული აგენტი, ჟურნალისტი და ორატორი დგება, ამიტომ სწორედ ამ სფეროებში შეუძლია ქონების დაგროვება.

კირჩხიბი

თუ კირჩხიბისა და ფულის ურთიერთობას იუმორის თვალით შევხედავთ, მაშინ ეს ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მას სავსე ქისის ჩხრიალი საყვარელ მელოდიას აგონებს. კირჩხიბს გაჭირვების ჟამს, „შემთხვევით“ აღმოაჩნდება ხოლმე ანგარიშზე რამდენიმე ათასი. თუ წუწუნი დაიწყო, მისთვის დახმარების გაწევას ნუ იჩქარებთ... სხვათა შორის, კირჩხიბთა შორის, იშვიათად გვხვდება ღარიბი, მით უმეტეს — უქონელი და ღატაკი. როგორც წესი, მას აქვს ისეთი პროფესია, რომელიც კარგად უზრუნველყოფს. თუ უძრავ ქონებას ყიდულობს, ამბობს: „მე ისეთი მდიდარი არ ვარ, რომ ვიყიდო სარემონტო სახლი და შემდეგ მისი რემონტი დავიწყო“. ამიტომ ევრორემონტიან და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ სახლს ყიდულობს. ამასთანავე, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში იყიდის რამეს, თუ მისი გაყიდვაც შესაძლებელი იქნება. კირჩხიბი შესანიშნავი მაკლერია. ასევე კარგი ბიზნესმენია (ზოგადად), ეხერხება საზღვაო საქმეც და ამ სფეროშიც შეუძლია მომგებიანი საქმიანობის წამოწყება.

ლომი

ლომმა შესაძლოა, ერთ მშვენიერ ღამეს ღატაკმა დაიძინოს და დილით მილიონერმა გაიღვიძოს. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს მისთვის, სრულიად საპირისპირო რამაც შეიძლება შეემთხვას. ასე რომ, მან კარგად უნდა აწონ-დაწონოს ყველაფერი, გასაკუთრებით მაშინ, როდესაც ნაცნობ-უცნობებს მასპინძლობს და ფულს აქთიქით ფანტავს... თუმცა, შემოქმედებითი ამბიცია მას ახალ-ახალი პროექტებისკენ უბიძგებს ხოლმე, ეს კი გაჭირვებისგან თავის დაღწევის საშუალებაა. ლომს ფართო მასების აყოლიება ძალუძს (ეს რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუკი საქმეს სჭირდება). ფულის გამომუშავებისას, მას პრობლემებს სიჯიუტე, სიზარმაცე და ავტოკრატიზმი უქმნის, ამიტომ ამ თვისებების აღმოფხვრაზე უნდა იზრუნოს. ის საკუთარ პოტენციალს შესანიშნავად ავლენს დრამის რეჟისურაში, მსახიობობაში, სარეკლამო, საიუველირო საქმეში, მხატვრობასა და შოუ-ბიზნესში.

ქალწული

ის სიმდიდრეზე არასოდეს ოცნებობს — ამისთვის უბრალოდ შრომობს. ეს თითქოს მარტივი ფორმულაა, მაგრამ ზოდიაქოს ნიშნებს შორის ეს ყველაზე კარგად ქალწულს აქვს გაცნობიერებული. მას შეუძლია მომჭირნეობის გამოჩენაც, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია სიმდიდრის მოსაპოვებლად. ასე რომ, ქალწულს გამდიდრების კარგი შანსები აქვს. ფიზიკურ შრომას, გონებრივ სამუშაოს ამჯობინებს. ურჩევნია, პრეზიდენტის მრჩველი იყოს, ვიდრე

თვითონ იტვირთოს პრეზიდენტობა. ის ბევრ ფულს ხარჯავს საკუთარი ჯანმრთელობის გასამყარებლად. ამავე დროს, ხშირად, ჯანმრთელობის მდგომარეობა ნერვიულობის გამო უუარესდება. ამიტომ უნდა ისწავლოს ემოციების მოთოკვა, საკუთარი ხასიათის გაკონტროლება, რადგან ხშირად, შენიშვნებით წონასწორობას აკარგვინებს კოლეგებსა და პარტნიორებს. მისგან ბრწყინვალე ექიმი, ჟურნალისტი, ეკონომისტი, ბუღალტერი, დიეტოლოგი და პოლიგლოტი გამოვა.

სასწორი

მარტო, არაფერი აინტერესებს, თუნდაც, ფულის შოვნა — ის ყველაფერს პარტნიორთან ერთად აკეთებს (თანახმაა, ნებისმიერი მოგებაც შუაზე გაყოს, ისევე, როგორც ზარალი). საერთოდ, მდიდარ სასწორს პირველ რიგში, მშობლების სოციალური მდგომარეობა უწყობს ხელს. ის ადვილად ახერხებს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობას და კარგი რეპუტაციითაც სარგებლობს. გამდიდრება ზოდიაქოში თუ ვინმეს აშკარად ეტყობა, ეს უპირველესად, სასწორია (ასევე — კურო, რადგან ორივეს, ვენერა — სილამაზისა და სიმდიდრის პლანეტა მართავს). ეს ყველა ასპექტში ჩანს — ის შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს (თხის რქასავით იმავე ადგილზე ციხესიმაგრის შენებას არ დაიწყებს), იმოგზს, ტანსაცმელს, შესაძლოა, პროფესიასაც. სასწორს თავის გამოჩენა განსაკუთრებით ისეთ საქმეებში ემარჯვება, რომლებიც კარგ პარტნიორობას მოითხოვს. გარდა ამისა, ის კარგი მუსიკოსი, მომღერალი, მსახიობი, იურისტი და შუამავალია.

ღრიანკალი

ღრიანკალი, კუროსთან ერთად, ქმნის „ფულის წრფეს“ (ეს ორი ნიშანი ერთმანეთის პირისპირ მდებარეობს). მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიას სწორედ ღრიანკლის ნიშნით დაბადებული ადამიანი უდგას სათავეში (სხვათა შორის, ეს საქართველოშიც ასეა). ღრიანკლის ორი ტიპი არსებობს — მისტიკოსი და მატერიალისტი. მეორე ვარიანტში ის მანამდე იღვწის (უფრო სწორად — იბრძვის), სანამ ყველაზე მდიდარი არ გახდება. ძალზე მიზანსწრაფულია. მთავარია, კარგად გააცნობიეროს საკუთარი საქმე და ყველაფერი სწორად დაგეგმოს — ასეთ შემთხვევაში, უეჭველად გაიმარჯვებს. მას შეუძლია მართოს უდიდესი კორპორაციები. თითქმის შეუმცდარი ინტუიცია აქვს და რისკსაც არ ერიდება. მისი დევიზია: „გართმევს — მტერია, გაძლევს — მეგობარი“. ის არასოდეს არ შეინახავს ფულს ერთ ადგილზე, მას საქმეში ჩადებს და საკმაოდ სწრაფად კარგ მოგებასაც მიიღებს. მას შეუძლია, წარმატებით იღვწოს ნებისმიერ სფეროში. ყველაზე კარგად ეხერხება სარფიანად ფულის გასესხება და სალომბარდო საქმიანობა.

მშვილდოსანი

ფული მშვილდოსანს სჭირდება იმისთვის, რომ დახარჯოს. შესაძლოა, ძალიან შაბლონური გამოთქმაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მშვილდოსანს ფულის ხარჯვა ყოველთვის და ყველგან უნდა (ის მარჩბივსა და მერწყულთან ერთად, მფლანგველთა ტრიოს ქმნის). ამიტომ მისთვის ფულის დაგროვება ნამდვილ ტანჯვას წარმოადგენს. თუმცა, ხშირად უმართლებს და იშვიათად უჩივის უფულობას. ბევრს მოგზაურობს, დარბის ერთი ადგილიდან მეორეზე, ესწრება უამრავ კონფერენციას, სწავლობს უცხო ენებს და ბუნებრივია, ამასაც სჭირდება გარკვეული თანხა. თუ ახალგაზრდა მშვილდოსანი ცოტა ქესატად გამოიყურება, ასაკში ის დინჯდება და საკუთარ ოჯახის რჩენასაც ახერხებს. მან კარგად იცის, რომ ფულს ბედნიერება არ მოაქვს, ამიტომ ფულს ყოველთვის, ჭეშმარიტ მეგობრობას ამჯობინებს და სწორედ ეს მეგობრები (უმეტესწილად გავლენიანი მეგობრები) უწევენ ხოლმე საჭირო მატერიალურ დახმარებას. ის წარმატებული გამომცემელი, მოსამართლე, იურისტი, პოლიტოლოგი, მოგზაური, თეოლოგი და პოლიგლოტია.

თხის რქა

შეიძლება ითქვას, რომ ეს ნიშანი „ოქროს კვეთს“ ვერ პოულობს — ან ძალიან ღარიბია, ან ძალიან მდიდარი. ეს იმიტომ, რომ ამ ნიშანს „პრობლემებისა და სიღარიბის“ პლანეტა სატურნი მართვას. სატურნი სიტუაციის კრისტალიზაციას და მოწესრიგებას „ითხოვს“ და რომელი თხის რქაც ამას ახერხებს, მისი ცხოვრება ნელ-ნელა წესრიგდება, ხოლო რომელიც უძლურია, გამუდმებით პრობლემებთან ჭიდილი უწევს. თხის რქას არ უყვარს აჩქარებული და იმპულსური გადაწყვეტილებების მიღება, ეს ეხება ფულის გამომუშავებას და ხარჯვასაც. ის არასდროს მოჰკიდებს ხელს ისეთ საქმეს, რომელსაც მისი რეპუტაციის შელახვა შეუძლია. სამაგიეროდ, გამომუშავებულ თანხას დიდი რუდუნებით შეინახავს და შეეცდება, საკუთარი თავისთვის მყარი გარანტიები შექმნას. ამ ნიშნით დაბადებული ბევრი ადამიანი თავს კარგად გრძნობს სახელმწიფო სამსახურში და თანამდებობას საკუთარი მიზნების მისაღწევადაც იყენებს, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არასოდეს ჩაიდენს დანაშაულს. ის კარგი პოლიტიკოსი, მენეჯერი, ფერმერი, მშენებელი და მიწათმოქმედია.

მერწყული

თუ მერწყული ოდესმე გამდიდრდება (ოდესმე, რადგან ეს ცოტა, ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება და იმ შემთხვევაში ხდება, თუ მას კუროს, ქალწულის, ღრიანკლის ან თხის რქის დიდი გავლენა აქვს), ეს მისი გენიალური იდეის „ბრალი“ იქნება და არა მისი შრომისმოყვარეობის. კიდევ შეიძლება, მეგობრებმა დაუთმონ წილი მომგებიან ბიზნესში. კარგი იქნება, თუკი მერწყული შრომისმოყვარეობას, მიზანსწრაფვას, ორგანიზებულობასა და მოთმინებას ისწავლის — ეს თვისებები მას ნამდვილად წარმატებას მოუტანს. საერთოდ, მერწყული ფიზიკურ შრომას, გონებრივს ამჯობინებს და მართალიც არის, რადგან მისი აზრები და იდეები დღევანდელ აზროვნებას დაახლოებით 50 წლით უსწრებს (შესაძლოა, დაუჯერებლადაც ჟღერდეს, მაგრამ ასეა). აქედან გამომდინარე, მისი რჩევები ძალზე მომგებიანია ავანგარდულ ხელოვნებაში. მას ადვილად შეუძლია წარმართოს ურთიერთობები და დააჯეროს ადამიანები საკუთარი იდეების მართებულობაში, ამიტომ მისგან მშვენიერი პროდიუსერი დგება. გარდა ამისა, მერწყულს შეუძლია, წარმატებით იღვაწოს ფსიქოლოგიასა და ასტროლოგიაში, ასევე კინორეჟისურაში.

თევზები

„დიახ, იმას მოგახსენებდით, როდესაც მე და ბილი შევხვდით „ემერიკან იუნაითედ ბანკში... — ვინ ბილი? გეიტსი? — რა თქმა უნდა; როტშილდიც იქ იყო და ის რუსი, რა გვარია, დამავიწყდა... ჰო — ბერეზოვსკი“... როგორ მოგწონთ ეს დიალოგი? იფიქრებთ, რომ ვიღაც „ახალ ქართველს“ შეხვდით, რომლის ქონება რამდენიმე მილიარდ „მწვანეს“ შეადგენს?.. სულაც არა. ის თევზებია, დიახ — თევზების ნიშნით დაბადებული ადამიანი. არ იფიქროთ, რომ იტყუება — უბრალოდ, ოცნებამ გაიტაცა. ოცნება კი დანაშაული არ არის (არც დასაძრახია)... მას შეუძლია, ფინჯან ყავაზე იმხელა კოშკები ააშენოს, რომ თავბრუ დაგეხვეთ (ამას მხოლოდ მარტის 10-20-ში დაბადებულები აღწევენ თავს, რადგან მათ ვერძის გავლენა აქვთ და მათი მიზანსწრაფულობა ძლიერდება). მაშ ასე, თუ თევზებს სურთ, პრობლემებს გაუმკლავდნენ, შემდეგი თვისებებისგან უნდა გათავისუფლდნენ — უსაზღვრო ფანტაზიისგან, წარსულზე ფიქრისა და ზედმეტი თანაგრძნობისგან (თანაგრძნობა კარგია, მაგრამ ზომიერებაცაა საჭირო). ის კარგად მუშაობს იმ სფეროებში, სადაც სხვებისთვის დახმარების გაწევაა საჭირო — ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში, ციხის ადმინისტრაციაში, საავადმყოფოსა და საქველმოქმედო დაწესებულებებში, ასევე ხელოვნების დარგებში, განსაკუთრებით — მუსიკაში.

მოამზადა რამაზ გიგაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(8 - 14 სექტემბერი)

ვერძი – 21/III-20/IV

შესაძლოა, თქვენი აქტიური ხასიათის საწინააღმდეგოდ, თავი მოწყენილად და დეპრესიულადაც კი იგრძნოთ, ეს თქვენს საქმიანობას უარყოფითად წარმართავს და გამორიცხული არ არის, მომავალი პროექტებიც ჩაგივარდეთ. ამიტომ ტემპს მოუმატეთ, მაგრამ იმპულსურად ნუ იმოქმედებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ლომთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 11, 12. **ნეგატიური დღეები:** 8, 13.

კურო – 21/IV-21/V

ამ პერიოდში თქვენ მთლიანად დასვენებასა და გართობაზე გადაერთვებით, რაც გარკვეულწილად შეცდომა იქნება, მით უმეტეს, რომ თქვენი ინერტულობა და უპასუხისმგებლობა საქმიანი ურთიერთობებისა და გეგმების დამუხრუჭებას გამოიწვევს, ეს კი, ცხადია, გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით. ყურადღება გაამახვილეთ საქმიან ინფორმაციებზე. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ლომთან, ნეგატიური – ღრიანკალსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 9, 11. **ნეგატიური დღეები:** 12, 14.

მარჩხიბი – 22/V-21/VI

ამ პერიოდში შეგექმნებათ არაერთი შანსი, მოაგვაროთ ყოფითი პრობლემები, ამისათვის ლოგიკურად უნდა იმოქმედოთ და ემოცია უკანა პლანზე გადასწიოთ. გამოიჩინეთ სიფრთხილე ყიდვა-გაყიდვის დროს, სიტყვაზე ნურავის ენდობით და აუცილებლად გადაამოწმეთ ფაქტები. შესაძლებელია, თქვენი მოტყუება ან გაქურდვა სცადონ. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და თხის რქასთან, ნეგატიური – კუროსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 11, 13. **ნეგატიური დღეები:** 10, 12.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

შესაძლოა, მოულოდნელი ცვლილებების განხორციელება მოგიწიოთ, რაც პოზიტიურ შედეგს მოგიტანთ, თუმცა, ამ ცვლილებების გამო მრავალ გართობასა და სიამოვნებაზე იტყვით უარს. ეს თქვენს საქმიანობაზე დადებითად იმოქმედებს. ეცადეთ, ლოგიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილებები მიიღოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – ლომსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 11, 10, 12. **ნეგატიური დღეები:** 8, 14.

ლომი – 23/VII-23/VIII

ერთდროულად მრავალ ფრონტზე ბრძოლა მოგიწევთ, ბევრი მოუგვარებელი პრობლემა თქვენს გადაუდებელ ჩარევას მოითხოვს. ორგანიზატორულ ნიჭს თუ გამოავლენთ, არსებულ მდგომარეობასაც შეინარჩუნებთ და შესაძლოა, გაიუმჯობესოთ კიდეც. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კუროსთან, ნეგატიური – ქალწულსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 10, 14. **ნეგატიური დღეები:** 9, 13.

ქალწული – 24/VIII-23/IX

შესაძლებელია, სახელმწიფო მოხელეებთან ერთად, გარკვეული პროექტების განხილვაში ჩაებათ და ამ პროექტების განხორციელებაზე ზრუნვამაც მოგიწიოთ. ნუ აჩქარდებით და წონასწორობას ნუ დაკარგავთ, საკითხისადმი რაციონალური მიდგომის შემთხვევაში, მოსალოდნელ შეცდომებს აარიდებთ თავს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ვერძსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 12, 13. **ნეგატიური დღეები:** 10, 11.

სასწორი – 24/IX-23/X

ამ პერიოდში მოვლენები ისე სწრაფად და ამასთანავე, მოულოდნელად განვითარდება, რომ შესაძლოა, ამ ყოველივეს ფეხი ვერ აუწყოთ და შეცდომებიც დაუშვათ. ამიტომ ნებისმიერი ექსტრემალური სიტუაციისთვის მზადყოფნა გმართებთ. გამოიჩინეთ ყურადღება უახლოესი მეგობრებისადმი – ისინი ძალზე დროულ დახმარებას გაგიწევენ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და მერწყულთან. ნეგატიური – კუროსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 10, 11, 14. **ნეგატიური დღეები:** 8, 12.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

მიმდინარე პერიოდში, ფინანსური საკითხების მოგვარებით იქნებით დაკავებული. არ არის გამორიცხული, რომ ახლობლებმა მატერიალური დახმარება გთხოვონ. შემლებისდაგვარად, უარს ნუ იტყვით, რადგან ეს თქვენს მომავალზე დადებითად აისახება (შესაძლოა, მომავალში თქვენც დაგჭირდეთ მათი დახმარება). ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური – კუროსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 10, 11. **ნეგატიური დღეები:** 12, 13.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ლიდერის როლის შეთავსება და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება მოგიწევთ (ეს ნებისმიერ თქვენ გარშემო მიმდინარე პროცესში გამოვლინდება). ამას დაემატება თქვენი მხრიდან იმიჯის შეცვლაც (შესაძლოა, სასიყვარულო პარტნიორიც კი შეიცვალოთ) და ეს ყოველივე საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს თქვენდამი დადებითად განაწყობს. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – კუროსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 12, 14. **ნეგატიური დღეები:** 9, 10.

თხის რქა – 22/XII-20/I

მოუხმეთ თქვენს ორგანიზატორულ ნიჭს, რადგან თქვენ გარშემო მიმდინარე მოვლენები ქაოსურ სახეს მიიღებს. ეს გაიძულებთ, ხელახლა შეაფასოთ ყოველივე და ადვილი შესაძლებელია, საკუთარი ბიზნესის მთლიანი რეორგანიზებაც მოახდინოთ. თუ შეცდომებს თავს აარიდებთ, მაშინ წინსვლასაც მოახერხებთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 8, 11, 13. **ნეგატიური დღეები:** 8, 12.

მერწყული – 21/I-19/II

ენერგიულობა და შემოქმედებითი აღმაფრენა დაგეხმარებათ იმაში, რომ წარმატებით დაასრულოთ ადრე წამოწყებული საქმეები და ახალი პროექტების დაგეგმვაზე იზრუნოთ. ჰორიზონტზე კი ახალი კოლეგები და თანამშრომლები გამოჩნდებიან, რომლებიც საჭირო და ამასთან, დროულ დახმარებას გაგიწევენ, რაც ძალზე გაგახარებთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და სასწორთან, ნეგატიური – კუროსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 9, 12, 14. **ნეგატიური დღეები:** 11, 13.

თევზები – 20/II-20/III

მოგიწევთ ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, მაგრამ არ გირჩევთ, ნაჩქარევად იმოქმედოთ და კატეგორიულობა გამოიჩინოთ, ეს კონფლიქტური სიტუაციების ალბათობას ერთიორად გაზრდის. ყურადღება გაამახვილეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, რადგან შედარებით დასუსტდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თევზებთან, ნეგატიური – მარჩხიბსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 10, 11, 12. **ნეგატიური დღეები:** 9, 14.



საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი

ქართული სოფელი საფრანგეთში

კატისებრთა ოჯახის მტაცებელი

ფეხბურთელის ამპლუა

ქონებრივი დანაკლისი

საეკლესიო საკითხავების კრებული

მტაცებელი ფრინველი

ტბა რუსეთში

ავტორი რომანისა „ბვადი ბიგვა“

მუზეუმი სანქტ-პეტერბურგში

სიმებიანი საკრავი

დაბალი სამფეხა სკამი თუშეთში

ფრანგული ავტომობილი

ტუჩი

ორსული საქონელი

მწვავე შეხლა-შემოხლა

სახელმწიფო აფრიკაში

მდინარის ჩანგრეული ნაპირი

შესახედაობა გვერდიდან

ქალაქი გერმანიაში

ადამიანის თავის უკანა ნაწილი

ხანმოკლე პრესკონფერენცია

უგუმბათო ეკლესია

ფეხბურთელ ფრანგული

ზუ ხასიათი

ბრძოლა

საუკეთესო ხარისხის ბროლი

ხოხბის ბარტყი

უპიგმენტო

სამხედრო ფორმის პალტო

ნარნარი ფრენა

აშშ-ის სატელევიზიო პრემია

ცარიელი თაფლგამოცლილი ფიჭა

კურორტი რაჭაში

ხელოვნური ენა

გეომეტრიული სხეული

ფარმაცევტი

ისტორიული მხარე დასავლეთში

25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.
55-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ; 4-გ.

ანეკდოტები

***

უბნის რწმუნებული პოლიციელი ბავშვს სცემს. გამვლელმა ჩხუბი დაუწყო, ბავშვის ცემა როგორ შეიძლებაო!

— თავი დამანებეთ, ქალბატონო, — იყვირა პოლიციელმა, — ეს ე.წ. ბავშვი სამი დღეა უკან დამდევს და ყველას გასაგონად მეუბნება, — ჩემი ძაღლი იხმარე, ჯიშიან ლეკვებს დაყრისო...

***

„ეშმაკი“ სვანი სერჟანტი ახალწვეულებს მიმართავს:

— დღეს ისეთი კარგი სამუშაო გვაქვს, ყველაზე ზარმაცებსაც რომ მოეწონებათ!.. აბა, ხელი ასწიოს, ვისაც ასეთი სამუშაო უნდა!

ყველა ხელს უცბად სწევს, ერთი მეგრელის გარდა.

— შენ რატომ არ ასწიე ხელი?!

— ხელის აწევაც დამეზარა, პატივცემულო.

***

— ამდენს რატომ სვამ, მიხო?

— იმიტომა, რო მინდა, ჩემი დარდი სასმელში ჩავახრჩო, მაგრამა ამ საზიზღრებმა ცურვა ისწავლეს.

***

ქვრივი მარო:

— ისე მიყვარდა ჩემი მიხო, რომა ლამისაა საფლავში ჩავყვე.

ოჯახის მეგობარი:

— კარგი, ქალო!.. იქ მაინც მაასვენე.

***

ერთი ქალბატონი წვეულებაზე თავის გვერდით მჯდომ მამაკაცს ეუბნება:

— ძალიან გამგავსებთ ჩემს მესამე ქმარს.

— კი მაგრამ, სულ რამდენი ქმარი გყავდათ?..

— ჯერჯერობით, ორი.

***

ჭიჭიკია „სპალნაში“ შევარდა და ცოლს უყვირა:

— უკვე ყორიფელი ვიცი!

ცოლი არ დაიბნა და მიუგო:

— ყორიფელი?!. მაშინ მიპასუხე — როდის დეიბადა და გარდეიცვალა ოლივერ კრომველი?

***

— კოკისპირულად წვიმს და ჩემი ცოლი ისე წავიდა სასეირნოდ, რომ ქოლგა არ წაუღია... მაგალითად...

— ნუ იდარდებ, ძუკუ, ცუცა ჭკვიანი ქალია, მოახერხებს და რომელიმე მაღაზიას შეაფარებს თავს.

— ხოხ, მეც სწორედ ეგ მადარდებს... გენაცვალე.

***

ახალგაზრდა წყვილს კარგა ხნის თანაცხოვრების შემდეგ შვილი არ გაუჩნდა. ბოლოს გადაწყვიტეს მღვდლისთვის ეკითხათ რჩევა. მღვდელმა ქმარს ურჩია, რომ გამგზავრებულიყო რომში წმინდა პეტრეს ტაძარში სანუკვარი სურვილი ჩაეთქვა და სანთელი დაენთო.

— ვინ იცის, — განაცხადა მან. — იქნებ გიშველოთ კიდეც.

რამდენიმე წლის შემდეგ მღვდელმა ცოლ-ქმრის მონახულება გადაწყვიტა.

შევიდა თუ არა სახლში, ხუთი ერთმანეთზე პატარა ბავშვი დაინახა.

— სად არის თქვენი დედიკო? — იკითხა მღვდელმა.

— სამშობიარო სახლში, — ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

— მამიკო?

— მამამ გვითხრა, რომში მივდივარ, სანთელი უნდა ჩავაქროო.

***

— მაკა, ძვირფასო, შენთვის რაღაც მინდოდა მეთქვა... როგორ გადამავიწყდა... აჰა! ბავშვი მივიყვანე საბავშვო ბაღში... არა, ეს არა... ა, ჰო! პური და მაწონიც ვიყიდე... არა, არა! არც ეს... ვაახ, კაცო... ბავშვი... ნუ, ეს უკვე გითხარი... ხო! აააჰ!.. გამახსენდა! რას გამიმწარე მთელი ცხოვრება, შე უნამუსო, შენ!!!...

***

ჭიჭიკიას სიდედრი ყვირის:

— არა, ჩემი ცხოვრება აქ აღარ შეიძლება, ფანჯრიდან უნდა გადავხტე ამ ძაღლთან ერთად!

სიძე:

— არა, არა!.. ძაღლი შეიბრალეთ, ქალბატონო აგრაფინა.

***

მიხო წნორში დგას სადგურში, შარვალზე „ზმეიკა“ აქვს გახსნილი. ამ დროს ჩამოდგება ტურისტების ავტობუსი. ტურისტები მიხოს უყურებენ და იცინიან. მიხო ყველაფერს მიხვდება, მაგრამ არ შეიმჩნევს და მგზავრებს ეკითხება:

— თქვენა, ნეკრესი ნახეთ?!.

— არა, — პასუხობენ.

— გრემი?!.

ისევ უარი.

— წინანდალი?!.

— არც ეგ, — უპასუხეს.

— აბა, წადით და ნახეთ, აქა რა ჩემი „ინსტრუმენტი“ სანახავად ჩამოხვედით?!. — კითხულობს გაჯავრებული მიხო.

***

ერთი სვანი მეორეს ეკითხება:

— მაიზერ, კარტოფილის როგორი მოსავალი მიიღე?!

— უდანაკარგო!

— ეგ როგორა?!.

— სამი მეშოკი დავთესე და ზუსტად სამი ამოვიღე!..

***

— ჭიჭიკია, ვალს როდის დამიბრუნებ?

— მაცალე ბუჯო, ერთი თვე, რაია და შენი რიგიც მოვა.

— იცოდე, ხვალვე დამიბრუნე, თვარა ზეგე შენს მევალეებს დევივლი და ყველას ვეტყვი, ჭიჭიკიამ ვალი დამიბრუნა-თქვა.

***

ერთი ლოთი მეორეს ეუბნება:

— იცი, რო დავლევ, ტანზე ლურჯი ლაქები მიჩნდება.

— ჰოო, ჩემს ცოლსაც მძიმე ხელი აქვს.

რამდენად კარგი მოთმინების უნარით გამოირჩევით?

გაქვთ თუ არა სხვისი აზრის მშვიდად მოსმენის უნარი? პატივს სცემთ თუ არა სხვის მიერ გამოთქმულ აზრს და ხართ თუ არა შემწყნარებელი? თქვენ წინაშეა ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ, მიახლოებით მაინც განსაზღვროთ საკუთარი მოთმინების ხარისხი. ოღონდ, ერთი პირობა აუცილებლად დაიცავით: შეკითხვებს უპასუხეთ სწრაფად, მოფიქრების გარეშე.

1. მიგაჩნიათ, რომ თავში საინტერესო იდეა მოგივიდათ, მაგრამ სხვებმა მის განხორციელებას მხარი არ დაუჭირეს. ცუდ ხასიათზე დადგებით?

ა) დიახ;

ბ) არა.

2. მეგობრების კომპანიაში ყოფნისას, ერთ-ერთმა მეგობარმა გართობის მიზნით, რაღაც თამაშის დაწყება შემოგთავაზათ. რას ამჯობინებთ?

ა) მხოლოდ გამოცდილმა მოთამაშეებმა მიიღონ მონაწილეობა თამაშში;

ბ) ითამაშონ მათაც, ვინც თამაშის წესებს არც კი იცნობს.

3. შეგიძლიათ თუ არა მშვიდად შეხვდეთ თქვენთვის უსიამოვნო ახალ ამბავს?

ა) დიახ;

ბ) არა.

4. როცა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ხვდებით, ხომ არ ღიზიანდებით?

ა) თუკი ისინი საკუთარი ქმედებით დაშვებულ ზღვარს არ სცდებიან, ეს საერთოდ არ მაღელვებს;

ბ) ყოველთვის მაღიზიანებდნენ ის ადამიანები, რომელთაც საკუთარი თავის გაკონტროლება არ ძალუძთ.

5. შეგიძლიათ თუ არა ადვილად დაამყაროთ კონტაქტი იმ ტიპის ადამიანებთან, რომლებსაც თქვენგან განსხვავებული პროფესია, სოციალური მდგომარეობა და ჩვევები აქვთ?

ა) ჩემთვის ძნელი იქნება ამის გაკეთება;

ბ) ამგვარ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევ.

6. როგორი რეაქცია გაქვთ პირადად თქვენი მისამართით გამოთქმულ ხუმრობაზე?

ა) არც ხუმრობა მომწონს და არც მისი ავტორი;

ბ) იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ხუმრობა ჩემთვის უსიამოვნო იქნება, ვეცდები, მის ავტორს ხუმრობითვე ვუპასუხო.

7. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ბევრი ადამიანი „თავის ადგილზე არ ზის“ და „არც თავის საქმეს აკეთებს“?

ა) დიახ;

ბ) არა.

8. ახლობელთან წვეულებაზე წასულმა თან მეგობარიც იახლეთ, რომელიც მისვლისთანავე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) გულახდილად რომ ვაღიარო, არ მესიამოვნება, სხვების ყურადღების მიღმა თუ აღმოვჩნდები;

ბ) მისი წარმატება მეც გამახარებს.

9. ახლობელთან სტუმრად მისულს იქ თქვენთვის უცხო, ხანში შესული ადამიანი გხვდებათ, რომელიც თანამედროვე ახალგაზრდებს აკრიტიკებს და წარსულს განადიდებს. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) რამეს მოვიმიზეზებ და დროზე ადრე წამოვალ;

ბ) კამათში ჩავებმები.

დაანგამთ ქულები

2 ქულა დაიწერეთ შემდეგ პასუხებში: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ, 6-ბ, 7-ბ, 8-ბ, 9-ა.

ტესტის შედეგები

0-4 ქულა: უდრეკი და ცოტა არ იყოს, ჯიუტი ადამიანი ბრძანდებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყოველთვის საკუთარი აზრის სხვებისთვის თავზე მოხვევას ცდილობთ. თქვენი ხასიათის გადამკიდე, ძნელია ნორმალური ურთიერთობა იქონიოთ იმ ადამიანებთან, ვისაც თქვენგან განსხვავებული აზრი აქვს და არ ეთანხმება იმას, რასაც თქვენ ამბობთ ან აკეთებთ.

6-12 ქულა: საკუთარი მოსაზრებების დაცვის განსაკუთრებული უნარით გამორჩევით, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში, არც აზრის შეცვლა გიჭირთ და არც დიალოგის წარმართვა. თუმცა, ზოგჯერ მეტისმეტად უკმეხი ლაპარაკიც გჩვევიათ, რითიც უპატივცემულობას ავლენთ მოსაუბრისადმი. მართალია, ასეთ შემთხვევებში, შედარებით სუსტი ხასიათის ადამიანთან კამათში გამარჯვების მოპოვება არ გიჭირთ, მაგრამ დაფიქრდით: ნუთუ ღირს სისასტიკის გამოვლენა იქ, სადაც თანხმობის მიღწევა შედარებით ღირსეული მეთოდებითაცაა შესაძლებელი?!

14-18 ქულა: თქვენს შემთხვევაში, შეხედულებების სიმტკიცეს შესანიშნავად ერწყმის საოცრად გამჭრიახი და მოქნილი გონება. თქვენ ნებისმიერი იდეის მიღება შეგიძლიათ, გაგებით ეკიდებით ერთი შეხედვით საკმაოდ პარადოქსულ ქმედებებს, იმ შემთხვევაშიც, როცა ამ ქმედებებით აღფრთოვანებული არ ხართ. საკმაოდ კრიტიკულად უდგებით საკუთარ აზრს და იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი მოსაზრება მცდარი აღმოჩნდება, გაქვთ იმის უნარი, რომ თანამოსაუბრისადმი პატივისცემა გამოხატოთ და ტაქტიანად აღიაროთ თქვენი შეცდომა.

ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲐ

ჩინეთში ახალი ვუნდერკინდი გამოჩნდა. ქალაქ პანცზინში დაბადებული ათი წლის ჩჟან სინიანი საინჟინრო-პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ბიჭმა უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებულ საერთო ეროვნულ გამოცდებზე 505 ქულა მოაგროვა, როცა ქულათა დასაშვები მინიმუმი 458 იყო. რამდენიმე დღის შემდეგ, ახალგაზრდა ვუნდერკინდმა



წერილობითი დასტური მიიღო იმის თაობაზე, რომ ის ტიანცზინსკის საინჟინრო-პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა და სექტემბრიდან, სწავლას საინფორმაციო ტექნოლოგიის ფაკულტეტზე შეუდგება.

აღსანიშნავია, რომ ჩჟან სინიანმა თავისი წინამორბედის, 12 წლის ჩინელი სტუდენტის რეკორდი მოხსნა. თუმცა, ზოგიერთ პედაგოგს ამაზე უფრო სენსაციური შემთხვევებიც ახსოვს. მაგალითად, ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი, ინსტიტუტში ჩარიცხვის მომენტში 7 წლის და 11 თვის იყო. ის გახლდათ ახალზელანდიელი მაიკლ ტენი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლას 1992 წლიდან შეუდგა. საინტერესოა, რომ ყველაზე ახალგაზრდა კურსდამთავრებული, კალიფორნიის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი – სანტაკრუსელი ადრაგონ ისტვუდ დე მელო იყო: 11 წლის ასაკში, 1998 წელს, ისტვუდმა მათემატიკაში ბალაკავრის ხარისხი მიიღო. თუმცა ყველას გერმანელმა კარლ ვიტემ აჯობა, რომელსაც 12 წლის ასაკში, გინესის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ■

ᲥᲐᲚᲛᲐ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ

ბელგიელმა ქალბატონმა გადაწყვიტა, ერთდროულად ფულიც ეშოვა და ქმრისგანაც დაესვენა.

ნადინა მანფროიდი, რომელსაც ახლახან 21 წელი შეუსრულდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოჯახურმა ცხოვრებამ თავი მოაბეზრა, რადგან გათხოვილი ქალის სტატუსი თავისუფლებას უზღუდავს და ამდენად, კინოთეატრებში სასიარულოდ და მაღაზიებში სახეტიალოდ ვეღარ იცლის. ჭირვეულ ლედის არ მოსწონს, რომ მეუღლე აბსოლუტურად ყველგან თან დაჰყვება და მარტო ყოფნის საშუალებას არ აძლევს.

პრობლემის გადასაწყვეტად ნადინამ გამოსავალი იპოვა: მან თავისი 28 წლის მეუღლის კანდიდატურა აუქციონზე წარადგინა, მაგრამ ერთი პირობით: ის ქმარს არენდით „გასცემს", ოღონდ ყოველდღიურად და თანაც, არა უმეტეს 4 საათისა. „მე ქმარს არენდით ვიძლევი იმის გამო, რომ მისი მარტო დატოვება არ მსურს. თუმცა 4 საათის შემდეგ, მის უკან დაბრუნებას მოვითხოვ", – განუცხადა ჟურნალისტებს ორიგინალური იდეის ავტორმა.

დენისი, თავის მხრივ, სულაც არ არის ცოლის წამოწყების წინააღმდეგი და მზადაა, შეასრულოს ყველაფერი, რასაც დროებითი დიასახლისი დაავალებს. როგორც ის ამბობს, ძალზე კმაყოფილი დარჩება, თუკი დიასახლისი ვახშამზე ან რაიმე წვეულებაზე თან იახლებს. არც სახლის დალაგებაზე, გაზონების გაკრეჭასა თუ ძაღლის გასეირნებაზე იტყვის უარს. ერთადერთი, რაზეც დენისი არაფრით დათანხმდება, ეს არენდატორთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმაა. რითია გამოწვეული ამგვარი მკაცრი პირობა, გაუგებარია. თუმცა, ერთი რამ ცხადია – დენისი ცოლის ღალატს არ აპირებს.

ჯერჯერობით, დენისის „არენდით აღების" მსურველი ცოტაა. მათგან, ერთ-ერთმა ქალბატონმა ნადინა მანფროიდს ჰკითხა, – ეხერხება თუ არა თქვენს ქმარს უთოობაო? მეორე კი დაინტერესდა, – კარგი კოცნა თუ იცისო? თანაც ქალებმა ნადინას, ქმრის 4-საათიან მომსახურებაში მხოლოდ და მხოლოდ 1,5 ევრო შესთავაზეს. ■

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲐ

ნამდვილი დიდსულოვნება გამოიჩინა ბავშვთა სახლის ყოფილმა აღსაზრდელმა, 9 წლის ბულგარელმა ბიჭმა: მან თავისი დანაზოგით – 11.000 დოლარით, ყოფილი მეგობრებისთვის უამრავი ტანსაცმელი და ნაირ-ნაირი სათამაშო შეიძინა.

ბულგარელ ობოლ ბიჭს, შეიძლება ითქვას, რომ ძალზე გაუმართლა. ის 4 წლის ასაკში, ლუქსემბურგელმა მდიდარმა ცოლ-ქმარმა იშვილა. მის აღგილას, ბევრი, საბავშვო სახლში გატარებულ მძიმე წლებს დაივიწყებდა და მშვიდად დატკბებოდა უზრუნველი ცხოვრებით, მაგრამ აქსელი სულ სხვაგვარად მოიქცა: ის, რამდენიმე წლის მანძილზე, მშობლებს, მათდა გასაოცრად, უარს ეუბნებოდა შობასა და დაბადების დღეზე მირთმეულ საჩუქრებზე და ამის სანაცვლოდ, ფულს სთხოვდა.

თავისთავად ცხადია, უფროსები სერიოზულად განიცდიდნენ იმ ფაქტს, რომ ბავშვს ფულისკენ ამგვარი მიდრეკილება ჰქონდა. თუმცა, მათდა სასიხარულოდ, ერთ მშვენიერ დღეს, ამ ყველაფრის მიზეზი გაირკვა: როგორც აღმოჩნდა, აქსელი ფულს იმისთვის აგროვებდა, რომ მეგობრები საჩუქრებით გაეხარებინა.

ჩანაფიქრის ასრულებაში ბიჭს მისი ყოფილი აღმზრდელი, ამჟამად კი, ბავშვთა სახლის დირექტორი – ევგენია გიორგიევა დაეხმარა. ■

ფოტოკუთხიოზები

9 სექტემბრიდან!

ყველანი!

№16(27), 9-22 სექტემბერი, 2005

ფასი 80 თეთრი

აპრიორი

მართლმადიდებლური ჟურნალი

b32/21

ნომრის თემა:
ანგარება და ქველმოქმედება



სიტყვასაც ნუ იტყვი, როდესაც ვინმეს მიმართ წყალობას გამოიჩენ

მიხვალ თუ არა უფალთან, ნეტავ აქამდე სად ვიყავიო, იტყვი

ყოველი უანგარო გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, ვერავითარი გასამრჯელო რომ ვერ მომანიჭებდა

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ